

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
SOKHUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS
RESEARCH INSTITUTE OF ECONOMICS AND MANAGEMENT



განვითარების ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები

მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული
(29-30 სექტემბერი 2017)

DEVELOPMENT ECONOMICS AND INNOVATION: CHALLENGES AND SOLUTIONS

Proceedings of Materials of 4th International Scientific and Practical Conference
(29-30 September 2017)

თბილისი
2017

UDC (უაპ)
კ-



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2017 წელს გამართულ მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at 4th International Scientific-Practical Conference held at Faculty of Economics and Business of Sokhumis State University in 2017

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

დავით ჯალაღონია (თავმჯდომარე),
ვახტანგ ანთია, მადონა გელაშვილი,
ირმა დიხამინჯია, იური პაპასკუა,
ნინო ხარებავა (მდივანი), ნინო ქეტსაია

Organizing Committee of the Conference:

DAVID JALAGONIA (Chairman),
VAKHTANG ANTIA, MADONA GELASHVILI,
IRMA DIKHAMINJIA, IURI PAPASKUA,
NINO KHAREBAVA (Secretary), NINO KETSBAIA

სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი
The author is responsible for the accuracy of facts and data in the article

ISBN

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო:

- დავით ჯალალონია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავჯდომარე)
- რევაზ ხარებავა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი (მთავარი რედაქტორი)
- კობა ბასილაია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (მდივანი)
- ლიუდმილა ბოტაშევა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტი
- ანზორ აბრალავა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- გიორგი ბერუღავა** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- მადონა გელაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი
- ნაზირთლა გვარამია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ირმა დიხამინჯია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ჯანდრი ზარანდია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ლარისა თაკალანძე** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- ზურაბ ლიპარტია** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების მიმართულების ხელმძღვანელი
- იოსებ მასურაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მაგდალენა მასიასჩუკ** - ეკონომიკის დოქტორი, ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- იური პაპასქუა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან პაპასკირი** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- აგნიეშკა რზეშკა** - ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლონეთი
- ბობენა სოვა** - ჟეშუვის საჯარო ადმინისტრირების და სამართლის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ივანე სანდუ** - პროფესორი, რუსეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
- ტომას სოსნოვსკი** - ეკონომიკის დოქტორი, ლოდზის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ბოგუსლავ სლუსარჩუკი** - ჟეშუვის საჯარო ადმინისტრირების და სამართლის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ნინო ხარებავა** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- მარინე ხუბუა** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ანა ხარებავა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რუსეთი
- თეიმურაზ შენგელია** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- დევი შონია** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ნანული ძიმციეშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

- David Jalagonia** – Doctor of Economic Sciences, Professor, Dean of the Faculty of Economics and Business of Sokhumi State University (Head of Board)
- Revaz Kharebava** - Doctor of Economic Sciences, Head of Research Institute Economics and Management of Sokhumi State University (Chairman)
- Koba Basilaia** – PhD, Associate professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business (Executive Secretary)
- Anzor Abzalava** - Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University¹¹
- Giorgi Berulava** - PhD, Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Liudmila Botasheva** – Candidate of Economic Sciences, Docent, FGOBU VO “Financial University under the Government Russian Federation”
- Madona Gelashvili** - PhD, Associate Professor, Dean of the Faculty of Economics and Business of Sokhumi State University
- Nazibrola Gvaramia** - PhD, Associate professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Irma Dikhaminjia** - PhD, Associate professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Jandri Zarandia** - PhD, Associate professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Larisa Takalandze** - PhD, Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Murman Kvaratskhelia** - Doctor of Economic Sciences, Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Zurab Lipartia** - Doctor of Economic Sciences, Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Ioseb Masurashvili** - PhD, Economics and Management of Iv. Javakishvili State University
- Magdalena Maciaszczyk** - PhD, Professor, Lublin University of Technology, Poland
- Iuri Papaskua** - PhD, Associate Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Rusudan Papaskiri** - PhD, Associate professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Agnieszka Rzepka** - PhD, Lublin University of Technology, Poland
- Bozena Sowa** – PhD, University of Law and Public Administration University of Rzeszow, Poland
- Ivan Sandu** – PhD, Professor, GNU VNIESKH, Russia
- Tomasz Sosnowski** – PhD, Faculty of Economics and Sociology, University of Lodz
- Bogusław Ślusarczyk** – PhD, Associate Professor of Rzeszow University, Poland
- Nino Kharebava** - PhD, Associate Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Marine Khubua** - PhD, Associate Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Anna Kharebava** – Candidate of Economic Sciences, GNU VNIESKH, Russia
- Teimuraz Shengelia** - Doctor of Economic Sciences, Professor, Iv. Javakishvili Tbilisi State University
- Devi Shonia** - PhD, Associate Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business
- Nanuli Dzimtseishvili** - PhD, Associate Professor of Sokhumi State University, Faculty of Economics and Business

შინაარსი
CONTENT

სემინარი: გლობალური, მაკრო და მიკროეკონომიკის
SECTION: GLOBAL, MACRO AND MICROECONOMICS

ანზორ აბრალავა ----- 9

სამენარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის საკითხები

Anzor Abzalava ----- 11

Humanization of Entrepreneurial Activity

მელორ ალფენიძე, ზაურ ლომთაძიძე ----- 12

შეიარაღებული კონფლიქტები და გარემო

Melor Alphenidze, Zaur Lomtadidze ----- 14

Armed conflicts and environment

ლიუდმილა ბოტაშევა, ანა ხარებავა

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი

Ludmila Botasheva, Anna Kharebava

Ensuring Food Security as a Priority of State Economic Policy

ვლადიმერ ბასარია

საქართველოს ეკონომიკის ხანგრძლივი სტაგფლაციური მდგომარეობა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

Vladimer Basaria

The Long Stagflationary State of the Georgia's Economy and Macroeconomic Policy Objectives

ჯანდრი ზარანდია

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ბალტიისპირეთის და სამხრეთკავკასიის რეგიონების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თავისებურებები

Jandri Zarandia

Integration of Georgia to European Union: Characteristics of Macroeconomic Indicators of the Baltic and South Caucasus Regions

დალი მაგრაქველიძე

ეკონომიკის განვითარებაზე უცხოური ინვესტიციების გავლენა-დადებითი და უარყოფითი მხარეები

Dali Magrakvelidze

Impact of Foreign Investments on Economic Development-Positive and Negative sides

ირინა კულაგა, ელენა ტკაჩენკო

რეგიონული განვითარების თეორია, როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიის და პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი

Irina Kulaga, Elena Tkachenko

Regional Development Theory as the Basis for the Formation of Regional Development Strategy and Regional Policy

თეიმურაზ შენგელია

გლობალიზაცია და მულტიკულტურული ფაქტორების როლი ღია ინოვაციური პროცესის რეგულირებაში

Teimuraz Shengelia

Impact of Cultural Determinants on the Management of Business Innovation

ოქსანა ჩებერიაკო, ოლექსანდრა ბორისენკო

რუსულ-უკრაინული ჰიბრიდული ომი, როგორც უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევა და გლობალური დაპირისპირების უახლესი ფორმები

Oksana Cheberyako, Oleksandra Borysenko

Russian-Ukrainian Hybrid War as a Modern Challenge to the National Security of Ukraine and the Latest Type of Global Confrontation

მაია ჭანია

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების მნიშვნელოვანი გარანტი

Maia Chania

Developing Innovative Economy as an Important Guarantee for Economic Security

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

სექცია: ბიზნესის მენეჯმენტი, მარკეტინგი და ინოვაციები
SECTION: BUSINESS MANAGEMENT, MARKETING AND INNOVATIONS

მელორ ალფენიძე, ზაურ ლომთაიძე ----- 12

აფხაზეთის პოსტკონფლიქტური სივრცე: შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განვითარების გზები

Melior Alphenidze, Zaur Lomtadze ----- 14

The Post-Conflict Space of Abkhazia: State of the Black Sea Coastal Resort Infrastructure and Ways of its Development

თამაზი გამსახურდია

სახელმწიფო მოხელეს სჭირდება მენეჯერული აზროვნება

Tamazi Gamsakhurdia

Civil Servants Need Managerial Thinking

მადონა გელაშვილი

ინოვაციური ადამიანური კაპიტალი და მისი განვითარების თავისებურებები

Madona Gelashvili

Innovative Human Capital and the Characteristics of its Development

ნინო გრიგოლაია

ბიზნეს სექტორის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი

Nino Grigolaia

Analysis of the current state of development of the business sector

ირმა დიხამინჯია, გიორგი ბერულავა

ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიანი განხორციელების მეთოდები

Irma Dikhaminjia, Giorgi Berulava

Effective Implementation Methods of Organizational Changes

ლარისა თაკალანძე

სტრატეგიული მენეჯმენტის ზოგადი საკითხები საქართველოში

Larisa Takalandze

Some Issue of Strategic Management of Georgia

ემზარი კაკულია, მარინე თოფჩიშვილი

თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიები და მარკეტინგული გადაწყვეტილებები

Emzar Kakulia, Marine Topchishvili

Modern Business Technologies and Marketing Solutions

ნანა კაციტაძე

ღვინის ტურისტული ბაზრის განვითარების თავისებურებანი

Nana Katsitadze

Peculiarities of Wine Tourism Market Development

ლუბოვ კოტოვა, ელენა არსენტიევა

სოციალური მენარმეობა როგორც სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ინოვაციური მექანიზმი

Lubov Kotova, Elena Arsenyeva

Social Entrepreneurship as Innovative Mechanism for Solving Social Problems

ელისო ლანჩავა, ქეთევან კოკაია

თანამედროვე მენეჯმენტის თავისებურებები

Eliso Lanchava, Ketevan Kokaia

Singularities of Modern management

ზურაბ ლიპარტია, ბესიკ შერაზაძიშვილი

დროის მენეჯმენტის ძირითადი საკითხები

Zurab Lipartia, Besik Sherazadishvili

Main Principles of Time-Management

ირმა მოლაშხია

მართვის ლიბერალური სტილის გამოყენების ეფექტიანობა

Irma Molashkhia

Effective Use of Liberal Style of Management

რამაზ ოთინაშვილი, გიორგი პაპაშვილი

ბიზნეს-განათლება, როგორც მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი

Ramaz Otinashvili, Giorgi Papashvili

Business Knowledge as One of the Main Aspects of Increasing Population's Incomes

სანდრა პლოტა

ციფრული კომპეტენციები და კრეატიულობა როგორც გლობალური კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალა

Sandra Plota

Digital Competencies and Creativity as the Driving Force of Global Competitiveness

აგნიეშკა რზეპკა, ბოჟენა სოვა, ბოგუსლავ სლუსარჩუკ

პოლონეთის სასაზღვრო ტურისტული რეგიონების კონკურენტული შეფასება ბეშადსკის ოლქის მაგალითზე

Agnieszka Rzepka, Bożena Sowa, Bogusław Ślusarczyk

The Competitive Assessment of Polish Tourist Border Regions Based on the Example of Bieszczady County

აგნიეშკა რზეპკა

ინტერ ორგანიზაციული ურთიერთობები და მათი გავლენა პოლონეთის კარპატების სავოევოდოში

განთავსებული საწარმოების ინოვაციურობაზე

Agnieszka Rzepka

Inter-Organizational Relations and Their Influence on the Innovativeness of Enterprises in the Podkarpackie Region

ოლექსანდრ საბიჩენკო, ანდრი სკრიპნიუკი

ქარის ტურბინის შერჩევის ოპტიმიზაციის მოდელის განვითარება

Oleksandr Sabishchenko, Andrii Skrypnyk

Wind Turbine Selection Optimization Model Development

ნინო ქეცბაია

ინოვაციური მარკეტინგი

Nino Ketsbaia

Innovative Marketing

დევი შონია

ინოვაციების თანამედროვე ეკოსისტემა, ბაზარის გამოწვევები და მარკეტინგული კვლევების შესაძლებლობები

Devi Shonia

Modern Ecosystem of Innovations, Market Challenges and Opportunities for Marketing Research

ნელი ცქიტიშვილი

თუშეთის ტურისტული განვითარების ტენდენციები მდგრადი ტურიზმის კონტექსტში

Nelly Tskitishvili

Tusheti Touristic Development Tendencies in the Context of Sustainable Tourism

გიორგი ჭოჭუა

ეკოსოფელი – სოციალური ინოვაცია ტურიზმის მენეჯმენტში

Giorgi Tchotchua

Ecovillage – Social Innovation in Tourism Management

თამარ ხუციშვილი

მენეჯერი, როგორც მოტივატორი

Tamar Khutsishvili

Managers as Motivators

სექცია: **ფინანსები, აღრიცხვა, აუდიტი და საბანკო საქმე**

SECTION: **FINANCE, ACCOUNTING, AUDIT AND BANKING**

კობა ბასილაია , ბადრი გიორგიძე

ავტობიზნესის დაბეგვრის სრულყოფის ძირითადი ასპექტები საქართველოში

Koba Basilaia, Badri Giorgidze

Main Aspects of Improving Auto Business Taxation in Georgia

ჯაბა ბერაძე

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის (აუდიტის) მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

Jaba Beradze

Theoretical-Methodological Aspects of Management of State Financial Control

ნაზი გვარამია

შიდა კონტროლის ასპექტები

Nazi Gvaramia

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

Internal Control Aspects

ელგუჯა კონჯარია

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

Elguja Konjaria

Theoretical and methodological basis of financial reports analysis

ზურაბ ლიპარტია

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი

Zurab Lipartia

Financial Mechanism for the Development of Small and Medium Business in Georgia

მაია მარტიაშვილი

ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესში ფულადი ნაკადების შეფასება შერჩევის ალტერნატიული მეთოდები

Maia Martiashvili

Alternative Methods of Cash Flow Assessment and Selection in the Budgeting Process

რუსუდან პაპასკირი

კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის განსაზღვრას ინტეგრირებული მაჩვენებელი სჭირდება

Rusudan Papaskiri

The Integrated Index Is Necessary To Define The Effectiveness of Commercial Bank's Financial Management

ალექსანდრა პიელოჩ-ბაბიარც

ვარშავის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული დივიდენდის გადახდელი კომპანიების მახასიათებლები და ფინანსური მდგომარეობა

Aleksandra Pieloch-Babiarz

Characteristics and Financial Standing of Dividend-Paying Companies Listed on the Warsaw Stock Exchange

ტომას სოსნოვსკი

აქციების პირველადი საჯარო განთავსება და ამ პროცესის ზოგიერთი შედეგი: გამოცდილება ვარშავის საფონდო ბირჟიდან

Tomasz Sosnowski

The Initial Public Offering of Shares and Some of its Results: Experience from the Warsaw Stock Exchange

მალხაზ ჩიქობავა

ცენტრალური ბანკების საკვანძო განაკვეთები და „საპროცენტო სიურეალიზმი“

Malkhaz Chikobava

The Key Rates of Central Banks and Interest Surrealism

ნანული ძიმციეშვილი, გივი ბაქრადე

გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა და აღრიცხვის გაუმჯობესება

Nanuli Dzimtseishvili, Givi Bakradze

Taxation of retained earnings and accounting Improvement

რევაზ ხარებავა

აგროლიზინგის განვითარების ტენდენციები საქართველოში

Revaz Kharebava

Agro-Leasing Development Trends in Georgia

ნინო ხარებავა, რუსუდან ჭითავა

კომპანიის ღირებულების წამყვანი ფაქტორების გამოვლენის გამოწვევები

Nino Kharebava, Rusiko Chitava

Challenges of Identifying Key Value Drivers

მარინე ხუბუა

კომერციულ ბანკებში ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები

Marine Khubua

On Issues of Improving Methods of Financial Pointers Analysis in Commercial Banks

დავით ჯალაღონია, იური პაპასკვა

ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში

David Jalagonia, Iuri Papasqua

Fundamental Accents of Professional Certification of an Accountant

in the New Regulation

ბაქარ ჯგარკავა

უცხოური ვალუტის დეფიციტის მნიშვნელობა ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის განსაზღვრისას

Bakar Jgarkava

სექცია: გლობალური, მაკრო და მიკროეკონომიკის
Section: GLOBAL, MACRO AND MICROECONOMICS

**სამეცნიერო საქმიანობის
ჰუმანიზაციის საკითხები**

ანზორ აბრალავა

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
(ელ. ფოსტა: a.abralava@gtu.ge)

შესავალი. თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიკური ჰუმანიზაცია წარმოადგენს უალტერნატივო პროცესს. ბიზნესის ჰუმანიზაცია, ერთ-ერთი პრინციპულად ახალი ტიპის ამოცანაა, რომლის კვლევას ეძღვნება ჩვენი ნაშრომი.

ახალი საუკუნე კაცობრიობას თავის ახალ წესებს კარნახობს, რომელთაგან ერთ-ერთს გლობალიზაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობასთან ერთად ეკონომიკური განვითარების ჰუმანიზაცია წარმოადგენს.

ზოგადი გაგებით სიტყვა „ჰუმანიზაცია“ ინტერპრეტირებული შეიძლება იყოს როგორც „გაადამიანება“ - ეს ნიშნავს ადამიანისადმი არა როგორც მექანიზმისა და საშუალებებისადმი, არამედ როგორც განვითარების მიზნისადმი დამოკიდებულებას.

**1. ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის
ტენდენციის ფორმირების საფუძვლები**

ჰუმანიზმის პრინციპი დაიბადა ფილოსოფიური მეცნიერების ბირთვში, მან თავისი კვალი დაატყო ეკონომიკური თეორიის მრავალი კლასიკოსის ეკონომიკური შეხედულების განვითარებას, ასევე თანამედროვე მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აგების იმ პრინციპების ჩაუყარა საფუძველი, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს. ეკონომიკური თეორიაში ჰუმანიზმის იდეისა და პრინციპების დანერგვის მაგალითს ემსახურება ა. სმიტის, ა. მარშალის და სხვათა მეცნიერულ შრომებში ასახული აზრები. ჰუმანიზაციის იდეის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური აზროვნების მიმართულების ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან სოციალური საბაზრო ეკონომიკის სკოლა, ლუდვიგ ერხარდი, ენტონი დე იასაი, ალფრედ მიულერ-არმაკი.

ერჰარდი თვლიდა, რომ საბაზრო ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს თავისუფლება და ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში 1945 წლის დეკემბერში მან თქვა: „ეკონომიკური კონცეფციები და ეკონომიკური დადგენილებები ყოველთვის დაეყვებნებოდნენ ცვლილებას, თუმცა მუდმივი დარჩება ეკონომიკური საქმიანობის მიზანი - ვემსახუროთ და ხელი შევუწყოთ ადამიანთა კეთილდღეობას“. მის მიღწევასა და დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან პრაქტიკაში შეძლო გამოეყენებინა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მოდელი და შექმნა „კეთილდღეობა ყველასათვის“. აღნიშნულმა მოდელმა ცხოვრებაში გაატარა ჰუმანიზმის ძირითადი შეხედულებები და პრინციპები.¹

სამეცნიერო საქმიანობის ჰუმანიზაციის მთელი სტრატეგიის კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს განვითარების მეტაეკონომიკური გააზრება.² მენარმეობის ჰუმანიზაციის მთელ სისტემას საფუძვლად ამ მოვლენის არსის ამსახველი ოთხი პრინციპი უდევს:

1. უსაფრთხოება - ადამიანი თავის სამუშაო ადგილზე საფრთხეს არ უნდა გრძნობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის, შემოსავლის დონისა და თავისი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფისათვის, ასევე მომავალში სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის და ა.შ;

2. სამართლიანობა - მოცემული პრინციპი აისახება შემოსავლის დონეში, კერძოდ მის შესაბამისობაში მომუშავეს წვლილთან საერთო საქმეში და ორგანიზაციის მიზნის მიღწევაში. პრინციპის რეალიზაცია შესაძლებელია ორგანიზაციის მოგების განაწილებაში მომუშავეს მონაწილეობის ეფექტური სისტემის არსებობით, ასევე მომუშავეს პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად ანაზღაურების საშუალებით.

3. პიროვნების განვითარება - ყოველი მომუშავეს პროფესიულად მნიშვნელოვანი უნარების და პიროვნული თვისებების განვითარებისათვის პირობების შექმნა შრომითი საქმიანობის პროცესში;

4. დემოკრატია - მკაცრ იერარქიაზე უარის თქმა ადმინისტრაციული აპარატის აგებისას, ხელმძღვანელობის არჩევადობა, მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური გადაწყვეტა (მაგალითად, ისეთის როგორიცაა მოგების განაწილება).

1. მალაშხია გ. „სოციალური ენერჯია სიმდიდრე კეთილდღეობა“, თბილისი, გამომცემლობა: „უნივერსალი“ 2013 წ., 79 გვ.

2. ერჰარდი ლ. „კეთილდღეობა ყველასათვის“, გამომცემლობა „გრაალი“, თბილისი, 2011 წ., 432 გვ.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის ტენდენციის ფორმირების საფუძვლებს წარმოადგენენ: სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების დონე, ეკონომიკური სისტემის ტიპი, წარმოების ტექნოლოგიური დონე, საწარმოო ძალების საერთო პროგრესი. საზოგადოების განვითარების ინტელექტუალური და კულტურული დონე, და უპირველეს ყოვლისა მწარმეთა ფენა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ჰუმანიზმის პრინციპების რეალიზაციის და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ეკონომიკური სისტემის ჰუმანურობის განმსაზღვრელი მთავარი საწყისისა და პრინციპების გაგებით ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ თვით მწარმის ჰუმანიზაცია.

სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის ქვეშ უნდა გვესმოდეს კერძო სამეწარმეო სუბიექტების მიერ საწარმოს დაქირავებული მომუშავეების უნარების განვითარების და რეალიზაციის, მატერიალური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების ხელშეწყობი პირობების ტენდენციის ფორმირება, მათი შრომის მწარმოებლურობის და შემოსავლის ზრდის საფუძველზე.

ამასთან ორგანიზაციის სამეწარმეო საქმიანობის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან შრომა ისეთი სახით უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თითოეული მომუშავეს პიროვნული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მაჩვენებლები ანუ ადამიანური კაპიტალი, რაც შეიძლება სრულად განვითარდეს. ჰუმანიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავია სამუშაოს გამდიდრებას, რაც პრაქტიკულად ნიშნავს, ყოველდღიურად შესასრულებელ სამუშაოს ფუნქციას დაემატოს ორგანიზაცია, კონტროლი და საკუთრი საქმიანობის შეფასება.

მოცემული მომენტისათვის არსებობს რიგი მიზეზებისა, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის აუცილებლობას გამომწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

1. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ზოგადი წონასწორობის დარღვევა (ეკონომიკური ზრდის ტემპსა და სოციალური განვითარების დონეს შორის);

2. საზოგადოებრივი განვითარების ახალი იდეალის შექმნის აუცილებლობა, დრომოჭმული საზოგადოების მოთხოვნილებების იდეოლოგიის ნაცვლად;

3. ეკონომიკური სუბიექტების მორალური ცნობიერების დაბალი დონე, რომელიც აერთიანებს ფასეულობებს და იდეალებს, ქცევის ნორმებსა და პრინციპებს, მიზნობრივ წესებს და ა.შ.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ დღეს განვითარების მთავარ საწარმოო და სოციალურ ფაქტორად გვევლინება ადამიანური კაპიტალი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ადამიანის ინტელექტთან და მენტალურ ტექთან. მათი ფორმირების მთავარ წყაროს წარმოადგენს სოციალური ინვესტიცია აღზრდაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე, უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ თვისუფლებაზე, ასევე კაპიტალდაბანდება მეცნიერებაში, კულტურაში და ხელოვნებაში. ინვესტიციის არსის საყოველთაოდ მიღებული გადმოცემის თანახმად, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიცია შეიძლება ვუწოდოთ ყველა იმ დაბანდებას (მატერიალურს და არამატერიალურს) ადამიანში, რომელიც დაკავშირებულია დანახარჯებთან, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც თვით ადამიანის, ასევე მთლიანად საზოგადოების შემოსავლის ზრდას.

სოციალურ ინვესტიციებს შეუძლიათ დაამყარონ ბალანსი სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ და სოციალურ მხარეებს შორის. სოციალური ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობა ასახავს ინვესტირების სუბიექტის (ფინანსური მოგება) და ობიექტის (ფასეულობის დადგენა) ძირითადი მიზნის მიღწევის ხარისხს.

ადამიანური კაპიტალის დამახასიათებელი თავისებურებები განაპირობებს ყველა რისკს, რომელიც დაკავშირებულია მასში და ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებთან. ფიზიკური კაპიტალისაგან განსხვავებით, ადამიანურ კაპიტალში აუცილებელი და საკმარისი ინვესტიციების ზომის პრაქტიკული შეფასება შეუძლებელია, რადგან მისი შეფასება შესაძლებელია გასაშუალოვდეს - მომავალი შემოსავლების სიდიდით. ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების მნიშვნელობის განსაზღვრა შესაძლებელია კვლევის სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. განაზღვრული დროის პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მოგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვების და შესწავლის შემდეგ დიდი ალბათობითაა შესაძლებელი დავასკვნათ, რომ მოგების ზრდა წარმოების ადამიანურ ფაქტორში ინვესტიციის სიდიდის პირდაპირპროპორციულია. დაბანდება და ადამიანური კაპიტალის გამოყენება პრაქტიკაში უწყვეტ პროცესს წარმოადგენს და ადამიანის მთელი პირადი ცხოვრების განმავლობაში ხორციელდება.

2. ჰუმანიზაციასა და შრომით მოტივაციას შორის ურთიერთდაზოგადება

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოგვეხდინა ჰუმანიზაციასა და შრომით მოტივაციას შორის ურთიერთდაზოგადებულების დაკვირვება.

თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების განხილვისას, საწარმოო (სამეწარმეო) საქმიანობის მოტივებისა და სტიმულების ბუნების შესწავლისას იცავდა კლასიკურ მიდგომას³. ნეოკლასიკური მიმდევრობის წარმომადგენლები ამ საკითხში შორს ვერ წავიდნენ. ნეოკლასიკოსები დაბანდების ფაქტს ხსნიან როგორც მოტივაციას, მაგრამ არ გვაძლევენ ამ ფენომენის ახსნას, რადგან მათი აზრით მოთხოვნილებები სტაბილური დროში და მათგან შესაზღვრელია აბსტრაგირება ეკონომიკური საკითხების შესწავლისას. ჩვენ შეგვიძლია დღეს დღეობით ვაღიაროთ ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომების მცდარობა კვლევებში, ანუ ადამიანი გახდა ეკონომიკის განვითარების სავანძო წერტილი.

შრომის ჰუმანიზაცია განპირობებულია ორი ძირითადი გარემოებით. ჯერ ერთი, წარმოებრივი პროცესის მიმდინარეობის ახალი პარამეტრები წარმოიშობა, რომელიც შრომის მწარმოებლურობის ზრდას და პროდუქციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. მეორე, შემოქმედებით შრომაზე მოთხოვნა, პროფესიული ოსტატობის ამღვლე-

3. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 1982. С. 2.

საკენ სწრაფვა, შრომის უსაფრთხო პირობების მოთხოვნა ადამიანთა მოთხოვნილებების სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.[66]

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალური სამართლიანობის ოპტიმიზაციის პროცესი მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანისადმი პატივისცემით და ჰუმანურ დამოკიდებულებაში მდგომარეობს, მის პიროვნულ განვითარებაში, როგორც დაქირავებული მომუშავესა და როგორც მწარმოებლის. სამართლიანობის და ეფექტიანობის შესაბამისობის ოპტიმიზაციის მიზნით შესაძლებელია შრომის შედეგების შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენება. სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის შეფარდებითი ბალანსის მოძიებისა და დადგენის პრობლემის გადაწყვეტის ერთგვაროვანი გზა არ არსებობს.

სოციალური ეფექტიანობის და სოციალური სამართლიანობის ოპტიმიზაციის შესაძლო გზების განსაზღვრისადმი სახვადსხვა მიდგომების განხილვისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომუშავესა და მწარმის ურთიერთქმედების საფუძველს თანამედროვე პირობებში წარმოადგენს მოლაპარაკებები, კონსენსუსის მიღწევა, და ურთიერთმოგებიანი თანამშრომლობა. მხარეთა ურთიერთ ინტერესი ადამიანური კაპიტალის ყოველმხრივი განვითარების და ეფექტური გამოყენებისათვის ასევე შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის გადალახვის პერსპექტიულ გზას წარმოადგენს.

დასკვნა. სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის ქვეშ უნდა გვესმოდეს კერძო სამეწარმეო სუბიექტების მიერ საწარმოს დაქირავებული მომუშავეების უნარების განვითარების და რეალიზაციის, მატერიალური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების ხელშემწყობი პირობების ტენდენციის ფორმირება, მათი შრომის მწარმოებლობის და შემოსავლის ზრდის საფუძველზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანად ჰუმანიზაცია და კერძოდ, სამეწარმეო - ეს არის, უპირველეს ყოვლისა, საწარმოო საქმიანობის მთავარი ფაქტორის - ადამიანური კაპიტალის - პროგრესი. მოცემულ კონტექსტში ჰუმანიზაცია წარმოების ზრდის ფაქტორების და ადამიანური კაპიტალის როგორც მთელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლების ხარისხობრივ ტრანსფორმაციას გულისხმობს.

ABSTRACT HUMANIZATION OF ENTREPRENEURIAL ACTIVITY

ANZOR ABRALAVA

Doctor of Economics, Professor
Georgian Technical University
(E-mail: a.abralava@gtu.ge)

In the work, "Humanization of entrepreneurial activity", it is reviewed theoretical basics of formation of the humanization of economic relations. Also, the number of reasons, which are conditioned the necessity of humanization of socio-economic integrity. The basis for the formation of the trend of humanization of economic relations are: Level of scientific and technical development, Type of economic system, Technological level of production, General progress of production forces. Intellectual and cultural level of development and first of all layers of the entrepreneurs, represents Implementation of humanism in the implementation of entrepreneurial activity and the driving force of development.

Principles, reviewed in the work, which represents entrepreneurship humanization systems, are: Safety, Justice, Sevelopment of personality, and Democracy.

Key words: Humanization of entrepreneurial activity; Human capital; Investment in human capital; Social investment; Labor humanization.

ლიტერატურა

1. მაღალაშვილი გ. „სოციალური ენერჯია სიმდიდრე კეთილდღეობა“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013 წ., 79 გვ.
2. ერჰარდი ლ. „კეთილდღეობა ყველასათვის“, გამომცემლობა „გრალი“, თბილისი, 2011 წ., 432 გვ.
3. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 1982. С. 2.

აფხაზეთის პოსტკონფლიქტური სივრცე: შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განვითარების გზები

მალორ ალფანიძე¹, ზაურ ლომთათიძე²

1. პროფესორი

2. პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამჟამად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენცია ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროებისაკენაა მიმართული, რაც „ზღვა-ნაპირი-ხმელეთის“ სისტემას ერთიან ტერიტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და გეოეკოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებს. ზღვის სანაპიროს ტურიზმი რეგიონის სტრატეგიულ პოტენციალს განსაზღვრავს და მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. აფხაზეთის უნიკალური ბუნებრივი პირობების, ფენომენებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა რეგიონის მაღალ ტურისტულ-რეკრეაციულ (1, 169 გვ) პოტენციალზე და მიუთითებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი პლაჟის ზოლს ენიჭება, რომლის დანიშნულება, რეკრეანტთა დასვენებაა.

ამასობაში, ზღვის ნაპირი აბრაზიას, პლაჟები კი ძლიერ წარეცხვას განიცდის. მათი გამომწვევი მიზეზი ანთროპოგენური ხასიათისაა: ალუვიური და პლაჟის მასალის გამზივადობა სამშენებლო მიზნით, ჰეს-ებისა და პორტების მშენებლობა, არაგონივრული ნაპირდაცვა. ნაპირების დაცვის მიზნით რკინა-ბეტონის ნაგებობების (ბუნების, ტალღამრეკლავი და საბრჭენი კედლების, ტალღამტეხებისა და ფასონური ბლოკების) ექსპლოატაციის პერიოდში პლაჟის წარეცხვა და ძირითადი ნაპირების აბრაზია უფრო გაიზარდა.

რეგიონის ზღვისპირა საკურორტო-ტურისტული ინფრასტრუქტურა ძირითადად 3-4 კმ-იან ზოლშია განლაგებული. ქვეყნის საზღვარ ტვირთბრუნვის (2, 335 გვ) ზრდა ნავსადგურებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაჩქარებას მოითხოვს, რაც სანაპიროზე რისკების ზრდას მოასწავებს. ამიტომ, ნაპირების აღდგენა, დაცვა და სტაბილურობა გადაუდებელი ამოცანაა. ტურიზმის ისტორიის განხილვა, მისი მდგომარეობა და განვითარება, სტაბილური პლაჟის შექმნა ავტორის მიზანს წარმოადგენს.

აფხაზეთის შავი ზღვისპირეთის ტურისტული პოტენციალი მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო. ასე, 1892 წელს, სოხუმში (10000 მოსახლე), კოსტრომელი მემამულე - პროფესორი იურისტი, ხოლო მოწოდებით მეტყვევების დიდი გულშემატყვიარი ნ. სმეცკოი ჩამოვიდა. თავდაპირველად ის სინოპში (5, 1 გვ) დასახლდა, რომელიც მაშინ პოლკოვნიკ აპოლონ ვედენსკის ეკუთვნოდა. 1892 წელს, ნ. სმეცკოიმ ლევან მალანისა და აპოლონ ვედენსკისაგან, ზღვის ნაპირზე, სააგარაკო მიწის ნაკვეთი (41 დესეტინა) შეიძინა და სუბტროპიკული (საფრანგეთიდან, იტალიიდან ჩამოტანილი) მცენარეების განაშენიანებას (850 სახეობა) მიყო ხელი, რომელიც საბოლოოდ დენდრაირიუმად გადაიქცა.

1895 წელს ნ. სმეცკოი მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირზე, ზღვის ნაპირიდან სამი კმ-ის დაშორებით, 2000 დესეტინა მამულს იძენს და სუბტროპიკული (75 ჰა) ბაღი შექმნას იწყებს. 1900 წელს მან გადაწყვიტა ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმის აშენება. იმავე წელს, ზღ. დონიდან 120 მ სიმაღლეზე, ამ კომპლექსის პირველი (თეთრი სანატორიუმი) კორპუსის მშენებლობა დაამთავრა და უცხოელი ტურისტ-ავადმყოფები მიიღო. 1913 წელს მემამულემ მეორე - წითელი კორპუსი ააგო. ორივე სანატორიუმის განკარგულებაში იყო 240 ჰა მიწის სუბტროპიკული მცენარეებით განაშენიებული ნაკვეთი. სანატორიუმის კეთილმოწყობის მიზნით აქ გაშენდა ელექტროსადგური, მოწყობილი წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო ქსელი.

1905 წელს ნ. სმეცკოიმ აგუძერის ზღვის ნაპირზე ააგო გერმანული ტიპის სანატორიუმი, რომელსაც დასვენებისა და მთვინი სემონური (კლიმატური) მკურნალობის ფუნქციები ჰქონდა. ამდენად, 1913 წელს აქ უკვე სამი სანატორიუმი ფუნქციონირებდა, სადაც ერთდროულად 600 დამსვენებელისა და ავადმყოფის მიღების შესაძლებლობა (5, 2 გვ) არსებობდა.

შავი ზღვისპირეთის საკურორტო ფუნქციის მინიჭება და დასვენების ზონად გადაქცევის მცდელობა რუსეთის იმპერიის მთავრობამ XIX ს-ის ბოლო წლებში მიიღო. მაშინ, გაგრის მიდამოები „რუსეთის ნიცას“ სახელწოდებას ატარებდა. გაგრაში კლიმატური სადგურის (კურორტის) მშენებლობა 1901 წელს დაიწყო. მისი ხელმძღვანელობა დაევალია დიდი ჰერცოგების - გოლშტეინ-გოტორპსკების შთამომავალს, რუსეთი მეფეების (პეტრე III და ეკატერინე II) ნათესავს, პავლე I შვილთაშვილს, გენერალსა და რუსეთის სენატორს - პრინც ალ. ოლდენბურგსკის (6, 1-2 გვ).

გაგრის კურორტის მოწყობის მიზნით ხაზინიდან გამოიყო 7 მლნ. მანეთი. 1903 წელს გაგრაში გაიხსნა პირველი ახალი კურორტი, გაჩნდა ელექტრო განათება, ტელეგრაფი და წყალგაყვანილობა, გაჩნდა წყალსამკურნალო დაწესებულება, სასახლე, კეთილმოწყობილი ვილები, რესტორნები და სასტუმროები.

1902 წელს გაგრაში ჩამოიტანეს ევროპაში აწყობილი უნიკალური შენობა - „გაგრიფში“. იმავე წლებში, „ალპიური გაგრის“ მიმართულებით გაიხსნა გზა, სანაპიროს 14 ჰა-ზე გაშენდა პარკი (ჩინური პალმა, ფინიკი კანარის კუნძულებიდან, ქოქოსი სამხრეთი ამერიკიდან, კვიპაროსის, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები, ჰიმალაის კედარი, ამერიკული მაგნოლია). გაგრა გადაიქცა მდიდართა დასვენების საკურორტო ცენტრად. 1911 წელს აქ პირველად ჩამოვიდნენ უცხოელი (გერმანია) ტურისტები (6, 1-2 გვ). ტურისტების საკვებით მომარაგების მიზნით, პრინც ოლდენბურგსკის საკუთარ მამულში (დასახლება ოტრადნოე), მოეწყო სპეციალური მეხილების, ბაღჩეულისა და მებოსტნეობის მეურნეობა.

ამგვარად, აფხაზეთის შავი ზღვისპირა რეგიონის საკურორტო თვალსაზრისით წარმატებული ათვისება XIX ს-ის ბოლოს დაიწყო, ხოლო სანატორიუმები, დასვენების პარკები, სასტუმროები, ვილები ექსპლოატაციაში XX ს-ის დასაწყისში შევიდნენ. მათ განვითარებას ხელი შეუშალა ჯერ მსოფლიო ომმა, ხოლო შემდგომ რევოლუციამ.

საბჭოთა ეპოქის დასაწყისში საკურორტო ობიექტების მშენებლობა სტაგნაციით ხასიათდებოდა. აშენდა მხოლოდ სამთავრობო დანიშნულების რამდენიმე სანატორიუმი. სანაპიროს ათვისება ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემ-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

დგომ წლებში წარიმართა. გასული საუკუნის 90-იანი წლებამდე მღვის სანაპიროზე ათეულობით დასვენების ობიექტი აშენდა. მათი რაოდენობა ასეულზე მეტია (ცხრილი N 1), ხოლო ადგილების რიცხვი 30 ათასზე მეტი გახდა. ტურიზმისა და დასვენების ობიექტები უმეტესობა მღვის ნაპირს გასწვრივ მდებარეობდა და „საკუთარი“ პლაჟით იყო შემოსაზღვრული.

მოტიანილ ცხრილში რეგიონის მღვისპირა პერიმეტრი 10 უბნად იქნა დაყოფილი. თითოეული მათგანი როგორც ტერიტორიული, ისე საკურორტო მეურნეობის ფუნქციონალური ინდივიდუალურობით ხასიათდება. ასე, მაგალითად რეგიონის უკიდურესი დასავლური უბანი ლესელიძე-განთიადის მღვისპირა პერიმეტრს მოიცავს, სადაც საქალაქო ინფრასტრუქტურის დონე დაბალია და საკურორტო მეურნეობის საშუალო განვითარებით ხასიათდება. მსგავსი ნიშნებისაა ლიძავა-აგარაკი-მიუსერა-მუგუძირხვას, ან კიდევ, ვარჩე-კინდლისა და გუდავას ნაკლებად ათვისებული უბნებიც. ძლიერ განვითარებულ უბნებს მიეკუთვნება გაგრის, სოხუმის, ახალი ათონის, ოჩამჩირის ტურიზმის მაღალი დონის მღვისპირა უბნები.

ცხრილი N 1.


სანაპიროს საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის პარამეტრები

#	საკურორტო კომპლექსი	ობიექტების რ-ბა	ადგილების რ-ბა, (ლოჯინი)	პლაჟის სიგრძე, მ
1	ლესელიძე - განთიადი	9	3041	2650
2	გაგრა	20	5199	4450
3	ალახაძი-ბიჭვინთა	10	5046	3880
4	ლიძავა-აგარაკი-მიუსერა-მუგუძირხვა	8	2000	820
5	ოქროს ნაპირი-გუდაუთა	12	2130	1865
6	ახალი ათონი	7	2345	850
7	ემერა-სოხუმი	17	6228	3402
8	აგუძერა-გულრიფში-ბაბუშარა	9	2865	1760
9	ვარჩე-კინდლი	3	730	1050
10	ოჩამჩირე-გუდავა	7	1650	965
	ჯამი	102	31234	21692

კვლევებით (3, 78 გვ) გამოირკვა, რომ აფხაზეთის შავი მღვისპირა 3 კმ-იან ზოლის 10 რეკრეაციულ უბანზე 102 ტურიზმისა და დასვენების ობიექტია [ცხრილი N 1, ნახ. N 1] განლაგებული. აქედან, ყველაზე მეტი (35 ობიექტი, 34,3 %) დასასვენებელ ბაზებსა და შემოქმედებითი დასვენების სახლებზე მოდის, შედარებით ნაკლებია სანატორიუმებისა (17 ობიექტი, 16,7 %) და პანსიონატების (14 ობიექტი, 13,7 %) ჯამური (31 ობიექტი, 30,4 %) რაოდენობა. დასვენების ბანაკებისა (16 ობიექტი, 15,7 %) და ტურისტული ბაზების (12 ობიექტი, 11,8 %) სუმარული მნიშვნელობა (28 ობიექტი, 27,5 %) დანარჩენების კი მესამედზე ნაკლებია. ყველაზე ნაკლები დატვირთვა კი კემპინგებსა და სასტუმროებს (8 ობიექტი, 7,8 %) უკავიათ.

დასვენების ბაზებსა და შემოქმედებითი დასასვენებელი სახლების 35 ობიექტებში ერთდროულად 8200-ზე მეტი ვიზიტორის (28,6 %) მიღება იყო შესაძლებელი. სანატორიუმებში - 5800 -ზე მეტი რეკრეანტი (20,6 %) იმყოფებოდა, პანსიონატებში - 3600 დამსვენებლის (13,5 %) მიღება შეეძლოთ, ტურისტულ ბაზებში - 5200-მდე (18,5 %), დასვენების ბანაკებში - 4100-ზე მეტი დამსვენებელი (15,4 %) სტუმრობდა, სასტუმროებსა და კემპინგებში კი 1000 კაცი (3,4 %) სტუმრობდა. ამდენად, აღნიშნულ 102 ობიექტის მიერ რეკრეანტთა ერთდროულად მიღების რიცხვი 31234-ს შეადგენდა და დასაწოლი ადგილების რაოდენობით იყო განსაზღვრული.

აღნიშნული ობიექტები პლაჟის გარკვეულ ფრაგმენტებსაც ფლობდნენ. დასვენების სახლების ყველა 35 ობიექტისათვის გამოყოფილი პლაჟის ჯამურმა სიგრძე თითქმის 8,0 კმ შეადგენდა, სანატორიუმებისათვის კი 4,5 კმ, პანსიონატებისამ - 4,2 კმ, დასვენების ბანაკების დამსვენებლების პლაჟის საერთო სიგრძე 3,0 კმ, ტურისტული ბაზების, კემპინგებისა და სასტუმროებისა კი - 2,2 კმ.



ნახ. N 1. ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა⁴

ამჟამად, დასვენების ობიექტების 80%, სავარაუდოდ დაზარალებულია, რაც ინტერნეტის რესურსებიდანაც ნათლად ჩანს. მათ ნგრევას აფხაზეთის ცნობილმა მოვლენებმა შეუწყვეს ხელი. ამ ინფრასტრუქტურის აღდგენა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი საქმიანობაა. სავარაუდოდ, ამ პროცესის წარმართვა ამ საუკუნის შუა წლებამდე ვერ მოხერხდება.

ამავე დროს, ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სტაბილური პლაჟები. პლაჟების დაცვას რკინა-ბეტონის ნაგებობებით ახდენდნენ. ბეტონის ნაგებობებით ნაპირდაცვა წარსულის არაგონივრული პრაქტიკა აღმოჩნდა. პრაგმატულ ღონისძიებად კი თავისუფალი ხელოვნური პლაჟების მშენებლობა იქნა აღიარებული (2, 334). ამ მიდგომის გამოყენებით შექმნილი გაგრის თავისუფალი პლაჟი - ამჟამადაც შენარჩუნებულია.

აქედან გამომდინარე, საკურორტო და რეკრეაციული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ადგილებში მიზანშეწონილია განიერი პლაჟების ფრაგმენტების შექმნა. ამ მიზნით, პლაჟის საპროექტო სიგანედ 45 მ-ია აღიარებული. ამ სიგანის პლაჟებმა როგორც ნაპირის დაცვის, ისე სანაპიროს ინფრასტრუქტურის ნგრევისაგან თავის არიდება უნდა უზრუნველყოს.

სტაბილური პლაჟი ტურისტული ობიექტების დაცვასა და პლაჟის ფართო ზოლის შექმნას გულისხმობს, რაც ნორმატივის (1 რეკრეანტზე 6 მ²) მიხედვით დამსვენებლების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას გვაძლევს. ამდენად, დამსვენებელთა მიერ პლაჟზე დაკავებული ფართობის მიხედვით შეიძლება ვიმჯელოთ, რომ ამჟამად დამსვენებელთა (31234 კაცი) გაზრდა 6,0-ჯერ (188116 კაცი) შეიძლება.

ხელოვნური პლაჟის შექმნის ექსპერიმენტის გათვალისწინებით და წმინდა გეომეტრიული თვალსაზრისით, საკვლევი სანაპიროს პლაჟის საშუალო სიგანისა (45 მ) და წყალქვეშა ფერდობის დახრილობის ($i \leq 0,03$) გათვალისწინებით, ხელოვნური პლაჟის ყოველ 1 მ² ფართობზე 4,0 მ³ ნატანის მოზიდვის ნორმატივიდან გამომდინარე, თავისუფალი პლაჟის შექმნის მიზნით, პლაჟწარმოქმნელი ფრაქციის მოცულობას განგარიშობთ ფორმულიდან:

$$V_0 = 2L\Delta B h,$$

სადაც V_0 - პლაჟწარმოქმნელი მასალის მოცულობაა; L - პლაჟის საპროექტო სიგრძე; ΔB - პლაჟის სიგანე; h - თანამედროვე სანაპირო ზვინულის ნიშნული.

აქედან, აფხაზეთის ავარულ უბნებზე მოსაზიდი პლაჟწარმოქმნელი მასალის მობილიზაციის სიდიდე V_0 ანგარიში ადვილია:

$$V_0 = 2 \times 30000 \times 45 \times 3,0 = 8,1 \text{ მლნ. მ}^3$$

პლაჟის მშენებლობაში ალუვიური მასალის მოზიდვა მიზანშეწონილია მდ. ენგურის გაუნყოფილებული კალაპოტიდან, რაც ამ კალაპოტის მოწესრიგებასაც მოასწავებს.

ამგვარად, აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე ამჟამად არსებული ტურიზმისა და დასვენების ობიექტების აღდგენის, მათი რაოდენობის გაზრდისა და რეკრეანტთა მოზიდვის ბუნებრივი ტენდენცია, ნაპირების აღდგენისა და დაცვის ამოცანაა. ამ მხრივ, მიზანშეწონილია თავისუფალი ხელოვნური პლაჟების შექმნა.

THE POST-CONFLICT SPACE OF ABKHAZIA: STATE OF THE BLACK SEA COASTAL RESORT INFRASTRUCTURE AND WAYS OF ITS DEVELOPMENT

MELOR ALPHENIDZE, ZAUR LOMTATIDZE

1. Professor

2. Professor

Sokhumi State University

The short history of tourism and recreation objects implementation, their power, long-term perspective, advisability of the sea shore and touristic infrastructure reconstruction and protection along the 3km shore-line of Abkhazian Black Sea.

Has been established: the aspects of the touristic infrastructure reconstruction and development, the predictable potential of tourists, the perspectives of coastal fragments and touristic power enhancement.

4. მკვეთრი გამოსახვის მიზნით ტურიზმის ობიექტების რაოდენობა ნახაზზე 100-ჯერ გაზრდილია.

Has been suggested: the scientific evidence for the potential of resort objects and their development, creation of free beaches for the coastal line protection.

Keywords: Resources; Sea Shore; Beach; Coastal Security; Tourism

ლიტერატურა

ალფენიძე მ. ლომთათიძე ზ. შავი ზღვა: აბიოტური და ბიოტური პროცესების დინამიკა. აბიოტური ფაქტორები. ნაწილი I. მეორე შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა. აფხ. მეცნ. ეროვნული აკადემია, თბილისი, 2016. – 312 გ.

ალფენიძე მ., სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., შავი ზღვისპირეთის რაციონალური ბუნებათსარგებლობის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა და ანთროპოგენური პროცესების რეგულირება-მართვა (საქართველოს მაგალითზე). შრ. კრ.: „მთიანი რეგიონების გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2008, გვ. 329-341

აფხაზეთია შავი ზღვისპირეთის ტურიზმის მდგომარეობა და პერსპექტივები. „სუე და მეცნიერება“, N 3, თბილისი, 2016. - გვ. 76-80.

Alpenidze M., Seperteladze Z., Davitaia E., Gaprindashvili G., Aleksidze T. Natural-geographical zoning and geo-ecological problems of Georgia's Black Sea coast. American Journal of Environmental Protection. 2015; 4(3-1): 58-66.

Вельяшева К. Творец зеленой Третьяковки. <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6421.php>

Принц Ольденбургский... ресторан «Гагрипш и Приморский парк в Гагре. https://seacool.ru/abkhazia/prince_oldenburgskiy

შეიარაღებული კონფლიქტები და გარემო

მელორ ალფენიძე, ზაურ ლომთათიძე

1. პროფესორი

2. პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი: საზოგადოების თანამედროვე კოლოსალური მიღწევების მიუხედავად ომები თავიდან ვერ აიცილა. საზოგადოებრივი ანტაგონიზმი არ ცხრება და ძალას იკრებს. დაძაბულობანი ხშირად კონფლიქტებში გადადის. ძვ. წ. 1500 წლიდან ჩვ. წ. 1900 წლამდე, მსოფლიოში 3150 წლის მანძილზე ომები მძვინვარებდა (Синькелев 2008) და მხოლოდ 250 წელი იცხოვრა მშვიდობიანად.

ომებს თან ახლავდა მატერიალურ-სოციალური გარემოს განადგურება, ეკონომიკის დაქვეითება, ცოცხალი ძალისა და მოსახლეობის განადგურება, ეპიდემია, პანდემია გეოეკოლოგიური დაძაბულობა. პირველ მსოფლიო ომმა საკმაოდ ფართო (4 მლნ კმ²) სივრცე (ცხრილი N 1) მოიცვა და 38 ქვეყნის 1,5 მლრდ კაცს (74 მლნ მებრძოლი) მონაწილეობდა. ომს 10 მლნ კაცის (დასახიჩრდა 20 მლნ) შეეწირა.

ცხრილი 1

პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედარებითი მასშტაბები (Синькелев, 2008)

მახასიათებლები	I მსოფლიო ომი	II მსოფლიო ომი
საომარი მოქმედებების თეატრები, მლნ კმ²	4	22
ომში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა	38	61
ფრონტების ჯამური სიგრძე, ათასი კმ	2,5 – 4,0	5-6 (ევროპა)
მონაწილე ქვეყნების მოსახლეობა, მლრდ კაცი	1,5-ზე მეტი	1,7-ზე მეტი
მობილიზებულთა რაოდენობა, მლნ კაცი	74	110-ზე მეტი
დაღუპულთა რაოდენობა, მლნ კაცი	10	55-ზე მეტი
დაჭრილთა რაოდენობა, მლნ კაცი	20-ზე მეტი	30-მდე
პირდაპირი სამხედრო დანახარჯები, მლრდ \$	208	1384


სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მეორე მსოფლიო ომში პლანეტის მესამედი (61 ქვეყანა) იყო (ცხრილი N 1) ჩართული, გავრცელდა 22 მლნ კმ²-ზე (4,4 %), მონაწილეობდა 2,0 მლრდ კაცი (მოსახლეობის 83 %), ხარჯებმა კი 1592 \$ მლრდ შეადგინა.

თანამედროვე ეპოქაში კულტურული ფასეულობა საზოგადოების ზრუნვის საგანი ხდება. გარემოს ანთროპოგენური გარდაქმნები კი სულ უფრო ღრმავდება. იზრდება ომებით მიყენებული ეკოლოგიური დატვირთვები, სახეზეა ეკონომიკის დაქვეითება (Alphenidze M., Alphenidze I., 2005). ლოკალურ ომებში 30-მდე ქვეყანა ჩაერთო. აშკარაა „ფარული“ ანტაგონიზმი და ახალი კონფლიქტური კერების გაჩენა. მათი უმრავლესობა გეოგრაფიული და ეკონომიკური ბუნებისაა: ტერიტორიული დაგები, ეთნოსური და კონფესიური სიჭრელე, რესურსების უკმარისობა, ბაზრების სფეროების დაუფლება. სახეზეა გარემოს „გეოეკოლოგიური ნეგატივიზმი“.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში 200 ლოკალური ომი დაფიქსირდა. მათ შორისაა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ავღანეთი, ერაყი, ყოფილი იუგოსლავიისა და სსრკ-ის (ყარაბახი, დნესტრისპირეთი, სამაჩაბლო, აფხაზეთი, ჩეჩნეთი) ქვეყნები. ამ ომებმა 20 მლნ კაცი იმსხვერპლა. რუსეთის ფედერაციის საზღვარზე 180 პოტენციური დაძაბულობის ცხელი წერტილია. კონფლიქტების ინსპირირებას (საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობა) რუსეთი არც მალავს.

ძირითადი ტექსტი: მსოფლიოში რეალურია თავდაცვაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. არსებობს ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული და ნეიტრონული იარაღის სრულყოფის საფუძვლები. ისინი ეკონომიკის შეფერხების რისკ-ფაქტორებია. გასული საუკუნეების „პრიმიტიული“ ომები „მსუბუქი“ ეკოლოგიური დატვირთვის უნდა ყოფილიყო. მათი მხოლოდ „ფრაგმენტური“ შედეგები დასტურდება. ძლიერი დაზიანება დაფიქსირდა სპარსეთ-სვითების ომში (ძვ. წ. 512) „გადამწვარი მიწების“ ტაქტიკის გამოყენებით, საკუთარი ტერიტორიის ფლორისა და ფაუნის გაჩანაგება; შავი ჭირის პანდემიის (Демография эпидемии...; Сухотницкий, 2004) მიერ ევროპის 34 მლნ კაცის (ნახ. N 2), ხოლო მანჯურიის 200 ათასი კაცის დაღუპვა; ყოფილ იუგოსლავიაში (110 ტ), ერაყსა ქვეითში (3320 ტონა) გაღარიბებული ურანის გამოყენების სახიფათო დაავადებების (სიმსივნე და სხვ) პროგნოზი.



ამასობაში, იზრდება ქვეყნების შეიარაღება და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და გაჩნდა ტერმინები: „ტერრაციდი“, „ბიოციდი“, „გეოფიზიკური“ და „მეტეოროლოგიური“ და „ეკოლოგიური ომები“. ცხადია, ბიოსფეროში ნეგატიური ზეწოლა უნდა განიცადოს, რაც სახიფათოა აწინდელი და მომავალი თაობებისათვის. ასე, XX ს-ის ბოლო 10-15 წლის მანძილზე, საომარი მოქმედებით 2 მლნ მოზარდი დაიღუპა, 1 მლნ ობლად და 5 მლნ (Серебев, 1972) ინვალიდად დარჩა.

ამდენად, სახეზეა საომარი ოპერაციების გეოსისტემებზე პირდაპირი თუ მეშვეობითი მოქმედებები. მათი პროგნოზი გარემოს ათვისების არაგონივრულ პრაქტიკას უკავშირდება: რესურსების ათვისების ზრდა და არარაციონალური ბუნებათსარგებლობის ნეგატიური სისტემის ჩამოყალიბება; საბრძოლო თეატრების „ნარჩენებითა“ და მათი „თანაპროდუქტებით“ გარემოს ეკოსისტემების ინტოქსიკაცია; ორგანიზმების სიცოცხლის საფრთხის გამოწვევა და ბიოსფეროს ფუნქციონირების დარღვევა.

საკუთრივ ომების ტოტალური გეოეკოლოგიური შედეგებს წარმოადგენენ:

- ბუნებრივი (ნავთობი, ქვანახშირი) და ბიოლოგიური რესურსების მენორმატიული ექსპლოატაცია, ქიმიური მაღალტოქსიკური პროდუქტებით გარემოს გაბინძურება;

- დანადგურ ფრაგმენტებზე სავარგულების შემცირება და საცხოვრებელი გარემოს დაზიანება; აფეთქების ძაბრებში (ვიეტნამში 26 მლნ) კარსტის განვითარება, ეროზიისა და დაჭაობების ზრდა, სავარგულების შემცირება, ავადობის გადამტანი მწერების მომრავლება;

- დეფოლიანტების (ვიეტნამში, ლაოსი, კამბოჯა - 100-ათასზე მეტი ტონა) ტყეების გაჩანაგება და მოსახლეობის (2 მლნ კაცი) დაზარალება; გრუნტის ტრანსფორმაციის (II მსოფლიო ომში - 350 მლნ მ³, ვიეტნამში - 2,0 მლრდ მ³) გამო ნიადაგების ბიოგეოქიმიური ბალანსის დარღვევა და ეკოსისტემების განადგურება;

- ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, გენური სისტემის დესტაბილიზაცია, კულტურული მცენარეებისა და პირუტყვის კვლავწარმოების ფუნქციის მოშლა, დასნებოვანება და ეთნოსების წელი გადაშენება, ეპიდემიისა და პანდემიის, რადიოაქტიური (გაღარიბებული ურანი) და რადიაციული ნარჩენების (მიკრონაწილაკები) გამოყენება და მოსახლეობის სიმსივნეთა ფართო გავრცელება;

- ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნგრევა (ნიდერლანდები, ვიეტნამი) და გეოეკოლოგიური კატასტროფების გამოწვევა; მეტეოროლოგიური იარაღით (ვერცხლის, იოდის, თუთიის ნაერთების ჰაერში შეფრქვევა) მუსონური წვიმების გახშირება, მდინარეთა ჩამონადენისა და დონეების ექსტრემალური აწევა, დატბორვა, დასახლებების განადგურება;

- კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, დაცული ტერიტორიების, ბუნების ფენომენების დაზიანება, აკვატორიათა ბიორესურსების (100 კგ ნალმის აფეთქება 6080 მ²-ზე ფაუნის დახოცვას იწვევს) განადგურება და სხვ.

გარემოს ეკოსისტემებზე საომარი მოქმედებების ნეგატიური გეოეკოლოგიური რეაქციის შესახებ არსებული ინფორმაცია მომავლის პროგნოზის საფუძველს წარმოადგენს: რომაელების მიერ (ძვ. წ. 146) კართაგენის მიწებზე მარილის მოყრით, ხოლო ქუვეითის (1991 წ) ნავთობით გაბინძურების შედეგად გარემოს ხანგრძლივი გაფარანება; ინდოჩინეთის (Серебев, 1972) ტყის მასივების (50 მლნ მ³) აღდგენის შეუძლებლობა; ქიმიური და ნა-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

პალმის ბომბების (15,5 მლნ ტ) აფეთქებებით 2,5 მლრდ მ³ ნიადაგის ხანგრძლივი დეგრადაცია; დიოქსინებიანი არბორიციდებისა (100 ათასი ტ) და „სათბურის რეაქტივის“ მიერ 3,2 მლნ ჰა სავარგულების შეუბრუნებელი გაანადგურება და მომავალი თაობების ავადობის გამოწვევა;

კვლევებმა (Cepreeb, 1972) აჩვენეს, რომ დეფოლიანტებით „დამუშავებული“ ტყეების არა თვითაღდგენა, არანედ დაბალხარისხოვანი მეორადი ჯიშები - ე.წ. „სპილოს ბალახი“ აღმოცენდა. საომარი „დეფოლიანტიზმის“ შედეგები სელექციური ხასიათის გამოდგა: მცენარეებში ტოქსიკურობის გამოვლენას მანგრული ტყეებისა და ნიადაგის მიკროფლორის მასიური სტერილიზაცია მოყვა. მანგრული ტყეები - ეკოსისტემის ტროფიული ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლის დარღვევამ სხვა წევრებიც დაზიანება და სანაპირო ეკოსისტემის დარღვევა გამოიწვია: უტყეო სანაპირო ზოლის აბრაზია და კლიფების ფორმირება; სანაპირო წყლების სარენი ფაუნის გამოღვევა; ზღვის წყლის გაბინძურება; დაავადების გადამტანი ვირთხების მომრავლება.

ამგვარად, ომებით განადგურებული ტროპიკული ფართოფოთლოვანი ტყეების რეგენერაცია, მიკროკლიმატის მკვეთრი ცვლილებების (სიმშრალის გაძლიერება) ფონზე, ფრიად გაძნელებული აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, მათ აღვიღებ სახეგა ბამბუკისა და ბუჩქნარების სწრაფი მომრავლება, რომელიც ახალი ეკოლოგიური გარემოს ხელშემწყობ ნეგატიურ პირობებს უფრო განაპირობებენ, ვიდრე ბუნებრივი კომპლექსის აღდგენას ან შენარჩუნებას.

ლოკალური დაპირისპირებებითა და ინსპირირებული კონფლიქტებით გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. გასული საუკუნის „საქართველოს ცხელი წერტილების“ გამოძახილების დროებითი დაკონსერვება 2008 წელს რუსეთის აგრესიულ ინტერვენციაში გადაიზარდა. აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებით (ალფენიძე, 2006 ა; 2006 ბ) განადგურდა 32 ხიდი, 450 კმ საავტომობილო გზა, გადაინვა 49 ათასი ინდივიდუალური და კომუნალური მენობა, სკოლა და ჯანდაცვის დაწესებულება, ფაბრიკა-ქარხნები, ტურიზმისა და დასვენების ობიექტები.

სამოქალაქო ინდუსტრიისა და ტყის ხანძრების წვის პროდუქტების (აეროზოლი) ატმოსფეროს გაბუნდოვნება და რადიაციული თვისებების შეცვლას (Израель, 1984), ნიადაგსაფარის ეროზიას იწვევს. მსგავს შემთხვევებს მთელი ცივილიზაციები (ხორეზმის, ხეთებისა და შუმერების სამეფოები) შეეწირა კიდევაც.

ცხრილი N 2

ხანძრების (ბოლი, კვარტლი, მური, ნახშირბადი) გაბინძურების გეოეკოლოგიური შედეგები

ხანძრების გავრცელების უბნები	შემოფრქვევა ჰაერში, კგ.	გაფანტვის ფართობი, კმ ² //ჰა	C ჰაერში. კგ	დალექვა კგ//კგჰა
გაგრა	8000	20,0//2000	2400	10400/1,2
გუდაუთა	4000	12,0//1200	1200	5200/4,3
სოხუმის მიმდებარე უბნები	13000	14,0//1400	3900	16900/12,1
ქ. სოხუმი	23000	12,0//1200	6900	29900/24,9
გულრიფშის მიმდებარე უბნები	8000	7,0//700	2400	10400/14,8
ოჩამჩირის მიმდებარე უბნები	20000	13,0//1300	6000	26000/20,0
გალის მუნიციპალიტეტი	24000	50,0//5000	7200	31200/6,3
ჯამი	100 ტონა	128კმ ² //12800 ჰა	30,0 ტ	223800//11,9

აღნიშნულ ატმოსფერულ გარდაქმნებს ამინდისა და, ნაწილობრივ, ჰავის ცვლილებები უნდა მოჰყვეს (Израель, 1984). ამ მხრივ, აფხაზეთის კონფლიქტური რეგიონი გამონაკლისი არ არის. ამ ასპექტებისა და ემპირიული გათვლებების (ალფენიძე, 2006 ა; 2006 ბ) გათვალისწინებით, საომარი მოქმედებების შედეგად ამინდისა და გარემოს ელემენტებზე მემოქმედების შეფასების მიზნით, მოვიტანთ ხანძრების გავრცელების არეალებში წვის პროდუქტების შემოფრქვევის, გაფანტვისა და ნიადაგ-გრუნტის ზედაპირზე გავრცელების (ცხრილი N 2) ფრაგმენტების მახასიათებლები.

მოტანილი სიდიდეთა ანალიზიდან ჩანს, რომ ხანძრის წვის პროდუქტების ჰაერში შემოფრქვევამ 100 ტონა შეადგინა და ჰაერში 128 კმ² ფართობზე გაიფანტა. დამატებით ჰაერში ხანძრის წვის პროდუქტების 32-35% ანუ 30 ტონა ნახშირბადის შემოფრქვევა უნდა გვევარაუდა. ამასთან, ატმოსფეროში ხანძრის წვის პროდუქტები ხანგრძლივად ვერ ჩერდება. ისინი ატმოსფერული ორთქლის კონდენსაციის ბირთვებს ქმნიან და ნალექებიც სწრაფად აბრუნებენ ნიადაგისა და წყალსატევების ზედაპირებზე.

ამგვარად, აფხაზეთის საომარ უბნებში ნიადაგზე დაღეჭილი აეროზოლის (ბოლი, ჭვარტლი, მური, ელემენტარული ნახშირბადი) ჯამურ სიდიდეს 130 ტონა უნდა შეედგინა. ამ ნივთიერებათა გაფანტვის (ალფენიძე, 2006 ა; 2006 ბ) ანუ პირველადი გაბინძურების ხვედრითი წილი 12,5 კგ/ჰა ანუ 1,25 გრ/მ²-ს უტოლდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ დედამიწის ატმოსფეროში ანთროპოგენური გზით შემოსული ნახშირბადი (1,5-2,0 მლრდ ტ/წწ) „სათბურის ეფექტის“ წარმოშობის მისაღწევად სრულებით საკმარისია. მითითებული მაჩვენებელი პლანეტარული „ნორმის“ დამატებითი 30 %-იან „ულუფას“ ქმნის, რაც სათბურის ეფექტის დროებითი „რაციონის“ ფორმირებას განაპირობებს.

როგორც ჩანს, ხანძრის პროდუქტები უმთავრესად საომარი მოქმედების უბნებისა და მის მიმდებარე ფრაგმენტებზე გავრცელებული. მათი მიგრაციული უნარი და რეგიონში გადაადგილების ბუნებრივი იმპულსების (მდინარეები, მიწისქვეშა წყლები, ქარი) სიუხვე, აგრეთვე ნართების ქიმიური გარდაქმნები ხელს უწყობენ ბუნების მუდმივ წრებრუნვებში მოხვედრილი ინგრედიენტების ხანგრძლივ მიგრირებას, რომელთა გადაადგილება თავდაპირველადი გავრცელების უბნებიდან იმპულსების მოძრაობის მიმართულებებს ემთხვევა და საკმაოდ რთულ მოზაიკას იძლევა, თუმცა. საბოლოო ჯამში, ეროზიის ბაზისის (ზღვის სანაპირო ხაზისაკენ) ანუ სამხრეთ-დასავლური მიმართულება გააჩნიათ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხანძრის წვის პროდუქტები ძირითადად, შავი ზღვის სანაპიროს 45-50 კმ-იანი პერიმეტრის 4-დან 10-მდე კმ-ის ფრამენტები უნდა მოეცვათ. ცანს, რომ ეს სიდიდე 350-400 კმ²-ის ფარგლებში მერყეობს.

ამგვარად კვლევებითა და ემპირიული გამოთვლებით გამოირკვა, რომ გასული საუკუნის ორი გრანდიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირებების პარალელურად, მიმდინარე ადგილობრივი (ლოკალური) საბრძოლო დაპირისპირებებს ჰქონდათ რა გარემოზე აშკარად შთამბეჭდავი დატვირთვები და გეოეკოლოგიური წნეხები, ამავე დროს ინვესტირებდნენ ხანგრძლივ ნეგატიურ (ტყეების განადგურება, მიწების დეგრადაცია, საქონლის დაცემა, კულტურული მცენარეების მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება) შედეგებს. ამავე დროს, ფიქსირდება მცენარეთა თვითაღდგენის აშკარა შენელებისა და, განსაკუთრებით კი, პირველადი ტყეების აღდგენის არა თუ შემცირების, არამედ მეთორავი ქვეტყის ფორმირების საკმაოდ სახიფათო ტენდენცია.

დადასტურდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის შეიარაღებული დაპირისპირების არეალებში მატერიალური და კულტურული მონაპოვრების ნგრევასა და ცოცხალი ძალის განადგურებასთან ერთად ლოკალური და ძლიერი ხანძრების გამო, საბრძოლო მოქმედების არეალებსა და მიმდებარე გარემოში, გამოვლინდა წვის პროდუქტების შთამბეჭდავი სიდიდეების შემოფრქვევა, ბუნებრივი გარემოს (უმთავრესად, ამინდის) ელემენტების ცვლილება და მისი საშიში გეოეკოლოგიური გამოძახილი.

გამოვლინდა, რომ ეთნიკურად არასტაბილურ და პოლიტიკურად აგრესიულ გეოსივრცეში მდებარეობის გამო, მსგავსი აგრესიისაგან საქართველო არც მომავალში იქნება დაცული. ამიტომ, ამაყად მეცნიერთა წინაშე რიგი ამოცანების შესწავლის აუცილებლობა დგას. მათ შორის ძირითადია: რეგიონების კონფლიქტების გავლენა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე; საომარი თეატრების საბრძოლო გარემოს მდგომარეობის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, დიაგნოზი და პროგნოზი, ოპტიმიზაციის (აღდგენა, გაჯანსაღება, გაუმჯობესება, დაცვა) პროექტების შემუშავება და რეალიზაცია.

ABSTRACT ARMED CONFLICTS AND ENVIRONMENT

MELOR ALPHENIDZE, ZAUR LOMTATIDZE

1. Professor

2. Professor

Sokhumi State University

The social and especially negative geo-ecological results of the military operations of public confrontation military theaters; and according to the analysis of their space-time dynamics (100 years period) the environmental prognosis.

Were proved: the results of material and natural components' destruction and degradation of confronted regions of Abkhazian conflict.

Were revealed: the polluted areas, formed as a result of atmospheric eruption and ground dissemination of buildings' and forests' burning products (aerosol, carbon).

Keywords: Conflict; Environment; Antagonism; Defoliants; Epidemic

ლიტერატურა

ალფენიძე მ. შეიარაღებული დაპირისპირებები და გარემოს საკითხები. IV რესპ. კონფ. მასალები. თბ., 2006 ა. ალფენიძე მ. საზოგადოებრივი ანტაგონიზმი: შეიარაღებული დაპირისპირებები, მათი ეკოლოგიური შედეგები და რეგიონების მდგრადი განვითარება. თსუ სოხუმის ფილიალი 2006 ბ. - 187 გ.

Alphenidze M., Alphenidze I. M. Impact of Conflicts on Socio-Economic Development: Some Evidence from CIS countries. Caucasian geographical Review. Geog.Societ of Georgia. #5, 2005. pp 76-80.

Демография эпидемии. <https://ru.wikipedia.org/wiki/Чёрнаясмерть>

Супотницкий М. В. «Черная смерть». К загадкам пандемии чумы 1346—1351 гг. // Универсум. 2004, № 3. <http://www.supotnitskiy.ru/stat/stat9.htm>

Израэль Ю.А. Экология и контроль состояния природной среды. М.: Гидрометеиздат, 1984. - 560 с.

Сергеев С.И. Экоцид в Индокитае. 1972. <http://sssr-rutacker.org/forum/viewtopic.php?t=5140555>

Синькелев А. История мировых войн. 2008 <http://goup32441.narod.ru/files/ogp/001opornkonspekt/2008/2008-04-1.html>

ОБЕСПЕЧЕНИЕ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ КАК ПРИОРИТЕТНОЕ НАПРАВЛЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ

ЛЮДМИЛА БОТАШЕВА¹, АННА ХАРЕБАВА²

1. к.э.н., доцент, ведущий научный сотрудник

2. к.э.н., старший научный сотрудник

ФГБНУ ВНИИЭСХ, Россия

(Эл. Почта: kharebaanna@gmail.com)

Импортозамещение в сельском хозяйстве - это сложный вопрос, который необходимо решать систематически. В этих условиях обеспечение продовольственной независимости государства достигается главным образом за счет устойчивого внутреннего производства. В настоящее время каждое положение устанавливает свои собственные критерии или пороги для уровней продовольственной самодостаточности для определенных типов еды.

Продовольственная безопасность представляет собой состояние экономики, обеспечивающее продовольственную независимость государства, гарантируется физическая и экономическая доступность для каждого гражданина страны пищевых продуктов, отвечающих требованиям безопасности и качества в объемах, необходимых для активного и здорового образа жизни как следует из Доктрины продовольственной безопасности Российской Федерации до 2020 года.

Критерием оценки состояния продовольственной безопасности является удельный вес отечественной сельскохозяйственной, рыбной продукции и продовольствия в общем объеме товарных ресурсов (с учетом переходящих запасов) внутреннего рынка соответствующих продуктов, имеющий пороговые значения в отношении:

зерна – не менее 95 %;

сахара – не менее 80 %;

растительного масла – не менее 80 %;

мяса и мясопродуктов (в пересчете на мясо) – не менее 85 %;

молока и молокопродуктов (в пересчете на молоко) – не менее 90 %;

рыбной продукции – не менее 80 %;

картофеля – не менее 95 %;

соли пищевой – не менее 85 %.

Наиболее значимые риски, ослабляющие продовольственную безопасность страны относятся к следующим категориям:

макроэкономические риски, т.е. риски, связанные со снижением инвестиционной привлекательности отечественной реальной экономики и конкурентоспособности отечественной продукции, а также зависимости основных секторов экономики от внешних экономических условий;

требования в отношении безопасности пищевых продуктов и организации принудительного исполнения;

агроэкологические риски, вызванные неблагоприятными климатическими изменениями и последствиями чрезвычайных ситуаций природного и техногенного характера;

риски внешней торговли, вызванные колебаниями рынка и мерами государственной поддержки в зарубежных странах.

Наличие этих рисков создает угрозы для продовольственной безопасности и может привести к несоблюдению пороговых значений продовольственного суверенитета.

Доктрина предусматривает реализацию мер государственного регулирования для преодоления:

низкого платежеспособного спроса на продовольствие;

ценовых диспропорций на рынках сельскохозяйственной продукции и материально-технических ресурсов для ее производства;

низкого уровня инновационной и инвестиционной активности;

искусственных конкурентных преимуществ иностранной продукции, сформированных за счет различных мер государственной поддержки производства продуктов питания в зарубежных странах.

Анализ функционирования сельского хозяйства подтверждает растущее влияние этих угроз на состояние и динамику развития отрасли. С точки зрения экономических рисков наиболее значимым является привлечение инвестиций в развитие сельского хозяйства.

Обеспечение безопасности пищевых продуктов в России является одним из ключевых направлений государственной экономической политики и аграрной политики, реализуемой в рамках Государственной программы развития сельского хозяйства.

В результате в России наблюдался относительно высокий темп роста производства основных видов сельскохозяйственной продукции. Средний ежегодный валовой сбор зерновых культур за последние пять лет за предыдущие пять лет вырос почти на 10%, сахарной свеклы на 50%, масличных культур на 57% (таблица 1).

Таблица 1. Производство основных видов продукции растениеводства в 2011-2015 гг., млн тонн

Продукция	2006-2010 гг., в среднем за год	2011-2015 гг., в среднем за год	2011-2015 гг. к 2006-2010 гг., %
Зерновые и зернобобовые культуры	85,2	93,5	109,8
Сахарная свекла	27,1	40,9	150,8
Масличные культуры	8,0	12,5	157,1
Картофель	27,3	31,5	115,4
Овощи открытого и защищённого грунта	12,3	15,1	123,2

Источник: Расчет по данным Росстата

Производство скота и птицы на убой в живом весе в 2015 г. к 2010 г. возросло более чем на четверть и составило 13,5 млн. т. В сельскохозяйственных организациях производство скота и птицы на убой увеличилось на 55,5%, в крестьянских (фермерских) хозяйствах – на 33,8% (таблица 2).

Таблица 2. Производство основных видов продукции животноводства в 2012 г., млн тонн

Продукция	2015 г.	2015 г. к 2010 г., %
Скот и птица на убой (в живом весе)	13,5	126,1
крупный рогатый скот	2,9	93,3
свиньи	4	127,6
овцы и козы	0,46	109,5
Птица	6,0	153,4
Молоко	30,8	96,9
Яйца - млн. штук	42,5	104,7

Источник: Росстат

Основной прирост производства скота и птицы на убой обеспечен за счет увеличения объемов производства мяса птицы и свиней. Производство мяса птицы за пять лет увеличилось на 53% и составило в 2015 г. 6,0 млн т. В 2015 году производство мяса свиней составило 4 млн т, что почти на 30% больше уровня 2010 года, причем основной прирост произошел в сельскохозяйственных организациях – на 89,3%.

Импортозамещение следует рассматривать не только с экономических позиций, но и применительно к социальной политике государства, особенно в части развития сельских территорий.

Для этого необходимо решить по крайней мере три задачи: повышение уровня оплаты труда (прежде всего на основе повышения производительности труда), как это предусмотрено Стратегией устойчивого развития сельских территорий на период до 2030 года, не менее чем до 80% от уровня оплаты труда в среднем по экономике страны; формирование квалифицированных трудовых ресурсов, занятых в сельскохозяйственном производстве и обеспечение занятости в целом сельского населения.

Несмотря на положительную динамику развития сельского хозяйства в России, целевые значения продовольственной независимости достигнуты не по всем видам продукции. Если по зерну, сахару, растительному маслу, картофелю, а также мясу пороговые значения самообеспечения уже достигнуты, то доля отечественного производства в формировании ресурсов молока и молокопродуктов составила в 2015 г. – 81,2%.

ԵՆՅ IV ԵՆՉՐՈՅՄՐՈՒՆՄ ԵՆՁՅՆՈՂՐՄ ՎՄԵՋՅՐՉԵՑՈՆ

В результате оказываемых мер сельское хозяйство демонстрирует рост и довольно значимые результаты. Так, в 2015 г. продукция сельского хозяйства выросла на 3%, в том числе растениеводства увеличилась на 2,9%, а животноводства – на 3,1%.

В 2015 г. в условиях роста отечественного сельскохозяйственного производства на фоне значительного сокращения импорта сельскохозяйственного сырья и продовольствия (до 26,5 млрд долл. США, или на 33,7% меньше по сравнению с 2014 г.) удалось обеспечить достижение пороговых значений Доктрины продовольственной безопасности Российской Федерации по зерну, сахару, растительному маслу и картофелю. По предварительной оценке впервые было достигнуто пороговое значение Доктрины по удельному весу отечественного мяса и мясопродуктов в ресурсах внутреннего рынка, заметно вырос показатель по молоку и молокопродуктам.

Таким образом, обеспечение продовольственной безопасности в России является одной из ключевых сфер государственной экономической политики и аграрной политики.

Необходимо также отметить, что в условиях падения в 2016 г. реальных располагаемых денежных доходов населения на 4% спрос на пищевые продукты, включая напитки, и табачные изделия сократился на 9,2%. В результате, по предварительным данным Росстата, происходит снижение потребления мяса и мясопродуктов, молока и молокопродуктов.

Таким образом, обеспечение повышения удельного веса отечественной продукции в ресурсах внутреннего рынка должно сопровождаться контролем за физической и экономической доступностью продовольствия населению, повышением его потребления до рекомендуемых рациональных норм в соответствии с Доктриной продовольственной безопасности. Кроме того, снижение платежеспособного спроса населения может стать сдерживающим фактором для развития отечественного сельского хозяйства.

В этой связи целесообразно внедрение механизмов адресной поддержки отдельных категорий граждан, оказания внутренней продовольственной помощи и организация социального питания. Одновременно это должно стать одним из способов улучшения доступа отечественных производителей, в том числе малого бизнеса, к отечественному потребителю.

При этом следует отметить, что даже с учетом импорта по отдельным видам продовольствия в России еще не достигнут уровень потребления на душу населения, соответствующий рекомендуемой норме, обеспечивающей активный и здоровый образ жизни (таблица 3).

Таблица 3. Потребление пищевых продуктов на душу населения

	Потребление в 2015 году, кг	Рекомендуемые объемы потребления, кг	Потребление в % к рекомендуемым нормам
Хлебные продукты	119	95-105	113,3
Сахар	40	24-28	142,9
Масло растительное	14	10-12	116,7
Мясо и мясопродукты	73	70-75	97,3
Молоко и молокопродукты	235	320-340	69,1
Рыба и рыбопродукты	15	18-22	68,2
Картофель	114	95-100	114,0
Овощи и бахчевые	112	120-140	80,0

Источник: Росстат, Министерство здравоохранения России.

Потребление продовольствия достаточно сильно дифференцировано по группам населения в зависимости от доходов. В связи с этим, государство разрабатывает механизмы адресной поддержки отдельных категорий граждан, оказания внутренней продовольственной помощи и организации социального питания.

Таким образом, если подходить к оценке емкости внутреннего агропродовольственного рынка с точки зрения достижения рекомендуемых норм потребления, то его потенциал далеко не исчерпан. Совершенно очевидно, что

приближение потребления населения Российской Федерации к рекомендуемым нормам потребует дальнейшего наращивания производства некоторых видов пищевых продуктов или увеличение их импорта.

В то же время, несмотря на усилия Министерства сельского хозяйства по продвижению инвестиций (изменил порядок расчета вознаграждения производителей по выплате процентов по кредитам коммерческих банков, ввел механизм возмещения прямых расходов, понесенных за создание и Модернизация сельского хозяйства, пренебрежение финансированием проектов в сельскохозяйственном секторе), их инвестиции в основной капитал сельского хозяйства сокращаются. Таким образом, со времени реализации первой государственной Программы развития сельского хозяйства, по данным Росстата, за 3 года они выросли, а за 5 лет уменьшились, и в результате реальный объем инвестиций сегодня ниже, чем в 2007 году на 18%. Только в 2015-2016 годах снижение инвестиций составило 15%.

В 2016 году в связи с ситуацией на финансовых рынках и негативными изменениями в российском банковском секторе проблема обеспечения доступности кредитов привела к значительному ухудшению условий кредитования банков, что привело к сокращению объемов инвестиционного кредитования в производстве сельскохозяйственных культур на 19%, а в животноводстве - на 11%.

Что касается технического оснащения сельского хозяйства, следует отметить, что в 2016 году закупка тракторов и комбайнов сельскохозяйственных производителей снизилась по сравнению с 2015 годом на 17%. Доля импортного оборудования в общем объеме сельскохозяйственной техники в 2016 году составила 69,4%, зерноуборочных комбайнов и 20,7% - фуражных комбайнов - 22,0%, машин и оборудования для животноводства - 90%. Невозможно полностью обеспечить безопасность пищевых продуктов с точки зрения технического и технологического потенциала.

В качестве реальных инструментов государственного регулирования агропродовольственного рынка можно использовать: тарифное и нетарифное регулирование импорта сельскохозяйственной продукции, сырья и продовольствия, материально-технических ресурсов; антимонопольные меры, технические регламенты, сертификацию и лицензирование; закупочные и товарные интервенции, изменив порядок и механизм их проведения, а также залоговые операции, закупку продукции для государственных нужд; поддержку кредитов и лизинга для формирования недостающих элементов инфраструктуры агропродовольственного рынка. Необходимо обратить внимание на увеличение объемов дотаций, улучшение инвестиционного климата, снижение процентных ставок по предоставляемым кредитам с целью повышения конкурентоспособности отечественного производства продовольственных товаров и сырья, кроме того, необходимо создание государством равных условий для производителей и продавцов продовольствия в целях совершенствования конкуренции. Также весьма актуальным является внедрение инновационных и корректировка существующих технологий производства, переработки и хранения сельскохозяйственной продукции, что позволит достичь существенного снижения удельного веса импорта сельскохозяйственной продукции и сырья, и обеспечить достижение продовольственной безопасности и независимости страны.

ABSTRACT ENSURING FOOD SECURITY AS A PRIORITY OF STATE ECONOMIC POLICY

LUDMILA BOTASHEVA¹, ANNA KHAREBAVA²

1. Candidate of Economic Sciences, Docent, Leading Researcher

2. Candidate of Economic Sciences, Docent, Senior Researcher

FGBNU VNIIESH, Russia

(E-mail: kharebaanna@gmail.com)

The article reveals the essence, indicators and risks of food security, analyzed some trends in the development of agriculture.

Keywords: State Support; Agriculture; Food Security; Risk; Import Substitution

Библиография

1. «Об утверждении Доктрины продовольственной безопасности Российской Федерации». Указ Президента Российской Федерации от 30 января 2010 г. № 120

2. Чекалин В.С. Развитие агропромышленного комплекса в контексте импортозамещения / В сборнике: Агропродовольственный сектор России в условиях санкций: проблемы и возможности // Ушачев И.Г., Бабкин К.А., Тарасов В.И. // Материалы Московского экономического форума 25-26 марта 2015 г. Москва, 2015. С. 263-268.

2. Ушачев И.Г., Серков А.Ф., Маслова В.В., Чекалин В.С. Росту и развитию агропромышленного производства необходим комплексный подход // АПК: Экономика, управление. 2016. №4. С. 1-15.

5. Импортозамещение в АПК России: проблемы и перспективы / Ушачев И.Г., Алтухов А.И., Беспяхотный Г.В., Бондаренко Л.В., Козлов А.В., Яковлева О.А., Ключач В.А., Аварский Н.Д., Осипов А.Н., Серегин С.Н., Кузнецов В.В.,

Лысенко Е.Г., Богдановский В.А., Милосердов В.В., Савченко Е.С., Серков А.Ф., Маслова В.В., Чекалин В.С., Калашников В.В., Косолапов В.М. и др., 2015.

6. Теоретико-методологические аспекты формирования института сельскохозяйственного консультирования / Санду И.С., Демишкевич Г.М., Прокопьев Г.С., Большакова В.В., Бондаренко Т.Г., Боташева Л.Х., Рыженкова Н.Е., Харебава А.Р., Чепик Д.А., Тарасова Л.П., Мурая Л.И., и др. – М.: Угрешская типография, 2012. – 131 с.

7. Ушачев И.Г., Серков А.Ф. Состояние и проблемы обеспечения продовольственной безопасности страны // ВНИИ Экономики сельского хозяйства [Электронный ресурс]. - Режим доступа: <http://www.vniiesh.ru/publications/StatZ4949.html>

**საქართველოს ეკონომიკის ხანგრძლივი
სტაბილური მდგომარეობა და
მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები**

ვლადიმერ ბასარია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ. ფოსტა: vbasaria@yahoo.com)

თეორიაში, როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სამ ძირითად მაჩვენებელს ასახელებენ: ეკონომიკური ზრდა, ფასების სტაბილურობა (ინფლაცია) და სამუშაო ძალის დასაქმებულობა. ამ მაჩვენებლებს შორის ძირითადი მაინც წარმოების ზრდაა - ის პრაქტიკულად ყოველთვის და ყველგან საზოგადოების, ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპები პოსტსაბჭოური დამოუკიდებელი საქართველოსათვის გამორჩეულად მტკივნეული და მეტად აქტუალური პრობლემაა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მეურნეობრიობის მკვეთრი ვარდნის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა: 2016 წლის მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობამ 1990 წლის შესაბამისი მოცულობის მხოლოდ 92% შეადგინა.

აღრინდელ პუბლიკაციებში საშუალება გვქონდა გადმოგვეცა მოსაზრებები ასეთი მდგომარეობის ზოგიერთ მიზეზზე¹, შევეხეთ ადამიანების განწყობა - მენტალიტეტს, ვიმსჯელებთ ცოდნა - განათლების მიღებისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე, ამჯერად კი შევეცდებით გადმოგვეთ ეკონომიკის ამგვარი მდგომარეობის განზოგადებული შეფასება.

ეკონომიკის ზრდის პრობლემებსა თუ მათი გადაჭრის გზებზე საუბრის დაწყებამდე, მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სწორად გავერკვეთ იმაში, თუ განვითარების რა სტადიაზე, რომელ ფაზაში იმყოფება დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა - მხოლოდ დიაგნოზის სწორად დასმა და მის მიზეზებში საფუძვლიანად გარკვევა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სწორად დაიგეგმოს და რეგულატურად გატარდეს საჭირო ღონისძიებები.

სამწუხაროდ, პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით ხშირად იყოფა: ნაწილს მიაჩნია, რომ ჩვენთან კრიზისია, რეცესიაა, ზოგიერთს კი, პირიქით, ჰგონია, რომ ეკონომიკა აღმავლობას განიცდის; არიან ისეთებიც, რომლებიც ფატალურად აფასებენ ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობას და ფიქრობენ, რომ ის ფსკერზეა; ერთადერთი, რაზეც არავინ დაობს (და ეს არცაა საკამათო), არის ის, რომ ქართული ეკონომიკა მისი შესაძლებლობების მწვერვალზე (პიკზე) ნამდვილად არ იმყოფება.

მართალია, ეკონომიკური თეორია, თავისი კლასიკური გაგებით, ეკონომიკის მდგომარეობის ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ფაზას იცნობს მხოლოდ (რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყანა, მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ეკონომიკური სისტემის თუ მოდელისა, დროის გარკვეულ პერიოდში ეკონომიკური ციკლის რომელიმე მემოხსენებულ ფაზაში უნდა იმყოფებოდეს უცილობლივ), დღევანდელი ქართული ეკონომიკის მდგომარეობას, ჩვენ, რაც უნდა პარადოქსულად არ ჟღერდეს ეს, ვერც ერთ მათგანს ვერ მივაკუთნებთ.

საქმეც სწორედ ისაა, რომ ქართული ეკონომიკა ერთგვარად პარადოქსულ, არაბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება.

შევეცდებით ავხსნათ, რატომ მიგვანია ასე.

განვიხილოთ ეკონომიკური აქტივობის ოთხივე ფაზა და შევეცადოთ, მივუსადაგოთ რომელიმე მათგანს ქართული ეკონომიკის რეალობა.

დავიწყოთ ეკონომიკური ფსკერის ფაზის განხილვით, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების მინიმალური (ნულთან მიახლოებული) და უმუშევრობის უმაღლესი (ტოტალური) დონე - საბედნიეროდ, ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობას ამ ფაზას ვერ მივაკუთვნებთ, რადგან, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ჩვენთან უმუშევრობა 12%-ის ფარგლებშია, რაც უმაღლესი მაჩვენებელი ნამდვილად არაა.

1. **გ. ბასარია.** „ცოდნა და ეკონომიკა“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. ტ. IX, N3. თბილისი, 2016; გვ.30.

გ. ბასარია, რ. ბასარია. „საზოგადოებრივი მენტალიტეტი და ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციების მასალების კრებული. თბილისი, 2014, გვ.16.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ნამდვილად არ იმყოფება ჩვენი ეკონომიკა განვითარების ზენიტში (ამ ფაზას წარმოების უმაღლესი მაჩვენებლები და თითქმის სრული დასაქმება ახასიათებს).

რაც შეეხება ეკონომიკის ვარდნის ფაზას. პოლიტიკოსების და ეკონომისტების დიდ უმრავლესობას მიაჩნია (ზოგი ამაში დარწმუნებულია, ზოგიც, ჩვენი დაკვირვებით, გარკვეული კონიუნქტურის გამო მიიჩნევს ასე), რომ ქართული ეკონომიკა კრიზისშია, პერმანენტულ რეცესიას განიცდის. სინამდვილეში საქმე ასე არაა.

ეკონომიკის ვარდნა გულისხმობს წარმოების დაცემას და, იმავედროულად, უმუშევრობის ზრდას; ჩვენთან კი, ბოლო 4 - წლიან პერიოდს (2013 - 2016 წლები) თუ გადავხედავთ (რაც საკმარისი პერიოდია იმისათვის, რომ გარკვეულ ეკონომიკურ ციკლზე ვისაუბროთ), თითოეულ წელს წარმოებული მთლიანი პროდუქციის (საქონელ-მომსახურების) ღირებულება ყოველთვის აღემატებოდა წინა წლის მშპ-ს; თანაც დასაქმების თვალსაზრისითაც მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა ამავე წლებში (2013 - 85,4%; 2014 - 87,6%; 2015 - 88%; 2016 - 88,2%).

მაშასადამე, გამოდის, რომ აღნიშნულ პერიოდში, ანუ საშუალოვადიან ციკლში, ჩვენთან წარმოებაც მზარდი იყო და დასაქმებაც - ეს კი რადიკალურად ეწინააღმდეგება ეკონომიკის ვარდნის ფაზისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; იქ პირიქითაა, წარმოებაც და დასაქმებაც კლებადი ხასიათის უნდა იყოს.

ეკონომიკური აღმავლობის ფაზა წარმოებისა და დასაქმების ზრდის ტენდენციებს გულისხმობს. წესით, ქართული ეკონომიკა ამ სტადიაში უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ ეს ასე არაა: საქმე ისაა, რომ 2013 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ტემპების დაცემა შეინიშნება (2013-2014 წლების საშუალო 4%-იანი ზრდის მაჩვენებლიდან 2016-ის 2,7%-მდე). მართალია, ეს მონაცემები არ ნიშნავს, რომ ეკონომიკა ვარდება, არა, ის იზრდება, მაგრამ იზრდება საკმაოდ უმნიშვნელო ოდენობით (ზოგადად მშპ-ის 5%-მდე ზრდა არ განიხილება არსებით ეკონომიკურ ზრდად და, როგორც წესი, მიიჩნევა უმნიშვნელოდ. ეს მით უფრო მართლზომიერია ჩვენი წარმოების საერთო დაბალი დონის პირობებში) - ეკონომიკაში კი ნულოვან ზრდას ან უმნიშვნელო ზრდას სტაგნაცია ჰქვია: ეს ერთგვარი გზაგასაყარია ვარდნისა და აღმავლობის ფაზებს შორის ან, პირიქით, აღმავლობასა და ვარდნას შორის.

რა ხდება ამ თვალსაზრისით ჩვენთან? საქართველოში 2013-2016 წლებში, წარმოების დაბალაქტივობასთან ერთად, ფიქსირდება ინფლაციის ზრდის ტემპები (2013 წლის -0,5%-დან 2014-2016 წლების საშუალო 3%-იან მაჩვენებლამდე).

მაშასადამე, აქაც შეუსაბამობაა: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს სტაგნაციური სიტუაციისათვის დამახასიათებელ წარმოების უმნიშვნელო ზრდასთან (წარმოების დაბალ აქტივობასთან), ხოლო, მეორე მხრივ, მზარდი ინფლაციასთან, რომელიც სტაგნაციისათვის აბსოლუტურად უცხოა.

ეკონომისტები ამგვარ პარადოქსულ ვითარებასაც იცნობენ (თუმცა მათთვის ეს მხოლოდ 1970 წლიდან გახდა ცნობილი) და მას სტაგფლაცია ეწოდება. მაკმილანის ეკონომიკური თეორიის ცნობილ ლექსიკონში სტაგფლაცია განმარტებულია, როგორც „უმუშევრობის შემცირების და ეკონომიკის ზრდის პერიოდი, რომელსაც თან ახლავს ინფლაციის დაჩქარება“².

სტაგფლაციური მდგომარეობა კი ქვეყნის ეკონომიკისათვის მეტად საყურადღებო და სახიფათოა და, აი, რა თვალსაზრისით: წარმოების დაბალი აქტივობის დროს, რომელსაც პროდუქციაზე ერთობლივი მოთხოვნის კლება იწვევს, მეწარმე ცდილობს დაწიოს ფასები იმისათვის, რომ, მართალია, უკვე შედარებით ნაკლები სარგებლიანობით, მაგრამ მაინც გაყიდოს საქონელი და როგორმე შეინარჩუნოს ბიზნესი. მაგრამ ხშირად ეს შეუძლებელია.

საკითხავია, რატომ?

საქმე ისაა, რომ სტაგფლაციას, როგორც წესი, იწვევს 2 ძირითადი ფაქტორი - ესაა მონოპოლიური ტენდენციები და ხელისუფლების არარაციონალური, ინფლაციური რეგულაციები:

- მონოპოლიები ხელოვნურად ინარჩუნებენ მაღალ ფასებს საკუთარ საქონელ-მომსახურებაზე, მათ შორის იმ პროდუქციაზე, მასალასა თუ ნედლეულზე, რომელსაც არამონოპოლისტი მეწარმე საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად იყენებს; ამით კი ფაქტობრივად იზღუდება მეწარმის შესაძლებლობები - საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად შეამციროს (დაარეგულიროს) ნაწარმზე ფასი;
- ხელისუფლება კი არაუკუგებიანი ან არამწარმოებლური დანახარჯების გაზრდით აუფასურებს ფულს, რის შედეგადაც კლებულობს მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა და ეცემა წარმოების აქტივობა.

ერთი სიტყვით, სტაგფლაციური სიტუაცია ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ზემოხსენებული ფაქტორები (მონოპოლიები და ხელისუფლების გადამეტებული ინფლაციური ხარჯები) განსაკუთრებით უხეშად ერევა ბაზრის თვითრეგულირების პროცესში და ხელს უშლის მის ნორმალურად ფუნქციონირებას. ამას კი, საბოლოო ჯამში, კერძო ინიციატივის და რეალური სექტორის განვითარების შემლუღელობის გაღრმავება, წარმოების დაცემა და მთლიანობაში ეკონომიკის ვარდნა, უმუშევრობის ზრდა და სიღარიბის გაღრმავება, დაბოლოს, სოციალური რყევები მოჰყვება უცილობლივ. სხვა ეკონომიკური ფაზებისაგან განსხვავებით, რომელთა წარმოშობის მიზეზების დაკავშირება თითქმის ყოველთვისაა შესაძლებელი ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირების პროცესებთან, სტაგფლაციას ეკონომიკაში მეტად უხეში ხელოვნური ჩარევა თუ იწვევს მხოლოდ.

მაშასადამე, ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა თავად მიგვანიშნებს მის გამომწვევ უმთავრეს მიზეზებზე და მოითხოვს მათი ზემოქმედების განეიტრალებას (შემსუბუქებას მაინც). ამის მისაღწევად კი, ბევრ სხვა ღონისძიებასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია მონოპოლიებთან და საერთო-სახელმწიფოებრივი სახსრების არამიზნობრივად, არაუკუგებიანად, არაეფექტიანად ხარჯვასთან უკომპრომისო ბრძოლის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვრა.

ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაზე ცოტა დანერგვით შევჩერდები.

ცნობილია, რომ მონოპოლია საბაზრო ეკონომიკის თანმდევი, მთლიანობაში ნეგატიური მოვლენაა - ის ასუს-

2. Словарь современной экономической теории Макмиллана. – М.: ИНФРА – М, 1997, гл. 469.

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ტებს შრომისა და მენარმეობრივ მოტივაციას, სკობს კონკურენციას, ამუხრუჭებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ეკონომიკის განვითარებას მთლიანობაში, პრაქტიკულად დაუცველს ხდის მომხმარებელს. სწორედ ამიტომ ებრძვიან მონოპოლიას ყველგან მსოფლიოში, და ამ ფუნქციას ძირითადად სახელმწიფო ასრულებს.

რამდენად კონკურენციულია საქართველოს ეკონომიკური ბაზარი და როგორ ართმევს თავს ანტიმონოპოლიურ საქმიანობას სახელმწიფო?

დავიწყოთ იმით, რომ 2005-2013 წლებში საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური უბრალოდ არ არსებობდა - ის „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა (ცნობისათვის აქვე დავამატებთ, რომ ევროპის კონტინენტზე ანტიმონოპოლიური სამსახურები არ არის მხოლოდ ანდორასა და ფარერის კუნძულებზე).

მართალია, ახალმა მთავრობამ 2014 წლის აპრილში კი შექმნა კონკურენციის სააგენტო, მაგრამ 2014 წელს ამ უწყების მიერ გაწეული საქმიანობა, ასე ვთქვათ, „ჩაეცა“ წლიური ანგარიშის მხოლოდ 6 გვერდზე, მომდევნო პერიოდში კი სააგენტო შემოიფარგლა კონკურენციის დარღვევის ფაქტზე მიღებული ერთადერთი გადაწყვეტილებით (სანქცია დაუნესდა ნავთობპროდუქტების ერთ-ერთ იმპორტიორს) და ათიოდე ჩატარებული მოკვლევით.

ნიშნავს კი ეს, რომ კონკურენციის თავისუფლების თვალსაზრისით საქართველოში ყველაფერი წესრიგშია? არა, სამწუხაროდ. აი, რას გვეუბნება ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური სტატისტიკა:

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის (2014–2015 წლებში გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის) თანახმად:

- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით, საქართველო 144 ქვეყანას შორის 127–ე პოზიციაზეა (ჩვენზე მაღალი რეიტინგი აქვს სომხეთს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებს);
- ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის დონის მიხედვით 144 ქვეყანას შორის 105–ე ადგილზე ვიმყოფებით და ა.შ.

ეს მონაცემები კი იმაზე მიუთითებს, რომ სამამულო ბაზარი მეტად სუსტი კონკურენციულობით გამოირჩევა, ანტიმონოპოლიური ღონისძიებები ქვეყანაში კი არააეფექტიანია.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ფირმა მონოპოლიურ, დომინანტურ მდგომარეობაში იმყოფება, თუკი მას ბაზრის საკმაოდ მაღალი წილი (პროდუქციის საერთო მიწოდებაში სოლიდური საკუთარი წილი) უკავია, მაგალითისათვის:

- გერმანიაში ასეთ კომპანიად მიიჩნევა 33% ბაზრის წილის მქონე ერთი საწარმო; ასევე ორი ან სამი კომპანია, რომელიც ერთობლივად ბაზრის 50%-ს ფლობს, ან არანაკლებ ხუთი კომპანიისა, თუ კი ისინი ჯამურად ბაზრის 2/3-ს ფლობენ;
- ბრიტანეთში დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტად მიიჩნევა ბაზრის 25% და მეტი წილის მქონე კომპანია და ა.შ.

ცხადია, თავისთავად მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპანიამ (ან კომპანიებმა) მიწოდებული საქონელ-მომსახურების მოცულობის თვალსაზრისით გადააბიჯა (გადააბიჯეს) კანონმდებლობით დაშვებულ ზღვარს, არც შემოსენებულ ქვეყნებში და, პრინციპში, არც სხვაგან არ არის ხოლმე საკმარისი იმისათვის, რომ მათ მიმართ უცილობლივ სადამსჯელო ანტიმონოპოლიური ღონისძიებები გატარდეს - ეს რომ გაკეთდეს, მთელი რიგი გარემოებების დადგენა და შესწავლაა აუცილებელი (მაგალითად, იმისა, ხომ არ აქვს ადგილი იმავდროულად ფასების დაუსაბუთებელ მატებას ან მყიდველის იძულებას შეიძინოს პროდუქცია მხოლოდ ამ კომპანიებისაგან და ა.შ.; ანუ საჭიროა იმის განსაზღვრა - ხომ არ იყენებს კომპანია თავის დომინანტურ მდგომარეობას ბოროტად, სხვის საზიანოდ).

ამასთან, კომპანიის (კომპანიების) დომინანტური გარემოების დადგენა თითქმის ყველგან საკმარისი წინაპირობაა საიმისოდ, რომ ამ კომპანიის საქმიანობაზე შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ყურადღება გააძლიეროს, მასზე სათანადო მონიტორინგი განახორციელოს, შესაბამისი მოკვლევების სამუშაოები ჩაატაროს და ა.შ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან და რამდენადაა ადეკვატური კონკურენციის სამსახურის მოქმედება ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან?

დავიწყოთ იმით, თუ რას გვეუბნება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ბაზარზე დომინანტური პოზიციის განსაზღვრის თაობაზე:

1. კომპანია დომინანტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტი უკავია (ანუ ჩვენთან დასაშვები ზღვარი უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიაში ან ბრიტანეთში; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამდე ეს ბარიერი 33%-ს შეადგენდა);

2. არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტისა დომინანტებად მიიჩნევიან, თუ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე 50 პროცენტს აღემატება (ამასთან, თითოეულის საბაზრო წილი 15 პროცენტზე მეტია);

3. ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტი დომინირებს ბაზარზე, თუ მათი ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება (და აქაც თითოეულის საბაზრო წილი 15 პროცენტზე მეტია).

ახლა კი გავცნოთ ზოგიერთი მსხვილი კომპანიის წილობრივ მონაწილეობას ჩვენს ბაზრებზე და განვიხილოთ საბანკო სექტორი.

საინტერესოა, რომ თვით საბანკო სექტორის მთლიანი წილი საფინანსო ბაზარზე მეტად მაღალია და 93%-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ, ფულადი ვაპიტალის განთავსებისა და შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, დანარჩენ საფინანსო ინსტიტუტებზე (საფონდო ბირჟებზე, სადამღვეო კომპანიებზე, სხვა შემნახველ ორგანიზაციებზე) ბანკები დომინირებენ აბსოლუტურად.

ქართული საბანკო სივრცის თითქმის 60%-ს ფლობს 2 ბანკი: „საქართველოს ბანკი“ (მთლიანი აქტივების 33%) და „თიბისი ბანკი“ (27%). ბაზრის 20%-ს იხაზილებენ „ლიბერთი ბანკი“ და „ბანკი რესპუბლიკა“³ (ანუ 4 ბანკი ერთობლივად ფლობს საკრედიტო რესურსების 80%-ს, ყველა დანარჩენი 15 ბანკი კი ბაზრის 20%-ს იყოფს) - მაშასადამე,

3. ეს ბანკიც ამას წინათ „თიბისი ბანკმა“ შეიერთა

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით გამოდის, რომ პირველი ოთხი ბანკის პოზიცია საფინანსო ბაზარზე ცალსახად დომინანტურია;

ფარმაცევტული ბაზრის თითქმის ნახევარი "ავერს" და PSP-ს უკავია ერთობლივად (შპს "ავერსი" - 24%, შპს PSP - 23%); მობილური კომუნიკაციების ბაზარზე კი 70%-ს (თითქმის თანაბარი მომსახურების მოცულობით) „მაგთი“ და „ჯეოსელი“ აკონტროლებენ.

საკმაოდ ინფორმირებულები არიან ჩვენი თანამოქალაქეები (ამაზე ბევრი ითქვა და დაინწერა) იმის თაობაზე, თუ როგორი სიტუაციაა, მონოპოლიზმის თვალსაზრისით, მაგალითისათვის, ნავთობპროდუქტების ბაზარზე, სადაც, დიდი ალბათობით, უმსხვილესი კომპანიები „სოკარი“, „ლუკოილი“, „ვისოლი“, „გალფი“ დღემდე განსაზღვრავენ პროდუქციის ტარიფებსა და ხარისხს; ინტერნეტმომხმარებლებმა კარგად იციან, თუ რომელი ფირმა განაგებს ინტერნეტის მიწოდების ბაზარს - ესენი ყველასათვის ცნობილი, "სილქნეტი" და „კავკასუს ონლაინი“ არიან.

საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობაში მონოპოლიზმის მაღალ დონეზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

- ქვეყანაში ძვირია საბანკო მომსახურების პროდუქტი - ქართული ბანკები სესხს ორჯერ უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ევროპული საკრედიტო დაწესებულებები: მაგალითისათვის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იპოთეკური სესხის წლიური საშუალო საპროცენტო განაკვეთი 4,5%-ია, აღმოსავლეთ ევროპაში - 7-8%, საქართველოში - კი იპოთეკური კრედიტის ღირებულება დოლარში დაახლოებით 12%-ს, ლარში კი - 18% შეადგენს; თითქმის ანალოგიური სიტუაციაა კომერციულ და სხვა ტიპის სესხებთან მიმართებაშიც);
- ნავთობზე ფასების საგრძობლად შემცირების კვალობაზე ჩვენთან ბენზინის ფასი დიდად არ შემცირებულა (იგივეს თქმა შეიძლება ხორბალთან დაკავშირებითაც);
- ძვირია მედიკამენტები (მთელი რიგი დასახელების მედიკამენტებზე ფასები 2-3-ჯერ აღემატება ევროპულ ფასებს);
- შედარებით მაღალია ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყლის და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური მონოპოლიური პროდუქტის საფასური;
- ქართულ საფინანსო ბაზარზე აქამდე არ გამოჩენილა მსხვილი უცხოური ბანკი, გარდა ბრიტანული HTCბ ბანკის, რომელიც კლიენტების მოზიდვას დაბალი საპროცენტო განაკვეთით შეეცადა, თუმცა მალევე დატოვა საქართველო აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზით, და „სოსიეტე ჟენერალისა“, რომელიც ცოტა ხნის წინ ასევე გავიდა ქართული ბაზრიდან;
- თავისუფალი კონკურენციის პირობებს ნამდვილად არ შეესაბამება შპს „მაგთიკომი“-ს ქმედობა, რომელმაც 2016 წელს 2-ჯერ გაზარდა სატელეფონო საუბრის ტარიფები (ე.წ. „ბანის“ აბონენტებს გაუძვირა წუთის ღირებულება 10-დან 24 თეთრამდე).

მონოპოლიზმისათვის დამახასიათებელი ასეთი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, ვინაიდან მონოპოლიური ქმედობა ჩვენთან თითქმის მთელი მსხვილი ბიზნესისათვის (და არა მარტო მსხვილსათვის) დამახასიათებელია.

იმისათვის, რომ ეკონომიკის მონოპოლიზაციის და მონოპოლიური საწარმოების საქმიანობა რეალურად დაეჭვმდებაროს სახელმწიფო ზედამხედველობას და მაქსიმალურად გამოირიცხოს მათი მხრიდან დომინანტური მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა, ვფიქრობთ, აუცილებელია დროულად გატარდეს რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის:

- უნდა გაცხადდეს ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება ბაზრის კონკურენციის ხელისშემშლელ ნებისმიერ მონოპოლიურ გამოვლინებასთან უშეღავათო სამართლებრივი ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით;
- ხელისუფლებამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ბაზარზე კონკურენციის ხარისხს მთლიანობაში გააუარესებს;
- ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარების აუცილებლობისა და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ უნდა მოხდეს მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირება და ამ საქმეში მასმედიის ჩართულობის მკვეთრად გააქტიურება;
- შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უნდა მოხერხდეს კონკურენციის კანონის დახვეწა და წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობებთან მისი მაქსიმალურად მისადაგება; მაღალი ეფექტის მისაღებად უნდა შემუშავდეს მონოპოლიების გამოვლენისა და ამგვარი მდგომარეობის ზიანობის დადგენის უფრო ზუსტი (ახლებური) მეთოდოლოგია;
- უნდა მოხდეს ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის რეალური გარდაქმნა, უწყების ეფექტიანობის თვისებრივად ამაღლება მისთვის ფუნქციების, უფლება-მოვალეობების, კადრების კვალიფიკაციისა და საბიუჯეტო ასიგნებების სოლიდური გაზრდით.

ABSTRACT
THE LONG STAGFLATIONARY STATE OF THE GEORGIA'S ECONOMY
AND MACROECONOMIC POLICY OBJECTIVES

VLADIMIR BASARIA
Doctor of Economy
Sokhumi State University
(E-mail: vbasaria@yahoo.com)

Georgia's economy has long been in a difficult stagflation situation - in 2013-2016, along with a very low pace rising economy of Georgia (less than 3 percent per year, actually stagnant: in similar economic development countries, the GDP growth of up to 5% is not considered to be substantial economic growth and, as a rule, is negligible), the rate of inflation increases (from -0.5% in 2013 to 3% for 2014-2016). Stagflation situation is more important and dangerous for the country's economy: in terms of low activity, which leads to a decrease in the overall demand on the product, the entrepreneur seeks to lower prices to be less reliable, but still sell goods and somehow keep a business. But often it is impossible.

Why is it so?

The point is that stagflation, as a rule, leads to two main factors - monopolistic trends and government irrational and inflationary regulations. Monopolies are artificially maintaining high prices on their goods-services, including products, materials or raw materials, which are used by nonmonopolist entrepreneurs to their own business. The government underestimates the unfair expenses, resulting in decrease in the purchasing power of population and falling production activity.

In a word, the stagflation situation is a state of economics when the both factors (monopolies and excessive inflation expenses of the government) are particularly harshly interfering with the market self-regulation process and hinder its normal functioning. And in the end, the deepening of private initiative and real sector development restrictions, falling down production and overall economic growth, unemployment and deepening poverty, and eventually social shocks will be followed.

Unlike other economic phases, the reasons for which are almost always possible with the natural self-regulation processes, the stagflation only causes more artificial intervention in the economy.

Therefore, the current economic situation of the country itself indicates the main causes of its cause and requires neutralization of their impact (at least to mitigate). In order to achieve this, it is important to define the economic policy priority of the state of uncompromising struggle with inappropriate and ineffective spending of monopolies and common state funds.

Key words: Stagnation; Economic Growth; Antimonopoly Campaign; Monopoly

ლიტერატურა

გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი; დიოგენე, 2000, 790 გვ.

Н. Грегорий Менкью. "Макроэкономика". Издательство Московского университета, 1994, (735 стр.).

Э. Денисон. Исследование различий в темпах экономического роста. Изд. «Прогресс». – Москва, 1971, (486 стр.).

Словарь современной экономической теории Макмилана. – М.: ИНФРА – М, 1997, (607 стр.).

**საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია: ბალტიისპირეთის და
სამხრეთკავკასიის რეგიონების მაკროეკონომიკური
მაჩვენებლების თავისებურებები**

ჯანდრი ზარანდია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
(ელ-ფოსტა: jani_zarandia@mail.ru)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები გეოგრაფიული მდებარეობის და კულტურული განვითარების მიხედვით ხუთ რეგიონად დაიყო, მათ შორის, ბალტიისპირეთი: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია; აღმოსავლეთი ევროპა: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა; სამრეთ კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. "საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის" პროცესის ფარგლებში წინა სტატიებში ჩვენ განვიხილეთ ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნებისა და საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.

დღევანდელი ჩვენი ნაშრომის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება ყოფილ პოსტ-საბჭოთა, ამჟამად ევროკავშირის წევრი – ბალტიისპირეთისა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის წევრი – სამხრეთ კავკასიის რეგიონების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თავისებურებები. ამ სტატიით ჩვენ ვიხილავთ არა მარტო ორი რეგიონის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თავისებურებებს, არამედ მოგადად იმ ტენდენციებს, რაც შეინიშნება ამ შემთხვევაში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში მყოფი რეგიონის – ბალტიისპირეთის და მასში შემავალი ქვეყნების ევ-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ორობას“, როგორც პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებმაც წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული ინტერესების განხორციელებაში. ამერბაიჯანის კონკრეტული პოზიცია ევროკავშირთან მიმართებაში, განპირობებულია მისი ენერგორესურსებით და ევროპის ელექტროენერჯით მომარაგებაში მისი როლით.

საქართველოს ამოცანები ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით, აშკარად ძალზედ პროგრესული და მომავლაზე ორიენტირებულია: საქართველოს მთავრობა ევროინტეგრაციას, სხვა ისეთ პრიორიტეტებთან ერთად, როგორცაა ნატოს წევრობა, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და ტერიტორიული და სამოქალაქო მთლიანობის აღდგენა, განიხილავს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ელემენტს.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით, სამხრეთ კავკასიის პარტნიორები სხვადასხვაგვარ, არათანაბარ შედეგებს იღებენ მას შემდეგ, რაც სამოქმედო გეგმების განხორციელება დაიწყო. უფრო კონკრეტულად კი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების“ (DCFTA) პროცესი დაიწყო 2009 წ. საქართველომ ამ კუთხით კარგი შედეგები აჩვენა. შედარებით ლიმიტირებული იყო შედეგები სომხეთში (რაც ძირითადად საჭირო რეფორმების გატარების დაგვიანებით დაწყებას უკავშირდება), ხოლო ამერბაიჯანში – უკუსვლა დაფიქსირდა.

ევროკომისიის დაკვირვებით, **სომხეთმა** სამოქმედო გეგმის “რამდენიმე სფეროში მიაღწია წარმატებას”. პოლიტიკურ სფეროში მიღწევები მოიცავს რეგულარული დიალოგის წარმოებას ევროკავშირთან ადამიანის უფლებათა შესახებ. ეკონომიკური განვითარებისა და რეფორმების კუთხით მიღწევები შედარებით უფრო მოკრძალებულია. ხოლო ვაჭრობის სფეროში სომხეთმა შედარებით ნაკლები მიღწევები აჩვენა. განსაკუთრებით არის მონონებული სომხეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივ ასპექტებში, რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირ-სომხეთის ურთიერთობის გაძლიერებას და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებაზე მუშაობას.

ამერბაიჯანში „გარკვეული პროგრესია“ მიღწეული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით, ისეთ სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა და სოციალური მმართველობა. სახელმწიფომ კარგი შედეგები აჩვენა ევროკავშირთან ენერგოთანამშრომლობის კუთხით. აღნიშნული თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივი „ურთიერთგაგების მემორანდუმს“ ენერგოსფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

საბოლოო ჯამში, სამხრეთ კავკასიაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესმა დაადასტურა, რომ არსებობს სისტემატური შეზღუდვები ევროინტეგრაციის სფეროში, რის გამოც, პოლიტიკური რეფორმების კუთხით არსებული პროგრესი ჯერ კიდევ ძირითად ელემენტად რჩება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობათა განსავითარებლად.

2015 წლის 15 დეკემბერს საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა. ასევე დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ, **სამხრეთ კავკასიის რეგიონში** გამონაკლისი ხდება საქართველო რომელმაც ბოლო წლებში დიდ წარმატებას მიაღწია ევროკავშირთან დაახლოების კუთხით. ასოცირებისა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, 2016 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ვიზა ლიბერალიზაცია, არის საფუძველი ორმხრივი ურთიერთობების, თანამშრომლობის და ევროპული პერსპექტივის. სწორედ, ევროკავშირთან გახსნილი და გამარტივებული ეკონომიკური ურთიერთობები არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარანტი.

შედარებისთვის, **ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ ჭრილში განხილვის პროცესის ფარგლებში**, განვიხილოთ ამ რეგიონების და მასში შემავალი ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობა, მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

ცხრილი 1. ბალტიისპირეთის და სამხრეთ კავკასიის რეგიონის და რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობა (მონაცემები აღებულია 2015 წ.)

მაჩვენებელი	მოსახლეობა, მლნ კაცი	ფართობი, ათასი კვ.კმ.	მშპ, მლრდ აშშ დოლ.	მშპ მოცულ. მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლ.	მეპ, მლრდ აშშ დოლ.	მეპ მოცულ. მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ დოლ.
ბალტიისპირეთის რეგიონი	6.2	175.1	96.2	15 516	170.11 ევრო	27 437 ევრო
ლატვია ^{1. 2. 14. 15.}	2.0	64.6	31.3	15 650	64.06 ევრო	32 030 ევრო
ლიტვა ^{3. 4. 14. 15.}	2.9	65.3	42.4	14 621	82.10 ევრო	28 310 ევრო
ესტონეთი ^{5. 6. 14. 15.}	1.3	45.2	22.5	17 308	23.95 ევრო	18 423 ევრო
სამხრეთ კავკასიის რეგიონი	16.4	186.0	80.68	4 920	114.89	7 005
საქართველო ^{7. 8. 9. 14. 15.}	3.7	69.7	14.1	3 811	16.60	4 486
აზერბაიჯანი ^{10. 11. 14. 15.}	9.7	86.6	56.05	5 778	85.00	8 763
სომხეთი ^{12. 13. 14. 15.}	3.0	29.7	10.53	3 510	13.29	4 430

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

წყარო:

1. <https://en.wikipedia.org/wiki/Latvia> 2. <https://tradingeconomics.com/latvia/gdp> 3. <https://en.wikipedia.org/wiki/Lithuania>
4. <https://tradingeconomics.com/lithuania/gdp> 5. <https://en.wikipedia.org/wiki/Estonia> 6. <https://tradingeconomics.com/estonia/gdp>
7. [https://en.wikipedia.org/wiki/Georgia_\(country\)](https://en.wikipedia.org/wiki/Georgia_(country)) 8. <https://tradingeconomics.com/georgia/gdp>
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo 10. <https://en.wikipedia.org/wiki/Azerbaijan>
11. <https://tradingeconomics.com/azerbaijan/gdp> 12. <https://en.wikipedia.org/wiki/Armenia> 13. <https://tradingeconomics.com/armenia/gdp>
14. <http://www.focus-economics.com/country-indicator/latvia/exports-EUR>
15. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_government_budget

ცხრილი 2. ბალტიისპირეთის და სამხრეთ კავკასიის რეგიონის და რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნების მშპ-ის ზრდა 2007-2015 წწ. (მლრდ. აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	%-ლი ცვლილება
ლატვია ¹	30.9	35.6	26.17	23.77	28.42	28.07	30.26	31.32	27.00	-12,63%
ლიტვა ²	39.74	47.85	37.44	37.13	43.51	42.85	46.41	48.35	41.17	+3,60%
ესტონეთი ³	22.24	24.19	19.65	19.49	23.17	23.04	25.08	26.21	22.46	+0,99%
ბალტიის-პირეთის რეგიონი	92.54	107.51	83.1	80.39	95.1	93.96	101.75	105.88	90.63	-2,07%
საქართველო ⁴	10.17	12.8	10.77	11.64	14.44	15.85	16.14	16.51	13.98	+37,5%
აზერბაიჯანი ⁵	33.05	48.85	44.29	52.9	65.95	68.73	73.56	75.2	53.05	+60,5%
სოხეთი ⁶	9.21	11.66	8.65	9.26	10.14	10.62	11.12	11.61	10.53	+14,3%
სამხრეთ-კავკასიის რეგიონი	52.43	73.31	63.71	73.8	90.53	111.05	100.82	103.32	77.56	+47,93%

წყარო:

1. <https://tradingeconomics.com/latvia/gdp> 2. <https://tradingeconomics.com/lithuania/gdp>
3. <https://tradingeconomics.com/estonia/gdp> 4. <https://tradingeconomics.com/georgia/gdp>
5. <https://tradingeconomics.com/azerbaijan/gdp> 6. <https://tradingeconomics.com/armenia/gdp>

ცხრილი 3. ბალტიისპირეთის რეგიონისა და რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 2005-2015 წწ. (მლრდ. აშშ დოლ.)

	ლატვია		ლიტვა		ესტონეთი		ბალტიისპირეთის რეგიონი	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
2005	2,467,620	1,602,756	3,039,493	2,072,498	3,472,735	2,256,759	8 979.848	5 932.013
2006	3,034,105	2,044,545	3,630,409	2,562,315	3,827,183	2,553,628	10 491.697	7 610.488
2007	4,374,504	2,815,248	4,242,960	3,426,224	4,708,207	3,181,233	13 325.671	9 422.705
2008	5,370,752	3,321,057	5,068,200	4,238,513	5,695,490	3,562,873	16 134.442	11 122.443
2009	4,386,731	2,402,804	4,093,922	3,094,853	4,613,323	2,622,091	13 093.976	8 119.748
2010	4,039,494	2,316,418	4,533,372	3,047,236	4,718,147	2,950,227	13 291.013	8 313.881
2011	4,825,156	2,767,757	5,561,093	3,832,878	5,627,138	3,802,184	16 013.387	10 402.819
2012	4,840,073	2,756,028	6,158,213	4,373,155	5,737,292	4,016,477	16 735.578	10 402.819
2013	5,178,189	2,824,105	7,156,789	5,354,779	6,473,799	4,692,236	18 808.777	10 402.819
2014	5,111,903	2,787,467	7,761,124	5,588,333	7,060,742	4,806,887	19 933.769	13 182.687
2015	4,479,521	2,520,909	6,666,156	4,731,722	5,771,361	3,884,284	16 916.727	13 182.687

წყარო:

1. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|428|||||S00|1|3|1|2|2|1|5|1|1
2. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|428|||||S00|1|3|1|1|2|1|5|1|1
3. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|440|||||S00|1|3|1|2|2|1|5|1|1
4. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|440|||||S00|1|3|1|1|2|1|5|1|1
5. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|233|||||S00|1|3|1|2|2|1|5|1|1
6. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|233|||||S00|1|3|1|1|2|1|5|1|1

ცხრილი 4. სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 2005-2015 წწ

	საქართველო		აზერბაიჯანი		სომხეთი		სამხრეთ-კავკასიის რეგიონი	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
2005	865,5	2 487,5	741,460	2658,8	430,150	578,071	2 037.11	5 724.371
2006	936,4	3 674,8	965,305	2,938,6	593,736	682,025	2 495.441	7 295.425
2007	1 232,1	5 212,2	1,455,420	3,385,2	764,224	954,200	3 451.744	9 551.6
2008	1 495,3	6 301,5	1,668,570	3,915,68	837,340	1,148,500	4 001.21	11 365.68
2009	1 133,6	4 475,7	2,100,910	3,673,46	785,685	1,061,990	4 020.195	9 211.15
2010	1 677,3	5 236,0	2,493,650	3,929,45	1,013,190	1,273,950	5 184.14	10 439.4
2011	2 186,4	7 072,3	3,042,510	5,839,5	1,310,620	1,376,440	6 539.53	14 288.24
2012	2 376,6	8 056,4	4,808,740	7,429,58	1,402,190	1,503,770	8 587.53	16 989.75
2013	2 910,6	8 022,7	4,130,920	8,319,93	1,520,030	1,644,379	8 561.55	17 987.009
2014	2 861,0	8 601,8	4,297,160	10,386,7	1,620,750	1,733,703	8 778.91	20 722.203
2015	2 204,7	7 292,3	4,443,990	8,672,85	1,512,725	1,607,265	8 161.415	17 572.415

წყარო:

1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
2. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|031|||||S00|1|3|1|2|2|1|5|1|1
3. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|031|||||S00|1|3|1|1|2|1|5|1|1
4. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|051|||||S00|1|3|1|2|2|1|5|1|1
5. http://www.trademap.org/tradestat/Service_SelCountry_TS.aspx?nvpm=1|051|||||S00|1|3|1|1|2|1|5|1|1

ნაშრომში "საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ ჭრილში განხილვის პროცესის ფარგლებში, ჩვენ განვიხილეთ ერთი მხრივ ბალტიისპირეთის რეგიონის და მასში შემავალი ქვეყნების ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის და მეორე მხრივ სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და მასში შემავალი ქვეყნების - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის, მაკრო – ეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობა, მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავებანი.

როდესაც გადავწყვიტეთ, ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონების შედარებითი ანალიზის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მიზანი იყო გაგვევო, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ, თუ რა როლი შეასრულა ბალტიისპირეთის და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, ასევე, ბალტიისპირეთის რეგიონში შემავალი ქვეყნების - ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებამ, რეგიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ბალტიისპირეთის რეგიონის მოსახლეობა 6.2 მილიონი ადამიანია, რეგიონის ტერიტორიის ფართობი 175,1 კვ.კმ.-ს აღწევს, მშპ-ის მოცულობა 2015 წლის მონაცემებით 96,2 მლრდ. აშშ დოლარის ტოლია, რაც მსოფლიო ეკონომიკასთან მიმართებაში 0,05 %-ს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა 15 516 აშშ დოლარია. მშპ მოცულობა 170,11 მლრდ. ევროს ტოლია, შესაბამისად მეპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 27 437 ევროს ტოლია. უნდა აღინიშნოს რომ, 1993 - 2015 წლებში მშპ-ის საშუალო ზრდა ბალტიისპირეთის რეგიონში 16.73 მლრდ. აშშ. დოლარი დაფიქსირდა, შესაბამისად იგივე მაჩვენებელი რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნებისათვის შემდეგნაირად გამოიყურება: ლატვია - 14,95 მლრდ. აშშ დოლარი; ლიტვა – 23,57 მლრდ. აშშ დოლარი; ესტონეთი – 11,68 მლრდ. აშშ დოლარი; აქვე საყურადღებოა ის ფაქტი რომ, ლატვიაში – მშპ-ის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 4,50 მლრდ. აშშ დოლარი დაფიქსირდა 1993 წელს. ლიტვაში - 7,0 მლრდ. აშშ დოლარი 1994 წელს და ესტონეთში - 3,88 მლრდ. აშშ დოლარი 1993 წელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი ლატვიაში - 35,60 მლრდ. აშშ დოლარი დაფიქსირდა 2008 წელს, იგივე მაჩვენებელი ლიტვაში - 48,35 მლრდ. აშშ დოლარი 2014 წელს, ხოლო ესტონეთში - 26,21 მლრდ. აშშ დოლარი 2014 წელს. ბალტიისპირეთის რეგიონის ექსპორტის მოცულობა 2005 - 2015 წ.წ. შეადგენს - 163 724.885 მლრდ. აშშ დოლარს, იმპორტის მოცულობა - 109 260. 479 მლრდ. აშშ დოლარის ტოლია, სავაჭრო სალდო დადებითია და შეადგენს - 54 464.406 მლრდ. აშშ დოლარს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობა 16.4 მილიონი ადამიანია, რეგიონის ტერიტორიის ფართობი 186.0 კვ.კმ.- ს აღწევს, მშპ-ის მოცულობა 2015 წლის მონაცემებით 80.68 მლრდ. აშშ დოლარს ტოლია, რაც მსოფლიო ეკონომიკასთან მიმართებაში 0,04 %-ს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა 4 920 აშშ დოლარია. მშპ მოცულობა 114.89 მლრდ. დოლარის ტოლია, შესაბამისად მეპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 7 005 აშშ დოლარის ტოლია. სამხრეთ კავკასიის რეგიონში 1993 - 2015 წლებში მშპ-ის საშუალო ზრდა - 12,3 მლრდ. აშშ. დოლარი დაფიქსირდა, იგივე მაჩვენებელი რეგიონში შემავალი ცალკეული ქვეყნებისათვის შემდეგნაირად

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

გადანაწილდა: საქართველოში - 7,46 მლრდ. აშშ დოლარი; აზერბაიჯანში - 24,31 მლრდ. აშშ დოლარი; სომხეთში - 5,13 მლრდ. აშშ დოლარი; რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი საქართველოში 2,51 მლრდ. აშშ დოლარი დაფიქსირდა 1994 წელს, აზერბაიჯანში - 3,50 მლრდ. აშშ დოლარი - 1995 წელს და სომხეთში - 1,20 მლრდ. აშშ დოლარი დაფიქსირდა 1993 წელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი საქართველოში - 16,51 მლრდ-ი აშშ დოლარი დაფიქსირდა 2014 წელს, შესაბამისად აზერბაიჯანში - 75,20 მლრდ-ი აშშ დოლარი 2014 წელს, ხოლო სომხეთში - 11,66 მლრდ. აშშ დოლარი 2008 წელს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ექსპორტის მოცულობა 2005-2015 წ.წ. შეადგენს 61 818. 775 მლრდ. აშშ დოლარს, იმპორტის მოცულობა - 141 147.243 მლრდ. აშშ დოლარის ტოლია, სავაჭრო სალდო უარყოფითია და შეადგენს - 79 328. 468 მლრდ. აშშ დოლარს.

როდესაც შევადარებთ ბალტიისპირეთის და სამხრეთ კავკასიის რეგიონების ზოგადი მონაცემები, გავანალიზებთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, დაგინახეთ, რომ მართალია, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ტერიტორიულად და მოსახლეობის რიცხოვნობით აღემატება ბალტიისპირეთის რეგიონს, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ეკონომიკური განვითარებითა და ცხოვრების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბალტიისპირეთის რეგიონს. მშპ მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 3-ჯერ მაღალია ბალტიისპირეთის რეგიონში, ვიდრე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ასევე, ბალტიისპირეთის რეგიონის ექსპორტის მოცულობა 2005 - 2015 წ.წ. თითქმის სამჯერ მეტია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ექსპორტის მოცულობაზე. ბალტიისპირეთის რეგიონს და მასში შემავალ ქვეყნებს გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული სავაჭრო ორიენტაცია. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ექსპორტის მოცულობა 2005 - 2015 წ.წ. თითქმის ორჯერ ნაკლებია იმპორტის მოცულობაზე.

ბალტიისპირეთის რეგიონი და მასში შემავალი ქვეყნები ეკონომიკური განვითარებით ყოველთვის გამოირჩეოდნენ საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც კი შეინარჩუნეს საბაზრო ეკონომიკის წარმოების კულტურა და კერძო საკუთრების ელემენტები. რეგიონი მთლიანობაში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ეკონომიკურად წარმატებულია. საბოლოოდ რეგიონის და მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის მომავალი განაპირობა დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციამ. რეგიონის ეკონომიკამ ბალტიისპირეთის ქვეყნების 2004 წელს ევროკავშირში შესვლის და სტრუქტურულად ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრირების შემდეგ მოკლე პერიოდში მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას. ეკონომიკური გარდაქმნებით გაიზარდა ბალტიისპირეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა 2015 წლისთვის ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით მაღალი ხარისხის სტაბილურობა მოიპოვეს. თუმცა ეკონომიკური ზრდა გლობალური ფინანსური კრიზისის მერე შედარებით შენედა. მიუხედავად იმისა, რომ ბალტიის ქვეყნები სრულად არიან ინტეგრირებული ევროპულ ინსტიტუტებში და მიღწეული აქვთ ფინანსური და ფისკალური სტაბილურობის მაღალი ხარისხი, მათი შემოსავლების დონე დაბალია. თუმცა ისინი საკმაოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებია და მათი ეკონომიკური ზრდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ ზოგადად დარჩა გაჯანსაღებული. ეკონომიკური აღმავლობის ტრაექტორიაზე სწრაფი დაბრუნების საფიციელი შექმნათ იმ ქვეყნებს, რომლებიც კომუნისტური რეჟიმისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშკარად ლიდერობდნენ ეკონომიკური რეფორმების გატარებაში – ესენი კი ბალტიისპირეთის რეგიონში შემავალი ქვეყნებია. იმის გათვალისწინებით, რომ ბალტიისპირეთის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა გაიზიარეს ევროკავშირში რეალიზებული ეკონომიკური განვითარების მოდელი, აშკარა ხდება, რომ სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვისაც ამ მოდელის გამოყენება შესაძლოა გახდეს ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძველი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის და მასში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ განვითარებას საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ გაჩენილი ნაპრალები ახასიათებს – ქვეყნის ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტებით დაქსაქსულობა, სამოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური ფრაგმენტაცია, კრიზისის ფართო ამპლიტუდა, დემოკრატიისკენ სწრაფვისა და მისგან დისტანცირების ცვალებადი სიხშირე, და მრავალი სხვა. გარდამავალი პერიოდი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნებისათვის, ინტეგრაციის პროცესში სამხრეთ კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთი მხრივ „ნატოს წევრი ქვეყნები და ევროკავშირი“, მეორე მხრივ, რუსეთი, ირანი და ჩინეთი. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სირთულეს ქმნის ის, რომ სამივე ქვეყანას სხვადასხვა კურსი აქვს აღებული, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიმართულებითაც. რეგიონში შემავალი ქვეყნები- აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დგანან და ამ გამოწვევებთან გამკლავების განსხვავებულ გზებს ირჩევენ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალ ყველა ქვეყანას, მაგრამ მხოლოდ საქართველო ახერხებს თანმიმდევრულად ევროპისკენ სვლას, აზერბაიჯანი მაქსიმალურად იყენებს ენერჯეტიკის მწარმოებელი ქვეყნის უპირატესობას და არ ჩქარობს ქვეყანაში დასავლეთის მიერ დაწესებული ნორმების შემოღებას, ხოლო სომხეთი – რუსეთის ფედერაციის მიერ ინიცირებულ ევრაზიულ კავშირს ირჩევს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნის _ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ასიმეტრიული განვითარება ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასია არაპროგნოზირებადი რეგიონია, მით უფრო, როდესაც ამ რეგიონში დაპირისპირებული ქვეყნებია, რომელთა გამოც ვერ ხერხდება ერთიან ეკონომიკური ზონის ან მკიცე პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რაც წარმოადგენს ამ რეგიონის მდგრადი განვითარების ხელისშემშლელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

ABSTRACT
INTEGRATION OF GEORGIA TO EUROPEAN UNION:
CHARACTERISTICS OF MACROECONOMIC INDICATORS
OF THE BALTIC AND SOUTH CAUCASUS REGIONS

JANDRI ZARANDIA
PhD, Associate Professor
Sokhumi State University
(E-mail: jani_zarandia@mail.ru)

After decomposition of the Soviet Union the post-soviet countries were divided into five regions based on their geographical location and cultural development, including Baltic countries: Estonia, Lithuania, Latvia; Eastern Europe: Ukraine, Belarus, Moldova; South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. Sphere of interests of our work is in the specific nature of macroeconomic indicators of the post-soviet, currently EU member states in Baltic region and the countries of EU Neighborhood Policies in South Caucasus region. Comparison of general data of Baltic and South Caucasus regions and analysis of their macroeconomic characteristics clearly showed that while South Caucasus region has greater territory and more population than Baltic region, South Caucasus Region is far behind the Baltic countries with respect of economic development and life standards. Future of the economies of Baltic countries was finally determined by their integration into the western structures. Shortly after joining the European Union and structural integration with its economy, Baltic countries have achieved significant economic progress. In the South Caucasus Region the difficulty is that the countries of the Region face absolutely different political, economic and social challenges and select absolutely different ways for dealing with these challenges.

Key words: Baltic Countries; South Caucasus; Population; Area; GDP; GNP

ეკონომიკის განვითარებაზე უცხოური ინვესტიციების გავლენა –
დადებითი და უარყოფითი მხარეები

დალი მაგრაქველიძე

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პორფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: d.magrakvelidze@gtu.ge)

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო 90-იანი წლებიდან მოყოლებული და დარჩა პრობლემად დღევანდელ დღეებშიც. მის ოპტიმალურად გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობას მრდის საქართველოს ეკონომიკაში ამაჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, მაღალი უმუშევრობა, მიგრაციის მაღალი ტემპები ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, დაბალი ინვესტიციური აქტიურობა, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა.

ამასთან, დღევანდელ პირობებში უცხოური ინვესტიციების მიმართ სათანადო პოლიტიკის გატარებისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ უმრავლეს ქვეყნებში შეიმჩნევა უცხოური ინვესტიციების რეჟიმის თანდათანობით ლიბერალიზაცია, რაც შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება: მცირდება იმ დარგების რაოდენობა, რომელშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება; რბილდება ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავს კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს; უცხოელ ინვესტორებს ეძლევა საწარმოთა შექმნის უფლება 100%-იანი მონაწილეობით; იოლდება საზღვარგარეთ მოგებისა და დივიდენდების გატანა; მარტივდება და წესრიგდება უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის პროცედურა; სულ უფრო მეტი რაოდენობით ტარდება უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის არა ფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში და, როგორც მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, იგი ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობის დაძლევის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, საგარეო ეკონომიკურ კავშირთა რეგულირებათა გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი გზაა.

დღეს აშკარაა საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალურობა. ეკონომიკის კარგახსნილობის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს.

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ ყველა ფინანსური წყაროს ხარჯზე 2005-2016 წლებში უცხოური ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 13565.5 მლნ. ლარი შეადგინა:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015	1 564.5	291.5	462.7	483.2	327.1
2016*	1645.4	388.9	457.7	468.5	330.3
2017*	403.3	403.3			

* წინასწარი მონაცემები.

სამწუხაროდ, მიუხედავად მზარდი სტატისტიკური მომაცემებისა ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების ფაქტობრივი გავლენა ცხოვრების დონეზე შეუმჩნეველია. ამის ძირითადი მიზეზია საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნეგატიური აღქმა და უზარმაზარი რისკფაქტორები, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ ინვესტიციური კრიზისის უარყოფით შედეგებზე.


ცხადია, რომ დღეს მსოფლიოში საინვესტიციო რესურსები წარიმართება შეღავათიანი დაბეგვრის, სამართლებრივი უზრუნველყოფის, პროგნოზირებადი ინფლაციის, მტკიცე საბანკო სისტემის მქონე რეგიონებში. რა უშლის ხელს საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების ეფექტურობას?

დღეს საქართველოში მთლად ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკების არსებობის მიუხედავად დაბალია მათთაში ნდობის დონე, პრაქტიკულად არ არსებობს კერძო საპენსიო ფონდები, სადამბლვევო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებს დაკისრებულ ფუნქციებს. ამგვარად, საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ეკონომი-

კას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები და არა ე.წ. 'ცხელი ფულის'- დამანგრეველი შემოდინება და გადინება.

რაც მთავარია, ინვესტორებს საქართველოში დიდი არჩევანი არ აქვთ. მათ ან ისეთ კომპანიებში უნდა დააბანდონ ფული, რომლებიც დიდი ხანია კარგადაც მუშაობენ (რაც თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში) და თვით იცავენ საკუთარ უფლებებს, ან გარისკონ და რომელიღაც სრულიად ახალ, უცნობ საქმეში მოახდინონ ინვესტირება, რომლის პერსპექტივებიც გაურკვეველია. ნორმალურ პირობებში, ინვესტორები, პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებენ ხოლმე, რადგანაც რომელიმე წარმოების

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით



ნახ. 1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

განვითარებით მათ გაკონტროლებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე საწარმოს აქციების (აქციების საკონტროლო პაკეტის უქონლობის პირობებში) შექენისას.

საქართველოში საპირისპირო ვითარება ყალიბდება. წარმოებაში ფულის დაბანდება ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქტები ხშირად არ სრულდება და საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება.


უცხოური ინვესტიციების წილის ზრდა თავისთავად დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან უცხოური კაპიტალის შემოდინებას შესაბამისად თან მოსდევს ახალი ტექნოლოგიების, ტექნიკის და მსოფლიო გამოცდილების შემოდინება, ხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. მიუხედავად ამისა, პრიორიტეტად მიგვაჩნია ადგილობრივი (სამამულო) ინვესტორების წახალისება. ვინაიდან, რაოდენ დიდი ეფექტის მომტანიც არ უნდა იყოს უცხოელი ინვესტორების საქმიანობა, მათთვის მკაცრად რომ ვთქვათ, მიმღები ქვეყნის ეროვნული ინტერესები არაფერს ნიშნავს.

გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის დაქვეითებამ მოზიდული უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაზეც იმოქმედა. არადამაკმაყოფილებელია საზღვარგარეთელი ინვესტორების დაინტერესება მშენებლობით, ჯანმრთელობის დაცვით და სოფლის მეურნეობით, რაც საქართველოს ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (იხ. დიაგრამა 1).

უცხოურ ინვესტიციებს თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები, რომლის დაძლევის მექანიზმის მოძიებას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციებზე მწვავე მოთხოვნაა, მეორე მხრივ კი, საბაზრო ძალების მოქმედებამ შეიძლება ჩვენი ქვეყანა დასავლეთის სანედლეულო დანამატად აქციოს. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად უნდა შემუშავდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დასაბუთებული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოზიდვის მოტივაციური მექანიზმი. მისი შემადგენელი ნაწილია უცხოელი ინვესტორებისათვის მისაღები ეკონომიკური პირობები, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეჟიმი. ამასთან, ამგვარი პირობები და რეჟიმი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს, თორემ სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდეს, ის კი დღესაა საჭირო. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთელ მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში მძაფრი კონკურენცია არსებობს.


დიაგრამა 1.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წლის I კვარტალში (%)



უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდება პარალიზებული შიგა ინვესტიციური პრაქტიკის მქონე ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შიგა ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლება შეიძლება ერთდროულად განვიხილოთ როგორც კრიზისის დაძლევისა და უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთო სიძნელეების დაძლევისასთან, სამეურნეო სისტემის გარდაქმნის პრობლემის გადაჭრასთან და საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან (იხ. ქვემოთ მოტანილი სქემა).



ამასთან, უცხოურ კაპიტალზე დაყრდნობა სრულიადაც არ ნიშნავს სამამულო ინვესტორთა იგნორირებას, მათ შესაძლებლობათა და უფლებათა შელახვას. ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ინვესტორებს შესწევთ უნარი ამოქმედონ წარმოება, უპირატესობა მათ უნდა მიენიჭოთ, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტიციების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. უცხოური ინვესტიციები კი ეს არის უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, უფრო სრულყოფილი მართვის სისტემები, პროდუქციის მაღალი ხარისხი.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოღებისას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს. მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და მილსადენი მარშრუტები საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

დღეს საქართველოსათვის უცხოურ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გასაგებია, მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველო მყარად დაიმკვიდრებს ადგილს მაშინ, როცა მისი ეკონომიკა მტკიცედ ჩაერთვება შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. მსხვილი კაპიტალდაბანდების გარეშე კი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, აღორძინება და განვითარება შეუძლებელია. სამწუხაროდ, საკუთარი რესურსები საამისოდ ქვეყანას არ გააჩნია. სახელმწიფოში ბიზნესის სფეროსა და მოსახლეობაში აშკარაა ფინანსების დიდი ნაკლებობა.

ასეთ ვითარებაში, ინვესტიციების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო უცხოური რესურსები უნდა გახდეს. სწორედ ამიტომ, მისი მოზიდვის მასშტაბების გაფართოება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება.

ABSTRACT
 IMPACT OF FOREIGN INVESTMENTS ON ECONOMIC DEVELOPMENT -
 POSITIVE AND NEGATIVE SIDES

DALI MAGRAKVELIDZE
 PhD, Associate professor
 Georgian Technical University
 (E-mail: d.magrakvelidze@gtu.ge)

The article considers the problem of attracting foreign investments as one of the most important problems of economic reforms, the optimal solution of which ensures overcoming the economic crisis.

There is also given and analyzed the actual data about the total investments in the economy and volume of attracted foreign investments in it. The article characterized the structure of foreign investments by types of economic activity. At the end of the article in the form of a scheme presented problems constraining the flow of foreign investment, the solution of which will help to expand the scope of their involvement and making a priority for the country.

Key words: Foreign Investments; Total Investments; Investment Environment; Direct Foreign Investments

ლიტერატურა

ე.ბართაშვილი, დ.მაგრაქველიძე საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბ. 2009 წ. <http://geostat.ge/> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი.

ТЕОРИЯ РЕГИОНАЛЬНОГО РАЗВИТИЯ КАК ОСНОВА ФОРМИРОВАНИЯ СТРАТЕГИИ РЕГИОНАЛЬНОГО РАЗВИТИЯ И РЕГИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ

КУЛАГА ИРИНА ВЛАДИМИРОВНА¹, ТКАЧЕНКО ЕЛЕНА ВАДИМОВНА²

1. Канд.экон.наук, доцент

2. Канд.экон.наук, доцент

ГВУЗ «Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана»

(Эл. почта: irinakulaga@kneu.edu.ua, tkachencoolena@kneu.edu.ua)

Усиление регионализации в условиях современного глобального мира сопровождается обострением проблем, связанных с региональным развитием, что значительно актуализирует задание обоснования теоретико-методологических основ новой парадигмы регионального развития, ключевыми факторами которой являются технический прогресс, инновационные технологии и стремительная информатизация общества. Следует учитывать, что региональная, как и любая другая парадигма развития, связана прежде всего с толкованием сущностных характеристик этого явления. Региональное развитие в первом, самом широком приближении к трактовке этого термина, является непрерывным процессом обществено-территориального системообразования на основе определенных закономерностей: рационального развития региональных систем, территориальной концентрации и дифференциации производительных сил, территориальной комплексности региональных хозяйств. Все они в определенной мере существуют автономно и неоднозначно влияют на региональное развитие, что необходимо учитывать при формировании региональной политики и стратегии [2, с.68-79].

Стратегия регионального развития должна представлять собой научно обоснованную траекторию развития регионов, четко сориентированную по целям, срокам, ресурсам и средствам приведения их в действие. Поскольку действенным механизмом, регулирующим ход реализации стратегии является региональная политика, соответственно, стратегия определяет цели и основные задачи региональной политики. Целью разработки стратегий развития отдельных регионов является реализация стратегического планирования на уровне регионов и предание системности процессу управления регионами на местах. Поскольку процесс формирования и реализации данных стратегий находится в зависимости от изменения общественно-политической ситуации и экономической конъюнктуры, это обуславливает необходимость периодического обновления методического обеспечения разработки стратегий и корректировки планов по их реализации. Таким образом, усовершенствование процесса формирования и реализации стратегий регионального развития приобретает особую актуальность не только в контексте обеспечения стабильности социально-экономического развития регионов и территорий, но и в контексте реализации концепции устойчивого развития на уровне страны в целом. К тому же, актуальным по-прежнему остается вопрос согласования государственной региональной политики и стратегии регионального развития.

Объективными предпосылками формирования региональной политики являются структурная неоднородность территорий в природно-географическом, ресурсном, экономическом, социальном, этическом и политическом аспектах. В связи с этим региональная политика должна учитывать интересы и особенности регионов. Поскольку региональная политика - это прежде всего политика развития, она должна быть сфокусирована преимущественно на разработке комплекса мер и инструментов, которые направлены на раскрытие экономического потенциала территорий, увеличение производительности экономики регионов, прибыльности местного бизнеса и уровня доходов населения, что, в свою очередь, создаст условия для общего повышения социальных стандартов, качества жизни и будет способствовать развитию бизнес-среды. Проблема заключается в том, что эта взаимозависимость требует разработки и внедрения действенных фискальных механизмов и механизмов перераспределения средств, иначе существует реальная угроза чрезмерной поляризации и роста диспропорций в развитии крупных городов и остальной территории страны, как это в течении длительного периода происходило в Украине. Уже на этапе формирования Государственной стратегии регионального развития на период до 2020 года было понятно, что происходящие процессы обусловлены двумя взаимосвязанными тенденциями: постепенно возрастающей концентрацией экономической активности как на национальном, так и на региональном уровнях, и неравномерностью развития территорий и ростом в связи с этим межрегиональных социально-экономических диспропорций. Проявление этих тенденций можно наблюдать на общегосударственном уровне в виде сосредоточении основных ресурсов развития в г. Киеве, где производится более 20% ВВП страны, аккумулируется половина всех прямых иностранных инвестиций, растет численность населения за счет миграции из других регионов, а также на региональном уровне – в виде довольно устойчивого тренда повышения концентрации экономической деятельности в областных центрах и окружающих их районах. Еще более контрастной является дифференциация развития на уровне административных районов и небольших городов, в трети из которых длительное время уменьшается как экономическая активность, так и численность населения. Следует отметить, что межрегиональные диспропорции сдерживались медленным развитием страны в последнее десятилетие в целом [7]. И если наличие экономических диспропорций между регионами само по себе не является чем-то критичным, поскольку такие отличия объективно существуют в большинстве стран с значительными территориями, то сам факт несоответствия между экономической мощью региона и показателями качества жизни населения украинские исследователи-регионалисты называют «украинским феноменом». Так, например, в наиболее развитых регионах страны, которые являются лидерами по показателям ВВП на душу населения, объемов промышленного производства и экспорта, наблюдаются наиболее острые социальные та экологические проблемы [3, с.172].

Так же особого внимания заслуживают вопросы определения приоритетов развития каждого региона и согласования интересов регионов при формировании отраслевых политик, региональной и макроэкономической политики. Поскольку именно стратегия определяет перспективы развития региона, на этапе ее формирования должны быть четко определены соответствующие цели и меры по их реализации. Если интересы региона будут учтены и согласованы с интересами других регионов и страны в целом, это обязательно будет способствовать как обеспечению стабильности развития региона, так и создаст предпосылки к экономическому росту в масштабах всей экономики. При этом, в процессе разработки государственной региональной политики следует учитывать тот факт, что прямая бюджетная поддержка всех регионов невозможна, соответственно, источники роста следует искать на региональном и местном уровнях, опираясь на территориальные общины и их объединения, местное самоуправление и предпринимательские структуры, создавая для них благоприятные условия для решения региональных проблем [3, с.176-177].

На практике, часто уже на этапе разработки региональной политики и стратегии регионального развития возникают противоречия, поскольку не только не всегда учитываются интересы конкретных регионов, но и не всегда грамотно используются теоретическая база. Региональная политика является одним из конструктивных инструментов государственного управления. Её действенность и эффективность во многом зависит от надёжности и прогрессивности теоретико-методологического обеспечения. Однако, при ее формировании не следует опираться на отдельно взятую теорию или концепцию. Наличие различных подходов к исследованию регионального развития доказывает, что теории регионального развития являются эволюционно-обусловленными, поскольку эволюционируют вместе с изменениями социально-экономических условий. Более того, каждая теория формируется в социально-экономических условиях определенного региона, а ее развитие обусловлено особыми региональными процессами [4, с.9-12].

Безусловно, теории регионального развития имеют прикладной характер. Большинство из них отстаивают тезис, что достижение высших социально-экономических показателей, динамика региональных систем в значительной степени зависят от качества управления, а не ресурсного потенциала. Соответственно, основательный анализ теорий регионального развития является залогом формирования и реализации эффективной региональной политики.

Так, например, если опираться на подход, представленный В.Е. Реутовым и Н.З. Головченко, который основывается на ретроспективном анализе основных теорий региональной экономики, можно объединить их в три группы: традиционные, технологические и общественно-исторические [5, с.17-22]. В зависимости от того, какая из этих теорий будет взята за основу, такой подход и будет положен в основу государственной региональной политики.

Если в основе региональной политики будут лежать традиционные теории (такие как региональные интерпретации неоклассических и посткейнсианских теорий и теории несбалансированного роста), то региональная политика в условиях рыночной экономики будет сводиться к устранению препятствий для свободного перемещения рабочей силы и капитала между регионами, основываясь на неоклассической теории. Или же к государственному регулированию межрегиональных различий с помощью таких инструментов как субсидии, кредитные и налоговые рычаги, основываясь на посткейнсианской теории. Если же региональная политика будет базироваться на теории несбалансированного развития, практика реализации будет иметь противоположные результаты, поскольку рынок без государственного регулирования усиливает региональные различия и только закрепляет высокий уровень развития одних регионов и экономическое отставание других. Основными недостатками всех теорий, объединенных в данную группу, является их неточность, поскольку они базируются на значительном количестве предположений, а также не учитывают средние и долгосрочные тенденции общественно-исторического развития.

В случае, если основой региональной политики станут технологические теории (такие как региональные интерпретации теории жизненного цикла товара, теории «длинных волн» и теории регулирования), то государственная региональная политика может быть направлена, например, на поддержание определенных регионов путем содействия в создании инновационной инфраструктуры, которая будет способна генерировать новые продукты, своевременно освобождаясь от устаревших производств, основываясь на теории жизненного цикла товара. Основным недостатком всех технологических теорий, который следует брать во внимание, состоит в том, что они не способны дать четкие рекомендации для решения ими идентифицированных межрегиональных проблем.

Общей проблемой всех общественно-исторических региональных теорий, которые рассматривают региональное развитие с точки зрения социальных конфликтов и противоречий между центром и периферией, является сомнительный характер их практических рекомендаций, которые касаются не столько решения региональных проблем, сколько проблем трудоустройства всего общества. По большому счету они только указывают на неспособность рынка справиться с региональными проблемами, рассматривая процесс столкновения политических по форме, а по сути экономических общенациональных и региональных интересов. Имея значительные ограничения, на такие теоретические подходы не целесообразно опираться при формировании региональной политики [2, с.68-79].

Современные теории развития региона опираются на достижения макроэкономики, микроэкономики, институциональной экономики и других направлений современной экономической науки. Сходство региона и национальной экономики определяет возможности применения для региона макроэкономических теорий (неоклассических, неокейнсианских и др.). По определению А.Г. Гранберга наибольшее распространения получили четыре парадигмы региона: регион как квазигосударство, регион как квазикорпорация, регион как рынок, регион как социум [1]. Современные теории региональной макроэкономики наиболее соответствуют парадигме «регион как квазигосударство», одновременно, методология микроэкономического анализа больше соответствует подходам «регион как квазикорпорация» и «регион как рынок». Микроэкономические теории следует использовать в случаях более детальной проработки внутренних различий регионов. На практике первые три парадигмы отображают проблему рыночного саморегулирования, государственного регулирования и социального контролера, четвертая отображает процесс формирования социополисов, которые нацелены на решение

**გლობალიზაცია და მულტიკულტურული ფაქტორების როლი
ღია ინოვაციური პროცესის რეგულირებაში**

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: shengelia.temur@gmail.com)

ეროვნული და ბიზნესკულტურა, როგორც ინოვაციების კონტაქტი


გლობალიზაციის ეპოქაში ინოვაციური განვითარება მიჩნეულია ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. საქართველოს დამკვიდრება დასავლეთის ბაზრებზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციური პროდუქციის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ აზიის წამყვანი ქვეყნების (ჩინეთი, ჰონ-კონგი, ტაივანი, სინგაპური) გამოცდილებას, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მათი „ეკონომიკური სასწაულის“ საწინდარი არა მხოლოდ ღია, ლიბერალური ეკონომიკა, არამედ ინოვაციური პოლიტიკაცაა. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ამ ქვეყნებში უპირატესად წარმართება ტექნოლოგიურ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან ღრმა ინოვაციური ეფექტით. ორიენტაცია იმ დარგებზე, რომლებიც ხასიათდებიან სწრაფი ეკონომიკური შედეგებით (მაგ. ტურიზმი) არ იძლევა ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტისა და ინვესტიციების სწორი მიზნობრივი განაწილების შესაძლებლობას. ამიტომაც არის, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლებითა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მზარდი დინამიკით გამოირჩევიან, მომსახურების სფეროსთან ერთად პრიორიტეტულ ადგილს იმკვიდრებს მეცნიერებატევადი დარგები (მაგ. შვეიცარია, რომელიც ტურიზმთან ერთად მაღალ შემოსავლებს ღებულობს ინოვაციური პროდუქციისაგან: ელექტრონიკა, საათები, ტელეკომუნიკაცია).

საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის დაბალი მახასიათებლის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის უსისტემო რეფორმები, რომლებიც XX-საუკუნის 90-იანი წლებიდან ტარდება და რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის გამოშვება, ტექნოლოგიური დეგრადაცია. ამით არის მოტივირებული ის, რომ ქვეყანა ფაქტობრივად მომსახურების დარგებიდან მიღებული შემოსავლების იმედად დარჩა. საექსპორტო პოტენციალში ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო პროგრესირებად დარგად მიჩნეულია ტურიზმი, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა სავალუტო რეზერვების შევსებისა და ქვეყნის სავალუტო სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

არასახარბიელო საქართველოს პოზიციები ინოვაციათა გლობალურ ინდექსში. 2017 წლის „ინოვაციების გლობალურ ინდექსში“ მსოფლიოს 127 ქვეყანას შორის საქართველო 34 ქულით 68-ე პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის ინდექსთან შედარებით, საქართველო ოთხი პოზიციით დაქვეითდა. კორნელის უნივერსიტეტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ინდექსი 82 კომპონენტისგან შედგება. აქედან 7 ძირითადია: ინსტიტუციები, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარების დონე, ბიზნესის განვითარების დონე, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითი მიღწევები. ინსტიტუციების კომპონენტში საქართველო 47-ე, ბიზნესგარემოს ნაწილში - 53-ე, ბიზნესის წამოწყების სიმარტივით მე-8, გადასახადების გადახდის სიმარტივით - 20-ე ადგილზე, ადამიანური კაპიტალისა და კვლევის კომპონენტში - საქართველოს 89-ე, ინფრასტრუქტურა - 74-ე, ბაზრის განვითარების დონით - 53-ე, ბიზნესის განვითარების დონით - 101-ე, ცოდნა და ტექნოლოგიებით - 54-ე, შემოქმედებითი მიღწევებით - 69-ე პოზიციაზეა. „გლობალური ინოვაციების ინდექსის“ პირველ ხუთეულში აღმოჩნდნენ შვეიცარია, შვედეთი, ნიდერლანდები, აშშ და დიდი ბრიტანეთი. რაც შეეხება მეშობელ ქვეყნებს, სომხეთი რეიტინგში 59-ე, აზერბაიჯანი - 82-ე, თურქეთი - 43-ე, რუსეთი - 45-ე, უკრაინა კი 50-ე ადგილზეა [1].


სურათი 1

GII ინდექსის შემადგენელი კომპონენტების დინამიკა საქართველოსთვის



წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი. www.bpn.ge/ekonomika

სურათი 2: საქართველოს 2016 წლის შედეგები - ინოვაციების გლობალური ინდექსი



წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი. www.bpn.ge/ekonomika

ინოვაციების გლობალური ინდექსი ორ ქვეინდექსს მოიცავს: ინოვაციების დანახარგები (innovation input) და ინოვაციური პროდუქცია, რითაც ღვინდება ინოვაციური ეფექტიანობის კოეფიციენტი. ინოვაციების დანახარგების ქვეინდექსი პირველი ხუთი ინდიკატორის (ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი/კვლევა, ინფრასტრუქტურა, ბაზრისა და ბიზნესის განვითარება) საშუალო ქულაა. ინოვაციური პროდუქცია კი ბოლო ორი ინდიკატორის (შემოქმედებითი პროდუქცია და ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება) საშუალო მაჩვენებელია. ინოვაციების ეფექტიანობის კოეფიციენტი ინოვაციური პროდუქციის ინოვაციების დანახარგებთან თანაფარდობით გამოითვლება. მისი მაჩვენებელი 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 1 არის საუკეთესო ქულა.

ინოვაციური პროდუქციის კრიტერიუმით საქართველო 26.7 ქულით მე-60 ადგილს იკავებს; ინოვაციებზე მოსული დანახარგებით კი 41 ქულით 67-ე ადგილზეა. შედეგად, ქვეყნის ინოვაციური ეფექტიანობის კოეფიციენტმა 0.7 შეადგინა, რითიც 128 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე ვიმყოფებით.

ქვეყნების ინოვაციურობის თვალსაზრისით გამოყოფილია ძლიერი და სუსტი მხარეები. საქართველოს შემთხვევაში ძლიერ მხარეებად დასახელებულია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე (97.8 ქულით მე-6 ადგილი); ტარიფების განაკვეთი (95.7 ქულით მე-5 ადგილი); კრედიტის აღების სიმარტივე (85 ქულით მე-7 ადგილი); ბეჭდვითი და საგამომცემლო პროდუქცია (83.2 ქულით მე-4 ადგილი); მცირე აქციონერთა ინტერესების დაცვა (68.3 ქულით მე-20 ადგილი); პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა მშპ-სთან მიმართებაში (66.8 ქულით მე-10 ადგილი). ქვეყნის სუსტი მხარეებია: უნივერსიტეტებისა და კომპანიების/კერძო ბიზნესის თანამშრომლობის ხარისხი (27.3 ქულით 117-ე ადგილი); განათლებაზე გაწეული ხარჯები (10.4 ქულით მე-115 ადგილი); კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები (1.3 ქულით 103-ე ადგილი); კერძო კომპანიების მიერ საკუთარი თანამშრომლების გადამზადებისთვის საჭირო ტრენინგების შეთავაზება (9.4 ქულით 91-ე ადგილი); ქვეყნის პირველი სამი უნივერსიტეტის ადგილი მსოფლიო რეიტინგში (0 ქულა და ბოლო ადგილი მსოფლიოს სხვა 56 ქვეყანასთან ერთად) [1].

საქართველოში ინოვაციების ქვეშ, როგორც წესი, ესმით ტექნიკური ინოვაციები. თუმცა, ისინი მხოლოდ საერთო ინოვაციური პროცესის ნაწილია და როგორც პრაქტიკა მეტყველებს, არ შეიძლება წარმატებული იყვნენ ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური პროცესების გათვალისწინების გარეშე.

ტექნიკური ინოვაციების პრობლემა დღეს სცილდება ახალი პროდუქტების განვითარების ჩარჩოებს, აქცენტი გადატანილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბიზნეს მოდელი, კორპორაციული სტრუქტურა, ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის, მომსახურება, ბრენდი, დამკვეთის გამოცდილება [2., გვ. 8]. ინოვაცია რომლის ცენტრში - ახალი პროდუქტია შეუძლებელია განხორციელდეს მარკეტინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ორგანიზაციული, სოციალურ-კულტურული, ფინანსური პრობლემების გადაჭრის გარეშე. გლობალიზებულ ბიზნესგარემოში ღია ინოვაციური პროცესი მოითხოვს ინოვაციების უფრო ფართო და ინკლუზიური განხილვას, ვიდრე ტრადიციულად მიღებულია საქართველოში. ამ პროცესისადმი ინტეგრირებული, მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მიდგომა საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ მრავალ შეკითხვას, რომელიც საქართველოს რეალობის გათვალისწინებით აქტუალურია.

ინოვაციური პროცესი გულისხმობს ინოვაციათა შექმნის ეტაპობრიობას. ცნობილი მეცნიერი მ. მაქკელნი [3, გვ. 341] წარმოგვიდგენს ინოვაციური პროცესის შემდეგ ეტაპებს:

იდევას - იდეის დანაწილებას - მის პრაქტიკულ რეალიზაციას - სიახლის შექმნას

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

როგორც ამ სქემიდან ჩანს, გლობალიზაციის პირობებში ინოვაციურმა პროცესმა შეიძლება მოიცვას რამდენიმე ორგანიზაცია. შესაბამისად, ინოვაცია რომელიც ხორციელდება ერთი ორგანიზაციის მიერ - ლოკალურია, ხოლო ის, რომელიც ხორციელდება რამდენიმე გლობალური ორგანიზაციის მიერ ღიაა. ამ სქემიდან ჩანს, რომ თანამედროვე პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციები ხასიათდებიან ინოვაციების დარგში ურთიერთანამშრომლობისა და კოორდინაციის მაღალი დონით და ორიენტაციას იღებენ ღია (საერთაშორისო) ინოვაციებზე, რაც ერთის მხრივ არის ტექნოლოგიური პროგრესის, ხოლო მეორეს მხრივ მოგების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო.

ამდენად, ღია ინოვაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული, თანამედროვე საბაზრო პირობების მქონე ქვეყნებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მაღალი ხარისხით. საქართველო ასეთ ქვეყანათა რიცხვს არ მიეკუთვნება, რაც წარმოადგენს იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ ის ფაქტობრივად არ მონაწილეობს ღია ინოვაციურ პროცესში, რის გამოც იზღუდება ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორიდან ქვეყნის შემოსავლების შესვლის შესაძლებლობა. ცხადია ისიც, რომ ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობს ინოვაციურ ქვეყნებსა და საქართველოს შორის, განსაზღვრავს მის პერიფერიულ ადგილს მსოფლიოს ტექნოლოგიურ განვითარებაში. უახლოეს პერსპექტივაში, არსებული ინოვაციური პოტენციალით საქართველოს დასჭირდება 30-40 წელი იმისთვის, რომ ტექნოლოგიური განვითარების დონით გაუტოლდეს განვითარებულ ქვეყნებს.

მეცნიერს კ. ჩესბროუს [4., გვ. 403] სწორად მიაჩნია, რომ ღია ინოვაციები ბევრად არის „დამოკიდებული იდეებისა და ტექნოლოგიის საშუალო ბაზრების განვითარებაზე“. საქართველოში ასეთი საშუალო ბაზარი არა თუ განვითარებული, არამედ ფორმირებულიც კი არ არის. ღია ინოვაციების ბიზნესმოდელები განპირობებულია ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორცაა ბაზრების გლობალიზაცია და გლობალური კონკურენცია, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შემცირება, ახალი ტექნოლოგიების შექმნის მზარდი სირთულე (შესაბამისად იზრდება ხარჯები და რისკები), ტექნოლოგიების, პერსონალისა და ფინანსური გადაწყვეტილებების ბაზრების განვითარება. თანამედროვე პირობებში ინოვაციები კვეთენ საზღვრებს, ისინი განსხვავებულ კულტურულ გარემოში იბადებიან და ვითარდებიან. შესაბამისად, ინოვაციური პროცესის კულტურული შემადგენელი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

საქართველოში ინოვაციური პროცესის ყველაზე განხილვად თემებად მიჩნეულია: ინსტიტუტები; ფინანსები; მე-ნეჯმენტი, პერსონალი, ტექნოლოგია, ინტელექტუალური საკუთრების უფლება, ხოლო კულტურის ფაქტორი მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლებად შესწავლილია. ეროვნული და ბიზნეს კულტურა, როგორც ინოვაციის კონტექსტი - თითქმის არ განიხილება. ეს მოტივირებულია იმითაც, რომ ინოვაციების ტექნოლოგიური კომპონენტი უფრო მნიშვნელოვანადაა მიჩნეული, ვიდრე ჰუმანიტარული. ამავდროულად, ბაზრების, დარგების და ინოვაციების გლობალიზაციის კონტექსტში ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორების გათვალისწინება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორები

ინოვაციაში ტექნიკურ შემადგენელთან ერთად მნიშვნელოვანია კულტურული საწყისი. კულტურა განსაზღვრავს ინოვაციური პროცესის სპეციფიკასა და თავისებურებებს. ღია ინოვაციური პროცესის წარმატება მოითხოვს ერების მულტიკულტურული თავისებურებების გათვალისწინებას, სახელმწიფოს დომინანტი ფუნქციის სწორ აღქმას, ინოვაციებისადმი რელიგიური მიდგომების შესწავლას. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლ.ჰარისონი სწავლობდა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების კულტურულ თავისებურებებს. მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნებში გაბატონებულ სილარბებსა და უსამართლობას ღრმა კულტურული ფესვები აქვს და ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურის ისეთმა დეტერმინანტმა, როგორცაა რელიგია. „მოგიერთი რელიგია უკეთ არის ორიენტირებული პერსონალურ პასუხისმგებლობაზე, მენარმეობაზე, განათლებაზე და ნდობაზე ვიდრე სხვები. რაც შეეხება დემოკრატიას, კეთილდღეობასა და კანონის უზენაესობას, პროტესტანტული საზოგადოებები, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნები (დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია და შვედეთი) მნიშვნელოვნად უსწრებენ კათოლიკურ ერებს. კონფუციურმა საზოგადოებებმა (იაპონია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩინეთი) მიაღწიეს ტრანსფორმაციულ ეკონომიკურ ზრდას. ისლამური ქვეყნები, თუნდაც ნავთობით მდიდარ რეგიონებში, კვლავაც გამოირჩევიან ეკონომიკური შენელების ტემპით“ [5., გვ. 134]. რელიგიის ფაქტორით შეიძლება აიხსნას ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი, რაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაასაბუთა ცნობილმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა თავის ნაშრომში: „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (Weber, Max *The Protestant Ethic and "The Spirit of Capitalism"*. Roxbury Publ. Co. 2002). საეკლესიო რეფორმაციამ, რომელიც შთაგონებული იყო კალვინიზმის, ლუთერანიზმის იდეებით, გამოიწვია ევროპის ეკონომიკის ძლიერი და პროგრესული ბიძგი. ლ.ჰარისონი, რომელიც კაპიტალიზმს დემოკრატიასა და თავისუფლებით უკავშირებს, ასევე გამოყოფს ორთოდოქსული ეკლესიის როლს, რომელმაც ხელი შეუწყო ანტი-კაპიტალისტურ ტენდენციებს მართმადიდებლურ ქვეყნებში, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა ამ რეგიონების ინოვაციურობაზე [5., გვ. 108].

ლ. ჰარისონის მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში (რამდენიმე თაობის ცვლას) შეუძლია განავითაროს კულტურა - რაც თავის მხრივ გამოიწვევს პოლიტიკურ პლურალიზმს და ეკონომიკურ განვითარებას. ცვლილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებია: 1) განათლება, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიულ და სამენარმეო ღირებულებების განვითარებას; 2) ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესება; 3) რელიგიური რეფორმა [5., გვ. 132].

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა ინოვაციებისადმი რემისტენტულია. ის ეწინააღმდეგება პროგრესს. ქვეყნის საბაზისო სამართლებრივი, ეკონომიკური, დემოკრატიული პირობები არ შესაბამისა ქვეყნის კულტურულ-

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ლი რეფორმაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოთხოვნებს.

The innovative process is cyclical. It includes researches, innovative invention and investment. Innovation is a necessary condition for sustainable growth and development of the country and for economic security. His favored development created the basis for the establishment of high economic order in the modern world. The process of improving the innovative economy gave a strong push to economic development.

Key words: *Innovation; Development; Economic Security*

ლიტერატურა

- აბესაძე რ., პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა, თბ. თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებული. 2016. 3-8 გვ
- ასათიანი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეგულირების სისტემაში, თბ. თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებული. 2016. 22-26 გვ.
- კაკულია ე., ინოვაციების როლი ეკონომიკაში. თბ. „სიახლე“ 2014. 204 გვ.
- www.chelt.ru2001/12/uzbashianz-12.html
- Жданова О. А. Роль Иновации в Современной Экономике. Экономика, Управление, Финансы: материалы междунар. Науч. Конф. (г. Пермь июнь 2011г.). – Пермь: Меркурий, 2011 216-221гг.

სექცია: ბიზნესის მენეჯმენტი, მარკეტინგი და ინოვაციები
Section: BUSINESS MANAGEMENT, MARKETING AND INNOVATIONS

სახელმწიფო მოხელეს სჭირდება მენეჯერული აზროვნება

თამაზი გამსახურდია

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ. ფოსტა: gamsaxurdiatamaz@gmail.com)

ქვეყანაში ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ხელისუფლებაში მყოფი სახელმწიფო მოხელეების ეფექტურ მენეჯერულ გადაწყვეტილებებზე, გააზრებულ გონებრივ და ფიზიკურ შრომაზე. შემოქმედებით, ნოვაციების მუდვივ ძიებაში მყოფ ადამიანებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმავლობის საქმეში.

ჩვენი საგვალალოდ, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი კრიტიკულ ზღვარზეა. ამის მიზეზად მიგვაჩნია ქვეყანაში მოუგვარებელი პრობლემები, ისეთი, როგორცაა ეკონომიკის განვითარების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების (შრომის, უსაფრთხოების, სამართლიანობის, დასვენების, ჯანდაცვის, დამსახურებული პენსიის და სხვა), და ინფრასტრუქტურის დაბალი დონე. ამ ფონზე იზრდება მიგრაცია, იცლება სოფელი, მთლიანად რეგიონი, უჭირს ქალაქს. ქვეყნის დემოგრაფიული სურათი კატასტროფის ზღვარზეა. ადამიანები კარგავენ მომავლის რწმენას და მათში მკვიდრდება ნიჰილიზმი. თანდათან იკვრება ჯადოსნური წრე, რომლის დაძლევა და მისი გამოსწორება მალე შეუძლებელი იქნება.

რა მდგომარეობაა დღეს სახელმწიფოში და როგორ მართავენ ხელისუფლების მესვეურნი ქვეყანას? ჩვენი დაკვირვებით, სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფ მოხელეებს მოეთხოვებათ შესაბამისი კომპეტენციის უფრო მაღალი დონე. ამას სჭირდება მათი მაღალი პროფესიონალიზმი, რომელიც მიიღწევა ხანგრძლივი სწავლითა და გამოცდილებით. ცხადია, რომ გამოცდილი და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უფრო ეფექტური იქნება ქვეყნისთვის. გამოცდილი და არაკომპეტენტური თანამდებობის პირის ქმედებები, ხშირ შემთხვევაში, კრახით სრულდება და უარყოფით ფონს ქმნის საზოგადოებაში, რაც ძვირად უჯდება ქვეყანას.

ხელისუფლება მუდმივად დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ძირითადად დაკომპლექტდეს გამოცდილი, კვალიფიციური და არა უნიათო, პარტიული ნიშნით არჩეული ვაი სპეციალისტებით. ჟან-ჟაკ რუსო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე ხელისუფლება უუნაროთა ხელში“. ასეთ პირობებში ქვეყანა და საზოგადოება მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ასეთი არაკომპეტენტური მართვის შედეგად მძიმე ეკონომიკური ფონი შეიქმნა ქვეყანაში, დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. შედეგად მივიღეთ დანგრეული ინფრასტრუქტურა, განადგურებული ფლორა და ფაუნა, გაპარტახებული სამეწარმეო საქმიანობა, გაჩანაგებული ბიზნესი, უმუშევრობა, მათხოვრული ცხოვრების პირობები.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ქართველი ვაცი გაბარმაცდა, ხელი აიღო სინდისზე, მიწას ზურგი აქცია, მაშინ, როცა მიწას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ყველამ კარგად იცის, რომ მიწის აგრონესით დამუშავების შედეგად აღებული ბიოლოგიურად სუფთა ნატურალურ პროდუქტს, მაგრამ მიზეზთა გამო ამის გაკეთება არ სურთ. ჩვენი წინაპრები სამშობლოზე უფრო მეტად მოფიქრალი და მშრომელი ადამიანები იყვნენ, ვიდრე დღევანდელი თაობაა. ქვეყანას მართავდნენ გონივრულად, იღებდნენ სწორ და რაციონალურ გადაწყვეტილებებს, რომ მეტი სარგებელი მოეტანათ ხალხისა და სამშობლოსთვის. პატრიოტიზმი ამოძრავებდა ქართველს, რომ დაეცვა დედასამშობლო, ყოველ მტკავალ მიწას უფრთხილდებოდა, ამუშავებდა, ხნავდა, თესავდა, მოყავდა მოსავალი. დღევანდელ ქართველს სული მისდის გაყიდოს უცხოელებზე ქართული მიწა და იმას არ ფიქრობენ, რომ მიწა ადამიანის მარჩენალია. ჯერ კიდევ სულმნათი ილია ამბობდა, ადამიანს ყველაფერი შეიძლება ეპატიოს მამა-პაპისეული მიწის გაყიდვის გარდა, რადგან მიწის გაყიდვა საკუთარი დედის გაყიდვას ნიშნავსო! დღევანდელ საქართველოში ან საერთოდ არ აინტერესებთ მიწა ან სიხარბის გამო იძენენ მას და დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ, ალბათ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორი მოგებით გაასხვისონ ის მომავალში. დღითიდღე საქართველოს ტერიტორია „შაგრენის ტყავივით“ მცირდება. ყველაფერი ეს ხელისუფლების ყურადღების შესუსტებისა და ხალხის წაყრუების შედეგია. ყოველივე ეს იმის შედეგაცაა, რომ ქვეყანაში მართვის მენეჯერული აზროვნების დეფიციტია. სწორედ ეს არის მიზეზთა მიზეზი იმისა, რომ წინ ვერ იწევს სამეწარმეო საქმიანობა, არ ვითარდება წარმოება, დასუსტდა და მერე თუ შესამე პლანზე გადავიდა მეცნიერება და განათლება, არ ვითარდება აგრარული მეურნეობა, უჭირს კულტურას და მთლიანად ქვეყანას. საუბედუროდ, სახელმწიფო და ხელისუფლება პრობლემების წარმოშობის მიზეზების პრევენციამდე კი არ ზრუნავს, არამედ, ცუდი მეხანძრეების მსგავსად, შედეგებს ებრძვის. ამ შემთხვევაში დიდ განმანათლებელს ვოლტერს თუ მოვიშველიებთ, შეგვიძლია ვთქვათ: „სახელმწიფოს აუძლურებს არა ფულის, არამედ ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა“. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ გამოუცდელი და არაკომპეტენტური ადამიანები არ მოხვდნენ მმართველობით სტრუქტურებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას არასდროს დაადგება საშველი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის რიგ სტრუქტურებში ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი დაბალკვალიფიციური გამოუცდელი ადამიანური რესურსების გამოყენებას, რამაც ქვეყანას და მის ხალხს სავალალო შედეგი მოუტანა. საჭარო სამსახურის იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე თა-

ნამდებობა უნდა ეკავოს სამშობლოსათვის გულანთებულ, კომპეტენტურ, გამოცდილ, კვალიფიციურ და ინტელექტუალურ პერსონალს, რომელსაც ძალა და უნარი შესწევს გადაჭრას მის კომპეტენციაში შემავალი სტრუქტურისა და ქვეყნის წინაშე არსებული გადაუდებელი პრობლემები. ნებისმიერი ჩინოვნიკი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის იმიჯის ამაღლებაზე, ღირსეულად ართმევდეს თავს დაკავებულ თანამდებობას, ფლობდეს შესაბამის კომპეტენციებს და გადაწყვეტილებების მიღებისას სარგებლობდეს არა კონიუნქტურული და პირადი მიზნებით, არამედ საქმისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ქვეყანაში სასურველი შედეგები მაშინ მიიღწევა, როცა თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში დამკვიდრდება სახელმწიფოებრივი აზროვნება და საკანონმდებლო დონეზე იქნება გათვალისწინებული თომას ჯეფერსონის ბრძნული შეგონება - „თანაბარი უფლებები ყველას, განსაკუთრებული პრივილეგიები არავის“. ქვეყანა მოიგებს მაშინ, როცა ადამიანური რესურსები გამოყენებული იქნება პატიოსნების, ცოდნის, პროფესიონალიზმის, მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილების, დამსახურების, ღირსებისა და არა სურვილის მიხედვით. თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული იქნებიან შეუბღალავი წარსულისა და რეპუტაციის, შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები, რომელთაც ეყვარებათ თავისი სამშობლო, არ ექნებათ გადაჭარბებული ამბიციები და მოჭარბებული მოთხოვნები პრივილეგიებზე. მაშინ საზოგადოებას არ გაუჩნდება ეჭვები ამ კანდიდატურის მიმართ. თანამდებობის პირის დანიშვნაში თუ არჩევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ხალხის აზრი. სახელწიფო მოხელეებმა თავი უნდა დაანებონ მოჭარბებული ამბიციების, ახლთახალი ჯიპების შეძენაზე, მიბაძონ ევრობის ქვეყნების ხელისუფლების მესვეურებს და თუ მაინცდამაინც ველოსიპედითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ ისარგებლებენ, ნაკლებ ბიუჯეტთან ტრანსპორტით მაინც ისარგებლონ. ისინი, იქ, მდიდარ ქვეყნებში, მკაცრად უფრთხილდებიან სახელმწიფოს ფულს. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი იქაური საშუალო უნივერსიტეტის ბიუჯეტზე ნაკლებიც რომ არის, ხელისუფლების მესვეური დაუმსახურებლად იღებენ სოლიდურ პრემიებს, ინიშნავენ დიდ პენსიებს, თანამდებობების პარალელურად იწყობენ პირად ბიზნესებს, ცხოვრების საუკეთესო პირობებს, თავიანთ შვილებს აგზავნიან საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ქვეყნის ხარჯზე. ჩვენ ისინი ამისათვის არ დაგვიქირავებია, უნდა დამტკიცდეს და მკაცრად გაკონტროლდეს საჭარო მოხელეების უფლება-მოვალეობები და ქვეყნის წესები, დამქირავებელს, ანუ ხალხს უფლება აქვს იცოდეს, სად და რა მიზნით იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტი. მათი შემოსავლები თანაბრად უნდა იყოს ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობასთან. ფრანგი მწერალი სტენდალი აღნიშნავდა - „დიდი ქონების უკან იმალება დანაშაული“ - თ.

ხელისუფლებაში დასაქმებული ჩინოვნიკები მუდამ ახალ-ახალი მიღწევებით უნდა იყვნენ დაკავებულნი, რათა თავიანთი გუნდის წევრებთან ერთად მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწიონ აღმშენებლობის საქმეში და არა საკუთარი მომხვეჭელობასა და აღზევებაში. მათი მუშაობა უნდა ფასდებოდეს არა მემდგომის სიამოვნების ხარისხით, არამედ იმით, თუ როგორ ასრულებს თავის მოვალეობებს, მათი მოღვაწეობის არიალში როგორ ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე, რამდენი პროცენტით შემცირდა უმუშევრობა, რამდენად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და სხვა. ისმის კითხვა, ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები, გრანტები ხმარდება თუ არა სამეწარმეო საქმიანობის, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას? დღევანდელი საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარებით 10 წლის წინანდელი თურქეთია და 20 წლის წინანდელი ესპანეთი და 30 წლის წინანდელი იტალია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია, რაც მოითხოვს მეტ ძალისხმევას აუცილებელი და მასშტაბური ეფექტური ეკონომიკური რეფორმების ჩატარებისთვის.

საქართველოში მიწა სრულად და ეფექტურად არ არის ათვისებული და გამოყენებული, კერძოდ, მიწის ძირითადი ნაწილი დაუმუშავებელია, ამის შედეგად წელიწადში 800 მილიონი დოლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი შემოაქვს ქვეყანას, რომელსაც, სულ მცირე, ორჯერ მეტის გატანა შეუძლია ექსპორტზე და თანაც უნიკალურად სუფთა პროდუქტის. ჩვენ მიერ მოტანილი არგუმენტები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არ ქმნის ფასეულობებს, ადამიანი მოღუნებულია, არ ფიქრობს, რათა შრომა გამოიყენოს ეფექტურად, რაც სარგებელს მოუტანს თავის თავსაც და ქვეყანასაც. პარადოქსია, როცა რესურსები გამოიყენება იგნორირებულია, ღმერთის მიერ ბოძებული მინერალური და სამკურნალო წყლები უქმად იღვრება, რომლის ფულად ღირებულებაში გადაიყვანის შემთხვევაში დანაკარგები მილიარდებს აჭარბებს. ქვეყანაში ადრე არსებული დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკები, სადაც ათათასობით ადამიანი ისვენებდა ახლა ან განადგურებულია, ან დევნილთა თავშესაფრადაა ქცეული. ისეთი კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, როგორც იყო მულახი, ლებარდე, ცაიში, მუხური, ახტალა, მენჯი, სქური, კვერეთი და მრავალი სხვა, რომლებიც ქვეყნისათვის უნიკალური და მაღალშემოსავლიანი რესურსია, დღესდღეობით იმდენად გაპარტახებულია, რომ იქით ვახარჯავთ ფინანსურ რესურსს მათ შენარჩუნებაზე და არა აღდგენა - რეაბილიტაციაზე. სანამ გვიან არ არის, ხელისუფლებამ უნდა მონახოს ფინანსური რესურსები, რათა უზრუნველყოს დანგრეული შენობების აღდგენა, როცა ადგილი აქვს ქვეყანაში ტურისტების დიდი რაოდენობით შემოდინებას, მათ არ უნდა დახვდეს აქ დანგრეული და გაპარტახებული შენობა-ნაგებობები, ეს არ არის პავლოვის სახლი ვოლგოგრადაში ან სოფელი ხატინი ბელორუსიაში, რასაც ვერ ვაშენებთ, ვიძულოთ მეპატრონეები, გაასუფთაონ მაინც ტერიტორიები, თორემ ტურისტი იფიქრებს, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მემორიალი ხო არ არისო.

არსებული სეროიზული კვლევების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე 1261 დასახელების სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება. უფლება არა გვაქვს, ვინმემ თქვას, ჩვენი ქვეყანა ღარიბიაო. საქართველოს თეორიულად აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ განვითარდეს მას შემდეგ, რაც ღრმად შევისწავლით ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს, ჩავაყენებთ მას ქვეყნის სამსახურში. ახლადარჩეულმა პარლამენტმა გააანალიზოს და გაითვალისწინოს წინა ხელისუფლების პარლამენტის მიერ დაშვებული შეცდომები, შექმნას ეფექტური საკანონმდებლო ბაზა, რომ შესაძლებელი გახდეს რეალური, პროგრესული რეფორმების ჩატარება მიზნების მისაღწევად. თუ გვიღდა ქვეყანა ძლიერი იყოს და ერი გადაარჩეს, საჭიროა დაუფლავი შრომა, თანადგომა, მიტევება, ერთგულება, ერთმანეთისთვის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. მოვიხმეთ იოანე ოქროპირის შეგონება - „უბედურება ის კი არაა, რომ წაიქცევი, უბედურება ისაა ადგომა რომ არ გინდა“. შეიძლება ადამინი წარუმატებელი იყოს, მაგრამ არ უნდა

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

შეეპოს, შრომით, ბრძოლით, გონიერი, საღად მოაზროვნე მენეჯერის მეშვეობით, მისი გათვლებით დაგძლევთ წინააღმდეგობებს და მივალნევთ შედეგებს.

ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია გონივრული და გათვლილი ნაბიჯების გადადგმა და პრაქტიკულ საქმიანობაში ისეთი ბერკეტების შემოღება, რომელიც მოტივირებულს გახდის სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, ხელისუფლების მიერ დადგენილი უნდა იყოს მენარმეებზე გრძელვადიანი კრედიტის დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემა. უნდა შეიქმნას ბიზნესის ხელშემწყობი ფონდები, რომლებიც რეალურად დაეხმარებიან დროებით ხელმოცარულ ბიზნესებს კრიზისიდან თავდაღწევაში. თუ ასეთი გზით არ იქნა ხელშემწყობა, სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება..

აღრე საქართველოს ყველა კუთხეში სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა მიტოვებული სახლები, გავერანებული ლამაზი გარემო ითხოვს მოვლა-პატრონობას. გული გეტკინებათ, რომ ნახოთ ქვემო და ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, სამეგრელოსა და სხვა რეგიონების სოფლების მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ბევრ სოფელში ინფრასტრუქტურაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ადგილობრივი მუნიციპალური მმართველობა ინერტულობას იჩენს. იშვიათობას წარმოადგენს, საკრებულოს დეპუტატი თავის სამოქმედო ოღქში დროგამოშვებით შეხვდეს მოსახლეობას, გაეცნოს მის მძიმე ყოფა-ცხოვრებას. მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა იფქროს და მათი მონაწილეობით შედგეს შესაბამისი პროექტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უბრუნველყოფს სოფლის ადღენა-აღორძინებას. ხელისუფლებამ უნდა შექმნას სპეციალური ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლების გაღარჩენის რეალურ პროექტის შემუშავებას.

თითოეული ქართველი დღენიადაგ მოფიქრალი და მზრუნველი უნდა იყოს თავისი სამშობლოსადმი, მამულიშვილური პათოსით უნდა იყოს გამსჭვალული და სიყვარულით იცავდეს და იბრძოდეს მისი მომავლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვეხოხება ჩვენი სათაყვანებელი საქართველო. დღეს ერი და ბერი უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ გამოვიდეს ქვეყანა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან. თითოეულმა მოქალაქემ ჩაიხედოს საკუთარ გულში და დაუსვას თავის თავს კითხვა - რას აკეთებს თავისთვის და ქვეყნისთვის. უმეტესობის პასუხი იქნება - არაფერს, სამუშაო ადღილი არა მაქვს, რა ვაკეთო?.. უმრავლესობას ავინყდება მიტოვებული სოფელი, კარგი სახლ-კარი, ათეული და ასეული დაუმუშავებელი ჰექტარი მიწა, ბალ-ვენახები. ნადგურდება უპატრონოდ მიტოვებული მამული, ხმება ხეხილი და მწვანე ნარგავები. აბა, ნახეთ ებრაელმა ერმა რას მიაღწია. მონღოლებით, შრომითა და სამშობლოს სიყვარულით აღაშენა და წალკოტად აქცია ხრიოკი უდაბნო. ებრაელი სახემწიფოებრივად ამროვნებს, ამიტომ მათი ქვეყანა განვითარების მაღალ დონეზე ავიდა. დღეს ისრაელის სახელმწიფო ანგარიშგასანევი ქვეყანაა მსოფლიოში. ამ პატარა და ახალგაზრდა ქვეყანამ არნახულ შედეგს მიაღწია. შექმნა უნიკალური ინფრასტრუქტურა, საუკეთესო შრომის პირობები, მოტივაცია, კარგი პირობები იმისათვის, რომ ნიჭიერმა ადამიანებს შეუქმნა შესაბამისი პირობები, რათა მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები. ქვეყანა იმართება გონივრულად, სახელმწიფო მოხელეები გამოირჩევიან მაღალი მენეჯერული ამროვნებით და ამიტომ მართვა არის ეფექტური, ადამიანები ცხოვრობენ კარგად და ლაღად.

ჩვენთან ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა ელის მშრომელი ადამიანის ხელს. ახლანდელმა ხელისუფლებამ დიდი შვება მისცა სოფლის მცხოვრებლებს. დაუხნა ათასობით ჰექტარი მიწა და უთხრა მოუარე და მიიღე მოსავალი. სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა ხელი არ გააჩდრია. ვინც შრომა არ დაიბარა, უხვი მოსავალი მიიღო. რა ხდება, რა არის მიზეზი? ხალხი ისე გამარმაცდა, ხელის განძრევა არ სურს, ხელისუფლებისგან ითხოვენ ყველაფერ იმას, რაც სჭირდება ადამიანს არსებობისთვის. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, ყველაფრით უბრუნველყოფს ზარმაცი ადამიანს. ქართველი კაცი მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს, იქ ურჩევნია მონად ემსახუროს უცხოელს, ვიდრე თავის ქვეყანაში შრომითა და ფუჟაცური საქმიანობით ისახელოს თავი. ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება ძირითადად დამოკიდებულია ხელისუფლებისა და მისი გუნდის მიერ სწორად გათვლილ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და, შესაბამისად, განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობაზე. ქვეყნის განვითარება უკეთესობისაკენ იქნება მიმართული, როცა ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული იქნება მაღალი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსი.

ABSTRACT CIVIL SERVANTS NEED MANAGERIAL THINKING

TAMAZ GAMSAKHURDIA

Academic Doctor of Economic Sciences, Associate Professor

Akaki Tsereteli State University

(E-mail: gamsaxurdiatamaz@gmail.com)

The paper discusses key issues related to strengthening the country's economy and improving the standard of living of the population, which could have a positive effect on effective decision-making, conscious mental and physical activity of civil servants, creative, people in constant search for innovations who make significant contribution to the country's progress.

It is emphasized that the international image of the country is at a critical point. The main reason for this lies in unresolved problems facing the country, namely low level of economic development, human labor, security, justice, recreation, health care, retirement pay and infrastructure. Thus, the government should be interested in involving upright and experienced professionals in central and local government rather than inept so-called specialists selected because of their political loyalty.

Key words: Managerial thinking; Innovations; Infrastructure; Competent; Entrepreneurial Activity; Human resources; Effectiveness

ინოვაციური ადამიანური კაპიტალი და მისი განვითარების თავისებურებები

მადონა გელაშვილი

ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: madigelashvili0761@gmail.com)

შესავალი

სამოგალოების განვითარებამ XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე წინ წამოწია ახალი მიზნები და ამოცანები, რომელიც ეფუძნება ფუნდამენტურად ახალი ტიპის განვითარებას, რაც ხასიათდება ტექნოლოგიური სტრუქტურების ცვლილებებით, სამოგალოებრივი წარმოების სფეროში მკვეთრად გამოიკვეთა მომსახურების, მეცნიერების და აგანათლების დარგების უპირატესობა. შეიცვალა ინდივიდის როლი სოციუმში - ის ინოვაციური იდეების გენერატორი და ინიციატორი გახდა და ამით უზრუნველყოფს ცოდნის გარდაქმნას ძირითად ეკონომიკურ ფაქტორად. პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, მხოლოდ მისი პერსონალური მახასიათებლები აღარ არის, ის გახდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე და ფაქტორი მისი განვითარებისათვის.

ქვეყნის შესაძლებლობები დაიკაოს წამყვანი პოზიციები გლობალური კონკურენციის პირობებში დიდ წილად განისაზღვრება ადამიანური კაპიტალის დონით მისმოსახლეობაში. ადამიანის, როგორც მომხმარებლის, მუდმივ სწარაფვას მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფს მაქსიმალური შემოსავალი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წარმატების მისაღწევად კი, სხვადასხვა ეპოქაში გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდები, რაზეც გავლენას შესაბამისი ეპოქის ისტორიულ მომენტში გაბატონებული იდეოლოგია ახდენდა, თანამედროვე პირობებში წარმატების წინაპირობად იქცა კონკურენტუნარიანი ცოდნა, რომელსაც კონკურენციის ხარისხით ვერ შეედრება ეკონომიკის ვერცერთი დარგი, მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მუდმივად ცვალებად სამყაროში, გლობალურ დონეზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საჭიროებს ინოვაციურ ადამიანურ კაპიტალს, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, და თავისი ძირითადი მახასიათებლებით შესაძლებელს გახდის ცოდნა გარდაქმნას სამოგალოებრივ ეკონომიკურ რესურსად. შესაბამისად, ქვეყნის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს სოციალური განვითარების იმ მეთოდოლოგიას, რომელიც საშუალებას აძლევს გათვალისწინებულ იქნას ამ სამოგალოების თავისებურებები ინოვაციური ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიის შემუშავებისას.

ცოდნის ეკონომიკა და ადამიანური კაპიტალი

ცოდნის (ინოვაციური) ეკონომიკა დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციის საბოლოო სტადიას. ტრადიციული მეურნეობა ანუ ინდუსტრიამდელი ეპოქა წინ უსწრებდა ინდუსტრიულ წარმოებას, რომელიც თავის მხრივ შეცვალა პოსტინდუსტრიულმა პერიოდმა და დღეს ხდება რესურსტევადი ტექნოლოგიების ხანა ცვლადი სამეცნიერო ტექნოლოგიებით, როგორც მიკრო-, ასევე მაკროდონეზე.

ცოდნის ეკონომიკა მზარდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე. თუ ადრეულ ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოთა კეთილდღეობას წარმოების ექსტენსიური ტიპი განსაზღვრავდა, უკვე გვიანი შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ეკონომიკური წარმატების საწინდარი გახდა შრომის წარმოების გააფხვება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც ცოდნის ქარხანა, იქცა ახალი ტექნოლოგიების, ნოვატორული იდეების გენერატორად და სულის ჩამდგმელად. თუ „დავესესხებით ნეოკლასიკურ თეორიას, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს კაპიტალის დაგროვებისა და სამუშაო ძალის ზრდის შედეგს წარმოების ხარჯების შემამცირებელი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან ერთად. ცოდნის ეკონომიკის გათვალისწინებით კი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანურ ფაქტორზე, რომელიც სანარმოო პროცესებში მონაწილეობს მუდმივად განახლებადი ცოდნის კაპიტალის სახით. ცოდნის ეკონომიკის კონცეპტუალურ საფუძველს პოსტინდუსტრიულ სამოგალოებაში წარმოადგენს ცოდნა და ადამიანური კაპიტალი, რომელთა ფუნქციონირების თავისებურებები დაფუძნებულია ძირითადად ორ ფუნდამენტალურ საფუძველზე: 1. ცოდნა წარმოადგენს უმთავრეს წარმოების ფაქტორს და გააჩნია ღირებულება; 2. ცოდნა და ადამიანური კაპიტალი სანარმოო კაპიტალია. რაც შეეხება და ახალი დაგროვილი ცოდნა და რაც უფრო შეესაბამება იგი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, მით უფრო მაღალია კაპიტალში შეფასებული ადამიანური ცოდნის მაჩვენებელი. [1.გვ. 1]

ახალი ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გენერირება ფაქტობრივად წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ცხადია, რომ ცოდნა და ადამიანური კაპიტალი ურთიერთდამოკიდებული კატეგორიებია: შექმნას ახალი ცოდნა და ეფექტიანად გამოიყენოს ეს ცოდნა - რეალობაში შეუძლია მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და განათლებულ სპეციალისტებს. აქედან გამომდინარე ადამიანური კაპიტალს ინოვაციურ ეკონომიკაში ენიჭება უმთავრესი ადგილი წარმოების ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, რადგანაც ადამიანური კაპიტალის განვითარების მაღალი დონე განსაზღვრავს კრეატიულობის მაღალ დონესაც, რაც თავის მხრივ აუცილებელია ახალი ცოდნის (ინოვაციის) შესაქმნელად. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე კარგა ხანია დაიწყო ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას შორის დამოკიდებულების შესწავლა. ართურ მედისონის (“კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალები” ავტორი), მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ას-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კენის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მთელს მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს. თუმცა მეტი წილი ე.წ. დიპლომიანი ადამიანებისა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ ასევე მთლიან შიდა პროდუქტში განათლების პროცენტული მაჩვენებლითა (საშუალოდ 5,75%) და უმაღლეს განათლებაზე განუული ხარჯის მიხედვითაც (საშუალოდ 10655 დოლარი ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში) [5. გვ.9]].

მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაც მეტია განათლებული ხალხის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით მაღალია ეკონომიკის დონე ამ ქვეყნებში. იმ მაგალითების რაოდენობა რომელიც ასაბუთებს პირდაპირ კავშირს ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომელიც მიღებულ იქნა სამეცნიერო კვლევებით და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას შორის, რომელიც მოცემული კვლევების გამოყენების საფუძველზე იქნა მიღებული, კიდევ უფრო ამყარებს იმ დებულებას, რომ მეცნიერება ინტეგრირებს ეკონომიკასთან და სამეცნიერო ცოდნა გენერირებს დამატებით ღირებულებას უფრო დიდი დოზით ვიდრე სხვა წარმოების ფაქტორები. სამეცნიერო ცოდნა, რომელიც მიიღება კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიყენება როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური პროდუქტების შესაქმნელად. ამდენად, განათლება და სამეცნიერო ცოდნა ქმნის დამატებით ღირებულებას და ამით ზრდის პროდუქტიულ აქტივებს. ეკონომიკის ნებისმიერი სუბიექტის კონკურენტული უპირატესობა მდგომარეობს მის ინოვაციურ აქტივობაში, ანუ შესაძლებლობაში განახორციელოს ახალი ცოდნის გენერირება ან ცოდნის გამოყენება ახალი მეთოდებით.

ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მატარებლის ფიზიკური და სულიერი სიმბუნებე დამოკიდებულია მრავალ სოციალურ ფაქტორზე – ჯანდაცვის, კულტურისა და დასვენების, კვების დონეზე. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის ფინანსირებას, რაც უცილობლად აისახება შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტურობის ზრდაში. სოციალურ მეცნიერებებში არსებობს ადამიანურ იკაპიტალის შესწავლის მთელი რიგი მიდგომები. ყველა ეს მიდგომა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ მიმდინარეობად: პირველი - ეს ის სამუშაოებია, რომელიც ეხება ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორე - სამუშაოები, რომლებშიც აქცენტი ადამიანის სრულყოფაზეა გადატანილი, ანუ მის ინტელექტუალურ და ფიზიკურ თვისებებზე. ჯგუფი თეორიებისა, რომელიც ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების ანალიზს მოიცავს, მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხისა (ა. ვემბელი, ს. კოული, ი. მაილზიდასხვ.) და მოსახლეობის ხარისხის კონცეფციებს (ი. პუბინი, ა. პეჩი და სხვა). ხოლო ჯგუფი თეორიებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის თვისებების სრულყოფას მიეკუთვნება „ადამიანური პოტენციალისა“ და „ადამიანური კაპიტალის“ კონცეფციებს. ყველა ისთეორია, რომელიც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში დაეფუძნება „ადამიანური კაპიტალის“ ცნებას, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) ეკონომიკური მიდგომა - რომელიც ეყრდნობა ადამიანური კაპიტალის ინდექსისა და ადამიანის განვითარების კვლევის კონცეფციებს; და 2) სოციოლოგიური მიდგომა - რომელიც ადამიანურ კაპიტალს განიხილავს როგორც ცალკეული ინდივიდუალური ჯგუფის თვისებას, რომელიც ახასიათებს სოციუმის განვითარების დონეს და მეთოდოლოგიური ინდივიდუალუმიზმის მომხრეები, რომლებიც ადამიანურ კაპიტალს განიხილავს ინდივიდუალურ მჭიდრო კავშირში.[6.გვ.8]

მსოფლიო ადამიანური კაპიტალი ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილია და მის 2/3-ს შეადგენს. ამჟამად ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის ბაზაზე შექმნილია და სრულყოფა ხდება აშშ-სა და წამყვანი ევროპული ქვეყნების განვითარების პარადიგმის. ამ თეორიის მიხედვით შვედეთმა მოახდინა თავისი ეკონომიკის მოდერნიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია დაიბრუნა. ფინეთმა კი დროის ისტორიულად მცირე მონაკვეთში მოახერხა ნედლეულის ეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა. ამ ქვეყანამ შექმნარა საკუთარი კონკურენტუნარიანი მაღალი ტექნოლოგიები, უარი არ უთქვამს თავისი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრის (ტყის) გადამუშავებაზე. ფინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის რეიტინგის მიხედვით. [7.გვ.11]

2012 წელს აშშ-ის ადამიანური კაპიტალის ღირებულებამ 97 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 78%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალის 26% მოდისაშშ-ზე (მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი ნაკლებია და 21%-ს შეადგენს), რუსეთზე - 8%, ჩინეთზე - 7%, ბრაზილიასა და ინდოეთზე - 2-2%, ევროკავში 67%-ს. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის შეადგენს 30%-ს, რუსეთისთვის - 50%-ს. უმეტესი ქვეყნებისათვის ადამიანური კაპიტალი აღემატება ეროვნული სიმდიდრის ნახევარს (გარდაოპეკ-ის ქვეყნებისა).

კვლევა და განვითარება საქართველოში

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულადპრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციისპროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებებისმქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები კარგადაა გამოკვეთილი-დოკუმენტი: „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია -საქართველო2020“, სადაც გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების პრიორიტეტები. მთავრობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზედაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.[2.გვ.7]

90-იანი წლების ბოლოსა და ორიათასი წლების დასაწყისში მიმდინარე ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური ვარდნა საქართველოში ნეგატიურად აისახა განათლებისა და მეცნიერების დარგებზეც, ამას დაემატა 2003-2012 წლებში განხორციელებული რადიკალური რეფორმები. საბოლოო ჯამში ქართული სამეცნიერო სფერო აღმოჩნდა ეგზისტენციალური პრობლემის წინაშე, რომელიც განპირობებული იყო ერთი მხრივ დაფინანსების შემცირებით, მეორე მხრივ კი - მედმივი სტრუქტურული ცვლილებებით, რომელთაც საფუძვლად ედო ოპტიმიზაციის არგუმენტი.

განათლების სექტორში რეფორმების დაგეგმვა 2005 წლიდან, ხოლო მათი აქტიურად დანერგვა 2007 წლიდან დაიწყო. საბიუჯეტო განაწილების კუთხით, სამუხაროდ, საქართველოში განათლების სფერო დღემდე კვლავ რჩება ნაკლებ პრიორიტეტულ მიმართულებად. ზოგადად განათლებაზე განეული ხარჯები ჩამოუვარდება სხვა პრიორიტეტული დარგების მაჩვენებლებს (დანახაჯები ზოგად საჯარო სერვისზე, სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკა, შიდა უსაფრთხოება და წესრიგი, თავდაცვა). განსაკუთრებით სავალალო იყო კვლევის დაფინანსება 2005-2011 წლებში, როდესაც მთლიან შიდა პროდუქტში მოცემული მაჩვენებლების ხვედრითი წილი თითქმის 2-ჯერ შემცირდა. ქვემოთ მოცემულ ცხრილი #1, მოცემულია სწორედ უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების დინამიკა მთლიან შიდა პროდუქტში, სადაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ტენდენცია 2011 წლიდან 2013 წლამდეც შენარჩუნებულია და სახეზეა მხოლოდ უნიშვნელო ზრდა.[2.გვ.15]

ცხრილი N1.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მშპ	11621000	13789900	16998600	19736700	17986000	20743400	24344000	26167300	27009200
უმაღლესი განათლების დაფინანსება	21702.7	33510	39690.1	47154.7	62967.6	61,731.9	60880.9	88332.9	81100
კვლევის დაფინანსება	20117.7	17361.2	22136.4	31495	27790.2	28,428.9	20,442.30	27793	35732
ჯამური	41820.4	50871.2	61826.5	78649.7	90757.8	90160.8	81323.2	116125.9	116832
უმაღლესი განათლების დაფინანსების % მშპ-ში	0.19%	0.24%	0.23%	0.24%	0.35%	0.30%	0.25%	0.34%	0.30%
კვლევის დაფინანსების % მშპ-ში	0.17%	0.13%	0.13%	0.16%	0.15%	0.14%	0.08%	0.11%	0.13%
ჯამური დაფინანსების წილი მშპ-ში	0.36%	0.37%	0.36%	0.40%	0.51%	0.44%	0.33%	0.44%	0.43%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013

2012 წლის მაჩვენებლის მიხედვით, განვითარებული ქვეყნები საშუალოდ მშპ-ს 1.4%-ს და ბიუჯეტის 3.1%-ს ხარჯვენ უმაღლეს განათლებასა და კვლევის დასაფინანსებლად. საქართველო კი იმავე წლის მონაცემებით მშპ-ს 0.5 პროცენტს და ბიუჯეტის 1.8 პროცენტს ხარჯავს ამ მიმართულებებზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინფრასტრუქტურა მოშლილია, სამეცნიერო ინსტიტუტებში ცოდნა მოძველებულია და ფაქტობრივად თავიდან არის შესაქმნელი ცოდნის კორპუსი და ამ ცოდნის მაგენერირებელი ინსტიტუტები, ასეთი მცირე დანახარჯებიმუდმივ ჩამორჩენილობას უქადის ამ სფეროებს, რაც ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის რგანვითარების პერსპექტივებს. ამ ფონზე საკმაოდ საგანგაშოა საქართველოს ადგილი ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, სადაც მოცემულია სახელმწიფოს მხარდაჭერის სურათი უმაღლეს განათლებასა და უსდ-ში განხორციელებულ კვლევებზე სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიხედვით.

სახელმწიფო დაფინანსება უმაღლეს განათლებასა და უსდ-ში განხორციელებულ კვლევებზე


ქვეყნები	სახელმწიფო ბიუჯეტის %	მშპ-ს %
ჩილე	3.9	0.9
ჩეხეთის რესპუბლიკა	2.2	1.0
დანია	4.2	2.4
ესტონეთი	3.0	1.2
ფინეთი	3.9	2.2
საფრანგეთი	2.3	1.3
კორეა	2.6	0.8
ნიდერლანდები	3.3	1.7
პოლონეთი	2.6	1.2
სლოვაკეთი	2.1	0.8
სლოვენია	2.7	1.4
ესპანეთი	2.5	1.2
შვედეთი	3.9	2.0
გაერთიანებული სამეფო	2.0	1.0
შვეიცარიული შტატები	3.3	1.4
რუსეთი	2.5	1.0
OERD (საშუალოდ)	3.1	1.4
ევროკავშირი (საშუალოდ)	2.7	1.4
საქართველო	1.8	0.5

წყარო: OECD, 2009; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2012

2014 წლის მდგომარეობით, განათლების სექტორის დაფინანსება გაზრდილია როგორც 2013, ასევე 2007 წელს შედარებით (8.4%-ით, 92.6%-ით შესაბამისად). 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუვლი ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 2.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მიმართ 9.2%-ი იყო. (იხ. სქემაN1)

სქემაN1

განათლების სექტორზე განუვლი ხარჯები მშპ-ს მიმართ, 2007-2014 წწ.



სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2007-2014 წლებში საქართველოს განათლების სექტორი, ისევე როგორც მისი კონტრიბუცია მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, მრავალი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2014 წლის მდგომარეობით, განათლების სექტორი 2.3-ჯერ, ხოლო მისი წილი მშპ-ში 1.2% პუნქტით არის გაზრდილი 2007 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში განათლების სექტორზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუვლი ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 2.9%-ი იყო, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს 0.01% პუნქტით, ხოლო 2007 წლისას 0.31% პუნქტით აღემატებოდა. 2015 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე განუვლი ხარჯები მშპ-ს მიმართ 2.7%-ი იყო. 2014 წლის განათლების სექტორზე განუვლი ხარჯების მაჩვენებელი 8.4%-ით აღემატება 2013 წლის, ხოლო 92.6%-ით - 2007 წლის მაჩვენებლებს. 2015 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით განათლების სექტორის დაფინანსება 15%-ით იყო გაზრდილი 2014 წელთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში განათლების სექტორზე განუვლი ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მიმართ 9.2%-ია, რაც 0.3% პუნქტით ჩამოუვარდება 2013 წლის, ხოლო 1.7% პუნქტით აღემატება 2007 წლის მაჩვენებლებს. ამდენად, 2007-2014 წლებში განათლების სექტორზე განუვლი ხარჯები მრავალი ტენდენციით ხასიათდებოდა და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია დღემდე, თუმცა ცალსახაა რომ უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საქართველო მნიშვნელოვნად ნაკლებს ხარჯავს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორც პროცენტულად, ასევე თანხობრივადაც. [3.გვ.15]

ჩვენი ამრით საქართველოს დღეისათვის გააჩნია მეცნიერული კვლევების შესაძლებლობის საკმაო პოტენციალი, სამეცნიერო სკოლა, ფართო საუნივერსიტეტო ქსელი, მაგრამ მიუხედავად ამისა გვაქვს ინოვაციური აქტივობის საკმაოდ დაბალი დონე. ინვესტიციებს განთლებასა და სამეცნიერო კვლევებს და მშპ-ს ზრდას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მთავარ ამოცანას უახლოესი პერსპექტივისათვის წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის განვითარების აქტივიზაცია. სწორედ ფირმის შესაძლებლობები აწარმოოს და რეალიზება განახორციელოს იმ პროდუქციისა, რომელიც ინოვაციური ცოდნის შედეგადაა შექმნილი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის განმსაზღვრელ ფაქტორს.

სახელმწიფო თავის მხრივ მხარს უნდა უჭერდეს და ეხმარებოდეს ბიზნესის ინოვაციური აქტივობის გაზრდას, კერძოდ: უნდა შეიმუშაოს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სტრატეგია, გამოიყენოს სტიმულირების სხვადასხვა მექანიზმები, ხელი შეუწყოს გრანტების მოპოვებას, დანერგოს საგადასახადო შეღავათები და სხვა.

დღეს საქართველოში შემუშავებულ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც არსებობს ამ მიმართულებით:

ქვეყანაში მეცნიერების ერთიანი განვითარების პოლიტიკის არ არსებობა, რომელიც ხელს უშლის სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრას და ზოგადად სამეცნიეროს ფეროს დაგეგმვას;

მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელის პრობლემატურობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი კვლევითი კლასტერების შექმნას და მდგრად ინსტიტუციურ განვითარებას. დღეს არსებული სამეცნიერო ინსტიტუტებისთვის უმთავრეს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კვლევითი გრანტები, რომელსაც გასცემს სახელმწიფო მასზე დაქვემდებარებული კვლევითი-სამეცნიერო ფონდის საშუალებით.

მეცნიერებაში ხალი კადრების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მეცნიერების დინამიკურ განვითარებას და ცოდნის გადაცემას;

სამეცნიერო პროდუქტებისა და ინოვაციების კომერციალიზაციის დაბალი დონე;

საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრაციის დაბალი დონე;

სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთმანეთში ინტეგრაციის დაბალი დონე.

ყველაფერს ამას ემატება საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ორგანიზების საკითხში არსებული მთავარი პრობლემა - მცოდნე და კეთილსინდისიერი სპეციალისტების უკმარისობა, ანუ ე. წ. ინოვაციური მენეჯერები, რომელთაც ხელთაქვს ეფექტიანი ინოვაციური წარმოება. ბევრ უცხოურ კომპანიაში უკვე არსებობს Chief Knowledge Officer, ე.წ. დირექტორი მეცნიერების დარგში. [6.გვ.18] მათ ფუნქციაში შედის კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის მაქსიმიზაცია „ცოდნის“ ფაქტორის გამოყენებით. ინოვაციური მენეჯმენტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს:

კომპანიის ინოვაციური სტრატეგიის ფორმირება;

კომპანიის ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება;

პროექტების შემუშავება და მათი მონიტორინგი;

კომპლექსური ინოვაციური პროცესების ორგანიზების უნარი მეცნიერების, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში.

დასკვნა

ადამიანური კაპიტალის განვითარების კუთხით არსებული ვითარება საქართველოში ვერ უზრუნველყოფს ახალი ინდუსტრიული დარგებისა და უკვე არსებული სექტორების განვითარებას. საჭიროა შეიქმნას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ახალი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საბიუჯეტო რესურსებით. მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს მეცნიერების და განათლების დაფინანსების მოდელები. უნდა შენარჩუნდეს საგრანტო სისტემა, თუმცა უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს პირდაპირი დაფინანსების მოდელები. ამასთან, მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მშპ-სა და ბიუჯეტში სულ მცირე უნდა გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. აგრეთვე, საჭიროა, სამეცნიერო სფეროდან წამოსული ინოვაციების შესაბამისი გადაღინების ხელშეწყობის სტრატეგიის შექმნა, რაც მისცემს საშუალებას ადგილობრივ მწარმოებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს მიიღონ სარგებელი თანამშრომლობით და ჰქონდეთ წვდომ ადამატებით რესურსებზე განვითარებისთვის.

ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ინოვაციების განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს შედეგებმა სწორედ იმ მიმართულებებით იკლო, რაც წინა წლებშიც ქვეყნის სისუსტეს წარმოადგენდა. კერძოდ, 100 ქულიდან 20-30 ქულას შორის მერყეობს საქართველოს მაჩვენებლები ადამიანური კაპიტალისა და განათლების, ბიზნესის განვითარების მდგომარეობის, ცოდნისა და ტექნოლოგიური წარმოების კრიტერიუმებში. მართალია ქვეყანას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა ინსტიტუციური მოწყობისა და მარეგულირებელი პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კერძოდ სექტორის განვითარების დონე და სამეცნიერო ბაზისი მაინც ჩამორჩება განვითარების გლობალურ ტენდენციებს.

პროგრესის მისაღწევად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას განათლებისა და კვლევის ანსავითარებლად. ასევე, სასურველია, კერძო ბიზნესის მეტი აქტიურობა ამ პროცესში, რაც ბიზნეს კონკურენციის ხელშეწყობითა და ინოვაციების დასაწერად წამახალისებელი ღონისძიებების გატარებითა შესაძლებელი.

ABSTRACT

INNOVATIVE HUMAN CAPITAL AND THE CHARACTERISTICS OF ITS DEVELOPMENT

MADONA GELASHVILI

Associate Professor

Sokhumi State University

(E-mail: madigelashvili0761@gmail.com)

Generating new knowledge and human capital is actually a necessary precondition for sustainable economic development. Obviously, knowledge and human capital are interdependent categories: create new knowledge and effectively use this knowledge - in reality only highly qualified and educated specialists. Hence, human capital is given an innovation in the innovative economy among the factors that affect the economic growth, as the high level of human capital development determines the high level of creativity, which in turn is essential for creating new knowledge (innovation). The main basis for human capital development is education. The main criterion for human capital development is expenditures in education. In the end, investments in human capital affect the prospects of development of the country.

Keywords: Human Capital, Innovative Economics, Knowledge, Education, Production Factor, Sustainable Development.

ლიტერატურა

1. ჯულაყიძე მ., „ადამიანური კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე“, ინტერნეტ ჟურნალი რეზონანსი, 2016წ.

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=27606

2. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2015წ.

3. საქართველოს ეროვნული ანგარიშები. სტატისტიკური კრებული. 2015წ., 2016წ.

4. საქართველოს ინოვაციების გლობალური ინდექსი. IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ანგარიში - 2016 წ.

5. Global Innovative Index 2016 Report. Available from: www.globalinnovationindex.org.

6. The Human Capital Report 2016. Available from: www.weforum.org.

7. Research and Development Expenditure 2014. Available from: www.uis.unesco.org.

ბიზნეს სექტორის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი

ნინო გრიგოლაია

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი


თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: ninini67@mail.ru)

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბიზნეს სექტორს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. ასევე მას დიდი წვლილი მიუძღვის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებაში და დასაქმების ზრდაში. საწარმოები ქმედით როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე.

მიმოვიხილოთ საქართველოს ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები, რაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ბიზნეს სექტორში არსებულ დღევანდელ მდგომარეობაზე.


ნახაზი 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

პირველ ნახაზზე გამოსახულია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 1999 წლიდან 2015 წლამდე მილიარდ ლარებში. ეს მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდება და განსაკუთრებულ ზრდას 2010-2011 წლებში მიაღწია, როდესაც 24.4 მილიარდიდან ბრუნვის მოცულობა 36.7 მილიარდამდე გაიზარდა. 2015 წლის მაჩვენებლით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობაა 57 მილიარდი ლარი.

ნახაზი 2.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მეორე ნახაზზე გამოსახულია ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება 1999-2015 წლებში მილიარდ ლარებში. საწყისი მაჩვენებელი, 1999 წელს, როგორც ვხედავთ, 2.1 მილიარდ ლარს შეადგენდა. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი წელი ტემპებით იზრდებოდა და განსაკუთრებულ ზრდის ტემპს, როგორც წინა შემთხვევაში იყო, აქაც 2010-2011 წლებში მიაღწია, როდესაც ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება 13.3 მილიარდი ლარიდან 19.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. 2015 წლის მდგომარეობით ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება შეადგენს 30 მილიარდ ლარს.

მესამე ნახაზი წარმოადგენს გვიქმნის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაზე 1999-2015 წლებში, გამოსახულს ათას კაცში. როგორც მე-3 ნახაზზე ვხედავთ, თავდაპირველად ბიზნეს სექტორში დასაქმებული იყო 379.4 ათასი კაცი. მომდევნო წლებში ამ მაჩვენებელმა კლება დაიწყო და 2003 წელს 297,8 ათასი კაცი შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების ისტორიის მანძილზე. 2003 წლის შემდგომ აღინიშნებოდა სექტორში დასაქმებულების ზრდა 2005 წლამდე, როდესაც დასაქმება იყო 388.9 ათასი კაცი

ნახაზი 3.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

შემდგომ კვლავ აღინიშნა ამ მაჩვენებლის კლება, რაც გამოწვეული იყო უკვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით და 2008 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ შეადგინა 349.3 ათასი კაცი. მომდევნო წლებიდან უკვე დაიწყო ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდა. მაქსიმალური ზრდა, აქვაც, დაფიქსირდა 2010-2011 წლებში და აღნიშნული მაჩვენებელი 397.8 ათასი კაციდან გაიზარდა 503.2 ათას კაცამდე. 2015 წლის მდგომარეობით, ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შეადგენს 626.7 ათას კაცს.

ნახაზი 4 აღწერს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიურ შრომის ანაზღაურებას 1999-2015 წლებში გამოსახულს ლარებში. როგორც ნახაზზე ვხედავთ, 1999 წელს ეს მაჩვენებელი მიზერული იყო და შეადგენდა 74 ლარს. მომდევნო წლებში აღინიშნა საშუალოთვიური ხელფასების მცირე, მაგრამ, მაინც ზრდის ტენდენცია. განსაკუთრებული ზრდით გამოირჩეოდა 2007-2008 წლები, როდესაც საშუალოთვიური ხელფასები 2007 წელს 382 ლარიდან 520 ლარამდე გაიზარდა 2008 წელს. მომდევნო წლებში საშუალოთვიური ხელფასები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2015 წლის მდგომარეობით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურებაა 897 ლარი.

ნახაზი 4.


ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ნახაზი 5

ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

რაც შეეხება ნახაზ 5-ს, იგი აღწერს ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებას 2006-2015 წლებში მილიარდ ლარებში. 2006 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 3.5 მილიარდი ლარი. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი ზრდის მუდმივი ტემპებით ხასიათდებოდა. განსაკუთრებულ ზრდას კი მიაღწია 2010-2011 წლებში, როდესაც 6.7 მილიარდი ლარიდან გაიზარდა 9.3 მილიარდ ლარამდე. 2015 წლის მდგომარეობით ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულების მაჩვენებელი შეადგენს 14.8 მილიარდ ლარს.

ნახაზი 6.

ბიზნეს სექტორში საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მეექვსე ნახაზზე გამოსახულია ბიზნეს სექტორში საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობა 2007-2015 წლებში მილიარდ ლარებში. როგორც მე-8 ნახაზზე ვხედავთ, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2007 წელს შეადგინა 13.7 მილიარდი ლარი. 2009 წელს წინა წილთან შედარებით შემცირების ტენდენცია გამოვლინდა და 15.2 მილიარდიდან 15 მილიარდამდე შემცირდა ბიზნეს სექტორში საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობა. შემდგომი წლები ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა. ზრდის განსაკუთრებულ ტემპს კი 2011-2012 წლებში მიაღწია შესაბამისად, ბიზნეს სექტორში საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა 28.5 მილიარდი ლარიდან 32.4 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. 2015 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს 41.2 მილიარდ ლარს.

ნახაზი 7.

ბიზნეს სექტორში გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მეშვიდე ნახაზი წარმოადგენს გვიქმნის ბიზნეს სექტორში გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების გაყიდვებზე 2007-2015 წლებში მილიარდ ლარებში. როგორც მე-7 ნახაზზე ვხედავთ, 2007 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 8.6 მილიარდი ლარი. 2009 წელს აღინიშნა ამ მაჩვენებლის წინა წელთან შედარებით კლება და იგი 10 მილიარდიდან 9.6 მილიარდამდე შემცირდა. მომდევნო წლები ბიზნეს სექტორში გასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვების ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით ეს ზრდა 2010-2011 წლებში დაფიქსირდა და 2010 წლის 11.8 მილიარდ ლარიანი მაჩვენებლიდან 18.6 მილიარდამდე გაიზარდა. 2015 წლის მდგომარეობით კი ბიზნეს სექტორში გასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვების მაჩვენებელი შეადგენს 26 მილიარდ ლარს.

მერვე ნახაზი გვიჩვენებს ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობას მილიარდ ლარებში 2006-2015 წლებში. როგორც ნახაზზე ვხედავთ, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2006 წელს შეადგინა 2.1 მილიარდი ლარი. 2008 და 2009 წლები კლების ტენდენციებით ხასიათდებოდა. 2008 წელს წინა წლის 2.6 მილიარდიდან აღნიშნული მაჩვენებელი 2.2 მილიარდამდე შემცირდა, ხოლო მომდევნო წელს არ გაზარდილა და დაფიქსირდა კვლავ იმავე ნიშნულზე. 2010 წელს მოხდა ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის ზრდა 3.2 მილიარდამდე, მაგრამ 2011 წელს ამ ზრდას კვლავ შემცირება მოჰყვა 2.6 მილიარდ ლარამდე. აღნიშნული განმეორდა 2014 წელსაც, როდესაც წინა წელთან შედარებით ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა 3.9 მილიარდიდან 3.6 მილიარდამდე შემცირდა. რაც შეეხება 2015 წელს, როგორც მეათე ნახაზზე ვხედავთ, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 4.3 მილიარდი ლარი. საბოლოოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა წლიდან წლამდე როგორც ზრდის, ასევე კლების ტენდენციებს ავლენდა, თუმცა ბოლო წლებში აშკარად ზრდად ტენდენციას ავლენს.

ნახაზი 8.

ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები ბიზნეს სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მიუხედავად ბიზნეს სექტორის განვითარებაში არსებული დადებითი ტენდენციების, მისი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე იდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის.

ABSTRACT
ANALYSIS OF THE CURRENT STATE OF DEVELOPMENT OF THE BUSINESS SECTOR

NINO GRIGOLAIA
Doctor of Economics, Professor
Tbilisi Open University
(E-mail: ninini67@mail.ru)

The business sector has great influence by the formation of the developed market economy. To the main driving force of the market economy - the entrepreneurs' sector, the state must create a favorable social, political, legal and market environment. The economic policy of the state, together with organizational and financial support, should promote the competitiveness improvement measures of correct enterprise policy and national production. Thus, the study and analysis of the economic policy of business development is becoming more and more important. The statistical information analyzed in the work shows positive trends in the development of the business sector, despite this, its economic policy of development should be directed towards the stimulation of entrepreneurial thinking, mood and promotion of ideas in this direction. Here is meant to increase the entrepreneurial thinking in the economy, increase the number of people who are willing to risk in the future.

Key words: Business Sector; Market Economy; Statistical Information

ლიტერატურა

ერქომიაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბილისი, 2016.

ერქომიაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., ფირმის ეკონომიკა. თბილისი, 2011.

ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში". თბ., 2009.

ჭასიდი ჯ., კომსელისი ა., მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი I-II. თსუ გამომცემლობა, 2009.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

www.geoeconomic.com

www.geostat.ge

www.rs.ge

ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიანი განხორციელების მეთოდები

ირმა დინამიანია¹, გიორგი ბერულავა²

1. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

2. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: irmadik@gmail.com, george.berulava@gmail.com)

ორგანიზაციებში ადრე თუ გვიან დგება ცვლილებების საჭიროება. მწვავე კონკურენცია, გადარჩენისათვის ბრძოლის ინსტიქტი და პირველობისათვის მუდმივი დაუოკებელი ამბიცია სულ უფრო მეტ ორგანიზაციას აიძულებს ეძებოს განვითარების ინოვაციური მეთოდები და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები. თანამედროვე სწრაფად ცვლად საზოგადოებაში ცვლილებები გარდაუვალია ორგანიზაციებში. ამასთან, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ რა ცვლილებებს, რა ინტენსივობით და როგორი ხარისხით ახორციელებს ორგანიზაციის მენეჯმენტი. ცვლილება ორგანიზაციული პროცესია, რომელიც ემყარება ორგანიზაციის დინამიური წონასწორობიდან და შედარებით მყარ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე გადასვლას. ცვლილებები ორგანიზაციაში მუდმივად მიმდინარეობს, რაც განისაზღვრება ცვალებადი გარემო ფაქტორებით. თუმცა გარკვეული პრაქტიკული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციული სისტემა არსებით გეგმიურ ცვლილებებსაც განიცდის, რომელიც ეხება სოციალურ ურთიერთობებს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, საკადრო ცვლილებებს და ა.შ. ამ ფაქტორების ზეგავლენის საფუძველზე ორგანიზაცია იმყოფება მუდმივი ცვლილებების რეჟიმში. ორგანიზაციული ცვლილებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ცვლის საკუთარ ქცევას ორგანიზაციის პერსონალი. ამიტომ ცვლილებების ეფექტიანი განხორციელების მთავარ პირობას წარმოადგენს დაგეგმილ თუ დაუგეგმავ ცვლილებებთან ორგანიზაციის მუშაკთა მზადყოფნის უზრუნველყოფა, ეს კი მრავალი ადამიანის ურთიერთმეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობის გარეშე შეუძლებელია.

არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უმტკივნეულოდ და მშვიდად გადაიტანდა მის ქვესისტემებში განხორციელებულ ცვლილებებს. ნებისმიერი ცვლილება, ესაა მეტად რთული პროცესი. არისტოტელე თავის შრომებში აღნიშნავდა, რომ წარმატება ყველაფერში დამოკიდებულია ორი პირობის დაცვაზე: საბოლოო მიზნის სწორად დასახვაზე და საბოლოო მიზნის მიღწევის შესაბამისი საშუალებების მოძიებაზე. ცვლილებების სწორი მართვა მოიცავს წინასწარგააზრებულ დაგეგმვას და მის ეფექტიან რეალიზებას, ასევე ამ ცვლილებებთან დაკავშირებული ადამიანების კონსულტირებას და მათ ჩართვას მოცემულ რთულ პროცესში. როცა ორგანიზაციის მენეჯმენტი გეგმავს ცვლილებების განხორციელებას, იგი დგება მნიშვნელოვანი სირთულის წინაშე. ჯერ ერთი, ცვლილებები უნდა იყოს რეალური, მიღწევადი და გამომვადი. სანამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ცვლილებების პროცესის განხორციელებას შეუდგება, მან უნდა განსაზღვროს რამდენიმე ასპექტი:

რისი მიღწევა სურს მოცემული ცვლილებებით და როგორ გაიგებს, მიღწეულ იქნა თუ არა ცვლილება?
ვის შეეხება ეს ცვლილება და როგორი იქნება მასზე რეაქცია?

შუქლია თუ არა ორგანიზაციის ცვლილებების განხორციელების პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და მის რა ნაწილში დასჭირდება დახმარება?

ყველა აღნიშნული ასპექტი მჭიდრო კავშირშია პიროვნულ და ორგანიზაციულ ქცევასთან. ხანგრძლივი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ცვლილებათა განხორციელების მცდელობის დაახლოებით ნახევარი წარუმატებლობით სრულდება, რადგან ხშირ შემთხვევებში უმაღლესი მენეჯმენტი არ წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს, ან/და პერსონალს სურს შეინარჩუნოს სტაბილურობა. ხელქვეითი, რომელიც გაურბის ნებისმიერ ცვლილებას - ეს პრობლემა ახალი არაა ყველა ხელმძღვანელებისათვის. ზოგჯერ ამგვარი ქცევის მიზეზის დადგენა მარტივია: ადამიანს არ სურს თავის თავზე ახალი ვალდებულებების აღება, მას აშინებს ახალი საქმის ათვისების აუცილებლობა, ახალ კოლექტივთან შეგუება. მაგრამ ზოგჯერ რთულია ცვლილებებისადმი ადამიანის ნეგატიური დამოკიდებულების ახსნა. პროფესიული თვალსაზრისით, თუკი მუშაკი კომპეტენტურია, ფლობს ყველა საჭირო უნარ-ჩვევებს, მას ადვილად შეუძლია ადაპტირება ახალ გარემოებებთან. თუმცა აქ მეტად მნიშვნელოვანია, ხელმძღვანელობის მიერ სწორი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ამიტომ, აუცილებელია მოცემული პროცესის სწორი მართვა, რომელიც შემდეგი ასპექტებს მოიცავს:

ორგანიზაციის წევრებისათვის მოცემული პროცესის აუცილებლობის განმარტება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ცვლილებების ზუსტი მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა, ხელმძღვანელთა გუნდის შექმნა და რიგითი მუშაკების ფართო მოზიდვა ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მუშაკთა მოტივირების სისტემის შექმნა, რაც ცვლილებებისადმი მათ დაინტერესებას გაზრდის. ეს სისტემა ხელმძღვანელობას შესაძლებლობას მისცემს ერთდროულად და სამართლიანად დააჯილდოს ადამიანები წარმატებული საქმიანობისათვის და მათ მიმართ გაზრდილი ყურადღების დემონსტრირება მოახდინოს.

საერთო ფასეულობების ახალი სისტემის ჩამოყალიბება და შემდგომი სრულყოფა. ამ ეტაპზე გასათვალისწინებელია ორგანიზაციის თითოეული წევრის ინდივიდუალური ფასეულობები. ეს ახალი სისტემა უნდა აღიაროს ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობამ, სწორედ, ასეთ შემთხვევაში მოხდება ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ საერთო მიზნების მიღწევა.

ორგანიზაციის თითოეული წევრის უნიკალურობის აღიარება. მოცემული ასპექტის მთავარი ამოსავალი პრინციპია მენეჯმენტის ყველა რგოლში პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის აღიარება და დაფასება.

ორგანიზაციაში აუცილებელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის უზრუნველყოფა. ეს ასპექტი ემყარება ურთიერთნდობას, ურთიერთპატივისცემას, მიღწეული წარმატებების წახალისებას, შინაგანი ბარიერების მოსპობას და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას.

ამგვარად, დაგეგმილი და მიზანმიმართული ცვლილებების განხორციელება არ უნდა შედიოდეს წინააღმდეგობაში ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული ქცევის ტრადიციულ მეთოდებთან. პირიქით, სწორად დაგეგმილ და ეფექტიანად გატარებულ ინოვაციებს შეუძლიათ არსებული ტრადიციები გაამყაროს ახალი შინაარსით, გახადონ ორგანიზაცია უფრო მიმზიდველი როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება შეიძლება იქცეს ორგანიზაციის მართვის სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის სერიოზულ მექანიზმად. პროფესიონალურ და მაღალკომპეტენტურ მენეჯერთა გუნდის მიერ ინოვაციების ეფექტიანი განხორციელება წარმოადგენს ორგანიზაციის მუშაობის სრულყოფისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეტად მძლავრ საშუალებას.

ABSTRACT
EFFECTIVE IMPLEMENTATION METHODS OF ORGANIZATIONAL CHANGES

IRMA DIKHAMINJIA¹, GIORGI BERULAVA²

1. PhD, Associate Professor

2. PhD, Professor

Sokhumi State University

(E-mail: irmadik@gmail.com, george.berulava@gmail.com)

Stable condition is always accompanied by changes. Companies strive to continually improve internal corporate governance. The implementation of these amendments depends on the efficiency of the functioning of the organization and its existence in

the long run. The task of managers is to study the attitude of the organization to stability and change. Based on the support of staff, determine the directions of these changes to the development strategy and develop the correct concept.

Key words: Manage Organizational Changes; Changes; Personal and Organizational behavior; The Reasons Behind the Changes

ლიტერატურა

1. ღიხამინჯია ირმა., ორგანიზაციულ ცვლილებათა მართვა., დამხმარე სახელმძღვანელო., თბილისი., 2012.
http://opac.library.ac.ge/eg/opac/results?query=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%90&qtype=keyword&fi%3Aitem_type=&locg=169&detail_record_view=0&sort=
2. Bennis, W.G. The planning of change. New York:Holt, Rinehart and Winston., 1961.
3. On Change Management (Part of the HBR's 10 Must Reads Series) by John P. Kotter and Harvard Business School Press. 2011.

SOME ISSUE OF STRATEGIC MANAGEMENT OF GEORGIA

LARISA TAKALANDZE

Professor

Sokhumi State University

(E-mail: larok2706@gmail.com)

For 70 years Georgia was a part of the Soviet Union, its dissolution were caused by the strategic mistakes as well as by a wrong orientation. Later, the events developed in our country (political turbulences, ethno conflicts, permanent economic reforms and experiments) represent the results of the country's economic development vector was not directed forwards, to the post-industrial society of XXI century, but it was moving backwards, to the capital primary distribution, to the spontaneous games of the marketing forces and to the political dissipation.

Justice requires mentioning, that according to the reforms held during the last years the following positive tendencies are observed: In country have been established rather high rates of the economic growth; Is reached the eclectic power economy security; Continuous the economics liberation process;Were held the anticorruption measures, as a result, significantly was reduced the shadowed scales of economics. The corruption was minimized in all fields; Gradually increases the income of the population; The volume of the foreign trade turnover increases; Annually increases the State and municipal budgets; Tourism, infrastructure and agriculture were determined as the priorities and began the State programmes practical implementation from this point; The special economic zones (the system of "one window" principle) formation process is successful (Poti, Batumi, Tbilisi, etc).

Despite of above-mentioned tendencies, in the country takes place: High level of unemployment; the activities held in order to reduce it are ineffective; The agriculture backwardness; The high-speed growth of the entire State debt; Direct foreign investments amount reduction tendency; The high level of a consumer's price index (inflation) and in last period its growth tendency; The high price on the credits; Negative balance of the export-import; Increase of the number of the population below the poverty line. The deepening of the existed unevenness among the regional development level. Thus, in Georgia, most of the carried out governmental activities were ineffective. E.g., employment multi-layered programmes, on which lately were spent rather huge sums, however, the situation from this point practically has not changed.

Even today, there is no entire complex strategy and appropriate actual programme. Therefore, the part of the reforms are hastily done, have groundless character and the results are ineffective. Not having the future views and non-existence of economic development strategy based on the actual calculations created instability countrywide, like in the municipal and regional fields.

Referring to the document issued in 2010, "Strategic 'Ten-paragraphed plan' for Modernization and Employment (2011-2015) of Government of Georgia" of the Programme of the Economic Development of Georgia, which intends creation of more and high-played job places, social condition amelioration for the citizens, especially health and welfare systems improvement, we have some remarks:

The "plan" is excessively optimistic and does not come out from the established, real retrospective specifications of the country. There is not critically estimated the established retrospective specifications in the economic development field of the last years, the existed positive and negative sides and there is not opened and evaluated main reason factors and their causing reasons.

The "plan" is far from nowadays crisis-ridden processes taking place in the world's economics and is oriented on the automatic regime of economics development of the country. Considering that Georgia achieved economic benefit when in many countries economics almost was destroyed is wrong. The truth is, that during the Global Crisis the economics of Georgia was less damaged, as in 2008 received a 4, 5 billion finance support from the international community as well as with the help of

foreign countries and international institutes were organised and held many different technical and humanitarian projects. This kind of support in the future is less possible coming out from the crisis-ridden processes taking place in the global economics. Moreover, the acute finance crisis in Europe definitely will be reflected on finance sector of Georgia as banking sector of Georgia is tightly linked to the foreign capital;

The “plan” is not considering new risks and challenges that can come across in the future because of the existed social, political and economic situation. Planned parliamentary and presidential elections, like other countries in Georgia will cause unproductive and propagandistic costs growth consequently, it will cause economic activity reduction. It is possible, that other non-economic type risks will emerge, which is often followed the political balance alternation (I personally witnessed when new parliamentary majority refused the construction of a new city of “Lazika” in the western Georgia, though this represented the major priority of the ‘Ten-paragraphed Plan’ of the project);

The “plan” does not consider the inertial nature of the economic development and the focus is on the weak, unreasoned and excessively exaggerated results of the final figures. Moreover, if we use widely acknowledged method of analogy in the scientific studies, clearly emerges the high risks of the intended goals achievement in short period;

In the “plan” is not obvious the intended goals implementation exogenic and endogenic finance sources, and the terms of the given projects provide us with the ground for doubt for the practical realization. Probably, by this is stipulated the renovation of the “plan” in every 6 months, this fact of course reduces and belittle given document’s programme quality and its trustworthiness.

The same can be said about “The State Strategy on regional Development of Georgia 2010-2017” published in 2010. The necessity of its transformation and cardinal alternation is already in the agenda (It is confirmed by the government officials).

Thus, for the country, it is very important to work out the long-term views and the economic development strategy based on the actual calculations.

We consider that, in any case, a strategic document drawn up in the separate field will not be effective, before the long-term social-economic strategy of the entire country is not worked out. Above-mentioned strategy should be based on the future views, on the technological order prediction and on the prevision theory^[1]. It is interesting, how can the reform of the system of education being developed, when there is no information about the country’s long-term orientations. The training of the employees is known to be rather a long-term process. Therefore, it should be known beforehand which and how many specialists are needed for the country after the age of 15-25 in order to start process of their training in time.

The entire and complex macroeconomic strategy of the economic and social development of the country, based on the field and regional strategies, should outrun the development of the separate fields of economics as well as the regional strategies creation. Without exaggeration, it can be said that nowadays, the development of the scientifically reasoned, entire complex strategy of the country and work out of the appropriate working programmes is one of the crucial issues. Independently and separately drawn up the field and regional strategies will be constantly in the regime of the turbulences and changes until it is not based on the entire and complex social-economic strategy of the economics and social development of the country. Economics represents the system of the systemic, multifaceted and causal connections, wherein even a single change of any indicator entirely changes the economic system. Consequently, it is advisable to create the firm ground for the economics, in the other words, to work out the country’s entire and complex development strategy and then the whole construction, in different words the systems of the fields, the inter-fields (clusters, techno parks, out sorting networks, holdings, alliances, free zones etc.) and regional development strategies. This kind of approach effectiveness is stipulated by the indicator system, accumulated into the entire global macroeconomic strategy of the country, which do not exist in the field-regional strategies. The conversation is on such parameters, which regulation, planning and orientation are in the competence of the central government and the field and regions are not able to influence them. For instance, inflation processes budgetary-tax policy, fiscal credit and monetary policy, etc. Any local (in our case field and regional) strategy is not able to ignore the country’s macroeconomic development long-term orientation and political views.

Naturally, without taking into the consideration above mentioned, the local strategies represent only passive, informative, publicistic character and in short, time suffers amortization. Adding the fact that in the world, on the modern level the technological order changes takes place rapidly as well as the economic transformations, in the agenda becomes actual the necessity of the appropriate correction in any strategy and inevitability of the changes.

Georgia, as a player of the world’s economic game (at this point, unilateral) cannot be exception. She is obliged to follow the modern demands of the economic globalization and turn to her benefit the world’s economic integration vector founder.

The second important issue, which is in the agenda of the long-term strategic view creation, represents the determination of the priorities.

It should be mentioned, that until the late in Georgia was not the profitable environment for the long-term priorities formation. As a result, the country had only one urgent economic priority, which meant the final resolve of the power economy problems. In any list of the economic priorities, always and everywhere, power economy is on the top and naturally, it is logical, as without the power securing the realization of the other priorities is impossible. Justly should be said, that at this level, in Georgia, the top priority from the priorities – the problem of power economy is overcome, the power economy secure is reached. Onwards the door to the other priorities is open (in case of the willingness of the government).

Latest period, the focus of the priorities represents such fields and spheres as infrastructural complex, tourism and agriculture. However, the system of economic priorities practical realization requires appropriate methodological and organizational as well as strategic securing.

The matter is that from above mentioned three priorities none of them has improved, in the classic form written long-term strategy of development. As we have already defined, non-existence of the long-term future, objectives and their strategy prediction cause the lost of competition and focusing as well as the irrational expenditure of the restricted resources.

For the last 15-20 years, the government policy in Georgia is mostly concentrated on the macroeconomic level. Unquestionably, in economics the macroeconomic stability represents the firm ground for the success. However the traditional set of instruments used by the government is very limited and do not give opportunity to reach the main objective – the economic competitiveness and accordingly the increase of the population's welfare.

If the focus of the government moves from the macroeconomics towards microeconomics and if in the country are defined territories like necessary attributes for developing the economic centres and clusters, then the administrative role in the process of strategy work out will increase significantly, moreover, after the set in motion of the new law on the self-governing. The same can be said about the government on account of the State level strategic policy implementation.

The globalization of economics for Georgia caused to put in the agenda principally new projects implementation. Particularly, using geographical position of the country in order to develop the worldwide trade and create much more effective transporting and communicative infrastructure. The last ones are rather expensive projects and require intensive work. The interest towards these kinds of projects can be sparkled only after the high-level international agreements are signed. The projects realization is impossible without the political willingness of the governments of the world's leading countries. However, in case of success for such initiatives the reward is high – actual attraction of huge investments, their "natural" flow instead of fruitless and infantile wait. Moreover, the realization of this project creates unique opportunity for the organization of the economic infrastructure of Georgia, as well as, inclusion of the human and manufacture resources, including scientific-technological potency, Georgia will become active part of the world's informative and transporting space.

This opportunity should be used. The State's strategic policy level will not be formed itself by the forces influencing the world's market, its creation is our goal and coming out from the country's interests, we are obliged to shape them.

Thus, the social-economic strategy for regions and countries is quite multi-plan and multi-level objective. Its resolve is unbelievable without government's clear consideration of the requirements. Administrative reform, geopolitical agreements and appropriative transformations in the economics should become undividable part of it. Simultaneously, its global character should not become a reason for postponing - "later"- of the strategy work out. The strategy work out is quite specific, technological and completely "reachable" objective for those, who understand its idea and the necessity of its resolve.

Thus, Georgia is the one of the countries, which does not have a clear, pragmatic, well-considered long-term strategy, which would be based on the prognoses of the social, innovative and technologic development and future views. Besides, the defined long-term policy would be a very significant instrument, in case of change of the political elite, population would received heritage of the guaranteed and foreseen stabile scenario of the State's policy.

Therefore, today, our scientists, public figures, politicians and the leaders of the business circles are facing the country's development long-term strategy creation historic objective (and responsibility) of the first part of this century, also it is clearly distinguished the innovative and break-through contour of this strategy. Referring to the last one, it must be mentioned, that nowadays in Georgia starting positions for the innovating development can be evaluated as rather unenviable and disadvantageous. Because of the neoliberal market "reforms" and long-term politic-economic and technological crisis scientific-educational and innovating activity sharply went down, was destroyed scientific-technological potential and main foundations became dramatically old. Intentionally were destroyed institutes of the scientific academy and their buildings were sold. In addition, reduced staff was united to the higher educational institutes. Because of this "reform", number of skilled scientists was left unemployed. Without any functions and institutions, scientific infrastructure and personnel Georgian National Academy of Sciences became usual meeting place for the academicians.

Not having a long-term innovating strategy, the ignorance from the State the innovations support, equalizing taxation system, the real inobservance of the intellectual property and incompatibility to the analogue systems of the other countries and indifference of the usage local inventories influenced and caused economics degradation. Additionally, the inobservance of the market and dumping prices on the imported goods which caused the loss competitiveness of the reprocessing industry, its banish from the inner and outer markets, the deepening of the economics for the structure of the raw-materials, orientation on the import and creating barriers for the exporting goods. Because of the above-mentioned policy were destroyed such successful competitiveness fields like silk manufacture, light industry, tea and cannery manufacture, machine-tool construction, shipbuilding, rural mechanical engineering etc. From the mechanical engineering is left only one plant of the aircraft construction. In the all over the world, on the background of demand growth on the metallurgical products, here, in Georgia intentionally was destroyed Rustavi Metallurgical Factory. The factory was destroyed consciously in order to not to be competitive for the metallurgical industry in the neighbouring countries. Finally, this kind of policy puts in very disadvantageous conditions local manufacturer-innovators and inventors provokes the further technological backwardness and loss of the Georgia's economics competitiveness during the world's current scientific-technological revolution conditions.

Overcoming of the above-mentioned negative tendencies and moving forwards on the country's innovative development is possible only by the help of the strategic innovative break-through simultaneously it will be needy to implement the selective scientific-technological and innovative policies by the narrow direction of the strategically priorities, the active support from the State of the basic innovations and creation of the desirable innovative climate.

Thus, a long-term strategy of the development of Georgia should be aimed:

Towards the innovative potential recovery, modernization and development as it was destroyed during the crisis;

Towards the correction of the reforms and effective innovative techniques formation, which harmoniously will fulfil the active support of innovative update from the State of the main capital with the business capability;

In the framework of the national innovative system created technologies and product advance, their popularization on the foreign markets and towards the replacing of import production by them.

The innovative break-through strategy should work as a ground for the yet to be formed national innovative system, which mission is on the ground of the selected priorities to provide country with the new innovative level, in order to become an axis for the perspective social-economic and scientific-technological policy, as well as to be a major active orienteer for the legislative, executive government and for the business.

Above-mentioned positive changes cannot be accomplished without alternation of the political elite as well as a without work out of a long-term social-economic development strategy and its consecutive implementation, which main direction should be a long-term innovative break-through strategy.

ABSTRACT
SOME ISSUE OF STRATEGIC MANAGEMENT OF GEORGIA

LARISA TAKALANDZE

Professor

Sokhumi State University

(E-mail: larok2706@gmail.com)

In the study is mentioned that Georgia is one of those countries which does have clear, pragmatic, well-considered long-term strategy, which would be based on social, innovative and technological development prognoses and the views of future. The social-economic development author intend to implement the innovative break-through strategy, in which will be considered our country's current condition, specifics, capacity of the resources, global processes, the tendencies for the development of the technologies and the views of future.

Key words: Georgia; Strategic Development; Management; Economics; Innovations

References

- Baratashvili, E., Dzidzakashvili, N., Nadareishvili, N., Abzalava, T.; *Regional Strategies – The Deposit of the Country's Development*. Magazine: "SaqarTvelos Ekonomika" 2008, N 3. pp. 63-66.
- Baratashvili, E., Takalandze, L., *Business Competitiveness and Administration*. 2010
- Baratashvili, E., Takalandze, L., *Management and Administration*, 2nd revised edition. 2011.
- Леонтьев, В.В. *Межотраслевая Экономика*. Пер. с англ. М.: Экономика 1997. с. 20-21.
- The State Strategy on Regional Development of Georgia 2010-2017 (in Georgian)
- Минцберг, Г., Альстрэнд, Б., Лэмпел, Дж. *Школы стратегий* / Пер. с англ. СПб: Изд-во "Питер", 2000. С. 303.
- Яковец, Ю. В. *Эпохальные инновации XXI века*. М.: Экономика 2004.
- «Russia 2050: Strategy of Innovative Break-Through».**
- The Global Competitiveness Report 2013-2014, Published by: the World Economic Forum.
- World development indicators 2012.

თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიები და მარკეტინგული გადაწყვეტილებები

ემზარი კაკულია¹, მარინა თოფჩიშვილი²

1. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

2. ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(ელ. ფოსტა: kakulia.emzari@gmail.com, marina.topchishvili@mail.ru)

თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება ბიზნესზე და მოკიდებულია. ახალი ტექნოლოგიების, წარმოების, უნიკალური პროდუქციის გამოჩენა, მშენებლობა, ცვლილებები საზოგადოებაში და კულტურაში ინდივიდების ბიზნეს აქტივობების შედეგია. ამიტომ ბიზნესი ცივილიზაციის მთავარი შემოქმედებითი და მამოძრავებელი ძალაა. [2, 8]

ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს შექმნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიული ასპექტების განვითარება, როგორებიცაა პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნოლოგიური. თანამედროვე ბიზნესისათვის დამახასიათებელია წარმოებისა და კაპიტალის მონოპოლიზაციის პროცესის დაჩქარება. ამ დროს კონკურენტულ ძალებად გვევლინებიან მასშტაბური ზომების კაპიტალის მქონე კომპანიები. იმისათვის, რომ კომპანიამ, ბაზარზე შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და უწყვეტად გააგრძელოს განვითარება, აუცილებელია იყენებდეს თანამედროვე მიდგომებს, პლატფორმებს, ტექნოლოგიურ სიახლეებს და პროგრამულ გადაწყვეტილებებს.

თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელია ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება. ეს კი პირდაპირ კავშირშია ბიზნესის განვითარებასთან, რადგან მათ ერთმანეთთან აქვთ მჭიდრო კავშირი. თანამედროვე ბიზნესის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ტექნოლოგიებზე.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო პრობლემა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. ბევრ ქვეყანაში არსებობს სურსათის დეფიციტი, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ახლო მომავალში ვერ იქნება დაკმაყოფილებული კალორიულობით ანუ კვების ნორმებით. ამდენად ცხოველური ცილების მოხმარების საკვები ნორმის მიღწევა კაცობრიობისთვის დიდ პრობლემად რჩება. დღეისათვის კაცობრიობის მიერ წარმოებული და მოთხოვნილი ცილოვანი პროდუქტების რაოდენობა შესაძლებლობების ზღვარზეა. მეცხოველეობის წინაშე იგივე პრობლემა დგას, რაც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში - ეფექტიანობა, ხარისხი და მრავალფეროვნება.

მეცხოველეობის მაჩვენებლის გაზრდა შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა ეს საკმაოდ რთულია. მეცხოველეობის განვითარებაში წარმართველი შეიძლება გახდეს ორიენტაცია ბიოპროდუქციის წარმოებაზე. მსოფლიოში იზრდება მოსახლეობა, შესაბამისია მოთხოვნა საკვებზე, განსაკუთრებით კი ცილოვანი საკვებზე. ბიზნესი მეცნიერებასთან ერთად დაიძრა, მეცხოველეობაში გამოსაყენებელი პროდუქტიულობის ასამაღლებელი საშუალებების, კერძოდ, მრდის მასტიმულირებელი საკვები დანამატების შექმნისა და გამოყენებისკენ. [4]

აუცილებელია ფერმერების, მევენახეების, ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირება ახალი ტექნოლოგიების თაობაზე. ამ მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. ვფიქრობთ, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე შეუძლებელია ამ მტკიცებულ საკითხებთან გამკლავება.

დღეისათვის, ტექნოლოგიები არის ინსტრუმენტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციის არა თუ ეფექტიანი, არამედ საერთოდ – ფუნქციონირებაც კი. წარმატებისთვის, კერძო ბიზნესსაც და სახელმწიფოსაც, საუკეთესო ინსტრუმენტები – თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ესაჭიროება.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მრავალფეროვნება, სირთულე, აუცილებლობა და მათგან მიღებული ფასეულობები ქმნის მოთხოვნას სპეციალიზირებულ კონსალტინგურ მომსახურებაზე, რომელშიც გაერთიანებულია ბიზნესის და შესაბამისი ტექნოლოგიების ერთდროული ცოდნა, მათი ინტეგრირების და საუკეთესო შედეგების მიღების გამოცდილება.

საქართველოში მოღვაწე კომპანიები და სახელმწიფო სტრუქტურები განვითარების იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც აუცილებელი ხდება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და არსებულის გაფართოება. ამ პროცესში მენეჯმენტი მრავალი რთული ამოცანის წინაშე დგას: საჭიროა სწორი სტრატეგიის დასახვა, სწორი სისტემების შერჩევა, ინვესტიციების მოზიდვა, მათი ეფექტიანი დაბანდება, ახალი სისტემების დანერგვის პროექტების მართვა და ა.შ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ახალი ტიპის ბიზნესი — ელექტრონული და დასახა ახალი ამოცანები. ელექტრონული ბიზნესი ეს არის რეალური ბიზნესის ეფექტურობის ზრდა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, მიმართული დამატებული ღირებულების ინტეგრირებული ჯაჭვის შექმნასა და საქმიანი პარტნიორების ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველყოფაზე. იგი საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს კლიენტთა მომსახურება, ხარჯების ერთდროულად შემცირების პირობებში, მოიძებნოს პროდუქციის გასაღების ახალი არხები და გაიზარდოს კონკურენტუნარიანობის დონე. ინტერნეტ-პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ კომპანიას ჰქონდეს მართვის ეფექტური სისტემა, ერთიანი შინაგანი საინფორმაციო ქსელის (ინტრანეტის) ბაზაზე და პარტნიორებთან, კლიენტებთან და მომწოდებლებთან კავშირების კარგად განვითარებული გარე ქსელი (ექსტრანეტი). ინტერნეტ-ტექნოლოგიები ერთერთი ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი ასპექტია ელექტრონული ბიზნესისა, რომლის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „ელექტრონული კომერცის“ ცნება.

ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ, საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქას უწოდებენ. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უკვე დიდი ხანია თავიანთი ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მიიჩნევენ. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წილი სულ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. აშშ-ში შეადგენს 20%, ევროკავშირის ქვეყნებში 17%, ისრაელში 11%, იაპონიაში 10.6%. შედარებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთში 2%, ესტონეთში 0.53%, ირანში 0.22%, ხოლო საქართველოში 0.09% შეადგენს, რაც ნათლად მიუთითებს საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დაბალ დონეზე. ევროპაში ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარების ტემპებით ლიდერობს დიდი ბრიტანეთი. კონსალტინგური კომპანიის Boston Consulting Group მონაცემებით ინგლისის მთლიან შიდა პროდუქტში ინტერნეტ-ეკონომიკის წილი შეადგენს 7.2%. მისი მნიშვნელობა თითქმის უტოლდება ფინანსურ მომსახურებას და აღემატება სამშენებლო და სატრანსპორტო სფეროს. აღსანიშნავია, რომ ინგლისში ინტერნეტ-ეკონომიკის ნახევარი მოდის ელექტრონულ ბიზნესზე, ხოლო მეორე ნახევარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე და სახელმწიფო ხარჯებზე ამ სფეროს განვითარებისთვის. [5]

დღეისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან ყველაზე გავრცელებულია გლობალური კომპიუტერული ქსელი - ინტერნეტი. აღსანიშნავია, რომ ტექნიკის სახეობებიდან ყველაზე დიდი პროგრესი კომპიუტერის განვითარებას მოჰყვა. იგი დღეს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის, არამედ კომერციული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ინტერნეტის საშუალებით კომპანიებს მუდმივი კავშირი აქვთ მომხმარებლებთან. დღეს ბიზნესის ნებისმიერი დარგის საქმიანობა, წარმატება და განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებულმა მიღწევებმა ხელი შეუწყო მოგადად ტექნოლოგიების გავრცელების ზრდას, შექმნა ტექნოლოგიის სფეროს ბოლო მიღწევათა შესახებ უახლესი ინფორმაციის სწრაფად მიღების შესაძლებლობა. [3, 17]

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

საწარმოს ორგანიზაციული ცვლილებების მძლავრ ინსტრუმენტს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათ ბაზაზე რეალიზებული საინფორმაციო სისტემები (სს) წარმოადგენენ. მათი საშუალებით ბიზნესორგანიზაციები ატარებენ ბიზნესპროცესების სრულ რეინჟინერინგს, რითაც ისინი აღწევენ ახალ სტრატეგიულ მიზნებს.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობენ გლობალური ბაზრების ახალი სტრუქტურის შექმნას, სადაც მოქმედებენ მსხვილი ტექნოლოგიური გიგანტები. ისინი ადგენენ და კარნახობენ ბაზარზე მოქმედების წესებს და განსაზღვრავენ საინფორმაციო ტექნოლოგიური სფეროს განვითარებას, იცვლება საქონლისა და მომსახურების ბაზრები. შესაბამისად, განვითარებას განიცდის წარმოების ფაქტორების ბაზრებიც. ყოველივე ამის შემდეგ, ჩნდება მოთხოვნა ახალ პროდუქციებზე, რაც თავის მხრივ, განათლების სფეროსგან მოითხოვს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და დანერგვას; ჩნდება მოთხოვნა ახალ ტექნოლოგიურ ხაზებსა და მოწყობილობებზე. გარდა ამისა, ჩნდება სამეწარმეო საქმიანობის აბსოლუტურად ახალი სექტორი, რაც დაკავშირებულია ელექტრონულ ბიზნესთან.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ცვლის ორგანიზაციების მართვის სტილს და შინაარსს, როგორც გლობალურ, ისე მიკრო და მაკრო დონეზე. გარდა ამისა, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მენეჯერს - დასახოს და ეფექტურად გადაჭრას ისეთი მმართველობითი ამოცანები, რომლის გადაჭრასაც ვერ მოახერხებდა ამგვარი ტექნოლოგიების განვითარების გარეშე. თანამედროვე ბიზნესის სამყარო მწარმის წინაშე აყენებს განსაკუთრებული სირთულის ამოცანებს მომხმარებლის კვლევის, ახალი ბაზრების შესწავლის, ახალი პროდუქტების შემუშავების, ოპტიმალური ტექნოლოგიური გადაწყვეტილების შერჩევის, ბაზრის მდგომარეობის პროგნოზირებისა და სხვა მრავალი მიმართულებით, რომელთა გადაჭრაც შეიძლება არა მხოლოდ ინტუიციისა და გამოცდილების საფუძველზე, არამედ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.[3, 21]

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით ხდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვის პროცესის დაახლოებაც. ისინი მომხმარებელს აახლოებენ მწარმოებელთან. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით უმოკლეს ვადაში და მარტივად ხდება საქონელმწარმოებელთან უშუალო კონტაქტის დამყარება, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება, სასურველი პროდუქტის შერჩევა და მისი მოწოდების საუკეთესო ალტერნატიული გზის დასახვა. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს იძლევა დროისა და ფულადი სახსრების ეკონომიას. ამით კი საბოლოოდ კმაყოფილი რჩება მომხმარებელიც და მწარმოებელიც.

თანამედროვე ბიზნესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობა წარმატებული მარკეტინგული საქმიანობაა. დღევანდელ რეალობაში სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს აქტიურად იყენებენ მოწინავე საწარმოები. მათთვის მარკეტინგი საქონელზე მოთხოვნის შექმნის და მისი რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნების საშუალებაა, რაც თავისთავად წარმოადგენს საწარმოს წარმატების ფორმულას.[1, 14]

მარკეტინგი გულისხმობს არა მხოლოდ მარკეტინგულ კომუნიკაციებს და ბაზრის კვლევას, არამედ ის მოიცავს სტრატეგიულ მარკეტინგსაც. მარკეტინგული სტრატეგია ნიშნავს, როდესაც კლიენტს სთავაზობენ მასზე მორგებულ მარკეტინგულ და/ან საკომუნიკაციო სტრატეგიას, რომელიც კონკრეტულად მისი საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარეობს.

მარკეტინგის სტრატეგია ეფუძნება ყოველი საწარმოს მისიის, ფართო ბაზარზე კონკურენტების მიმართ მისი პოზიციის და მისი გულდასმით არჩეული მომხმარებლის გაგებას. ბაზარი უკიდურესად კონკურენტული ადგილია. მარკეტინგი კომპანიის საქმიანობაში ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იგი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმძღვანელო მეთოდურ პრინციპებს – მარკეტინგულ კონცეფციას, მეორე – მარკეტინგი იძლევა ძირითად საწყის ინფორმაციას სტრატეგიული გეგმის შედგენისათვის. ბოლოს მარკეტინგი იძლევა ამოცანის შესრულების შესაძლებლობას.

მენეჯერთათვის ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია შეინარჩუნონ გაყიდვების არსებული რაოდენობა, ვიდრე მცდელობა გაყიდვების ზრდაზე. ბიზნესის წარმატებისთვის საჭიროა მოქნილი მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღება.

მომხმარებლის მოთხოვნაა მიიღოს ხარისხი, სამომხმარებლო ფასეულობა და ღირსეული მომსახურება. კონკურენციის პირობებში კომპანიამ უნდა შეძლოს მომხმარებლის ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იმაზე მეტად, ვიდრე ამას გააკეთებს მისი კონკურენტი კომპანია, რათა მიიღოს წარმატებას. თუმცა მაღალხარისხოვანი საქონლის მიწოდება და მომსახურება წარმოადგენს აუცილებელს, მაგრამ არა საკმარის პირობას ბაზარზე ლიდერობის მოსაპოვებლად. გარდა კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, მარკეტინგულმა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს კომპანიის მიერ კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების აუცილებლობა.

კომპანიები ქმნიან მონაცემთა ბაზას მომხმარებელთა შესახებ. ბოლო დროს, კომპანიები ცდილობენ დაამყარონ გრძელვადიანი კავშირები თავის მომხმარებლებთან, რათა არ ექნეთ მათთან მხოლოდ ერთჯერადი გარიგებები. მომხმარებელთან ხანგრძლივი ურთიერთობა და მათი შენარჩუნება კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ციფრული მარკეტინგი არის მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებებით ხორციელდება. მისი მიზანია ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებლების მოზიდვა, მოხიზვლა, დაინტერესება და საბოლოოდ მათი კლიენტებად ქცევა. ციფრული მარკეტინგის სწრაფმა ევოლუციამ რეკლამასა და მარკეტინგში ახალი შესაძლებლობები გააჩინა. მისმა განვითარებამ ბიზნესის კეთების სპეციფიკა რადიკალურად შეცვალა.

ABSTRACT
MODERN BUSINESS TECHNOLOGIES AND MARKETING SOLUTIONS

EMZAR KAKULIA¹, MARINE TOPCHISHVILI²

1. PhD in Economics

2. PhD in Business Administration

Georgian Technical University

(E-mail: kakulia.emzari@gmail.com, marina.topchishvili@mail.ru)

The modern world is characterized by the rapid growth of technologies, which is directly related to business development and therefore success of modern business highly depends on technology. Electronic business allows improving customer service, simultaneously reducing costs and finding new channels of product sales and increase competitiveness.

The modern business world challenges business owners in many directions. Development of information technology changes the style and content of management of organizations and because of that successful marketing decisions are needed for business success.

Key words: Business; Modern technologies; Information technologies; E-business; Marketing; Marketing Solutions, Digital Marketing

ლიტერატურა

თეთვაძე, რ. ტერიტორიული მარკეტინგი და მომხმარებელთა ქცევა საქართველოს მაგალითზე (დისერტაცია), თბ., 2016

ლომინაძე, ს. საზოგადოებასთან ურთიერთობის PR-ის ტექნოლოგიები ბიზნესში, თბ., 2013

შელია, ბ. საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური შესაძლებლობები საქართველოში სასტუმრო ბიზნესის ეფექტიან განვითარებაში (დისერტაცია), ბათუმი, 2016

<http://agro.ge/index.php?m=1289>

<https://prschooel.wordpress.com/2012/11/26/digital-marketing/#more-39394>

ღვინის ტურისტული ბაზრის განვითარების თავისებურებანი

ნანა კასიბაძე

ასოცირებული პროფესორი

ივ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: naniko700@gmail.com)

აქტუალობა. საქართველოში ტურიზმი განვითარება აქტიურ ფაზაშია და მთავრობის გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობასთან ერთად ისევ პრიორიტეტულ დარგად რჩება. ვაზის ენდემური ჯიშების მრავალფეროვნება და ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ისტორია საშუალებას იძლევა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში განვითარდეს ღვინისა და სოფლის ტურიზმი, ადგილობრივ თემებში კი შექმნას გლეხური მეურნეობების განვითარების მოტივაცია.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოში მზარდია მოთხოვნა ღვინის ტურიზმზე, როგორც თემატური ტურიზმთან მიმართებაში, ასევე, როგორც რეკრეაციული ტურიზმის მიმართულებით და სხვა ტურებთან ერთად კომბინაციაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის ზრდა უფრო მაღალია (5%-8%), ვიდრე ტურიზმის განვითარების ზოგადი მაჩვენებელი (4%) და სპეციალისტების პროგნოზით 2020 წლისთვის მიაღწევს 8-10%-ს. ღვინო და გასტრონომია ყველა სახეობის ტურიზმისთვის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს, შესაბამისად მასზე არაპირდაპირი მოთხოვნა მსოფლიო ბაზრზე წლიურად დაახლოებით 27 მილიონ მოგზაურობას შეადგენს[1].

ბოლო პერიოდში იზრდება ინტერესი საქართველოს ღვინის ტურიზმისადმიც. შემოსული ტურისტების 5% თვლის, რომ მათი მოგზაურობა განეკუთვნება ღვინისა და კულინარიული ტურიზმს[2].

ლიტერატურული მიმოხილვა. ღვინის ტურიზმის სამეცნიერო კვლევებისა და პუბლიკაციების შესწავლამ აჩვენა ტურიზმის ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის სიმწირე. პირველი სამეცნიერო შრომები ღვინის ტურიზმის შესახებ 1990-იან წლებიდან ჩნდება [11]. ამ პერიოდის ნაშრომები ძირითადად უკავშირდება სოფლის ტურიზმს და მის წვლილს სოფლის ეკონომიკაში [4], ღვინის ტურიზმის ბაზრის სეგმენტებს და მომხმარებლის ქცევას[7; 9].

შეიძლება არალოგიკური იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ღვინის ტურიზმის მკვლევარების აზრით, ამ სფეროში სამეცნიერო წვლილი მეტია ანგლო-საქსონური ქვეყნებიდან (კანადა, აშშ, ახალი ზელანდია, ავსტრალია), ვიდრე ისტორიულად ტრადიციული ღვინის მწარმოებელი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან.

ღვინის ტურიზმში მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები აქვთ წარმოდგენილი აშშ-დან დოდის (1995), პიტერსის (1997), სკინერს (2000); ესპანეთიდან - ჭილბერტს (1992), კანადიდან ჰეკეტს (1998), იტალიიდან პავანს (1994), და სხვებს. ღვინის ევროპელი მკვლევარები მეტ აქცენტებს აკეთებენ ვაზის ფართობებსა და ღვინის პროდუქტის სტა-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ტიტიკურ კვლევებზე. რაც შეეხება ქარველ მეცნიერთა კვლევებს არსებობს მდიდარი ლიტერატურა ვაზისა და ღვინის შესახებ, მაგრამ არა ღვინის ტურიზმის შესახებ, რამდენადაც ტურიზმის ამ მიმართულებამ საქართველოში 2000 იანი წლების ბოლოს დაიწყო განვითარება.

ღვინის ტურიზმის საერთაშორისო ბაზარის განვითარების თავისებურებანი. მეცნიერები თვლიან, რომ პირველი ტურები ვენახებში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო, მაგრამ ღვინოსთან დაკავშირებული აქტივობები განსაკუთრებულად პოპულარული გახდა მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლებში[11]; [12].

არსებობს განსხვავებული მიდგომები ღვინის ტურიზმისადმი ღვინის წარმოების ისტორიულად ტრადიციულ ქვეყნებში (ევროპული მოდელი- საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, უნგრეთი) და ღვინის წარმოების ახალ რეგიონებში (ავსტრალია, არგენტინა, ჩილე აშშ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). აქ საუბარია ღვინის წარმოების და ღვინის მარკეტინგის განსხვავებულ მიდგომებზე, რომელიც ასოცირდება ძველ და ახალ მსოფლიოსთან [7]. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ, ამგვარ დაყოფაც პირობითია, რამდენადაც მიმდინარე გლობალიზებულ მსოფლიოში დაუყოვნებლივ ხდება წარმატებული გამოცდილებების მიღება და გავრცელება. ამდენად ეს განსხვავება ზოგან ნაკლებად და ზოგან მეტად შეიმჩნევა.

მკვლევარები ღვინის ტურიზმის მოდელს ღვინის წარმოების მეთოდებთან აკავშირებენ.

ღვინის ტურიზმის ევროპული მოდელი ემყარება ღვინის წარმოების მრავალწლიან ისტორიას და დარგში მწარმოებელთა დიდ რაოდენობას, მეორე კი, ღვინის ახალ რეგიონებში მისი წარმოების მცირეხნოვან ისტორიას და მკაფიოდ კონცენტრირებულ სექტორს. ევროპის მასშტაბით ღვინის მწარმოებელთა კოოპერაცია და ადაპტირება გლობალური ცვლილებების პირობებშიც კი ძალიან ნელა მიმდინარეობს, რაც ართულებს ამ სფეროში მომსახურების საქმიანობებისკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფრანგული ფერმერების გაერთიანებები და ღვინის ტურიზმის განვითარების ინიციატივით შექმნილი კოოპერატივები, საფრანგეთის მცირე მწარმოებლების მოცულობა 17-ჯერ ჩამოყვარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე ფერმების სიდიდეს[8].

ევროპაში ღვინოზე ორიენტირებული ტურიზმი განვითარდა ტრადიციული წარმოების სფეროში, რომელიც ასევე მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მაღალ მატერიალურ ფასეულობებს და მის მფლობელებს ავალდებულებს კიდევ ხელი შეუწყონ ამ მიმართულებით ცოდნის გავრცელებას. მოგვიანებით ურანბნაცამ ევროპაში გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციისადმი ნოსტალგია და გაზარდა ღვინის ტრადიციული წარმოების მნიშვნელობა. აღნიშნულმა ხელი შეუწყო მწარმოებლებიდან ღვინის პირდაპირი გაყიდვების ზრდას. ტრადიციებზე, ცოდნაზე, სიახლეებზე და გამოცდილებაზე ორიენტირებულმა აქტივობამ ევროპის დასახლებებსა და მდინარის სანაპიროებზე წარმოშვა ღვინის ტურიზმის ძალიან მნიშვნელოვანი ფორმები.

განსხვავებულია ვითარება ღვინის ახალ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არსებობს ღვინის კულტურის მცირე ხნის ტრადიცია[18;19] მაგრამ ძალიან დიდი პოტენციალია მომხმარებელთა მოთხოვნის კუთხით. აშშ-ში ღვინის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება და მოწინავე ქვეყნების ათეულში პირველ ადგილს იკავებს[22]. 2016 წლის მონაცემებით ღვინის მოხმარებამ აშშ-ში შეადგინა 31,8 მლნ. ჰლ., მას მისდევეს საფრანგეთი (7,0მლნ.ჰლ.), იტალია (22,5მლ.ჰლ.), იტალია (22,5მლ.ჰლ.), გერმანია (20,2მლ.ჰლ.), ჩინეთი (17,3მლ.ჰლ.) (იხ. ცხრილი 1). ამდენად აშშ და ჩინეთი მიმზიდველი ბაზარია ღვინის მწარმოებელი ქვეყნებისათვის, რომელიც ძირითადად ტრადიციულად ორიენტირებული იყო ევროპულ ღვინოზე.

ცხრილი 1.

ღვინის მწარმოებელი ქვეყნების ტოპ ათეული (მლნ. ჰექტოლიტრი)

ღვინის მწარმოებელი ქვეყნების ტოპ ათეული (მლნ. ჰექტოლიტრი)

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016
იტალია	45,616	54,029	44,200	50,000	50,900
საფრანგეთი	41,548	42,134	46,500	47,000	43,500
ესპანეთი	31,123	45,308	39,500	37,700	39,300
აშშ	21,650	24,400	23,100	21,700	23,900
ავსტრალია	12,259	12,310	11,900	11,900	13,000
ჩინეთი	13,511	11,780	11,600	11,500	11,400
სამხრეთ აფრიკა	10,569	10,982	11,500	11,200	10,500
ჩილე	12,554	12,820	10,000	12,870	10,100
არგენტინა	11,778	14,984	15,197	13,358	9,400
გერმანია	9,012	8,409	9,202	8,900	9,000
პორტუგალია	6,327	6,231	6,195	7,000	6,000
რუსეთი	6,220	5,290	4,880	5,600	5,600
რუმინეთი	3,311	5,113	3,700	3,500	3,300
ახალი ზელანდია	1,940	2,484	3,204	2,300	3,100

წყარო: <https://italianwinecentral.com/top-fifteen-wine-producing-countries/>

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მსოფლიოს მასშტაბით იზრდება ვენახის ფართობები და ღვინის წარმოება. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ღვინის წარმოების არატრადიციულ ქვეყნებში (ახალი ზელანდია, ავსტრალია, აშშ.), ხოლო ღვინის ტრადიციულ ქვეყანაში როგორცაა საბერძნეთი, საფრანგეთი, არგენტინა მცირდება(იხ. ცხრ. 1). მსოფლიოში ღვინის მოხმარების ზრდა 1% -ით ჩამორჩება წარმოების ზრდას. აღნიშნული ხელს უწყობს პროდუქციის ჭარბ რაოდენობის წარმოშობას, ფასების დაწევას და ამ სფეროში მზარდ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე მონოპოლიურ ევროპის ქვეყნებამდე. ღვინის ექსპორტი იზრდება ღვინის ახალი ქვეყნებიდან, კერძოდ აღსანიშნავია ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, მაშინ, როდესაც მცირდება საფრანგეთიდან და ესპანეთიდან (იხ. ცხრ.2).

ცხრილი 2

ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ტოპ-ათეული (ათ. ლ.)

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016
ესპანეთი	19,472	18,530	22,560	24,700	22,900
იტალია	21,200	20,319	20,540	20,100	20,600
საფრანგეთი	14,992	14,542	14,387	13,900	14,100
ჩილე	7,517	8,790	7,999	8,800	9,100
ავსტრალია	7,349	7,111	7,301	7,400	7,500
სამხრეთ აფრიკა	4,128	5,256	4,794	4,200	4,300
აშშ	4,009	4,149	4,045	4,200	3,800
გერმანია	3,960	4,006	3,863	3,700	3,600
პორტუგალია	3,386	3,060	2,854	2,800	2,800
არგენტინა	3,647	3,115	2,626	2,700	2,600
<i>დანარჩენ მსოფლიოში</i>	<i>9,373</i>	<i>12,422</i>	<i>11,431</i>	<i>12,800</i>	<i>12,800</i>
World import/export trade	99,033	101,300	102,400	105,300	104,100

წყარო: <https://italianwinecentral.com/top-fifteen-wine-producing-countries/>

ღვინის სექტორს ტურიზმიდან გაყიდვებისა და ბრენდის იმიჯის გაზრდის თვალსაზრისით უძღვია მიიღოს მნიშვნელოვანი სარგებელი ტურიზმიდან და ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც ტურიზმი დინამიურად მზარდი სფეროა.

მკვლევარები ღვინის ტურიზმის განვითარების შეფასებას და მოდელის აღწერისას იყენებენ და შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს როგორცაა: ღვინის ქარხნებში შექმნილი გარემო პირობები, ტურისტული ადგილის განვითარება, ადგილზე გაყიდვებში შეტანილი წვლილი, მომხმარებელთა ერთგულებასა და განათლებასთან დაკავშირებული სტრატეგიები [11];[15];[16];[17];[20];[21].

ღვინის ტრადიციულ ქვეყნებში შიდა მოხმარება ვეღარ იზრდება. აქ ღვინის ტურიზმის ღონისძიებების და აქტივობების ძირითადად ამოცანას წარმოადგენს მომხმარებლის ერთგულების და ღვინოსთან დაკავშირებული მემკვიდრეობის შენარჩუნება, იქნება ეს მარნები, თუ მათი მიმდებარე ტერიტორიებზე კულტურული ლანდშაფტი, ან ჩვევები, რომლებიც დაკავშირებულია ღვინოსთან.ევროპული მოდელი ტრადიციული პროდუქტის სექტორს არგებს ღვინის ტურიზმის ინიციატივებს.

ღვინის ტურიზმი მჭიდროდა დაკავშირებული ადგილის განვითარებასთან. ტურიზმში მცირე მწარმოებლების მონაწილეობას ხელს უწყობს რეგიონული ორგანიზაციები, რათა გაზარდონ პროდუქტის ავთენტურობა და ეყრდნობა ადგილობრივი პარტნიორული ქსელების ხელშეწყობას.

ღვინის ტურიზმს ყოველთვის აქვს ტერიტორიული კომპონენტი. ტურიზმი არის გადაადგილება და აქედან გამომდინარე ტერიტორია არის გამორჩეული და განმასხვავებელი ფაქტორი. მომხმარებელში ღვინის ხარისხის აღქმა პირდაპირ კავშირშია ადგილწარმოშობასთან და ეს არის საკმარისი გარანტია ევროპული ღვინის მომხმარებლებში.

ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში ღვინის გაყიდვების დაახლოებით 20 % ღვინის ტურიზმზე მოდოს. მაგალითად, იტალიაში ის შეადგენს 19%-ს. საერძნეთში ღვინის 32% იყიდება ღვინის წარმოების ადგილზე, მარნების და ქარხნების სადეგუსტაციო დარბაზებში, რესტორნებსა და ბარებში-18%, სპეციალურ ქსელებში-16%, სუპერმარკეტებში -16%, ინტერნეტის საშუალებით 4-5%.

ღვინის ტურიზმი ახალ მსოფლიოში უფრო მეტად ორიენტირებულია ბრენდებზე ვიდრე ტერიტორიაზე. აქ ღვინის ტურიზმი არის რეკლამა, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ პროდუქტის ხარისხზე შეხედულების ზრდას და შესაბამისად ამალვებს კონკურენტუნარიანობას ტრადიციული ღვინის ქვეყნების მიმართ. აქ ძირითადი მიზანი იყო ღვინის მომხმარებლის გაჩენა. იგი განვითარდა ახალი ბაზრების შექმნის პარალელურად და კარგად იქნა ადაპტირებული ღვინის ტურიზმთან. ახალი ტექნოლოგიები და წარმოების დიდი სტრუქტურა ხელს უწყობს ღვინის ბაზარზე მაღალი ხარისხისა და დიდი მოცულობით პროდუქტის მიწოდებას. მთავარი გამოწვევად რჩება, ტერიტორიული ნამდვილობის ჩართვა მოდელში და ღირებულებების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით ძველ კონ-

ტინენტზე ღვინის ტურიზმის სტრატეგიებში კულტურასთან კავშირი კარგი გამოცდილებაა, შესაბამისად ახალი ღვინის ქვეყნები აქტიურად გამოიყენებენ შემოქმედებით კომპონენტებს, ავითარებენ ტურისტული დანიშნულების ადგილებს, ქმნიან დასვენებისათვის მაღალ კომფორტს, უმატებენ რეკრეაციულ ელემენტებს, ატარებენ ღვინოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს (კალიფორნიაში - „ღვინისა და წეროს“ ფესტივალი, ახალ ზელანდიაში - „ღვინის შოუ და კაბარე“, ნაპას და სონომას მდელოები - ღვინის შერევის სემინარები, რომელიც სპეციალურად შექმნილ ბოთლში ტურისტების შერჩეული სახელწოდებით ისხმევა, ჩამოსხმულ ღვინოს სახლებში ატანენ).

ამდენად ევროპაში ღვინის ტურიზმში მთავარი ამოცანებია გაყიდვები, მომხმარებლის ერთგულების შენარჩუნება. იგი ემყარება ტრადიციებს და კულტურულ მახასიათებლებს. ღვინის ახალ ქვეყნებში ორიენტირებულია ახალი ბრენდის (ღვინის) განვითარებაზე, რომელიც ემყარება ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებას და კრეატიულობას.

ღვინის ტურიზმის კონცეფცია. ღვინის ტურიზმში განსხვავებული მიზნების, ამოცანების და სტრატეგიების არსებობიდან გამომდინარე თითქმის ყველა ქვეყნისა და რეგიონის განმარტებებში არსებობს განსხვავებული მიდგომები. ჩვენი აზრით ღვინის ტურიზმი არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ, როგორც აქტივობა, რომელიც ვენახების მონახულებასთან და დეგუსტაციასთან არის დაკავშირებული. ღვინის ტურიზმი გულისხმობს მარკეტინგისა და გაყიდვების სტრატეგიის განვითარებას [9], დანიშნულების ადგილის (დესტინაციის) განვითარების მარკეტინგულ ფაქტორს (დასავლეთ ავსტრალიის ღვინის ტურიზმის სტრატეგია (2000წ.).

ჰალის მიხედვით ღვინის ტურიზმის სისტემა კომპლექსური სტრუქტურაა, რომელიც შედგება მომხმარებლის მოთხოვნისგან და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისგან ღვინის ტურიზმის გამოცდილების შექმნის გზით[11]. ამ განმარტების მთავარი კომპონენტია ღვინის ტურიზმიდან მიღებული შთაბეჭდილება, მაშასადამე ის რაც რჩება ღირებული ტურისტისთვის მოგზაურობის შემდეგ.

ღვინის ტურიზმის განვითარების მიმართულებები საქართველოში. ზემოთ აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, ჰალის აზრით ღვინის ტურიზმის მთავარია გამოცდილების შექმნა[11], ხოლო გეცის მიხედვით ღვინის ტურიზმი ერთგვარი მოგზაურობაა განსაკუთრებული ბაზრის მიმართულებით [9]. საქართველოს გააჩნია მაღალი პოტენციალი იყოს სწორედ იყოს ასეთი განსაკუთრებული მიმართულება. მას შეუძლია საერთაშორისო ვიზიტორებს შესთავაზოს - ღვინის 8000 წლოვანი ისტორია; 500-ზე მეტი ენდემური ყურძნის ჯიშები; უნიკალური ქვეყნის ღვინო; განსხვავებული ადათები და ტრადიციები; ქართული უკემრიელები და მრავალფეროვანი სამზარეულო; კარგი კლიმატი და ულამაზესი ლანდშაფტი მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

საქართველოში ღვინის ტურისტები პროფილი მრავალფეროვანია. მოტივაციის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად კატეგორიად:

შემთხვევითი ტურისტი, რომელთა საქართველოში ჩამოსვლა ღვინის ტურიზმს არ უკავშირდება, მაგრამ შესაძლებელია მარანიც მოინახულონ. ამ კატეგორიის ტურისტებს ნაკლები ცოდნა აქვთ ღვინის შესახებ და ღვინის ქარხნებს/მარნებს უყურებენ, როგორც კიდევ ერთ ატრაქციას. მათი ვიზიტი უფრო ურთიერთობასთან და გართობასთან არის დაკავშირებული ვიდრე ღვინოსთან, ძირითადად ყიდულობენ საშუალო ფასიან ღვინოს [2].

ღვინით დაინტერესებული ტურისტი. მარნის მონახულება მათი პროგრამის ნაწილია, მაგრამ არა ქვეყანაში ჩამოსვლის ძირითადი მიზანი. აქვთ მაღალი ან საშუალო შემოსავალი და კარგი განათლება. შესაძლებელია ადრე სხვა ღვინის რეგიონებშიც ყოფილან. ძირითადად ყიდულობენ მაღალ ფასიან ღვინოს[2].

ღვინის მოყვარულები _ უკიდურესად დაინტერესებულები არიან ღვინით და ღვინის წარმოებით, მათი მიზანი შეიძლება იყოს, როგორც თვითონ დანიშნულების ადგილი, ასევე შესაძლოა დასაქმებულები იყვნენ ღვინის ან კვების ინდუსტრიაში. როგორც წესი ისინი გამოირჩევიან განათლების მაღალი დონით და მაღალი შემოსავლებით, ნამყოფები არიან ღვინის სხვა რეგიონებშიც, ყიდულობენ სხვადასხვა სახის ღვინოს და დიდი აღნაბობით კვლავ ბრუნდებიან რეგიონში / მარანში[2].

საბჭოთა პერიოდის ჩაკეტილმა გარემომ ხელი შეუშალა ქართული ღვინოს ცნობადობას დასავლეთის ბაზარზე. ღვინის ახალი ქვეყნების გამოცდილება კი გვიდასტურებს ღვინის ტურიზმის კარგ შესაძლებლობაზე ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების საქმეში.

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე მომხმარებლის ქცევაში ახლის ძიების ზოგადი ტენდენცია და ღვინოსთან დაკავშირებული ახალი რეგიონებით დაინტერესება, საქართველოს უზრდის პოტენციალს იყოს მიმზიდველი ღვინის მოყვარულებისა და ღვინით დაინტერესებული ტურისტებისათვის ევროპიდან და ღვინის ახალი ქვეყნებიდან. ეს სეგმენტი დაინტერესებულია ახალი ღვინის დაგემოვნებით, ვაზის უნიკალური ჯიშებით და დაყენების ტექნოლოგიებით.

ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტურისტებში. ქართული ღვინის მაღალ ცნობადობა ამ ქვეყნებში უკავშირდებოდა ადგილწარმოშობას, როგორც ბრენდს - „ქართული ღვინო“. აღნიშნული გარემოებას ამ სეგმენტზე დაყრდნობით შეუძლია ბიძგი მისცეს ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარებას და გაზარდოს გაყიდვები ღვინის წარმოების რეგიონებში (ტრადიციული ღვინის წარმოების ქვეყნებში ღვინის ტურიზმის მოდელის გამოცდილება). ამ მიმართულებით ღვინის ტურიზმის დამსახურება უკვე საგრძობია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში. ღვინის გაყიდვის გარდა მარნების შემოსავლის ნაწილს მარნის ტურები, გესტჰაუსები და სხვა შეთავაზებული სერვისები წარმოადგენენ. 2 საათიანი ღვინის ტურის საშუალო ფასი 50 ლარს შეადნებს, ხოლო გესტჰაუსის საშუალო ფაში 30 დოლარია საუზმის ჩათვლით. მცირე ზომის მარნები ძირითადად ქვეყნის ღვინოს ყიდიან და მათი ფასი გაცილებით მაღალია ვიდრე დიდი ზომის მარნების ღვინისა[3].

მსოფლიოში ღვინის ტურიზმის განვითარების საუკეთესო გამოცდილებების შესწავლის საფუძველზე გეციმ [8] ჩამოაყალიბა ღვინის ტურიზმის 12 საუკეთესო პრაქტიკა. იგი გულისხმობს აქტივობებს შემდეგი მიმართულებებით: ღვინის გზები; ღვინის პარტნიორული საზოგადოებების ჩამოყალიბება; სპეციალური ღვინის ღონისძიებებისა და

ფესტივალების მოწყობა; ღვინის სოფლების განვითარება; რეგიონალური ტურიზმისა და ღვინის დაკავშირება; უნიკალური პარტნიორობა (ღვინო და საჭმელი, ღვინო და ხელოვნება, ღვინო და მუსიკა, ღვინო და სპა); უნიკალური ღვინის ტურები (ღვინისა და სხვა მიმართულებების ტურების შეხამება); ღვინის ტურიზმი და სოციალური მედია; ეკოტურიზმისა და „მწვანე“ მარნის ხელშეწყობა (ბუნების დაცვასა და ეკო ასპექტებზე ყურადღების გადატანა) და სხვა.

აღნიშნული მეთოდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ღვინის ტურიზმის პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად უკვე გამოიყენება. მაგალითად შეიქმნა ღვინის გზა, რომელიც დახვეწასა და განახლებას საჭიროებს; 2016 კახეთში გაიმართა ღვინის ტურიზმის გლობალური კონფერენცია; ბოლო პერიოდში სხვა სახის ტურებთან ერთად აქტიურად მიმართავენ ვიზიტებს მარნებში; არსებობს ღვინოსთან დაკავშირებული რეკრეაციული ტურიზმის კარგი პრეცედენტები, მაგალითად, როგორცაა „ყვარლის ედემი“ და სხვა.

ჯერ კიდევ არ გამოიყენება ისეთი კარგი პრაქტიკა, როგორცაა ღვინის სოფლები/ქალაქები, რომელიც ადგილის განვითარების ეფექტური სტრატეგიაა. ასეთი გამოცდილება ძირითადად ღვინის წარმოების ტრადიციულ ქვეყნებიდან მოდის (საფრანგეთში Chateauf du Pape, იტალიაში Montalcino), ამ თვალსაზრისით საქართველო, ახლოსაა ევროპულ ქვეყნებთან, როგორც ღვინის ტრადიციული ქვეყანა და უფრო მეტიც, როგორც ღვინის სამშობლოს აქვს დიდი პოტენციალი ამ მიართულებით განვითარებისთვის.

საქართველოში ტურიზმით ნაკლებად არიან დაინტერესებულები ღვინის დიდი ქარხნები/მარნები. ისინი არ აღიარებენ ტურიზმის პირდაპირი გაყიდვების როლს და ნაკლებად დებენ ინვესტიციებს ღვინის ტურიზმის განვითარებაში. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელში უნდა აიღოს გარკვეული ინიციატივები და სტიმული მისცეს რეგიონებში ტურიზმის განვითარებას. ამ თვალსაზრისით კარგი ეფექტი აჩვენა თემთა პარტნიორობამ ღვინის გარშემო, როგორც ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, ასევე ღვინის ახალ ქვეყნებში. იგი ერთიანი სტრატეგიისა და ხედვის შემუშავების და ერთობლივი პროდუქტების შექმნის და გაპირების საშუალებას იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების მიერ ხელი უნდა შეეწყოს ტურიზმში მცირე მეწარმეების მონაწილეობას, ადგილობრივი პარტნიორული ქსელების წარმოშობასა და განვითარებას, რაც უნდა განხორციელდეს აღნიშნულის მასტიმულირებელი რეგულაციებით.

ამდენად, საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გამოცდილება. სტრატეგიები შერჩეული უნდა იქნეს რეგიონებში არსებული სიტუაციის მიხედვით, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე ტურისტთა მოტივაციების გათვალისწინებით, კერძოდ: ა) საინტერესო და გამოსადეგია ევროპული მოდელი, რომელიც დაემყარება ტრადიციებს და კულტურულ მახასიათებლებს, რომელიც ხელს შეუწყობს გაყიდვებს და მომხმარებლის ერთგულების შენარჩუნებას, სტიმულს მისცემს ტურისტული ადგილის განვითარებას; ბ) რეგიონები, სადაც უკვე არის განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, მაგალითად ზრვისპირა რეგიონები ან ტურისტების მაღალი კონცენტრაციის სხვა ადგილები, რომლებსაც სტუმრობენ სხვა მიზნით ჩამოსული სტუმრები (საქმიანი. რეკრეაცია, გართობა, ისტორიული ძეგლების მონახულება და სხვა) გამოყენებული უნდა იქნეს ქართული ღვინის ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად და ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებისათვის. ამ შემთხვევისათვის კარგი გამოცდილებაა ღვინის ახალი ქვეყნების მოდელისათვის დამახასიათებელი მეთოდები და მიდგომები, როგორცაა, სადევუსტაციო დარბაზები, კრეატიულობა და ინოვაციურობა (სხვადასხვა ტიპის ღვინის დიჯიტალიზაცია, ფესტივალები, გამოგონილი დღესასწაულები და ასევე უკვე არსებულთან ღვინის დაკავშირება და სხვა), რაც ასევე აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს ღვინის ტურიზმის პრაქტიკაში.

ABSTRACT PECULIARITIES OF WINE TOURISM MARKET DEVELOPMENT

NANA KATSITADZE
ASSOCIATE PROFESSOR

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
(E-mail: naniko700@gmail.com)

The objectives of the research were theoretical and methodological maintenance of development of wine tourism in Georgia. With regard to this purpose foreign scientists publications dedicated to wine tourism and world experience of wine tourism development were investigated. On the base of analysis potential of wine tourism in Georgia and the ways of improvement of competitiveness of Georgian wine tourism on international market were identified. In this regard were defined possibility of effective use of existing wine markets development models of foreign countries -both "European" as well as "New Wine Countries" models-using the different approaches to target segments.

Keywords: Wine Tourism, Wine Tourism Models, Wine Countries, Georgian Tourism

ლიტერატურა

1. იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია., დანართი7., გვ52, ბარსელონა/თბილისი 2012.
2. ტატიანა ჭაიანი., საქართველოს ღვინის ტურიზმის სექტორის მარკეტინგული კვლევა, ასოციაცია ქართული ღვინო 2015.
3. Western Australian Wine Industry Strategic Plan 2014–202.

4. Dodd, TH. 2000. Influences on cellar door sales and determinants of winw tourism success: results from Texas wineries. A CM Hall, L Sharples, B Cambourne and N. Macionis. Wine tourism around the World Elsevier. 136-149.
5. Elías Pastor, Luís Vicente. 2008. "Paisaje del viñedo: patrimonio i recurso". Pasos. Revista de Turismo i patrimonio cultural. Número Especial: Turismo gastronómico y enoturismo. Vol.6, 2, 137-158.
6. Elias Pastor, Luís Vicente. 2006. El turismo del vino. Otra experiencia de ocio. Documentos de Estudios de Ocio. Universidad de Deusto. Bilbao.
7. Getz, Donald. 2000. Explore Wine Tourism, management, developement and destinations. Cognizant Communication Corporation. Nova York.
8. Getz, D i Brown G 2006 "Critical success factors for wine tourism regions: a demand analysis", Tourism Management, 27: 146:158.
9. Hall, C. Michael; Sharples, Liz; Cambourne, Brok; Macionis, Niki. 2000. Wine Tourism around the world: development management and market. Elsevier. Oxford.
10. Hall, C. Michael; Johnson, Gary; Mitchell, Richard. 2000. Wine tourism and regional development. A CM Hall, L Sharples, B Cambourne and N. Macionis. Wine tourism around the World. Elsevier. 196-225.
11. Mitchell, R. 2007. "Influence on Post-visit Wine Purchase (and non-purchase) by New Zealand Winery Visitors". A Carlsen, J; Charters, S. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing. CABI publishing. 95-109.
12. Mitchell, R. 2007. "Influence on Post-visit Wine Purchase (and non-purchase) by New Zealand Winery Visitors". A Carlsen, J; Charters, S. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing. CABI publishing. 95-109.
13. Mitchell, R; Hall, CM; McIntosh, A. 2000; Wine Tourism and consumer behaviour. A CM Hall, L Sharples, B Cambourne and N. Macionis. Wine tourism around the World. Elsevier. 115-135.
14. O'Neill, M.; Charters, S. 2007. Survey Timing and Visitor Perceptions of Cellar Door Quality. A Carlsen, J; Charters, S. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing. CABI Publishing. 161-176.
15. Sáez, Maite. 2007 El enoturismo en California. Oficina Económica y Comercial de la Embajada de España en Los Ángeles. Notas sectoriales.
16. Silverstein, Michael J. Fiske, Neil. 2002. La seducción del lujo, porqué los consumidores quieren productos de nuevo lujo i cómo los crean las empresas Ediciones Deusto.
17. Skinner, AM. 2000. "Napa Valley, California: a model of wine region development". A CM Hall, L Sharples, B., Cambourne and N., Macionis. Wine tourism around the World. Elsevier. 283-296.
18. Sparks, B; Malady, J. 2007. "Emerging Wine Tourism Regions: Lessons for Development". A Carlsen, J, Charters, S. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing. CABI

СОЦИАЛЬНОЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВО КАК ИННОВАЦИОННЫЙ МЕХАНИЗМ РЕШЕНИЯ СОЦИАЛЬНЫХ ПРОБЛЕМ

ЛЮБОВЬ КОТОВА¹, ЕЛЕНА АРСЕНТЬЕВА²

1. к.ю.н., доцент

2. к.ю.н., доцент

Восточноукраинский национальный университет имени Владимира Даля
(Эл. Почта: kotova.luba.2015@gmail.com)

Сегодня Украина переживает особенный период своей истории. С одной стороны, затяжной экономический кризис, создающий в известной мере социальную напряженность, с другой - проведение антитеррористической операции на Востоке Украины. В течение последних трех лет в Луганской области состоялось резкое ухудшение социально-экономического состояния, что существенно изменило ситуацию во всех областях общественной жизни.

Луганская область к началу проведения антитеррористической операции имела значительный экономический потенциал. Но на фоне общего экономического кризиса вооруженный конфликт на Востоке Украины существенно ухудшил экономическое положение в Луганском регионе [5]: - индекс промышленной продукции сократился на 66,0% (по Украине - на 4,8%); - индекс сельскохозяйственного производства сократился на 19,6% (по Украине - на 4,8%); - капитальные инвестиции сократились на 73,9% (по Украине - на 1,7%); - объем экспорта сократился на 86,4% (по Украине - на 29,3%); - прямые иностранные инвестиции сократились на 13,2% (по Украине - на 5,5%).

В 2015 году валовой региональный продукт (ВРП) Луганщины снизил до 14079 грн. на человека, что является самым низким показателем среди всех регионов Украины. За результатами мониторинга социально-экономического развития регионов Луганская область заняла 24, предпоследнее, место за 12 комплексными показателями [2]. Ухудшение экономического положения привело к снижению уровня доходов населения: • имеющийся доход в расчете на душу населения составлял лишь 14988,3 грн.; • задолженность по выплате заработной платы составляла 71,9% (в фонд оплаты труда за последний месяц отчетного периода); • уровень безработицы населения в возрасте 15-70 лет (по методологии МОТ) - составлял 15,6%.

Правительства Испании, Португалии, Греции, Бельгии и Франции, также законодательно закрепили деятельность социальных предприятий в форме кооперативов, основной чертой которых является демократическая форма правления и обязательное распределение акций компании между ее учредителями, волонтерами и бенефициарами. В странах ЕС соцпредприятия известны как «кооперативы социальной солидарности» (Португалия), «кооперативы социальных инициатив» (Испания), «компании социальной цели» (Бельгия), «социальные кооперативы коллективной собственности» (Франция). Парламент Великобритании узаконил работу соцпредприятий (или «компаний, которые работают в интересах общества», - social interest companies) в 2004 году. Работа социальных предприятий также легализована в Венгрии, Чешской республике, Словацкой республике, Словении, Литве и Польше (Польский парламент принял закон «О социальных кооперативах» 2006 года).

По нашему мнению, именно социальные предприятия являются составляющими такой системы хозяйственного ведения как социальное предпринимательство. Деятельность социальных предприятий направлена на получение прибыли для решения социальных проблем общества. Стоит заметить, что в Украине зарождения социального предприятия связывают с обществом «Просвещение», сформированного в 1868 г. на Западе Украины. Деятели общества, организовывая сеть собственных читален, одновременно закладывали при них первые самые простые торговые точки, магазины и заемные общества [1, с. 14].

На сегодня, в Украине отсутствует единственное общепринятое определение понятия «социальное предпринимательство». Лишь в Гражданском (ст. 85 и 86) и Хозяйственном кодексах Украины (ст. 44 и 45) отмечается, что субъектами социального предпринимательства могут быть юридические лица, целью которых не является получение прибыли и его распределение между участниками.

Попытки же нашего государства легализовать и поддержать социальное предпринимательство пока еще притерпевают неудачи, но указывают на важность этого вопроса. Примером является законопроект «О социальных предприятиях» № 10610, внесенный 14.06.2012г. Александром Фельдманом. Законопроектом предлагалось определение социальных предприятий в Украине как таких, в которых часть занятых работников из числа социально незащищенных составляет не менее половины; которые предоставляют социальные услуги, свыше половины получателей которых составляют социально незащищенные категории граждан; которые осуществляют производство и реализацию продукции социально незащищенным категориям по ценам себестоимости продукции; которые инвестируют полученную прибыль от своей деятельности на реализацию социальных проектов.

В отличие от традиционного бизнеса, который работает ради достижения прибыли, социальное предпринимательство выполняет социальные функции и работает там, где государство работать не может (через дефицит финансирования), а бизнес не хочет (через низкую рентабельность). Преимуществом социального предпринимательства является то, что этот подход позволяет разрешать существующие социальные проблемы без вмешательства со стороны государства.

В Украине хотя и не существует законодательно утвержденных понятий «социальное предпринимательство», «социальное предприятие», «предприятия социальной экономики». Однако в разных нормативно-правовых источниках существуют положения, которые позволяют создавать предприятия, которые по международным стандартам могут быть классифицированы как социальные [6].

Выделены три основных формы социального предпринимательства:

- некоммерческая организация, занимающаяся предпринимательством в сфере своей основной деятельности;
- некоммерческая организация, открывающая собственное предприятие, часть доходов которого идет на финансирование ее программ;
- предприятие для людей с ограниченными возможностями: компания освобождается от уплаты налога на прибыль, если больше 50% ее сотрудников – людей с ограниченными возможностями [3].

Социальные предприятия, которые создают рабочие места для социально незащищенных людей, дают им возможность приобрести трудовые навыки и знания в сфере управления, карьерного роста, и права собственности эксперты называют «утвердительными». Большинство социальных предприятий Украины обеспечивают рабочими местами представителей целевых групп, с которыми они связаны своей основной деятельностью. Их главная цель деятельности, как и любых других бизнес-структур, – достичь позитивных финансовых и социальных результатов за счет инвестиций [4].

В последние годы в Украине социальное предпринимательство приобретает все большую популярность среди общественных организаций, как эффективный механизм решения локальных социальных и экономических проблем территориальных громад. В Одессе действует общественная организация «Дорога к дому», в рамках деятельности которой издается газета для незащищенных слоев населения, а также работают цеха по пошиву одежды. Еще одним примером украинского социального предприятия является ассоциация «Мир, красота, культура», в Херсоне, которое внедрило «Творческое практическое занятие», чтобы изготавливать и продавать эксклюзивную одежду для детей и молодежи, используя натуральные ткани, украшенные традиционным украинским орнаментом в современном стиле. Прибыль используют для продвижения украинской культуры, искусства, с помощью театра, школ, уча молодежь навыкам, которые бы обеспечили их постоянными рабочими местами в будущем.

Считаем, что основная идея социального предпринимательства заключается в том, что предпринимательская деятельность может выполнять две функции: во-первых, иметь позитивное социальное воздействие, и, во-вторых, быть финансово независимой и прибыльной. То есть социальное предпринимательство – это сочетание социального позитивного воздействия и коммерческого подхода. Имея целью решение конкретной социальной проблемы, предприниматели привлекают ресурсы для достижения своей цели, при этом получая прибыль от такой деятельности.

Характерными признаками социального предпринимательства являются:

- а) социальное влияние, которое характеризует позитивную направленность предпринимательской деятельности на

решение или смягчения конкретной ощутимой социальной проблемы. Ее участники или бенефициары являются представителями социально незащищенных групп;

б) инновационность, как главный признак социального предпринимательства. Применяются новые подходы, новые способы решения социальной проблемы, способствующие позитивным системным изменениям в обществе средствами, отличающимися от традиционной благотворительности;

в) самокупаемость и финансовая стойкость, как признак независимости от внешнего финансирования. Доходы от предпринимательской деятельности полностью или не меньше установленной законом части направляется на благотворительную деятельность или уставную деятельность неприбыльных организаций;

г) тиражируемость – воспроизводимость модели социального предприятия в других географических и социальных условиях.

Таким образом, социальное предпринимательство – это деятельность с целью решения или смягчения социальных проблем на условиях самокупаемости, инновационности и стойкости.

Считаем необходимым определить термины «социальное предпринимательство» и «социальное предприятие» и закрепить их в действующем национальном законодательстве. По нашему мнению, определение этих терминов должно быть закреплено в Законе Украины «О социальных услугах» от 19.06.2003 г. № 966-IV и изложены следующим образом: «Социальное предпринимательство – это система хозяйственного ведения, составляющими которой являются социальные предприятия, предпринимательская деятельность которых направлена на решение социальных проблем и в то же время финансовую стойкость и увеличение социального капитала». «Социальные предприятия – это предприятия малого или среднего бизнеса и некоммерческие организации, которые предоставляют социальные услуги населению, с целью решения или смягчения социальных проблем на условиях самокупаемости, инновационности и стойкости».

По нашему мнению, именно определение вышеупомянутых понятий в названном законе будет толчком для формирования законодательной базы, обеспечивающей условия становления социального предпринимательства как самостоятельного сектора экономики. Национальные социальные предприятия получают возможность гарантированной государственной поддержки в рамках правительственных программ развития малого или среднего бизнеса и социальноориентированных некоммерческих организаций. Именно такие нововведения будут влиять на уровень внедрения социальных инноваций и модернизировать социальную сферу.

Миссия социального предпринимательства приобретает особую ценность в период экономического кризиса, поскольку, во-первых, в это время заостряются социальные проблемы и их решения становится жизненно важным для существования общества. Во-вторых, социальное предпринимательство способствует созданию благоприятной бизнес-среды, поддержанию активной общественной позиции, инноваций, общественной солидарности, которая создает предпосылки для более мягкого и своевременного выхода из кризиса.

Ключевыми моментами в социальном предпринимательстве являются достижение общественного благосостояния и создание для этого благоприятных возможностей. Социальное предпринимательство сигнализирует о необходимости стимулирования социальных изменений, а сам результат и его длительное действие приводят к позитивным изменениям в жизни общества, тем самым выделяя эту сферу деятельности. Считаем, что выработка региональной и национальной стратегий развития социального предпринимательства, позволили бы скоординировать усилия всех заинтересованных сторон – предпринимателей, общественных организаций, донорских структур и государства, являются необходимым условием для реализации концепции социального предпринимательства в Украине.

ABSTRACT SOCIAL ENTREPRENEURSHIP AS INNOVATIVE MECHANISM FOR SOLVING SOCIAL PROBLEMS

LUBOV KOTOVA¹, ELENA ARSENYEVA²

1. Candidate of Juridical Science, Docent

2. Candidate of Juridical Science, Docent

Volodymyr Dahl East Ukrainian National University

(E-mail: kotova.luba.2015@gmail.com)

In the thesis there have been analyzed modern scientific views, relevant normative legal acts concerning the definition of social entrepreneurship and its consideration as innovative mechanism for solving social problems in Ukraine in general and in the Luhansk region in particular. It is determined that social enterprises are the components of such a system of management as a social enterprise. The characteristic features of social entrepreneurship have been analyzed and it is indicated that the activity of social enterprises is aimed for obtaining profit for the solution of local, social and economic problems of the territorial community. Specific proposals to the Law of Ukraine "On Social Services" were elaborated, in particular, regarding the definition and consolidation of such concepts as "social entrepreneurship" and "social enterprise".

Key words: Social Enterprise; Enterprises of Social Economy; Social Entrepreneurship; Forms of Social Entrepreneurship

Библиография

Арапетян А. Социально-ответственный бизнес: преимущества и ограничения / А. Арапетян, О. Архипчик, Л. Пан // Практика Управления. – 2008. – № 7. – С. 12-18.

Данные Министерства регионального развития, строительства и жилищно-коммунального хозяйства Украины [Электронный ресурс] / Режим доступа: <http://www.minregion.gov.ua/>

Каминник И. Социальное предпринимательство на Украине: каким оно должно быть? [Электронный ресурс] / Режим доступа: www.cmdp-kvorum.org

Новый бизнес: социальное предпринимательство [Электронный ресурс] / Режим доступа: <http://www.nb-forum.ru>

Показатели января-декабрь 2015 года и января-декабрь 2014 года, «Экономическое развитие в разрезе регионов Украины (по итогам 2015 года)», Министерство экономического развития и торговли Украины.

Социальное предпринимательство в Украине: Европейское исследование. Обмен опытом [Электронный ресурс] / Режим доступа: <http://sesp.org.ua>

Стратегия развития Луганской области на период до 2020 года [Электронный ресурс] / Режим доступа: http://www.loga.gov.ua/sites/default/files/collections/strategy_ukr_20-07-2017.pdf

Dees, J.G. The meaning of social entrepreneurship. Center for the Advancement of Social Entrepreneurship, Duke University's Fuqua School of Business, 2001 (revised vers.). [Электронный ресурс] / Режим доступа: http://www.caseatduke.org/documents/dees_sedef.pdf

www.en.wikipedia.org

თანამედროვე მენეჯმენტის თავისებურებები

ელისო ლანჩავა, ქათევან კოკიაძე

1. ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
2. ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: elisolanchava@gmail.com)

თანამედროვე მართვადი სამყარო მრავალფეროვანია და დამოკიდებულია მის წინაშე არსებულ მრავალრიცხოვან ფაქტორებსა და ამოცანებზე. თანამედროვე მენეჯმენტი ქმნის პირობებს ფირმის წარმატებით ფუნქციონირებისათვის. მენეჯმენტის ამოცანაა სარისკო სიტუაციების გადალახვა დროის ნებისმიერ მომენტში, რისთვისაც საჭიროა გარკვეული სარეზერვო ფულადი სახსრების არსებობა და მენეჯერებისთვის მოქმედების გარკვეული თავისუფლების მინიჭება. ბიზნესის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მუშაობა წარმოუდგენელია მენეჯმენტის გარეშე. წარმატების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული მართვის თეორიის ცოდნასა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების სწორად გამოყენებაზე. ეფექტურად წარმართული მენეჯმენტი ხელს უწყობს არა მარტო საქმის ოპერატიულად და ხარისხიანად მართვას, არამედ მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას და კომპანიის სწორი სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებასაც. მენეჯერები მუშაობენ რა ორგანიზაციაში, წარმართავენ ორგანიზაციულ სამუშაოებს, ანუ მოქმედებენ წინასწარ დასახული მიზნების მისაღწევად.

ბიზნესის სფეროში მენეჯმენტის საბოლოო მიზანია მომგებიანობის უზრუნველყოფა ფირმის საქმიანობაში სამეურნეო პროცესის რაციონალური ორგანიზაციის გზით, ასევე პერსონალის ეფექტიანი გამოყენება თითოეული მუშაკის კვალიფიკაციის, შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების პირობებში, არსებული რესურსების მობილიზება და ოპტიმიზაცია. ყოველივე ეს თანამედროვე მენეჯერებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ უნარებს და თვისებებს. უპირველეს ყოვლისა, ის არასტანდარტულად უნდა აზროვნებდეს; მაღალი რისკის შემთხვევაში შეძლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; ახორციელებდეს ბიზნეს-პროექტებს; ბიზნეს-გეგმების შემუშავებას და რეალიზებას; ატარებდეს მარკეტინგულ გამოკვლევებს; ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა ახორციელებდეს ორგანიზაციის შემდგომი განვითარების პროგნოზს. თავად მენეჯერები, ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად, გამოყოფენ შემდეგ პრიორიტეტებს: გუნდური მუშაობა, სტრატეგიული ხედვა, ცვლილებების მართვა, სწორი გადაწყვეტილების მიღება. მენეჯერისთვის აუცილებელია იყოს წარმატებული და ეფექტური, თუმცა წარმატებული მენეჯერობა არა არის საკმარისი, რომ იყო ეფექტური მენეჯერი. წარმატებული მენეჯერი ის არის, ვინც დაწინაურდა უფრო სწრაფად, ვიდრე მოელოდა, ხოლო ეფექტური მენეჯერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული მიზნების მიღწევაა. მენეჯერს მთავარ ამოცანად უნდა ესახებოდეს სამოგადოებაში პროფესიონალი მმართველის დადებითი სახის შექმნა. რაც არც თუ ისე მარტივად განსახორციელებელია, რამეთუ არსებობენ არა მარტო ძალები, რომლებიც უწინააღმდეგებიან ამას, არამედ ობიექტური მიზეზებიც, რომლებიც სამოგადოების უდიდეს ნაწილში უნდობლობას იწვევენ. იმისათვის, რომ მენეჯერმა დაიმკვიდროს სამოგადოებაში პროფესიონალი მმართველის სახელი, ის უნდა გახდეს ამ სამოგადოების მოტივატორი. მოტივაცია კი როგორც ვიცით, აძლევს საშუალებას ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს გააქტიურდნენ, უბიძგებს მათ ეფექტური მუშაობისკენ დასახული მიზნის მისაღწევად. ამისათვის მენეჯერი ახორციელებს მათ ეკონომიკურ და მორალურ სტიმულირებას, მრავალფეროვანს ხდის მათ შრომას და უქმნის პირობებს იმისათვის, რათა მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი და მოახდინონ თვითრეალიზაცია. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მენეჯმენტის განვითარების ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა თავად ადამიანი, „უნივერსალური“ მმართველი თავისი სოციალური მახასიათებლებით და არასრულფასოვნების ხარისხით. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად შეიძლება მივიჩნიოთ კულტურა. მაგრამ არა ის, რომელიც გულისხმობს კინოს, თეატრს და მუზეუმს. არამედ კულტურა ეკონომიკაში, ურთიერთობებში, რომელსაც დღესდღეობით ყურადღება არ ეთმობა. შესაბამისად, ურთიერთობის კულტურის დანერგვით შესაძლებელია ნებისმიერი საწარმოს სტრატეგიის ფორმირების მეთოდების შემდგომი დახვეწა და განვითარება.

ვიდეო ერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მართვის მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეს არის შესაბამისობა მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის. მათ შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რამდენდაც ადამიანი არ შეიძლება სრულად თავისუფალი იყოს სამოგადოებისგან, საკუთარი თავისგან, საკუთარი მენტალობისგან. ის ყოველთვის განსაზღვრავს სისტემურ იერარქიას, ან თვითონ არის დაქვემდებარებული პირი, ან მას ექვემდებარებიან. თითოეული მისი ქმედება ქვეცნობიერად მისი მენტალობიდან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართვა არის მენტალობის გამოხატვის საშუალება, რომ მენეჯმენტი ეს არის ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროგრამის ფორმა, რომელიც ჩადებულია ადამიანში. შესაბამისად ნებისმიერ ქვეყანაში წარმატებული მმართველობითი პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ იქ მცხოვრებთა მენტალობა, კულტურა, ტრადიციები.

ამრიგად, მთელი ეკონომიკური განვითარების პერიოდში ჩანს, რომ მართვა თავისი შესაძლებლობების გაფართოებას ცდილობს არა მარტო დამატებითი რესურსების მოზიდვით, არამედ პერსონალის და მთლიანად ორგანიზაციის მართვის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებით. მართვის მეცნიერების წინაშე დგას რიგი პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ გადაწყვეტასა და ანალიზს, კრიზისულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ამავე დროს აუცილებელია, საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტი ფიგურის - პროფესიონალი მენეჯერის საქმიანობის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა.

ABSTRACT SINGULARITIES OF MODERN MANAGEMENT

ELISO LANCHAVA¹, KETEVAN KOKAIA²

1. Phd, Assistant Professor,

2. Phd, Assistant Professor

Sokhumi State University

(E-mail: elisolanchava@gmail.com)

Modern management - This is a modern system of management, which creates the relevant conditions for efficient functioning of organization. The characteristics of modern management are to promote the rational development of the company's activities in limited resources, to achieve high efficiency with minimum expenses, helping the firm to meet new market challenges. This system of management that responds to the socio-economic development requirements, logic and regularity must be flexible and effective. The ultimate goal of modern management is to provide profitability through the rational organization of the business process, as well as the efficient use of staff in the conditions of each employee's qualification and creative activity. The human factor became the main instrument of successful functioning of the firm.

Key words: Modern Managers; Successful Managers; Efficient Managers; "Universal" Manager

ლიტერატურა

ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბ., 2010

რ.ბერიძე. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“. თბ., 2011

Modern theory of organization. University of Ljubljana, 2013.

Samuel C. Certo. Modern Management. Prentice Hall, 2014

MAIN PRINCIPLES OF TIME-MANAGEMENT

LIPARTIA ZURAB¹, SHERAZADISHVILI BESIK²

1. Doctor of Economic Sciences, Professor
Sokhumi State University

(E-mail: zlipartia@yahoo.com)

2. Assistant professor

Georgian Technical University

(E-mail: besik_geo@yahoo.com)

With the need for legal services increasing and staff and resources becoming even more limited, legal services workers are continually faced with having to organize their time efficiently to produce the maximum benefit for their program and its clients. This is not an easy task; people on staff are required to plan ahead, to judge priorities against personal and program goals, and to determine the most effective and efficient methods to reach objectives. Being overwhelmed or swamped by such work usually creates a feeling of powerlessness. The principles involved in time management education attempt to reduce this reaction and pave the way for individuals to take control of their time and their lives.

Objectives in Time Management:

1. Analyze the issues that affect your use of time.
2. Identify the significant time problems that impact your work.
3. Develop practical strategies for solving these problems.
4. Use selected time management principles to improve your effectiveness.
5. Establish goals that reflect personal and/or organizational decisions about the benefits to be derived from future action.
6. Set priorities more effectively.

More effective use of time depends upon your decision to manage time - instead of letting it manage you. This perspective is the first step to gaining control of your time. In attempting to manage your time, you may discover that the way in which you handle crises creates some of your time management problems.

Establish deadlines for each objective. Determine by what time of the day you will have completed each objective. This serves as a reminder throughout the day and provides a major force to overcome procrastination, indecision, and distractions.

Record all significant actions in terms of results during each 15-minute period. Do not wait until noon or the end of the day, or a major benefit—tracking interruptions—will be lost. Comment on each action. Include reference to its disposition, its possible delegation (identify and set deadline for completing delegation, or other steps to improve time utilization).

Wasting time at work can mean surfing the net, idle chat, using Twitter, and spending too much time with e-mail. Of these, the Internet is probably the worst culprit. Therefore, first and foremost—curb the real time wasters. However, the Timewasters that follow are those that interfere with the work day of the worker who is seriously trying to concentrate, be productive, and be efficient. Timewasters such as these can be sneaky. Indeed, you can be unaware of some of them. Check out all 14 of the Timewasters that follow. Identify those that apply to you and take action to remedy the situation. You will become more productive and efficient—and you will have less stress on the job. Be honest in your analysis of those you need to work on.

Consolidate Similar Tasks - Group or consolidate similar tasks. This step will not only minimize interruptions but also will economize on the utilization of resources and efforts. For example, instead of making calls throughout the day, group and make out-going calls at specific times each day. Frequent callers can also be told that the best time to reach you is during certain hours. You can thus sensitize callers and help them to develop a habit of calling you when you can be most effective for them. [2. p.55]

Tackle Tough Jobs First - A tendency exists to work on petty chores first with the idea of working up to bigger projects. What often happens, however, is that the tough jobs simply don't get done because too much time is spent doing the unimportant tasks. By the time you get to the tough jobs, you are too tired to work on them. The solution is to reverse the process. Start your day with the important work when your energy level is high and work your way down your list of priorities. If time is available at the end of the day, the low level priority items can be completed.

Delegate and Develop Others - If you think that the only way to get something done right is to do it yourself, then you are probably overwhelmed with work while your staff enjoys less harried work schedules. Try to break the "do-it-myself" habit. Delegate work whenever possible. Delegation does not mean "dumping" a task on someone else but rather carries with it the responsibility of making sure that the individual has the requisite skills and knowledge to do the job. The time devoted to training and motivating people to do tasks which you usually perform will reduce your time burdens in the future and enrich the jobs of others. [1. P.23]

Don't Be a Perfectionist - There is a difference between striving for excellence and striving for perfection. The first is attainable, gratifying, and healthy. Striving for perfection that is unattainable is frustrating. Constant revision of letters and papers for trivial reasons not only wastes time but also takes its toll on relationships as well. Some might profit from a new look at the original Declaration of Independence. The writer made several errors and omissions. Letters and works were inserted between the lines. Perfection is not the standard of excellence for a document or letter to be glanced at briefly en-route to another person, file cabinet, or wastebasket.

Take Breaks - To work for long periods of time without taking a break is not effective time use. Energy decreases, boredom sets in, stress and tension accumulate, and attention wavers. Switching for a few minutes from a mental task to something

physical (stand up or walk around the office—or change positions) can provide needed stimulation and relief. Rest is not a waste of time. It improves health and efficiency.

Avoid the Cluttered Desk Syndrome - If your desk is piled with paper and you waste time looking for buried items, clear your desk of everything except the work you intend to do during the day and keep it visible. The chances are that you will get that work done. [3]

Get Started Immediately on Important Tasks - Putting things off until tomorrow is easy. In fact, people generally do the things they enjoy first and procrastinate on the tasks they dislike. Self-discipline is needed to overcome procrastination. Avoid not doing a job because it seems\ overwhelming. Try breaking the task into bite-sized pieces that are more palatable to digest. By following this “Swiss cheese” technique, you will soon find that poking holes in the project makes it less overwhelming. Unfinished work is more of a motivator than unstarted work. By having started a job, you have made an investment of your time and are more likely to complete the task.

Reduce Meeting Time - Many meetings should not take place. Sometimes the only reason for a weekly staff meeting is because a week has passed since the last one. Such meetings disrupt your work. Reduce the number of meetings—and follow an agenda on those you do have, saving time. If needed meetings are too long, schedule the next meeting to bump up against the lunch hour or quitting time. Most people will want to leave. Also, a standup meeting helps to guarantee a short meeting.

Take Time to Plan - A paradox of time is that by taking time to plan, you end up saving time. Instead of spending the day “fire fighting”, develop a schedule for doing the things that must be done in the available time.

ABSTRACT MAIN PRINCIPLES OF TIME-MANAGEMENT

Lipartia Zurab¹, Sherazadishvili Besik²

1. Doctor of Economic Sciences, Professor
Sokhumi State University
(E-mail: zlipartia@yahoo.com)

2. Assistant professor
Georgian Technical University
(E-mail: besik_geo@yahoo.com)

Everyone has valuable capital - time. Its attribute is irreversibility, which means, that the time comes in only one direction - from the past to the future. Recovery of time capital is impossible. Time can never be gained, saved, accumulated, multiplied or sold under any transaction. The only thing we can do, is to use our most valuable resource rationally. The fundamental knowledge of Time Management control of what, how and when we do, will help us to increase our efficiency. At the same time it should be mentioned, that control does not indicate a strict mode of life, according to which even the unimportant corrections are not permitted.

Keywords: Time Management; Management; Organization; Effectiveness; Working Time

References:

1. Стивен Кори. “Восьмой навык”. Москва. 2007.
2. Benchmark Institute. “Time Management Manual”. 2010.
3. https://www.fcs.uga.edu/docs/time_management.pdf

მართვის ლიბერალური სტილის გამოყენების ეფექტიანობა

ირმა მოლაშხია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ.ფოსტა: irmamolashkhia@mail.ru)

სიტყვა „სტილი“ ბერძნული წარმოშობისაა და თავდაპირველად საწერი კალმის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, მოგვიანებით კი მან „ხელნაწერის“ მნიშვნელობა შეიძინა. აქედან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მართვის სტილი - მენეჯერის ქმედებების ერთგვარ „ხელნაწერას“ წარმოადგენს.[1, გვ.6];

მართვის სტილი - ეს არის სოციალური მოვლენა, ვინაიდან მასში აისახება ხელმძღვანელის მსოფლმხედველობა და მრწამსი, ასევე მასზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მთელი სისტემის საქმიანობის შედეგები. ისევე როგორც არ არსებობს ხელის თითების ორი ერთნაირი ანაბეჭდი, ასევე არ არსებობს ორი მსგავსი მენეჯერი, რომელსაც შეიძლება ერთნაირი მართვის სტილი ჰქონდეთ. მართვის სტილის შერჩევა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ამოცანას ისახავს მენეჯერი:

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მართვას - ხელმძღვანელი აძლევს ზუსტ მითითებებს თავის ხელქვეითებს და აკვირდება მის მიერ მიცემული დავალებების შესრულებას;

მიმართულების მიცემას - მენეჯერი მართვას და აკვირდება დავალების შესრულებას, მაგრამ გადანწყვეტილებებს იღებს თანამშრომლებთან ერთად, სთხოვს მათ შემოვიდნენ წინადადებით და მხარს უჭერს მათ ინიციატივას.

ხელშეწყობას - მენეჯერი ეხმარება თანამშრომლებს დავალების შესრულებაში, ნაწილობრივ იღებს პასუხისმგებლობას სწორი გადანწყვეტილების მიღებაზე.

უფლებამოსილების დელეგირებას - მენეჯერი ნაწილობრივ გადასცემს თავის უფლებამოსილებებს შემსრულებლებს, აკისრებს მათ პასუხისმგებლობას პირადად მიღებულ გადანწყვეტილებებზე და საწარმოს მიზნების განხორციელებაზე.

მართვის სტილის შესწავლა და თვით ამ მცნების წარმოშობა ცნობილი ფსიქოლოგის კ.ლევინის სახელთანაა დაკავშირებული. მან 30-იან წლებში თანამშრომლებთან ერთად რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა, რის შემდეგაც მართვის სამი კლასიკური სტილი გამოყო: ავტორიტარული, დემოკრატიული, ნეიტრალური (ანარქიული). [2, გვ.96]; მოგვიანებით კი შეიმჩნეოდა მცდელობა ტერმინოლოგიაში ცვლილებების შეტანის და იგივე სტილი შესაბამისად აღინიშნა, როგორც დირექტიული, კოლეგიალური და ნებაზე მიშვებული (ლიბერალური). მართვის სტილის შედარებითი დახასიათება წარმოდგენილია ცხრილის სახით: (იხ. ცხრ. 1.)

ცხრილი 1. მართვის სტილი

მართვის სტილი	ავტორიტარული (დირექტიული)	დემოკრატიული (კოლეგიალური)	ლიბერალური (ნებაზე მიშვებული)
სტილის ბუნება	მთელი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ლიდერის ხელშია, იგი თავად ისახავს მიზნებს და თვითონ ირჩევს მათი მიღწევის საშუალებებს; კომუნიკაციური ნაკადები უპირატესად მოდის ზემოდან	უფლებამოსილებათა დელეგირება ლიდერის ძირითადი პოზიციის შენარჩუნებით; თანამონაწილეობის საფუძველზე მართვის სხვადასხვა დონეზე ცალცალკე გადაწყვეტილებათა მიღება; კომუნიკაცია აქტიურად ორი მიმართულებით მიმდინარეობს.	ლიდერის მიერ თავიდან საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნა და გადადგომა გუნდის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ; გუნდისათვის თვითმმართველობის შესაძლებლობების მიცემა სასურველ რეჟიმში მუშაობით; კომუნიკაციის აგება ძირითადად ჰორიზონტალურად
ძლიერი მხარეები	ურადლება გამახვილებულია ვადებზე და წესრიგის დაცვაზე; ხდება შედეგების წინასწარ განჭვრეტა	მართვაში მონაწილეობით ემატება პირადი მოვალეობები სამუშაოს შესრულებლად	აქვს შესაძლებლობა დაიწყოს საქმიანობა ისე, როგორც მას ეს ესახება ლიდერის ჩარევის გარეშე
სუსტი მხარეები	ინდივიდუალური ინიციატივა შეჩერებულია	გადაწყვეტილების მიღებას დიდი დრო სჭირდება	ლიდერის ჩარევის გარეშე გუნდმა შეიძლება დაკარგოს მოძრაობის მიმართულება და შეანელოს ტემპი

იქ, სადაც საუბარია დასახული ამოცანის გადასაჭრელად შემსრულებელთა შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირების აუცილებლობაზე, ყველაზე მეტი უპირატესობა მართვის ლიბერალურ სტილს ენიჭება. მართვის ლიბერალური სტილის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელი შემსრულებლების წინაშე აყენებს პრობლემას, უქმნის აუცილებელ სამუშაო პირობებს, განსაზღვრავს მის წესებს, ადგენს გადაჭრის გზებს, თავად კი დგება მეორე პლანზე, იტოვებს რა კონსულტანტის, არბიტრის, ექსპერტის, მიღებული შედეგების შემფასებლის ფუნქციას. გუნდს აქვს სრული თავისუფლება მიიღოს გადაწყვეტილება და აკონტროლოს საკუთარი მუშაობა.

ნეირომარკეტინგი. მისი საერთო მეთოდები და სპეციალური ტექნოლოგია შემუშავებულ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტში 1990-იან წლებში ნეირომარკეტინგის განვითარება პირველ რიგში გამოწვეული იყო და არის ტრადიციული სარეკლამო საშუალებების კრიზისითა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით. მისი არსი იმაში, მდგომარეობს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ხდება ადამიანის ტვინის სკანირება, რომელიც გამოავლენს ტვინის ყველა აქტივობას კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ფაქტობრივად ნეირომარკეტინგი ნეირომეცნიერებისა და მარკეტინგის სინთეზის წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია ადამიანების ნამდვილი გრძნობებისა და ფიქრების გამოვლენა.სპეციალისტების აზრით, ჩატარებული მარკეტინგული კვლევა ყველაზე უტყუარი კვლევის მეთოდია.

ნეომარკეტინგი ბრენდის წარმატებისთვის სრულ ინფორმაციას აწვდის კომპანიას. ნეომარკეტინგის კვლევის საშუალებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქვეცნობიერი აზრების, ემოციების და ქმედებების შესწავლა. ცნობილია, რომ ადამიანი ყველაზე ხშირად ხელმძღვანელობს არა იმდენად გონებრივი სქემებით, რამდენადაც ქვეცნო-

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ბიერი ემოციებით. ნეირომარკეტინგი კომპანიებს საშუალებას აძლევს წინასწარ გააკეთონ პროგნოზირება თუ რამდენად წარმატებული ან წარუმატებელი აღმოჩნდება მათი პროდუქტის გამოჩენა ბაზარზე.

კოგნიტური მარკეტინგი. სპეციალისტების ვარაუდით 2020 წლისთვის მარკეტინგის ახალი: კოგნიტური ანუ „მო-აზროვნე“ ერა დაიწყება, რას გულისხმობს კოგნიტური მარკეტინგი? გასაგებად და მარტივად, რომ ავსხნათ ეს არ-ის გაყიდვების პროგრამა, რომლის მიზანია ადამიანის ტვინის ნაკლებად გამოყენება ანუ ფაქტობრივად ნაკლები აზროვნება და ამ მხრივ კომპიუტერის მეტი დატვირთვა. ამ პროგრამას საფუძვლად უდევს ცნობილი ავსტრიელი და ამერიკელი ფსიქოლოგის ფრიც ხაიდერის „სტრუქტურული ბალანსის თეორია“ 1958 წ.

სენსორული (გრძნობადი) მარკეტინგი : ცნობილია, რომ ადამიანს აქვს ხუთი გრძნობა - მხედველობა, სმენა, გემო და შეხება. ეს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაასახელა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. სენსორული მარკეტინგის შესაბამისად საქონელს (ბრენდებს) უნდა ჰქონდეს სუნი, ხმოვანება, ჰქონდეს თავისი უნიკალური გემო და იძლეოდეს შეხების შეგრძნებებს.

ძალიან გავრცელებულია გრძნობადი მარკეტინგის ნაირსახეობა, როგორცაა არომამარკეტინგი ანუ გაყიდვების სტიმულირებისათვის ჰაერის არომატიზაცია. მაგ; თიბისი ბანკის 21-ე წლისთავზე პირველ და ყველაზე ძველ ფილიალში გაიხსნა

ბანკის სამი უახლესი და საქართველოსთვის ინოვაციური პროექტის პრეზენტაცია,

Aroma მარკეტინგი - პროექტი, რომელიც გულისხმობს ბანკის საფირმო საქონლის დანერგვას ბანკის ფილიალებში. პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას თიბისი ბანკის ფილიალებში. თიბისი ბანკის საფირმო სურნელი, სახელწოდებით „თიბისი პლატინუმი“ სპეციალურად იქნა შემუშავებული ბრიტანული პარფიუმერული კომპანიის მიერ, რომელიც ამ მიმართულებით მსოფლიოს არაერთ ცნობილ ბრენდთან მუშაობს.

მეორე სიახლე ხმოვანი მარკეტინგი. ამ პროექტის ფარგლებში თიბისი ბანკის ფილიალებში მომხმარებელი მოისმენს აბსოლიტურად უნიკალურ, სპეციალურად ბანკისათვის შექმნილ ხმოვან კომპოზიციას, რომლითაც მსოფლიოში ცნობილმა მარკეტოლოგმა ჟულიან თრევერმა ფილიალების შესწავლის შედეგად შეიმუშავა. ის რემდენიმე საათიანია. ის სამუშაო საათებში პრაქტიკულად არ მეორდება და აგებულია ხუთი ქართული საკრავის ჟღერადობაზე. კომპოზიცია ბანკის მუსიკალური სლოგანის ელემენტებსაც შეიცავს. ხმოვანი კომპოზიცია, ისევე, როგორც საფირმო სურნელი საქართველოს მასშტაბით ჯერ მხოლოდ 10 ფილიალშია დანერგილი და მომავალი წლიდან მოიცავს ყველა ფილიალს და სერვის ცენტრს.

სენსორული მარკეტინგის ეს ორი ინოვაციური პროდუქტ-ხმოვანი და არომა- მარკეტინგი ქვეყნის მასშტაბით პირველად თიბისი ბანკში ხორციელდება.

სენსორული მარკეტინგის აღნიშნულ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა ფსიქიატრმა ა. ხირშმა.

მობილური მარკეტინგი. მობილური ტელეფონის დახმარებით ინტერნე-მარკეტინგის ხერხების გამოყენება მობილური მარკეტინგის დაახლოებით 17 წლის ისტორია აქვს. მობილური მარკეტინგი გულისხმობს მობილური რეკლამის გამოყენებას ინტერნეტის დახმარებით. მობილური რეკლამის უპირატესობა შემდეგია:

მობილურ ინტერნეტში გამოხმაურების სარეკლამო ფართი 5-10 ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საკაბელოსი.

სარეკლამო ინფორმაციის მაღალი დამახსოვრების მაჩვენებელი. ის დაახლოებით 60% აღწევს.

ამ არხის რეკლამის წვდომის კოეფიციენტი, ვიდრე ტრადიციულში, განთავსების ხარჯებს ნაკლებად მოითხოვს. ასე, რომ მობილური რეკლამა ჯერ კიდევ იქნება შედარებით იაფი და მოთხოვნადი.

SMS-რეკლამა. მობილური ტელეფონის გამოყენება ვიზუალური კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ხერხი. MMS რეკლამა-ვიზუალური მედია (ბანერები, მინი როლიკები). SMS/MMS რეკლამა უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების პერსონალიზაციას და გააჩნია ცდომილების მინიმალური პროცენტი. აბონენტი როგორც წესი, აუცილებლად წაიკითხავს სარეკლამო შეტყობინებებს.

ვირუსული მარკეტინგი მარკეტინგისა და რეკლამის ერთ-ერთი გამორჩეული ნაირსახეობაა, რომელიც ბრენდის ცნობადობის ამაღლებაში და გაყიდვების ზრდაში გვეხმარება. ის კომპიუტერში ვირუსის გავრცელების მსგავსია. ის თავისი ორიგინალურობით და არასტანდარტულობით იპყრობს პოტენციური მყიდველის ყურადღებას და იზიდავს მას გარედან. ის ყველაზე ეფექტური რეკლამის შთაბეჭდილებას ტოვებს-დანახარჯები მინიმალური, შედეგი - მაქსიმალურია, თუმცა მას აქვს ერთი უარყოფითი მხარე, რის გამოც ის არ გახდა რეკლამის ძირითადი სახე.

ვირუსული რეკლამის გავრცელება მთლიანად მომხმარებლის რეაქციაზე დამოკიდებულია. მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მესიჯი, ამოცანა და ჰყავდეს სამიზნე აუდიტორია. რეკლამამ ბრენდის გარშემო დისკუსია უნდა გამოიწვიოს. მესიჯი იმდენად საინტერესო და დამაინტერესებელი უნდა იყოს, რომ ინტერნეტ-მომხმარებლებს მისი გაზიარების სურვილი გაუჩნდეს. მისი მიზანია პროდუქტის ან/და მომსახურების არა რეკლამირება, არამედ პოტენციური მომხმარებლის დაინტერესება. რეკლამა იმდენად მოსაწონი უდა იყოს, რომ მისი ჩვენება სხვებმაც მოისურვოს და გაზიარება მოუნდეს დიდი შედეგი მოულოდნელი დასასრულის მქონე, ორიგინალურ და იუმორისტულ ვიდეოებს მოაქვს, რადგან სწორედ მსგავსი ტიპის ვიდეოების გაზიარება აინტერესებს მომხმარებელს.

დღეს ინტერნეტი იმდენად არის გადატვირთული ვირუსული რეკლამით, რომ შედეგებზე ლაპარაკი რბილად, რომ ითქვას დაბალია. გამოსავალი არის რეკლამის ორიგინალურობა.

დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური პროცესები იმდენად გადახლართულია ერთმანეთთან, რომ მათი მართვა და რაიმე „კალაპოტი“ ჩასმა შეუძლებელია, შესაბამისად ინტერნეტ-მარკეტინგის განვითარების შეჩერება წარმოუდგენელია.

აქედან გამომდინარე, მარკეტინგის წარმოდგენილი ახალი სახეები ძალაუვნებურად ინოვაციური მარკეტინგის თეორიების ევოლუციური განვითარების სამსახურში დგება.

ABSTRACT
INNOVATIVE MARKETING

NINO KETSBAIA

Associate Professor, PhD

Sokhumi State University

(E-mail: ninoketsbaia@mail.ru)

Due to the conditions of an unstable situation the business sector of economics is developing in a very dynamic tempo that causes the growth of a competition and, practically, saturates the market with the similar goods. Because of that, innovative technologies are often used in marketing, which allows the companies to considerably increase their income and widen the market share of their product.

An Innovative marketing includes a complex of activities, which are directed to market analysis, elaborating strategic marketing for increasing the product's selling volume and practical realization. To successfully promote a product, it's important to use innovative strategic methods of marketing, which will be directed to working out essential ways for new product for penetrating the new markets.

Keywords: Innovative Marketing, Innovative Product, Neomarketing, Cognitive Marketing, Touch-Sensitive Marketing, Mobile Marketing, Viral Marketing

ლიტერატურა

Шумпетер Й. Теория экономического развития. Капитализм, Социализм, демократия. М.: Эксма, 2007

Друкер П. Бизнес и инновации: пер. с англ- М.:ИД, «Вильямс» 2007

Кох. Р. Стратегия. Как создать и исползовать эффективную стратегию. 2-У изд. «Питер» 2013.

Секерин В.Д. Инновационный маркетинг: учебник. - М.: ИНФРА-М, 2012.

Стерхова С.А. Инновационный продукт: инструменты маркетинга: учеб. пособие. - М.: Дело, 2009.

ინოვაციების თანამედროვე ეკონომიკაში, ბაზარის გაფართოვება
და მარკეტინგული კვლევების შესაძლებლობები

დავით შონია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი


სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: devishonia@gmail.com)

თანამედროვე ინოვაციური პროცესი ხასითდება არანაირი ბუნებით და ახალი ორგანიზაციული წესრიგით. ინ-დუსტრიულ ეპოქაში ეს პროცესი ერთგანზომილებიან ხასიათს (ფუნდამენტური მეცნიერებიდან გამოყენებითისკენ და შემდგომ წარმოებისკენ) ატარებდა. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში კი გახდა მრავალგანზომილებიანი (სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის ცოდნის ცირკულაცია პირდაპირი და უკუკავშირებით), რასაც განპირობებს ასევე წარმოებისა და ცოდნის კომერციალიზაციის მიმდინარე პროცესი.

ათეულობით წლის განმავლობაში ინოვაციების ეკონომიკაში და მისი შექმნის მოდელმა სერიოზული ისტორიული ტრანსფორმაცია განიცადა და დღეისათვის პრინციპულად გართულდა (იხ. გრაფიკი1). ევოლუცია დაიწყო ცალკეული კომპანიების დახურული ინოვაციების შექმნიდან (Shumpeter,1934) საბოლოო მომხმარებლების კონცეფციამდე, შემდგომ კი სტრატეგიულ და ბოლოს - ბიზნესის ღია ინოვაციებამდე, მასობრივი აუტსორსინგის პირობებში (Chesbrough, 2003) [6, გვ.7].

გრაფიკი 1. ინოვაციების ეკონომიკის ტრანსფორმაცია
(წყარო: Russell et al., 2011)



სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ეკონომიკაში ცნება „ეკოსისტემა“ შემოსულია ბიოლოგიიდან და აღწერს ქსელური მოთამაშეების ურთიერთქმედების ხასიათს, მათი ინოვაციური აქტიურობის მოდელს, არსებულ გარემოსთან მათ ურთიერთქმედებას. ცნება „კოლაბორაცია“ კი წარმოიშვა სიტყვისაგან „ლაბორატორია“ და ასახავს კოოპერაციის მაღალ ინტერაქტიულ ფორმას, გამოხატავს შეთანხმებული გუნდის მუშაობის მოდელს [4, გვ. 108].

კოლაბორაციის ქვეშ იურიდიულად დამოუკიდებელ მოთამაშეებს შორის „ფორმალური და არაფორმალური შეთანხმებების პროცესს გულისხმობენ, სადაც ისინი ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებისა და ურთიერთქმედებების რეგულირებისათვის ერთობლივად ქმნიან წესებს, ან წყვეტენ გაერთიანების ამოცანებს“. წესები ნაწილდება ყველა მონაწილეს შორის, რადგანაც მომგებიანია მათთვის. შეთანხმებები შეიძლება იყოს უწყვეტი [7, გვ. 42].

კოლაბორაციული თანასამოგადოება ითვლება ინოვაციურ ეკოსისტემად (innovation ecosystems) და გათვლილია ინოვაციების წარმოშობის ინტერაქტიულ ხასიათზე. ინოვაციური პროცესის ინტერაქტიულობა გულისხმობს იმას, რომ ის ხდება განაწილებული და განვრცობილი (დიფუზიური, დეცენტრალიზირებული, სახელმწიფოსგან ცენტრალიზირებულად დაფინანსების შემთხვევაშიც).

ინოვაციურ ეკოსისტემებზე ეკონომიკური ლიტერატურა გამოჩნდა წრფივი განვითარების ეპოქაში (ლუდვალის, ნელსონის, კუკის, ბრაჟიკას თეორია) და დღეისათვის ის გადაიხარა ეკოსისტემური მიდგომისაკენ, სადაც ინოვაციური სისტემები განიხილება, როგორც ცოცხალი სოციალური ორგანიზმები, რომლებიც ექვემდებარებიან უწყვეტ ცვალებადობას არა მხოლოდ მოთამაშეების (მწარმოებლების) შემადგენლობისა და მოქმედი წესების (ინსტიტუტები) განახლების მიმართულებით, არამედ კავშირების სტრუქტურის გარდაქმნის მიმართულებითაც [3, გვ. 10-13].

ინოვაციებისადმი ეკოსისტემური მიდგომა, აყენებს მთელ რიგ ახალ მოთხოვნებს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. ადრე ინოვაციური სისტემები განიხილებოდა როგორც სტატიკური სტრუქტურები და რეგულირდებოდა მეთოდით „მევიდან“ (სახელმწიფოს შემოქმედება ორგანიზაციებზე/ინსტიტუტებზე), დღეს კი ყველა დონის „ცოცხალ“ ეკოსისტემებს თვითაგანვითარების საკუთარი მექანიზმები გააჩნიათ. ისინი იმართებიან მეთოდით „ქვევიდან“, რაც ქმნის პროცესის უწყვეტობის წინაპირობებს. ასეთი მიდგომა ფოკუსირებულია არა მხოლოდ სისტემის მონაწილეებზე, არამედ ურთიერთქმედების ხასიათზე და დინამიკაზე, ხაზს უსვამს რა იმას, რომ სწორედ კოლაბორაცია უზრუნველყოფს ცოდნის ნაკადების დიფუზიასა და შექმნას, მის გარდაქმნას ინოვაციებად და შემდგომ გავრცელებას მთელს ეკონომიკაზე.

ასეთი მიდგომით, ქვეყანაში მთავარი მხოლოდ ინოვაციური ინფრასტრუქტურის, განვითარების ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების, ტექნოპარკებისა და ა. შ. შექმნაა, არამედ ის, რომ სხვადასხვა იურიდიულად დამოუკიდებელ პარტნიორებს შორის პროცესს მიეცეს კოლაბორაციული განვითარება.

თანამედროვე ეკოსისტემა სივრცობრივად შეზღუდული არ არის საზღვრებში, მისი ფორმირება შესაძლებელია ვირტუალურად. მეცნიერ-ეკონომისტების აზრით, ინოვაციური პროცესები უკავშირდება ქსელის მონაწილეებს შორის ლოკალიზაციის ფაქტორებსაც (განთავსება კონკრეტულ ტერიტორიაზე). თანამედროვე განვითარებულ და ბევრ განვითარებად ეკონომიკაში, ჩინეთის ჩათვლით, იქმნება ტერიტორიული ინოვაციური ეკოსისტემები (regional innovation ecosystems), რომლებიც მსოფლიო დონის ინოვაციური ეფექტების მიღწევაზეა გათვლილი. ისინი წარმოადგენენ ინოვაციურ ცენტრებს, ქსელურ საზოგადოებებს და ტექნოლოგიურ თუ საბაზრო ცვლილებებზე მოქნილი რეაგირებით, ტერიტორიებს სწრაფად განახლების საშუალებას აძლევენ.

XXI საუკუნის საწარმოო სივრცის ორგანიზაცია ხასიათდება მრავალი, სხვადასხვა ზომის ლოკალური ქსელური გარემოს (ინოვაციური ეკოსისტემების) ერთობლიობის რთული პრინციპით, სადაც სიახლეების კოლექტიურად წარმოების მიზნით, ინტერაქტიულად ურთიერთქმედებენ სხვადასხვა ინსტიტუციონალური სექტორის წარმომადგენლები. მობილური მოთამაშეების მიერ შექმნილი საწარმოო უჯრედები, ერთობლივი პროექტის პერიოდში ერთიანი ქსელის ფორმირებას ახდენენ. ინოვაციური ეკონომიკას ავტორთა ნაწილი უწოდებს ჯგუფურს, ზოგი - ქსელურს, ზოგი - პროექტულს და ეკოსისტემას სხვადასხვა მხრიდან აშუქებენ.

ინოვაციურ ცენტრში (innovation hub - იგულისხმება საქმიანი კომუნიკაციის მდგრადი ქსელური კვანძი ან პლათფორმა), სხვადასხვა სამეცნიერო და საწარმოო წრეები ურთიერთქმედებენ ტექნოლოგიების, მომსახურების, ბიზნეს-მოდელის პროდუქტების, პროცესების, უწყვეტი განახლების მიზნით. აღიარებულია, რომ ყველა შესაძლო ვარიანტიდან, ინოვაციების კოლექტიურად შექმნის მოსახერხებელ ეკოსისტემას კლასტერული ქსელები ქმნიან. სამეცნიერო ლიტერატურა (მ. პორტერის, კ. კეტელის, გ. ლინდკვისტის, ო. სოლველის შრომები) კლასტერებს აღწერენ როგორც პოსტინდუსტრიალური ეპოქის მეტად რთულ დინამიურ სისტემებს [5, გვ. 2-3].

კლასტერების ეკოსისტემური სპეციფიკა საერთაშორისო კავშირების - ვერტიკალური და ჰორიზონტალური დარგობრივი ურთიერთქმედების უნიკალური შერწყმის სახით გვევლინება, როგორც მონაწილეთა პროდუქტული ჯაჭვების, მათი მკაცრი ინსტიტუციონალური ურთიერთქმედების კოლაბორაცია. ეკონომიკური სისტემები დარგობრივი ორგანიზაციის პრინციპიდან (ერთფეროვანი პროდუქციის მწარმოებლების ჯგუფიდან), შედარებით ზუსტ (sophisticated) კლასტერულ პრინციპზე გადადიან, სადაც აგლომერაციის ახალი ტიპები (ინსტიტუციონალური მოთამაშეები) და სპეციალიზაციის ახალი სამრეწველო სექტორები (დარგების კლასტერული ჯგუფები) წარმოიშობა.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გავლენა, მათზე ინტერესის გაძლიერება ასახულია ინოვაციურ საბაზრო პროდუქტებში. უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი პროდუქტები წარმოადგენენ ბაზრების დაჩქარებული განვითარების ლოკომოტივებს (Drivers). სწორედ მაღლტექნოლოგიური წარმოების სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს ორიენტაცია ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ორიენტირებულია მწარმოებლების, საბოლოო მომხმარებლების ფართო სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, რადგანაც ეს ბაზრები იძლევა რენტაბელობის გამრდილი მაჩვენებლების მიღწევის შესაძლებლობას.

ინოვაციური პროდუქტების დანერგვის მეტად სარისკო პროცესს ახლავს ინსტიტუციონალური, რეგიონალური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ამ გზაზე ქმნიან მნიშვნელოვან ბარიერებს. სხვადასხვა მიმართულებით მრავალრიცხოვანი ფაქტორების ურთიერთგადახლართვა, წარმოშობს

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია


დიდ სტრატეგიულ გაურკვევლობებს პროდუქტების, მისი მწარმოებლების ბაზრებთან დაკავშირებით. მაღალტექნოლოგიურ დარგებში კონკურენციის გამძაფრების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება/გამოყენების, ქვეყნების შიდა ბაზრების გახსნილობის, ინოვაციური პროდუქტების დანერგვა/გაყიდვის პერსპექტივებში გაურკვევლობის ზრდის მაღალი ხარისხი, როგორც არასდროს აქტუალურს ხდის მარკეტინგული კვლევების წარმოების ობიექტურ აუცილებლობას, რომელიც საბაზრო გაურკვევლობების, პროდუქტების დანერგვასთან დაკავშირებული თუ სხვა სახის რისკების შემცირების შესაძლებლობების ძიებისაკენ იქნება გამომწვევი.

ინოვაციებისა და ახალი გამოგონებების კომერციალიზაციის რთული პროცესი უკავშირდება პრობლემური ეტაპების გადალახვას, სადაც უმთავრესს ბაზრის მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია წარმოადგენს. დანერგილი ათასობით ინოვაციური პროდუქტებიდან, მომხმარებლების მიერ მხოლოდ ერთეულების აღიარება ხდება. მათი ქცევა, ინოვაციების მიმართ დამოკიდებულება (განსაკუთრებით დანერგვის ეტაპზე), უკავშირდება დანიშნულების არასაკმარისად გაგებას, გამოყენების სირთულეებს, აზროვნების ინერციულობას. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში გამრდილია ყურადღება საბაზრო ინოვაციებზე, რამდენადაც ნებისმიერი მათგანი განიხილება, როგორც კომპანიების კონკურენტული პოზიციების დაძლევის შესაძლებლობა.

ინოვაციური პროდუქტების ბაზარზე გატანას, მომხმარებლების ინფორმირების და კომპანიის იდენტიფიცირებას მიზნით, თან უნდა ახლდეს საბაზრო ნიშის ფორმირება. ბაზრების მაღალი დინამიურობიდან გამომდინარე, ნიშის განვითარება მოითხოვს ტექნოლოგიების დანერგვასთან, გაყიდვების პოტენციურ შესაძლებლობებთან, საწარმოო/სამომხმარებლო პროცესების რისკებთან დაკავშირებით დაჩქარებულ მარკეტინგულ კვლევებს, ცვლილებებზე ოპერატიულ რეაგირებებს, დამარწმუნებელი არგუმენტების წარდგენას ინვესტორებისა და ვენჩურებისათვის.

პრაქტიკაში ცნობილია ინოვაციურ პროდუქტებზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპები, მაგალითად: „TAMO“[1], „Start-up“[2], „Stage-Gate“[8] და ა. შ. ინოვაციური პროდუქტების განვითარების ძირითადი ტიპური სამუშაო ეტაპები, დანერგვიდან გაყიდვამდე, შესაძლებელია გამოისახოს შემდეგი სახით (იხ. ნახ. 1).

ცხრ. 1. ინოვაციური პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაო ეტაპების შინაარსი



თანმიმდევრულმა ანალიზმა უნდა გვიჩვენოს თითოეული ეტაპისათვის სიტუაციურად ადეკვატური, სპეციფიკურად ორიენტირებული მარკეტინგული კვლევების მეთოდების გამოყენების ობიექტური აუცილებლობა, რადგანაც სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა დონით აქტუალური ხდება ინფორმაციის მიღების სხვადასხვა წყაროები, მომხმარებლებთან ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმები, მარკეტინგული კვლევის სხვადასხვა მეთოდები.

პროდუქტებთან ერთად, თანამედროვე ბიზნესისათვის აქტუალურია მთელი კომპანიის განვითარების პერსპექტივების შეფასება, რაც შეიძლება გადანყდეს საბაზრო ნიშაზე პროგნოზების გაკეთების საფუძველზე, სცენარული დაგეგმვით და ფორსაიტ-მეთოდით. პროგნოზირებამ უნდა მოიცავს მისი ორ შემადგენელის - ტექნოლოგიური და საბაზრო განვითარების პროგნოზები. ტრადიციულისაგან განსხვავებით, ინოვაციური პროდუქტების ნიშის შერჩევის მეთოდოლოგიაში ორივე ფაქტორი შეიცავს მნიშვნელოვან განსხვავებებს. პროგნოზების მახასიათებლები: ადეკვატურობა, სიზუსტე, საფუძვლიანობა, საიმედოობა, კორექტულობა და სხვა, კანონზომიერად უარესდება პროგნოზირების ჰორიზონტის ხანგრძლივობის გაზრდით. საბაზრო ნიშის შერჩევის სპეციფიკურ განსაკუთრებულობას წარმოადგენს ბაზრის მიერ პროდუქტის მიღების რისკის ხარისხის გათვალისწინება, სადაც მნიშვნელოვანია სარგებელი/რისკი დამოკიდებულების შეფასება. სირთულიდან გამომდინარე, რისკების შეფასება ხშირად წყდება ალბათური მიდგომების საფუძველზე და ის განიმარტება როგორც შეცდომის ფასი ან დასახული მიზნების მიუღწევლობის ალბათობა.

2016 წლის ივნისიდან საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ ამოქმედდა. დღემდე კონკურსის საფუძველზე 100-მდე პროექტი შეირჩა და დაფინანსდა. ინოვაციებთან დაკავშირებით მიმდინარე რთული პროცესების, მათი თავისებურებების, რეკომენდაციების სწორი ანალიზი და გათვალისწინება მოქმედ თუ პოტენციურ პროექტებს აუცილებლად მისცემს პრაქტიკული მარკეტინგული კვლევების უკეთესად დაგეგმვისა და მეტი შედეგების მიღების შესაძლებლობას.

ABSTRACT
MODERN ECOSYSTEM OF INNOVATIONS, MARKET CHALLENGES AND
OPPORTUNITIES FOR MARKETING RESEARCH

DEVI SHONIA

PhD, Associate Professor

Sokhumi State University

(E-mail: devishonia@gmail.com)

Innovations-oriented system is the basis for the development of technology-leading industries of the world as well as Asia's fast growing industrialization. In addition to the innovative oriented system, there is no alternative alternative to development, including the innovative oriented system for the inclusion of the modern global competition and the productivity, developed and transitional economies, including Georgia. Innovation-based development requires understanding of current evolutionary changes and creating a favorable ecosystem for it. The main thing is not only the creation of infrastructure, scientific centers, technological parks, development institutions, but also the process of collaborative development. High dynamism of innovative markets requires quick marketing research and operational reactions on current changes. Reduction of strategic uncertainties on market, futures of the innovative products, evaluation of potential opportunities, optimistic arguments for investors can be achieved through targeted use of marketing studies.

Key words: Ecosystem of Innovations; Market Challenges; Marketing Research; Opportunities

ლიტერატურა

- Янсен Ф. Эпоха инновации– М.: INFRA-M, 2002. 308 с.;
- Blank S. The startup: owner's manual // S. Blank, B. Dorf – K&S Ranch, Inc. Publishers, 2012.;
- <https://www.amazon.com/Startup-Owners-Manual-Step-Step/dp/0984999302>
- Bramwell A.[et al.] Growing Innovation Ecosystems, 2012.;
- <http://sites.utoronto.ca/progris/presentations/pdfdoc/2012/Growing%20Innovation%20Ecosystems15MY12.pdf>
- Mercan B., GöktaşD. Components of Innovation Ecosystems // International Research Journal of Finance and Economics. 2011. № 76.;
- https://www.academia.edu/2963550/Components_of_Innovation_Ecosystems_A_Cross-Country_Study
- Ketels C.H. Clusters and Competitiveness: Porter's Contribution // Competition, Competitive Advantage, and Clusters: The Ideas of Michael Porter // R. Huggins, H. Izushi. Oxford: Oxford University Press, 2011.;
- [file:///C:/Users/devi/Downloads/upso_Search_Results%20\(1\).pdf](file:///C:/Users/devi/Downloads/upso_Search_Results%20(1).pdf)
- Russell M.G. [et al.]. Transforming Innovation Ecosystems through Shared Vision and Network Orchestration. Triple Helix IX International Conference. Stanford, USA, 11–14 July 2011. P.81.;
- http://www.leydesdorff.net/th9/3NWFYZH9_Russell.pdf
- Thomson A.M., Perry J.L. Collaboration Processes: Inside the Black Box // Publ Admin Rev. 2006. Vol. 66. № s1.;
- <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download;jsessionid=60BFC840ACA7E88E5212D5A2C883E717?doi=10.1.1.466.4900&rep=rep1&type=pdf>
- <https://www.stage-gate.com>
- <https://sputnik-georgia.com/georgia/20170327/235355973/qartuli-startapebi-silokon-veize-gaemgzavrebian.html>

**თუშეთის ტურისტული განვითარების ტენდენციები
მდგრადი ტურიზმის კონტექსტში**

ნალი ცაიტიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: Nelly.tskitishvili@gmail.com)

ნაშრომში „თუშეთის ტურისტული განვითარების ტენდენციები მდგრადი ტურიზმის კონტექსტში“ განხილულია საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, თუშეთის ტურისტული განვითარების პოტენციური მდგრადობის კონტექსტში. ბოლო პერიოდში, თუშეთში ტურისტული ნაკადების ინტენსიური მრდა შეინიშნება, იგი მიმზიდველი გახდა არა მხოლოდ უცხოელი ტურისტებისთვის, არამედ შიდა ტურიზმის მომხმარებელთათვისაც. განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს 3 დღიანი, ე.წ. „ჯიპტურები“, რომლებსაც თუშეთში ყოველდღიურად აჰყავს ქართველი და უცხოელი ტურისტები. ამ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, ტურიზმის განვითარება მოხდეს მდგრადი განვითარების პრინციპებით, ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების ყველა სტადიაზე, რადგან იგი ითვალისწინებს ყველა არსებული რესურსის მენეჯმენტს იმგვარად, რომ კულტურული ხელშეუხებლობის, არსებითი ეკოლოგიური პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სიცოცხლის ხელშემწყობი სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობასთან ერთად დაკმაყოფილდეს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული მიდგომები, რათა, ტურისტული ბიზნესის გაფართოებასთან ერთად, შენარჩუნდეს თუშეთის კულტურული თვითმყოფადობაც და ბიომრავალფეროვნებაც.

მდგრად განვითარებაში ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია. პირველი მიზეზია ამ დარგის დინამიკური ზრდა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში. მეორე მხრივ, ტურიზმი ისეთი საქმიანობაა, რომელიც მომხმარებლებს, ინდუსტრიას, გარემოს დაცვასა და ადგილობრივ საზოგადოებაში განსაკუთრებულ ურთიერთობას ქმნის.

ეს განსაკუთრებული ურთიერთობა გამოწვეულია იმით, რომ სხვა სექტორებისგან განსხვავებით, ტურისტული პროდუქტის მომხმარებელი თვითონ მიემგზავრება მწარმოებელთან და პროდუქტთან. ეს ქმნის სამ უმნიშვნელოვანეს და უნიკალურ ასპექტს ტურიზმსა და მდგრად განვითარებას შორის:

ურთიერთქმედება (Interaction): ტურიზმი, როგორც მომსახურების სფერო, ორიენტირებულია დესტინაციის ახალი ადგილების გაცნობაზე, რაც ნიშნავს ვიზიტორებს, ადგილობრივ საზოგადოებასა და გარემოსთან ურთიერთობაში პირდაპირი და ირიბი თანხების გენერირებას.

გაცნობიერებულობა (Awareness): ტურიზმი საშუალებას აძლევს ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას გაეცნონ გარემოსდაცვით საკითხებს და კულტურათაშორის სხვაობებს, შედეგად - შეცვალოს მათი დამოკიდებულება მდგრადობის საკითხებზე არა მხოლოდ მოგზაურობის დროს, არამედ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დამოკიდებულება (Dependency): ტურიზმი მნიშვნელოვნად ეფუძნება იმ ვიზიტორთა მოთხოვნებს, რომლებიც მუდმივად ეძებენ ხელუხლებელ და სუფთა გარემოს, მიმზიდველ ბუნებრივ ადგილებს, თვითმყოფად ისტორიას, კულტურულ ტრადიციებს და სტუმართმოყვარე მასპინძლებს. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ამ რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ამ ელემენტების არსებობაზეა დამოკიდებული. ეს მჭიდრო და პირდაპირი ურთიერთკავშირი ისეთ ურთიერთობას ქმნის, სადაც ტურიზმი შეიძლება იყოს როგორც ზიანის მომტანი, ისე მდგრადი განვითარების მასტიმულირებელი.

როგორც ცნობილია, მდგრადი ტურიზმის დღის წესრიგს შემდეგი მიზნები განსაზღვრავს: ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა; ადგილობრივთა კეთილდღეობა; დასაქმების ხარისხი; სოციალური თანასწორობა; ვიზიტორთა მომსახურება; ადგილობრივთა თანამონაწილეობა; საზოგადოების კეთილდღეობა; კულტურული სიმდიდრე; ფიზიკური ერთიანობა; ბიოლოგიური მრავალფეროვნება; რესურსების გამოყენების ეფექტურობა; გარემოს სისუფთავე.

ტურიზმის ინდუსტრიაში ეკოტურიზმი შეიძლება მდგრადი ტურიზმის ალტერნატიულ სახეობად ჩაითვალოს. ეკოლოგიური ტურიზმის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ პრინციპებს წარმოადგენს: ეკოლოგიური განათლების პროცესის ორგანიზება და წარმართვა, ტურისტებისა და დამსვენებლების ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ეკო-კულტურული ნორმების შემუშავება და დანერგვა; ტურისტებსა და დამსვენებლებში ბუნებით ტკბობის მოთხოვნილების გარდა, მის მომავალზე ზრუნვის, გარემოს, როგორც ეკოლოგიური ტურიზმის მთავარი რესურსის დაცვისა და განახლების მხარდაჭერის ხედვის ფორმირება; ინტეგრაციული საწყისის შექმნა ტურიზმის სხვა სახეობებისათვის, რათა მათ გამოიყენონ ბუნების რეკრეაციული პოტენციალი ადამიანების სულიერი ძალების აღდგენისა და სრულფასოვანი დასვენების უზრუნველყოფისათვის.

კავკასიონის მწვერვალები, უღელტეხილები, მყინვარები, მღვიმეები, მდინარეები, ჩანჩქერები სამთო ტურისტებს, მოგზაურებს და აქტიურ დასვენების მოყვარულთა ხალხმრავალ ნაკადს იზიდავს. ეკოტურიზმის მნიშვნელობაც და ტერიტორიის განსაზღვრაც პირდაპირ კავშირშია მდგრადობასთან: მოგზაურობა შედარებით ხელუხლებელ და დაუბინძურებელ ტერიტორიაზე მისი პეიზაჟის, ველური ბუნების, ცხოველთა სამყაროს და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლისა და დათვალიერების მიზნით. ეს არის კულტურული დასვენება ბუნების წიაღში, რომელიც არ აყენებს ზიანს გარემოს.

ბუნების წილში დასვენება და მოგზაურობა ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით საქართველოს მაღალმთიან ნაწილში, რომელიც ცნობილია უმდიდრესი ბუნებრივი და კულტურული რესურსებით. მდგრადობის თვალსაზრისით, ტურისტთა დიდმა ნაკადმა შეიძლება გამოიწვიოს ძვირფასი და უნიკალური ლანდშაფტის დეგრადაცია, ამიტომ ტერიტორიული რესურსების გამოყენება ტურისტული მიზნებისათვის რაციონალური და კარგად ორგანიზებული უნდა იყოს.

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კონკრეტულად შემდეგ მაჩვენებლებში გამოიხატება: შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რაოდენობა; ერთი ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილი საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში; ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადასმდელო ბალანსში; ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შემოსული შემოსავლები; ტურიზმის განვითარებით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა. როგორც ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ქვეყანაში ამ სფეროს განვითარება წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების საწინდარია.

2003 წლის 22 აპრილს საქართველოს პარლამენტის კანონით მსოფლიო ბანკისა და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ხელშეწყობით დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიები, მათ შორის თუშეთის დაცული ტერიტორიები, რომელიც მოიცავს თუშეთის ეროვნულ პარკს (83 453 ჰა), თუშეთის დაცულ ლანდშაფტს (27 903 ჰა) და 1981 წელს შექმნილ თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალს (10 694 ჰა).

თუშეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთია. უნიკალური ბუნება არაჩვეულებრივად მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის მას. ამ უძველესმა მთიანმა რეგიონმა დღემდე შემოინახა ძველი აღმოსავლეთის მწყემსური კულტურის მდიდარი ტრადიციები. მწყემსურმა კულტურამ საუკუნეთა მანძილზე ხელი შეუწყო თუშეთის კულტურული და ყოფითი თავისებურებების, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღირებულებითი სისტემისა და ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. თუშური ცხვარი, თუშური ცხენი, მეცხვარე ნაგაბი, თუშური ყველი, თუშური ფარდაგი, თუშური თექა, თუშური ქუდი და სხვა, ქმნიან თუშეთს ერთიან კულტურულ-ესთეტიკურ სივრცეს თავისებური ეთნოფსიქოლოგიური წყობითა და სოციალური რიტუალების სისტემით.

მომთაბარე ცხოვრების რთულ პირობებში ჩამოყალიბებულმა მწყემსის შინაგანმა ბუნებამ კარგად იცის სტუმარ-მასპინძლობის ფასი და მგზავრისადმი თანადგომის მნიშვნელობა. თუშებს სწამდათ და სწამთ, რომ „სტუმარი ღვთისაა“, რომლის ფეხსაც ანგელოზის კვალი მოჰყვება თან. სტუმრისათვის თავიდანვე საცნაური ხდება მის მიმართ სრულად განსაკუთრებული დამოკიდებულება. იგი თავს სრულიად დაცულად და შინაურულად გრძნობს.

ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესოა თუშური სამხარეულო, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი გემოთი. თუშური საჭმელებიდან განთქმულია ხინკალი - ხორცის გულიანი მოხარშული კვერები. ხინკალი უფრო გემრიელია, თუ ის ძველებური წესით დაკეპილია ხანჭლით და შენელებულია „ბექონდარით“, რომელიც განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს მას. ხინკალთან ერთად მოწონებით სარგებლობს „კოტორი“ - თუშური ხაჭაპური და „ხავინი“ - ერბოში მოღვლებული ხაჭო; პოპულარულია „მწვადი“- ხის შამფურზე აგებული და დეკას ალზე შემწვარი ხორცი. მწყემსები დახელოვნებულნი არიან თავისივე ქონში ჩახრაკული ცხვრის ხორცის, „ყაურმის“ მომზადებაში; ეგზოტიკური საჭმლის რეპუტაციით სარგებლობს ცხვრის ფაშეში მომზადებული ყაურმა.

ტურისტებისთვის სასიამოვნო აღმოჩნენად რჩება რიტუალები, დღეობები, ე.წ. ათნიგენობები. ტუროპერატორებიც ცდილობენ სწორედ ამ საკულტო რიტუალების პერიოდში დაგეგმონ თუშეთის ტურები, რადგან იგი საინტერესოა ტურისტებისთვის და, ამავდროულად, მომგებიანია როგორც ტურისტული სააგენტოებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ფოლკლორზე დაფუძნებული ეს დღეობები სანახაობრივად საინტერესოა და ყველა ადამიანს შეუძლია მასში მონაწილეობა.

თუშეთში სამემოდგომო სამუშაოებს წინ უძღვის ზაფხულის საკულტო დღეობების ციკლი - ათნიგენობები, რომელიც აღდგომის მესამე დღეს იწყება და ორი კვირა გრძელდება. ათნიგენობების მასპინძელია „შულტა“, სოფლის მიერ 1 წლით არჩეული ჭვარის ყმა. გართობისა და ლხინის გარეშე ათნიგენობა არასოდეს ჩაივლის.

როგორც უკვე აღვნიშნე, ტუროპერატორებმა, ვინც იციან ათნიგენობის დღესასწაულთა შესახებ, ცდილობენ თუშეთში ჩასვლა ამ დღეებს დაამთხვიონ. გარდა პურობისა, ეს დღესასწაული ხალხური ხელოვნების დიდებულ ფესტივალსაც წარმოადგენს. დღეობის დროს სოფელში მოხვედრილ სტუმარს აუცილებლად მიიპატიჟებენ სუფრაზე და თუშები ამ დროს ყურადღებას არ აქცევენ, თუ რა აღმსარებლობისაა სტუმარი. ამასთან თუშები არჩევენ, რომ საკულტო ქმედებები უცხოთა გარეშე აღასრულონ.

ბოლო წლებში თუშეთში ტურისტების მზარდი ნაკადი შეინიშნება, განსაკუთრებით 2012 წლის შემდგომ: დაფუძნდა რამდენიმე გადამყვანი, რომელიც ე.წ. „თუშეთის ტურებზე“ მუშაობს, გამრავლდა საოჯახო სასტუმროები, ადგილობრივები ჰყიდიან რძის ნაწარმს, ხელით ნაქარგ-ნაქსოვ საყოფაცხოვრებო ნივთებს: ფარდაგებს, თავშლებს, წინდებს („ჩითებს“), ჩანთებს, სხვადასხვა აქსესუარებს.

იშვიათია ადამიანი, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა თუშეთში, ურთიერთობა ჰქონია ამ გულგახსნილ და მეტად სტუმართმოყვარე ხალხთან, გაუზიარებია პოეტურობა იმ სამყაროს, რომელშიც თუშები ცხოვრობს და რომელსაც თავის პოეზიაში ასახავს, მოუსმენია თუშური სიმღერები, უნახავს თუშების ცეკვა, არ შეიძლება იგი იოლად არ მიხვდეს, თუ რატომ არ ერიდებიან ტურისტები არც გზის სიძნელეს და არც მთაში ცხოვრების სირთულეს.

ტურიზმი მნიშვნელოვნად ეფუძნება იმ ვიზიტორთა მოთხოვნებს, რომლებიც მუდმივად ეძებენ ხელუხლებელ და სუფთა გარემოს, მიმზიდველ ბუნებრივ ადგილებს, თვითმყოფად ისტორიას, კულტურულ ტრადიციებს და სტუმართმოყვარე მასპინძლებს. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ამ რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას ამ ელემენტების არსებობაზე დამოკიდებულია. ეს მჭიდრო და პირდაპირი ურთიერთკავშირი ისეთ ურთიერთობას ქმნის, სადაც ტურიზმი შეიძლება იყოს როგორც ზიანის მომტანი, ისე მდგრადი განვითარების მასტიმულირებელი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ თუშეთში ტურიზმი მდგრადობის კონტექსტში განვითარდეს.

ABSTRACT TUSHETI TOURISTIC DEVELOPMENT TENDENCIES IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE TOURISM

NELLY TSKITISHVILI

Doctor of Filology, Associate Professor
Iakob Gogebashvili Telavi State University
E-mail: Nelly.tskitishvili@gmail.com

The paper “Tusheti Touristic Development Tendencies in the Context of Sustainable Tourism” deals with Tusheti touristic development potential – one of the picturesque parts of the east highland of Georgia – in the context of sustainability. During the last period, tourist number in Tusheti grows intensively. It became very attractive not only for foreign tourists, but domestic tourism users as well. In that regard, it is essential to develop tourism through sustainable development principles on every stage of tourism planning and development, as it provides management of all existing resources in that way to satisfy economic, social and aesthetic needs along with taking proper care of cultural immunity, essential ecological processes, biological diversity and life aiding systems. We consider that the state should elaborate special approaches in order to save Tusheti cultural inviolability and biodiversity along with tourist business expansion.

Key Words: Sustainable Tourism; Tusheti; Cultural Inviolability

ლიტერატურა

1. www.apa.gov.ge
2. ტემპუს-SuToMa-ს პროექტის მასალები

ეკოსოფალი - სოციალური ინოვაცია ტურიზმის მენეჯმენტში

გიორგი ჭოჭუა

დოქტორანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: g.tchotchua40@gmail.com)

1950 წლამდე ადამიანების 75 % ცხოვრობდა პატარა, თვითმყოფად კომუნებში. 2050 წლისთვის კი დაახლოებით ათი მილიარდი ადამიანი იცხოვრებს უმეტესად ხალხით გადატვირთულ მეგა ქალაქებში. ამგვარად, არსებობს გადაუდებელი საჭიროება კაცობრიობისთვის, რომ მოხდეს ადამიანების გადანაწილება რეგენერაციულ და სტაბილურ სამეზობლოებად, რომლებიც განიხილავენ თავიანთ საკვებს, წყალს, ენერჯიას და ნარჩენებს, როგორც პირადი კომპლექსური რესურსის ნაკვალევს.

ტერმინი ეკოსოფალი პირველად გაჟღერდა 1985 წელს. მას შემდეგ ტერმინი განისაზღვრება როგორც ეკოლოგიაზე ორიენტირებული სამოგადობრივი ჯგუფი, (ე.წ. „intentional community“) სადაც მემოთ ნახსენები კომუნა წარმოადგენს თვით მართვად ადგილობრივ ადამიანთა ჯგუფს ან სოფელს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ საერთო საკუთრებაში მყოფ მიწაზე და ნაგებობებში. ეკოსოფლები თავდაპირველად დაარსდა ინდუსტრიულ ქალაქებში, რათა შეექმნა ეკოლოგიური მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ეკოსოფლის მიზანი ინდივიდუალური და განსხვავებულია, მათ აერთიანებთ უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, როგორცაა ექსპერიმენტების ახალი ფორმების პრაქტიკა თვითმყოფადი ცხოვრებისთვის, მმართველობისთვის, ეკონომიკისთვის, განათლებისთვის და ყველაფრისთვის, რაც სოციალურ ინოვაციას დაუძღვება საფუძველს ურბანულ თუ სოფლის გარემოში.

გარდა ამისა, ეკო კომუნები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი სოციალური ინოვაციებით ტურიზმის სფეროში. ისინი ხშირად გვევლინებიან თვით ორგანიზებისა და თვითმყოფადობის პრინციპების მატარებელნი. დღეისათვის, ეკოსოფლები ისწრაფვიან რომ გააძლიერონ სოციალური მხარდაჭერა და დანერგონ თანამედროვე, ინოვაციური პროექტები ეკოსოფლებში ცხოვრების დონის უფრო მაღალი სტანდარტების დასაწერად. ისინი არიან უფრო სერვისზე ორიენტირებული და ისწრაფვიან უფრო ძლიერი ლოიალურობისკენ საზოგადოების წევრებისგან და გვევლინებიან სტრუქტურულად და ორგანიზაციულად უფრო გამართულ ინსტიტუციებად დროთა განმავლობაში.

ეკოსოფლები შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც მაღალ ინოვაციური პროდუქტი, რადგანაც მათ შექმნეს პატარა მასშტაბების ექსპერიმენტული რეპროდუქციები ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მოსაძებნად. მათ შეძლეს განემუხტათ მწვავე სოციალური გამოწვევები, რომლებმაც მოიცვა თანამედროვე ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი. მაგალითად, ბევრმა ეკოსოფელმა წარმოადგინა ინოვაციური მმართველობის და მფლობელობის სისტემები, ადგილობრივი ეკონომიკის თვითმყოფადობა, არატრადიციული განათლების სისტემა და სკოლები, ისევე როგორც თანამედროვე ინფრასტრუქტურა, განახლებადი ენერჯია და ოპერატიული გადაწყვეტილებები. შედეგად, ისინი ინვესტს საკუთარ წევრებს და ტურისტებს რათა გამოსცადონ თანამედროვე ინდივიდუალური ცხოვრების სტილი. ახლოდან დაკვირვების შემთხვევაში მივიღებთ გაცილებით დიფერენცირებულ სურათს. ეკოსოფლის კონცეფციის იდეალისტური მიზნების მიუხედავად, ის მოითხოვს ძალიან მძიმე შრომას, მოქნილობას, ჩართულობას და თვით რეფლექსურობას. [2, გვ.4]

რაც შეეხება უშუალო კავშირს ტურიზმსა და ეკოსოფლებს შორის აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ეკოტურიზმმა, და იგი მსოფლიოს ამ უდიდესი ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ სექტორად იქცა. ეკოტურიზმი ტურიზმში ახალი ტრენდია, ეკოლოგების, მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის - ახდენილი გამოწვევა. ტურიზმის ინდუსტრიის ლიდერებისთვის კი პოზიციონირების გამყარების წყარო.

სოციალური თვალსაზრისით ტურიზმს და კონკრეტულად ეკოტურიზმს ადგილობრივ გარემოზე პოზიტიური გავლენის მოხდენაც შეუძლია და ნეგატიურისაც. ეჭვს არ ინვესტს, რომ ტურიზმს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სართაშორისო ურთიერთობებში და კულტურული ურთიერთობების გამყარებაში. მშვიდობის დამყარების კუთხით, ტურიზმს ასევე უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება და ვლინდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხარისხის, სხვადასხვა რასის, რწმენის, ეროვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანების გაერთიანება საერთო სარგებლისთვის. ერთი სიტყვით, ტურიზმი საკმაოდ საინტერესო სოციოკულტურული ფენომენია.

ტურისტების ინტერესშია, თუ როგორ ცხოვრობენ სხვა კულტურის წარმომადგენელი ადამიანები და შესაბამისად, მათ ცხოვრებაზე დაკვირვება, მათი ჩვეულებებისა და ტრადიციების პატივისცემა ხელს უწყობს სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. [1, გვ.67]

ეკოტურიზმს ვუწოდებთ, სათავგადასავლო ტურს ან ბუნებაში სხვადასხვა მიზნებისთვის მოგზაურობას - ფაქტია, რომ მისი განსაზღვრება მდგრად განვითარებასთან ასოცირებულ ელემენტებს შეიცავს. ითვლება, რომ სწორედ ტურიზმი და კონკრეტულად ეკოტურიზმი წარმოადგენს მდგრადი განვითარების ძირითად ელემენტს ანუ ის მომავალი თაობების მოთხოვნილების დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს, ეს კი პირდაპირ ექვივალენტურია იმ გარემოსა და პრაქტიკის მიმართ, რომელსაც თანამედროვე ეკოსოფლებში ვაწყდებით.

ტურისტების დიდ ნაწილს აინტერესებს, როგორ ცხოვრობენ სხვები. სხვის ცხოვრებაზე დაკვირვება, სხვისი ჩვეულებებისა და ტრადიციების პატივისცემა კი თავის მხრივ, ხელს უწყობს სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. [1, გვ.62]

ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი წარმატებული ეკოსოფლის პროექტისა სადაც ტურისტთა მემოთ ნახსენები მოთხოვნილებები სრულიად დაკმაყოფილებულია არის „აუროვილი“ ანუ „ცისკრის ქალაქი“ სადაც ვიმყოფებოდი 1 კვირის განმავლობაში ინდოეთში მოგზაურობის პერიოდში - ეს საერთაშორისო ქალაქი სამხრეთ ინდოეთში, რომელიც UNESCO-ს ეგიდით ვითარდება, მდებარეობს ტამილნადის შტატში ქალაქ პუდუჩერიის გვერდით. ქალაქის დამფუძნებლების განცხადებით, ის უნდა გახდეს ექსპერიმენტი ადამიანთა ინტერნაციონალური თანამეგობრობის შექმნის, სადაც არ იქნება, პოლიტიკა და რელიგიური უპირატესობები.

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია


1968 წელს ქალაქის დაარსების დღეს აქ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან ჩამოვიდნენ ადამიანები და თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მიწა ჩამოიტანეს. შემდეგ ჩაყარეს მარმარილოს ურნებში და მატრიმანდირის ახლოს დაამარხეს. ახლა ეს საერთო თავშეყრის ადგილია. „მატრიმანდირი“ ითარგმნება როგორც „დედა ტაძარი“, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანები გაათავისუფლოს რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა შემზღვევებისგან. ის აღმოცენებულია შრი აურობინდოს და მირა ალფასას სწავლებიდან. ესენი ინდოელი მამაკაცი და ფრანგი ქალი იყვნენ. ისინი მართავდნენ აშრამს, რომელიც შემდეგ ქალაქ აუროვილად ჩამოყალიბდა. (აშრამი-ადგილი, სადაც ცხოვრობენ ინტენსიური სულიერი პრაქტიკით დაკავებული ადამიანები)

ქალაქი მოეწყო 50 ათასი ადამიანისთვის, ახლა აქ მუდმივად 2 ათასი ადამიანი ცხოვრობს. უმეტესობა მათგანი ინდოეთიდან მოვიდა, მაგრამ არიან გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ისრაელიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ცხოვრობენ სახლებში, რომლებიც მდებარეობს სპირალზე და ქალაქის ცენტრისკენ არის მიმართული, ყველა აკეთებს თავის საქმეს. ქალაქი თავის თავს თავად პატრონობს. აქ არის მაღაზიები, ქარხნები, თონეები, სასადილო, რომელიც მუშაობს მზის ელემენტებზე, არის სკოლები, კინოთეატრები, მუსიკალური სკოლა და ასევე ადგილობრივი პრესა.

ყველა მთავარ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს სპეციალისტების ჯგუფი და ერთობლივი სხდომა ამტკიცებს. აქ არ არის ქალაქის მერი ან ერთი რომელიმე გამოკვეთილი პერსონა. აუროვილის მოქალაქე ყველას შეუძლია გახდეს. გამოსაცდელი ვადა ერთი წელია, რომლის გასვლის შემდეგ შესაძლოა მოქალაქეებმა უარიც კი უთხრან ქალაქში ცოვრებაზე. თუ თქვენ იქ ცხოვრებას გადაწყვეტთ, თავადვე უნდა იყიდოთ სახლი, რომელიც თქვენი საკუთრებაა, სანამ იქ ცხოვრობთ. ყველა მოქალაქე, რომელიც მუშაობს აურელიაში იღებს ხელფასს 90 ევროს. აქ ბევრი ახალგაზდა ოჯახია. ფერმერების და ინჟინრების გვერდით ქალაქი არ განიცდის არც მხატვრების, არც არქიტექტორების, არც პედაგოგების და არც ექიმების ნაკლებობას. ადგილობრივები დარწმუნებულნი არიან რომ გლობალური ექსპერიმენტის მონაწილეები გახდნენ, რომელიც ექსპერიმენტის კაცობრიობას სარგებელს მოუტანს.

საქართველოში მსგავსი და მცირე ეკოსოფლების სიმრავლე სწორი მენეჯერული პრაქტიკის გატარების შემთხვევაში დიდწილად განაპირობებს ისეთი ტურისტული მიმართულების განვითარებას როგორც ეკოტურიზმი. საწყის ეტაპზე ეკოსოფლებს შეუძლია უზრუნველყოს არსებითი შემოსავლების მიღება და თვითმყოფადობა, ხოლო წარმატებული განვითარების შემთხვევაში ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში, რადგან ეკოსოფლის პრიორიტეტებს წარმოადგენს: მწვანე ბიზნესი, ეკოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ალტერნატიული განახლებადი ენერჯის წყაროები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვ. აუცილებლად უნდა იფუნქციონიროს ინოვაციურმა ცენტრმა რომლის პრიორიტეტები უნდა იყოს: 1. მზის ენერჯის გამომუშავება და ათვისება(სამომავლოდ შესაძლებელია მოპოვებული ენერჯის გაყიდვა ახლომდებარე რეგიონებზე) 2. ჰიდროპონიკების შექმნა და მათთვის იაფი ორგანული საკვების მიწოდება (გამოინვესტოს მთელი წლის განმავლობაში ორგანული პროდუქტის მიწოდებას სოფლისთვის და სამომავლოდ რელიზაციისთვის) 3. მცენარეთა დაცვის ორგანული საშუალებების შექმნა და პერმაკულტურის პრინციპების გამოყენება. მაგ. სოკოების კულტურის შექმნა, რათა მოახდინონ ხის და ეზოს ნარჩენების სწრაფი გადამუშავება და მიწის განოყიერება საჭირო მინერალებით. [3, გვ. 7]

ტურიზმის ამ სფეროში მენეჯმენტის ეფექტური შემუშავება შესაძლებლობას იძლევა პოზიტიური ზემოქმედება განხორციელდეს ტურისტული ფირმების საქმიანობასა და უფრო ფართო ხედვებით ჩაერთონ ტურიზმის ამ უმნიშვნელოვანესი ფორმის განვითარება-დასტაბილურებაში. იხ. სქემა 1.



სქემა 1. ეფექტური მენეჯმენტის ფორმა

ეკოსოფიის განვითარებისთვის უმჯობესია არ მოხდეს მისი ერთბაშად აშენება, როგორც ეს სტანდარტულ დეველოპერებს სჩვევიათ. შეუძლებელია წინასწარ მოახდინო ეკოსოფიის ვიზუალიზაცია, რადგან ეს კონცეფცია საკმაოდ კომპლექსურია შიდა ურთიერთობებისა და კომპონენტების გათვალისწინებით. არ შეიძლება საბოლოო გეგმის დახაზვა მხოლოდ მედაპირული დაკვირვების, მოკლე ხედვის და არასრული ცოდნის საფუძველზე. გავისწავლოთ, თუ რამდენი სტრესი, დაძაბულობა და იმედგაცრუება გამოიწვია ჩვენს ცხოვრებაში ცუდი დაგეგმვის და არასწორი დიზაინის შემუშავების შედეგად დაარსებულმა ქალაქებმა? ჩვენ კვლავ ვიმკით იმ შეცდომებს, რომლებიც დაუშვეს მშენებლებმა დიდი ხნის წინ და ამ ყველაფრის შეცვლა ძალიან ნელი და შრომატევადი პროცესია. ნამუშაოს ბოლოს მსურს აღვნიშნო, რომ უმჯობესია განვითარების პროცესი იყოს ეტაპობრივი, რადიალურად მზარდი და ორგანული. ყოველი ახალი დანამატი უნდა ინარჩუნებდეს სისრულის სინთეზს, მუდმივ ხასიათს და სოფელს, რომელიც ეკუთვნის ხალხს.

ECOVILLAGE – SOCIAL INNOVATION IN TOURISM MANAGEMENT

GIORGI TCHOTCHUA

Doctrate Candidate

Sokhumi State University

(E-mail: g.tchotchua40@gmail.com)

Abstract: *There are plenty of social innovation networks and initiatives around the globe. The idea is to contribute transformative changes towards more sustainable ecological movements. Many of these communities have a specific vision on the alternative way of making economy with experimenting new forms of sustainable living, governance and education. This paper highlights one of the most self-sustainable project such as "ecovillage" and its contribution to country's economy*

Key words: *Ecovillage, Local Economy, Renewable Energy, Tourism, Management, Innovation*

ლიტერატურა

მ. გოგელია. *ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება*. დისერტაცია, ბათუმი, 2013

Kuzne Transformative social innovation theory. EU, 2015

P. Stamets Permaculture with a Mycological Twist. New York, 2001

<https://designtoimprovelife.dk/regen-villages/>

<http://www.visageorgia.ge/blank-8>

მენეჯერი, როგორც მოტივატორი

თამარ ხუსიშვილი

დოქტორანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: tamunakhuts@gmail.com)

მოტივაცია მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან - „მოტივი“, რომელიც გულისხმობს რაიმე მოქმედების, საქცილის გამოწვევს მიზეზებს, გადატანითი მნიშვნელობით კი მოსაზრებას, საბუთს რისიმე სასარგებლოდ.

1943 წელს, აბრაამ მასლოუმ გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც აღნიშნავდა, რომ ადამიანის ქცევას წარმართავს ძირეული მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები, თავის მხრივ, თანდაყოლილია და ვითარდებოდა ათასწლეულების მანძილზე. თავისი გამოკვლევების საფუძველზე, მასლოუმ შექმნა მოტივაციის იერარქიული პირამიდა, რომელიც მოიცავს 5 ძირითად საფეხურს:

ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები – ჰაერი, წყალი, საკვები, თავშესაფარი, ძილი და სექსი.

უსაფრთხოების საჭიროება – დაცულობა სტიქიისაგან, უსაფრთხოების გარანტია, წესრიგი, კანონი, სტაბილურობა და თავისუფლება შიშისგან.

3. სიყვარული და კუთვნილება – მეგობრობა, ინტიმურობა, სინამე და სიყვარული – სამუშაო ჯგუფისგან, ოჯახისგან, მეგობრებისგან და რომატიკული ურთიერთობებიდან.

4. პატივისცემის (აღიარების) მოთხოვნილება – მიზნის მიღწევა, დაუფლება, დამოუკიდებლობა, სტატუსი, დომინანტობა, პრესტიჟი.

5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება – პერსონალური შესაძლებლობების გააზრება, შინაგანი ზრდა, გამოცდილების უმაღლესი მწვერვალი.

მასლოუს პირამიდას, მოგვიანებით სხვა მკვლევარების მიერ დაემატა მეშვიდე და მერვე საფეხურები, რაც დაფუძნებული იყო მასლოუს ნაშრომზე. შესაძლოა ორიგინალი, ხუთსაფეხურიანი მოდელი მოიცავდეს მოგვიანებით დამატებულ მეექვსე, მეშვიდე და მერვე საფეხურებსაც (კოგნიტურს, ესთეტიკურს, ტრანსცენდენტურს). ორიგინალი, 5-საფეხურიანი მოდელი გახლავთ ადამიანის მოტივაციის კლასიკური რეპრეზენტაცია.

მასლოუ ამბობდა, რომ მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს პირამიდაზე მოცემული თანმიმდევრობით. მიზნები და მართვის მოთხოვნილება, ყოველთვის მაღალ საფეხურებს იკავებენ. 1 და 4 – არასაკმარისი მოტივატორებია. მეხუთე საფეხური, მეექვსე და მერვესთან ერთად, გახლავთ ზრდის მოტივატორი და შედარებით იშვიათად გვხვდება.

ნაცვლად იმისა, რომ მასლოუ ფოკუსირებულიყო ადამიანის ქცევის პათოლოგიურ დეტერმინანტებზე, მან ყურადღება გაამახვილა, იმ პოზიტიურ სტიმულებზე, რასაც ადამიანი მიჰყავს თვითრეალიზაციისკენ.

დადებით მხარეებთან ერთად ა. მასლოუს თეორია ხასიათდება ნაკლოვანებებითაც. ჯერ ერთი, როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა, არ არსებობს მოთხოვნილებათა ხუთსაფეხურიანი იერარქიული სტრუქტურა; მეორე, არ დასტურდება უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების კონცეფცია.

ადამიანები, რომლებიც მიზნის მისაღწევად მაღალი მოტივაციით გამოირჩევიან, უმეტესწილად შეუპოვრები და შრომისმოყვარენი არიან. მათ დიდი ძალისხმევის გარეშე შეუძლიათ უარი თქვან წამიერ სიამოვნებაზე, რათა საბოლოო დანიშნულებამდე სვლაში არ შეყოვნდნენ. დასტურად გაგაცნობთ 2015 წლის 13 სექტემბერს, შიმონ პერესის, ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9 პრეზიდენტის გამოსვლას კიევიში:

“ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა რომელიც ჩვენ გვერგო არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა... ახლო აღმოსავლეთის ერთი მეათასედი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეყრებოდა... იქ იყო ჭაობები, კოლოები, სამხრეთში უდაბნო და ქვები... არჩევანი კოლოებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო – ერთი მკვდარი და მეორე მომავლდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა მასში წყალი არ იყო... წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა – არც ოქრო და არც ნავთობი... მაშინ ასეთი გამოთქმა იყო „**ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები,**“ ჩვენი ქვეყანა კი – აბსოლუტურად წმინდა იყო... რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. **ჩვენ არ გვყავდა არც რელიგიური ძმები, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მემობლები.** ეს ყველაფერი ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდგომ... ჩვენ იქ მივედით და არ ვიცოდით რა გვექნა... ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: **ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.”**

ადამიანებზე გამიზნული ზემოქმედების აუცილებლობა ცნობილი იყო გაცილებით ადრე, ვიდრე სიტყვა „მოტივაცია“ გაჩნდებოდა მენეჯმენტის ლექსიკაში. ადამიანებზე გავლენის მოსახდენად ყველაზე პირველად გამოიყენეს მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა. მეფეები ადამიანებზე ან მახვილს აღმართავდნენ, ან ჭილდოს გადასცემდნენ მათ. ასეთი მიდგომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო XIX საუკუნის ბოლოსაც კი. მოცემულ ნაშრომში, მსურს განვიხილოთ ორი სახის მოტივაცია - შინაგანი და გარეგანი. ვნახოთ, რით განსხვავდება ეს ორი ცნება ერთმანეთისგან.

მათრახი თუ თაფლაკვერი - გარეგანი მოტივაცია, მოცემული სქემით მოტივაცია ყალიბდება - „სტიმული - რეაქცია“, სადაც სტიმული არის ერთგვარი „თაფლაკვერი“, რომელსაც იღებს ადამიანი ვინმესთვის საჭირო მოქმედების შედეგად, ან პირიქით, „მათრახი“, რომელსაც ცდილობს თავი აარილოს შესაბამისი მოქმედებით.

ეს არის მოტივაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა, ეგრეთ წოდებული გარეგანი მოტივაცია, როცა ადამიანი შესაბამის მოქმედებას ან სამუშაოს ასრულებს გარეგანი ზემოქმედების ან მოთხოვნის შესაბამისად, ჭილდოს მიღების, ან დასჯის შიშის გამო.

შინაგანი მოტივაცია

მოცემულობა, როდესაც ადამიანი საკუთარი სურვილით ასრულებს ამბ, თუ იმ სამუშაოს, ამავედროულად ის იმდენად ერთობა ამ საქმიანობით, რომ ხშირად საერთოდ ვერ ამჩნევს რა ხდება მის ირგვლივ;

ხშირად ნიჭიერი ადამიანი, ბავშვობიდან სწორედ ასე ამჟღავნებს საკუთარ ნიჭს, თავდავინწყებითა და გატაცებით იგი საათობითაა დაკავებულია იმ საქმიანობით, რომელსაც არავინ ავალდებულებს.

ეს შინაგანი მოტივაციის მაგალითია. მაგრამ როგორ მუდავდება იგი ზრდასრულ ადამიანში?

იგი ისეა უამრავი პრობლემებითა და ვალდებულებებით დატვირთული, რომ მისი მოტივაცია მინავლულია და სადღაც კუნჭულშია მიყუჟული. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მისმა მოტივაციამ იფეთქოს მთელი ძალით, მაგალითად მაშინ, როცა საყვარელი ჰობითაა დაკავებული. სამწუხაროა, მაგრამ ძალიან ცოტა ადამიანს გააჩნია ძლიერი შინაგანი მოტივაცია, ანუ თვითმოტივაცია.

ადამიანებს, რომლებიც ფლობენ განსაზღვრული სახის (შინაგან ან გარეგან) მოტივაციას, გააჩნიათ სხვადასხვა შედეგები ცხოვრებაში, გლობალური მასშტაბით კი სხვადასხვა ბედიც კი. ადამიანებს, რომელთაც აქვთ შინაგანი მოტივაცია, გააჩნიათ:

- საკუთარი, წარმატებული საქმე და მაღალი შემოსავალი;
- საინტერესო ცხოვრება, რომლის განმავლობაშიც ისინი აღწევენ ყველაზე გაბედულ მიზნებსაც კი;
- გარშემომყოფთა პატივისცემა, ხელავენ რა, თუ როგორ სწრაფად ვითარდება იგი;

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

- კმაყოფილების გრძობა;
- ენერგიულობა და სიმხნევე;
- პოზიტიური დამოკიდებულება ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ;
- საკუთარი თავის რწმენა, რომელიც ეხმარება ცხოვრებაში რთული მომენტების გადალახვაში;
- ბევრი თანამოაზრე;
- დამოუკიდებლობა და თავისუფლება;

ხოლო ადამიანებს, შინაგანი მოტივაციის გარეშე:

- უკმაყოფილება საკუთარი საქმისა და შემოსავლის მიმართ;
- პრობლემები ახლობელ ადამიანებთან, რადგან ისინი ელიან მისგან გადამწყვეტ მოქმედებებს;
- სიზარმაცე;
- მონყენილობა და რუტინული ცხოვრების წესი;
- დროში ჩარჩენილობა; უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ;
- უკმაყოფილება გარშემომყოფების მიმართ;
- შიშები;
- საქმის შემდგომისთვის გადადება;
- უნდობლობა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების

მენეჯერის როლი არის ძირითადი და წამყვანი დასაქმებულთა მოტივირებაში, მოცემულ ნაშრომში მინდა ყურადღება გავამახვილო მოტივაციის მეთოდებზე, რომლებიც ერთი შეხედვით მარტივია, თუმცა პრაქტიკული მაგალითებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად არ გამოიყენება მოქმედი მენეჯერების მიერ:

- პერსონალურად გადაუხადე გულწრფელი მადლობა პერიოდულად და ხშირად;
- შეინარჩუნე ღია და გულწრფელი ურთიერთობები;
- გამოყავი დრო რათა შეხვდე და მოუსმინო თანამშრომლებს;
- ჩართე გადაწყვეტილების მიღებაში;
- უზრუნველყავი მათი მეპატრონეობა დაკისრებულ სამუშაოზე
- უზრუნველყავი უკუკავშირი - აღიარე, დაასაჩუქრე ;
- წახალისე ახალი იდეები და ინიციატივები;
- წახალისებისთვის გამოიყენე დახმარების თხოვნა, მაშინ როდესაც სირთულეები წარმოიქმნება;
- განუმარტე დასაქმებულს, როგორ ესადაგება ორგანიზაციის მიზნებს
- მიეცი შესაძლებლობა დაისწავლოს ახალი უნარები;
- თავიდან აიცილე საყვედური, გაკიცხვა, ვინაიდან შეცდომა არის განუყოფელი ნაწილი დასწავლის პროცესის;
- რეგულარულად შეაფასე, რათა გადახედო პროგრესს, პრობლემებსა და გეგმებს;

აქვე, წარმოვადგენ მოტივაციის იაპონურ და ამერიკულ მოდელებს, მათ მნიშვნელოვან ასპექტებს:

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკაში დამკვიდრდა მართვის ახალი „იაპონური კონცეფცია“, რომლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში იაპონიამ განვითარებისა და წინსვლის სწრაფი ცვლილებები განიცადა, რაც მოახერხა ორგანიზაციის მართვის უცხოური გამოცდილების ეროვნულ ტრადიციებთან კომბინირების გზით.

იაპონიის კომპანიებში მართვისა და შრომის ორგანიზაციის სისტემა ორიენტირებულია ადამიანური რესურსებისთვის დასაქმების მაქსიმალური გარანტიების შექმნაზე, შრომაში ჩართულობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაზე, ორგანიზაციისადმი ერთგულების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაზე, თანამშრომლური და დადებითი ორგანიზაციული კლიმატის შექმნაზე, სტატუსური უთანასწორობის მინიმიზაციაზე და შრომითი კმაყოფილების მაჩვენებლის ამაღლებაზე;

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ამერიკული მართვის სფეროში „პერსონალისა“ და „პერსონალის მართვის“ ნაცვლად დამკვიდრდა „ადამიანური რესურსებისა“ და „ადამიანური რესურსების მართვის“ ტერმინი. განსხვავების დაფიქსირების აუცილებლობა გამოწვეული იყო პიროვნების ხასიათსა და ინდივიდუალურ თავისებურებებში ჩადებული შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების აღიარებით.

ამერიკული მართვის კონცეფციის უმთავრეს პირობას წარმოადგენს: დაქირავებულთა განხილვა სამუშაო პროცესის წარმატების გასაღებად და არა უბრალო სამუშაო ძალად, ადამიანური რესურსების დაგეგმვა, პერსონალის ცალკეული კატეგორიისათვის მოთხოვნილებათა პროგნოზირება; დაჯილდოების სისტემის, სოციალური დაზღვევისა და სხვა სახის შეღავათების საკითხების წინა პლანზე წამოწევა, დაქირავებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, გარკვეული ავტონომიურობისა და გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების 144 საჭიროების დადასტურება, ორგანიზაცია ორიენტირებულობა მაღალი ხარისხის სამუშაო ძალის დასაქმებაზე.

ABSTRACT
MANAGERS AS MOTIVATORS

TAMAR KHUTSISHVILI

Doctorate Candidate

Sokhumi State University

(E-mail: tamunakhuts@gmail.com)

Motivation is the reason for people's actions, desires, and needs. Motivation is also one's direction to behavior, or what causes a person to want to repeat a behavior. A motive is what prompts the person to act in a certain way, or at least develop an inclination for specific behavior.

Success of business mostly depends on motivation of employees. It is possible to have perfect organizational structure, but not to be effective, the reason may be the management, they can't motivate employees to achieve the goals. Management must coordinate this process; they must impact employees to work properly, so Leaders one of the most important duty;

Key words: *Motivation; Employee; Maslow's Pyramid; Manager; Aim; Goal; Leader; Working Area*

ლიტერატურა

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>

ბიზნესი 2007: ჟურნალი „: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ № 2, - [რედაქტორი: ამირან ბაბუნაშვილი], - ISSN 1512-4487,- აპრილი, 2007

გეზბაია 2015: ბ. გეზბაია, ა. დევაძე „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2015, გვ: 74

<https://www.thebalance.com>

<http://edis.ifas.ufl.edu/hr017>

Tribal Leadership – 2011, [Dave Logan](#), [John King](#), [Halee Fischer](#)

სექცია: ფინანსები, აღრიცხვა, აუდიტი და საბანკო საქმე
Section: FINANCE, ACCOUNTING, AUDIT AND BANKING


ავტობიზნესის დაბეგვრის სრულყოფის ძირითადი ასპექტები საქართველოში

კობა ბასილაია¹, ბადრი გიორგიძე²

1. ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
2. ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ელ-ფოსტა: k.basilaia@yahoo.com)

ავტობიზნესი ნავთობროდუქტების და ტურიზმის ბიზნესთან ერთად შემოსავლების მიხედვით თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში პირველ სამეულში გადის. უკანასკნელ პერიოდამდე ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო იყო. ამის ნათელი დასტურია ის სტაბილური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ავტომობილების ექსპორტ-რეექსპორტის მიმართულებით საქართველოში 2010-დან 2014 წლის აპრილამდე. თუ გადავხედავთ ამ პერიოდის დინამიკას ვნახავთ, რომ 2010 წლის მარტის მდგომარეობით თუ კი ექსპორტ-რეექსპორტის რაოდენობამ შეადგინა 1437 ერთეული, 2014 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 9547 ერთეული, რაც 664%-ით მეტია 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. აღნიშნულმა ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად გაზარდა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები.

ექსპორტი და რეექსპორტი 2010-2017 წ.



ექსპორტ-რეექსპორტის დინამიური ზრდა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველო მიუხედავად იმისა, რომ არ ახორციელებს საკუთარი ავტომობილების წარმოებას მემბრელი ქვეყნების ავტომობილების ექსპორტის სრულ მაჩვენებელში 2014 წლამდე ეკავა 21%.

რეგიონში რუსთავის ავტობაზრობის მუდმივი კლიენტები იყვნენ ამერბაიჯანის, ყაზახეთის, სომხეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ასევე რუსეთის და უკრაინის წარმომადგენლები.

ამერბაიჯანი, რომელიც წარმოადგენს რეგიონში საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორს 2014 წლამდე ავტომობილებით ვაჭრობაზე მოდიოდა მთელი ექსპორტის სრული მოცულობის 50 პროცენტი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით, 2013 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 703,9 მლნ აშშ დოლარის მსუბუქი ავტომობილი, საიდანაც ნახევარზე მეტი, დაახლოებით, 380 მლნ დოლარი ამერბაიჯანში ექსპორტზე მოდიოდა. უკვე 2015 წელს ავტომობილების რეექსპორტი 179,6 მლნ აშშ დოლარამდე დავიდა. 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი 517,7 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა.

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მიუხედავად ავტომობილების ექსპორტ-რეექსპორტში 2010-2014 წლების სტაბილური მდომარეობისა ავტომობილების ბიზნესში პრობლემის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 2011 წელი, როდესაც ყაზახეთი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდა, ანუ ქვეყანა, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი იყო. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შემდეგ ყაზახეთში განბაჟება გაძვირდა დაახლოებით 4-ჯერ და საქართველოდან ავტომობილების შეყვანა შეუძლებელი გახდა.

პრობლემა უფრო დამძიმდა ამერბაიჯანში მიღებული რეგულაციების შემდეგ. 2014 წლიდან ამერბაიჯანის ეკოლოგიურ სტანდარტ ევრო 4-ზე გადასვლის შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა 10 წელზე მეტი ხნის ავტომობილების იმპორტის აკრძალვას ქვეყნის ტერიტორიაზე ამერბაიჯანში მეორადი ავტომობილების შეტანა ასაკობრივი შეზღუდვის გამო მკვეთრად შეამცირა. აღნიშნულმა ფაქტმა ავტომატურად გამოიწვია საქართველოდან ამერბაიჯანში ავტომობილების ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. თუკი 2014 წელს ამერბაიჯანში საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 268 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა 2015 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 64 მილიონი აშშ დოლარი, ანუ შემოსავლის მოცულობა შემცირდა 238 პროცენტით.

განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე 2014 წლის აპრილიდან, როდესაც ავტომობილების ექსპორტ-რეექსპორტის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა. თუ კი 2014 წლის მარტის (პიკი) თვის მდგომარეობით ექსპორტ-რეექსპორტის რეჟიმში მოქცეული ავტომობილების რაოდენობამ შეადგინა 9547 ერთეული, 2016 წლის მარტის თვის მონაცემით იგივე მაჩვენებელმა შეადგინა 798 ერთეული, ანუ ექსპორტ-რეექსპორტის მაჩვენებელი ავტომობილების სახეობების მიხედვით საშუალოდ შემცირდა 835%-ით, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებზე.

უფრო უარეს სტატისტიკურ მონაცემებთან გვაქვს საქმე 2016 წელს. ამ წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით ავტომობილების რეექსპორტი ამერბაიჯანის მიმართულებით კიდევ უფრო შემცირებულია, შესაბამისად შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 48,4 მილიონი აშშ დოლარი, რაც მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ავტომობილების ექსპორტის მხრივ შექმნილი პრობლემის დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობამ 2015 წელს ავტომობილების განბაჟების ვადა 45 დღიდან 60 დღემდე გაზარდა.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის მხრიდან გატარებული მსგავსი პრევენციული ღონისძიებებისა ავტომობილების ბიზნესში მკვეთრი გაუმჯობესება არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც აღნიშნული პროცესი უფრო გაართულა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 01 იანვრიდან შეტანილმა ახალმა რეგულაციებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის გ) ქვეპუნქტის თანახმად მოგების გადასახადით იბეგრება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) ავანსის გადახდა;

როგორც მოგხსენებთ, ავტომობილებით დასაქმებული კომპანიების უმრავლესობა დაკავებულია იმპორტის ოპერაციებით, ანუ ახალი და მეორადი მანქანების უმეტესობა შემოყავს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნიდან, ვინაიდან მსხვილი ავტომწარმოებლების უმეტესობა თავიანთ ბიზნესაქტივობას ახორციელებენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N615 დადგენილების თანახმად (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალს დაემატა ქვეყნები, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თუ, უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნის ცალკეული ტერიტორიების საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიმე იურიდიული პირის მიმართ ადგილი 2 შემთხვევიდა ერთ-ერთს, კერძოდ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა ითვლება ქვეყანა ან/და ქვეყნის ცალკეული ტერიტორიები, რომლის/რომელთა საგადასახადო კანონმდებლობით: ა) იურიდიული პირი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან; ბ) იურიდიული პირის მიერ მიღებულ ან/და განაწილებულ მოგებაზე დაწესებული არ არის მოგების გადასახადი ან მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის 1/3-ს არ აღემატება, მაშინ აღნიშნული ქვეყანა ან/და ქვეყნის ცალკეული ტერიტორიები ამ ნაწილში განიხილება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებად.

2017 წლის პირველ იანვრამდე მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის N132 დადგენილება (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ), სადაც არაბეთის გაერთიანებული საემიროები არ ფიგურირებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ავტომობილებით დაკავებული საწარმოების უმეტესობა სარგებლობს საბანკო სესხებით. როგორც მოგხსენებთ ავტომობილების იმპორტი დროში განვლილი პროცესია და ძირითადად ავტომობილების ჩამოყვანის პროცესი იწელება სამიდან ექვს თვემდე, ხოლო საქართველოს საწარმოს უხდება წინასწარ ავანსად გადაიხადოს ავტომობილის ღირებულების დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე დაახლოებით 6 თვის განმავლობაში ბანკისგან აღებული სესხით განაწილებული მოგების გადასახადის გადახდა იწვევს ავტომობილების თვითღირებულების გაზრდას, რაც ტვირთად აწვება ავტომობილებს,

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის §161.1.ა.ა §161.1.ა.ბ.დ მუხლის თანახმად დღეით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემქმნისაგან მიღებული ავანსები. მიღებული ავანსის თანხიდან ავანსის მიღებმა უნდა მოახდინოს დღგ-ს გაანგარიშება (დღგ-ს ამოღება) და იმ საანგარიშო თვის დღგ-ს დეკლარაციაში ასახვა, რომელშიც მოხდა ავანსის თანხის მიღება. იმ შემთხვევაში როცა ავანსის სახით ხდება მიწოდებული საქონლის ან გასაწევი მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილის მიღება, საქონლის/მომსახუ-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

რების ღირებულების ის ნაწილი, რომლის მიღებაც მოხდება ავანსის სახით, დაიბეგრება ავანსის თანხის მიღების საანგარიშო პერიოდში, ხოლო საქონლის/მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილის დაბეგრვა უნდა მოხდეს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც განხორციელდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების განწევა. ავანსის მიმღები მიღებულ ავანსის თანხაზე გამოწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, ხოლო ავანსის გამცემი ამ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე განახორციელებს ავანსის ჩათვლას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან გაიზარდა მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი. „რეალურად ავტომობილების განბაჟებისას აქციზის ზრდა იწვევს ავტომობილების, საშუალოდ, 30%-ით გაძვირებას. ამ შემთხვევაში საუბარია მარცხენასაჭიან მანქანებზე, თორემ მარჯვენასაჭიანები ჩვეულებრივი მყიდველისთვის უკვე მიუწვდომელია. პირველ რიგში, გაძვირდა ყველაზე პოპულარული - 7-15 წლის ავტომობილები. მათზე დიდ მოთხოვნას ხელმისაწვდომი ფასი განაპირობებდა.

მანქანა, რომელიც, საშუალოდ, 3 ათასი აშშ დოლარი ღირს, ახალი სააქციზო ტარიფების პირობებში, დაახლოებით, 1000 დოლარით მაინც ძვირდება. ოფიციალური მონაცემებით, იმპორტირებული ავტომობილების 95% არის სწორედ 7 წლიდან-20 წლამდე სატრანსპორტო საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან შემოღებულმა საგადასახადო რეგულაციებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში ავტომობილებში შექმნილ ისედაც რთულ მდგომარეობაზე. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ახალი რეგულაციის დანერგვა უნდა იყოს სიღრმისეულად გაანალიზებული და ხელს უწყობდეს არა რომელიმე ბიზნესის განვითარების შეფერხებას, არამედ მის შემდგომ განვითარებას.

ABSTRACT MAIN ASPECTS OF IMPROVING AUTO BUSINESS TAXATION IN GEORGIA

KOBA BASILAI¹, BADRI GIORGIDZE²

1. PhD, Associate Professor

2. PhD, Assistant Professor

Sokhumi State University

(E-mail: k.basilaia@yahoo.com)

The automobiles together with the oil and tourism business are reaching the top three in the modern stage by revenue. Until recently, Georgia was no exception in this regard. This is a clear proof of the steady state that has been exported to Georgia in the direction of export re-export in Georgia from April 2010 to April 2014. It is important to note that in order to regulate the problem of automobile exports, the Government of Georgia increased the customs clearance period in 2015 from 45 days to 60 days.

Despite such preventive measures carried out by the Georgian government, there is no sharp improvement in the automotive business. Furthermore, this process has further complicated the new regulations from January 1, 2017, in the Tax Code of Georgia.

Key words: Auto Exposure, Export- Reexport of Automobiles, Tax Regulations

ლიტერატურა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2017 (კოდიფიცირებული);

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის N132 დადგენილება;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N615 დადგენილება;

Ge.avtobazroba.com

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის (აუდიტის) მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ჯაბა ბებრამძე

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: jabanaber@gmail.com)

საქართველოში ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ძირითადად შეიცვალა. კერძოდ, განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის აღსრულების პროცესის რევიზია-შემოწმებებში ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. სახელმწიფო (საჯარო) აუდიტის სამსახური აუდიტორულ საქმიანობას წარმართავს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა და დაინერგა 2010 წელს შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით.

ნებისმიერ ქვეყანაში ფულადი შემოსავლების და ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ მატერიალურ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი (მთლიანი შიდა პროდუქტი). სწორედ ფინანსების, როგორც მეთოდის, ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზება და ფულადი ფონდების ფორმირება და მისი კონკრეტული მიზნით წარმართვა. რაც შეეხება ფინანსების მაკონტროლებელ ფუნქციას, ფინანსები აღნიშნულ „სამუშაოს“, მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის, განაწილების და გადანაწილების ყველა სტადიაზე, ფულის მეშვეობით ასრულებს.

ფინანსები როგორც ეკონომიკური ისე სამართლებრივი და ისტორიული კატეგორიაა, რომელიც ვითარდება და დროში იცვლება. შესაბამისად მან რიგი დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა. სპეციალისტები ფინანსების შემდეგ ძირითად მახასიათებელ ნიშნებს გამოყოფენ: 1) ფინანსების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ურთიერთობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ფულადი ურთიერთობა; 2) საფინანსო ურთიერთობის პროცესში წარმოებს საერთო სახელმწიფოებრივი ფულადი რესურსების ფონდების ფორმირება და გამოყენება. მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ფინანსების მართვა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური აპარატი განსაკუთრებული წესებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის სხვადასხვაგვარი სტიმულებითა და სანქციებით.

ფინანსების მართვა (მენეჯმენტი) მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური

პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. აქვე შედის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება და ვალების მართვა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კორპორაციებისა და კერძო მენარმეების ფონდების წრეებზე სხვადასხვა ფულად ფონდებშია მატერიალიზებული. სახელმწიფო საქმიანობის ასეთ წრეებზე შემოქმედებს კანონით მიცემული ეკონომიკური უფლებებით - მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, საკრედიტო ურთიერთობათა რეგლამენტაციით, ფინანსური ბაზრის რეგულირებით, საამორტიზაციო ფონდის შექმნის მეთოდით, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერით. აქ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ასეთი მეთოდებით სახელმწიფოს შემოქმედება არამც და არამც არ არის სახელმწიფოს მხრივ ფინანსების მართვა, არამედ ის არის ფინანსების მეშვეობით შემოქმედება, ე.ი. სახელმწიფო **ფინანსური პოლიტიკის** რეალიზაცია.

ფინანსების მართვაში გამოიყოფა მართვის **სუბიექტები** და მართვის **ობიექტები**. ფინანსური მართვის ობიექტებად გამოდიან სხვადასხვაგვარი ფინანსური ურთიერთობანი, ხოლო სუბიექტებად ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც მართვა ხორციელდება. შესაბამისად სახელმწიფოში ფინანსური მართვის ობიექტების შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: სახელმწიფო ფინანსები, საწარმოთა და კორპორაციათა ფინანსები და სადაზღვევო საქმე, რომლებსაც მართვის შემდეგი სუბიექტები შეესაბამება: სახელმწიფო საფინანსო ორგანოები და საგადასახადო სამსახურები, საწარმოებისა და კორპორაციების საფინანსო სამსახურები და სადაზღვევო ორგანოები.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო ფინანსებს იყენებს თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. დასახული ამოცანების რეალიზაციაში უდიდეს როლს **ფინანსური პოლიტიკა** ასრულებს, რომელიც როგორც წესი განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ან მათ ხელშეწყობას ითვალისწინებს. ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური სიტუაცია ან სტრუქტურა, რომელიც დასახული პოლიტიკის მიზანთან უშუალოდ არის დაკავშირებული, კარგად ათვისებული და გასაგები უნდა იყოს, იმისათვის რომ საჭიროებისამებრ შესაძლებელი გახდეს დასახული პოლიტიკისაგან განსაზღვრული გადახრა და მანიპულაცია, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასახული მიზნის მიღწევას.

ფინანსური სტრატეგია ერთ-ერთია სტრატეგიული მართვის ხუთი ფუნქციური ელემენტიდან (წარმოება, მარკეტინგი, ინოვაციები, კადრები და ფინანსები). კორპორაციებში ფინანსების მართვის ობიექტად გამოდის კაპიტალი და ფულადი ნაკადები. ამ კატეგორიებს აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან მათი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს **კონკურენტულ უპირატესობებს** და სააქციო მოცულობით (კაპიტალის საერთო მოცულობის 60%-ზე მეტი) და ფულადი ნაკადების დადებითი სალდოთი გააჩნია დიდი შესაძლებლობები ფინანსური ბაზრიდან დამატებითი ფულადი რესურსების მოსაზიდად.

მაშასადამე, ფინანსური სტრატეგია - ფინანსური პოლიტიკის ხანგრძლივი კურსია, რომელიც გაანგარიშებულია პერსპექტივაზე და რომელიც გულისხმობს კორპორაციის მსხვილ მასშტაბიანი ამოცანების გადაჭრას. მისი შემუშავების პროცესში ხდება ფინანსების განვითარების ძირითად ტენდენციათა პროგნოზირება, ყალიბდება მათი გამოყენების კონცეფცია, ისახება სახელმწიფოსთან (საგადასახადო პოლიტიკა) და პარტნიორებთან (მომწოდებლებთან, მყიდველებთან, კრედიტორებთან, ინვესტორებთან, დამმღვევებთან და სხვა) ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის პრინციპები. სტრატეგია გულისხმობს კორპორაციის განვითარების ალტერნატიული გზების არჩევას. ამასთანავე, გამოიყენება სპეციალისტების (მენეჯერების) პროგნოზები, გამოცდილება და ინტუიცია დასახული მიზნების მისაღწევად ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის. სტრატეგიის პოზიციიდან ყალიბდება საწარმოო და ფინანსური საქმიანობის კონკრეტული მიზნები და ამოცანები და მიიღება ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებები.

ფინანსური ტაქტიკა მიმართულია კორპორაციის განვითარების კონკრეტული ეტაპის კერძო ამოცანების გადაჭრისკენ ფინანსური კავშირების ორგანიზაციის ხერხთა დროული შეცვლის, ხარჯთა სახეებისა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფულადი რესურსების გადანაწილების გზით.

ამრიგად, ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების და ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და მისი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

და სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე საზოგადოების წევრებს შორის, ეროვნული ეკონომიკის, პრიორიტეტული სტრუქტურული დარგების და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის განაწილება-გამოყენებაში გლინდება.

ამრიგად, საქართველოში ფინანსების მართვას კანონმდებლურად პარლამენტი ახორციელებს, აღმასრულებლის სახით - ფინანსთა სამინისტრო და ადგილებზე მისი ორგანოები, კონტროლს კი - შემოსავლების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფას შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს, ბიუჯეტგარეშე ფონდების ხელმძღვანელობას კი - ფინანსთა სამინისტროს სამმართველოები და აღმასრულებელი დირექციები, სადამღვევო ორგანიზაციების საქმიანობაზე მუდამხედველობას - ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში არსებული შესაბამისი სამმართველოები ახორციელებენ.

ABSTRACT THEORETICAL-METHODOLOGICAL ASPECTS OF MANAGEMENT OF STATE FINANCIAL CONTROL

JABA BERADZE
Doctorate Candidate
Georgian Technical University
(E-mail: jabanaber@gmail.com)

The scientific paper deals with the state internal financial control system that provides independent, objective, public, transparent and professional state internal financial control. The study of problems of adaptation and establishment of internal audit mechanism in the management of state control processes in the modern stage of market economy transformation process is very urgent. Because it preserves the effectiveness of financial management and control in the country.

Key words: Management; State Financial Control; Financial Tactics

ლიტერატურა

1. ბასილაია ვ. ლიპარტია მ. ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. გამ. "უნივერსალი", 2012 წ. 356 გვ.
2. ლიპარტია მ., ზარანდია ც., გელაშვილი მ. მმართველობითი აუდიტი და შიდა კონტროლი, სახელმძღვანელო ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2011 წ. 306 გვ.
3. მესხია ი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი. თბ. 2011.
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. თბ. 2010 წ. 26 მარტი.
5. საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISSAIs 3000 – 3100; ISSAIs 1000 2999; 4000 - 4200).

შიდა კონტროლის ასპექტები

ნაზი გვარამია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: nazi.gvaramia@mail.ru)

აუდიტის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი წარმოშობა ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. მეცნიერების გამოკვლევით უკვე 6000 წლის წინ კაცობრიობა მიმართავდა გარკვეულ აღრიცხვას, რადგან არსებული ოჯახების, ტომების, ჯარის შენახვა მოითხოვდა სახსრების მობილიზებას და მიზნობრივად ხარჯვას. ისტორიის განმავლობაში აღრიცხვა ვითარდებოდა და იხვეწებოდა. აღრიცხვას სწავლობდნენ და მასზე ცნობები შემონახულია ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან.

არისტოტელემ თავის ნაშრომში „პოლიტიკა~ მოიხსენია აღრიცხვა, მისი რევიზია და აუდიტი, როგორც კონტროლის ნაწილი. მისი აზრით, აუდიტორი უნდა გაუტოლდეს ბუღალტერს და არ უნდა მოექცეს შესამოწმებლების მუდამხედველად. აუდიტი არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს მოსმენას.

საქართველოშიც არსებობდნენ შესაბამისი თანამდებობის პირები, რომელთაც ევალებოდათ სახსრების შეგროვება, შენახვა და მათი მიზნობრივად დახარჯვა. აუდიტის პროცესი კაცობრიობის განვითარების თანმდევი პროცესი და მისი განუყოფელი ნაწილია.

საბჭოური პერიოდის საქართველოში სახელმწიფო ორგანოები ახორციელებდნენ კონტროლს – რევიზიას, რომელიც ადმინისტრაციულ, სავალდებულო ხასიათს ატარებდა, ხოლო საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისას საქართველოში შეიცვალა სიტუაცია, ჩამოყალიბდა თავისუფალი მენარმეობა, გზა გაეხსნა კერძო სამართლებრივი სუბიექტების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სფეროებში, მომრავლდნენ ფირმები და კომპანიები, განხორციელდა ინ-

ვესტიციები არამართო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარედანაც. პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად საჭირო შეიქმნა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ ფირმების და კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი. საქართველომ აირჩია დასავლური მოდელი და ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

აუდიტი განიმარტება, როგორც პროცესი, რომელსაც ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა. აუდიტის მიზანია შესაძლებლობა მისცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტორი არის პირი, რომელსაც აუდიტზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება; ეს ცნება ასევე გამოიყენება აუდიტური ფირმის აღსანიშნავადაც. „აუდიტორი“ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში გამოიყენება ორივე შემთხვევაში: როდესაც საუბარია აუდიტზე და მაშინაც როდესაც სრულდება აუდიტთან დაკავშირებული რომელიმე მომსახურება. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ პიროვნება, რომელიც ასრულებს აუდიტთან დაკავშირებულ მომსახურებას აუცილებლად უნდა იყოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი.

დასავლეთში და ამერიკაში დიდი ხანია გავრცელდა დამოუკიდებელი აუდიტის საქმიანობა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს შეუძლია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი და განახორციელოს თავისი ბუღალტრული საქმიანობის შემოწმება, რათა აღმოფხვრას შეცდომები და ნაკლოვანებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აუდიტი არ მოიცავს მხოლოდ შემოწმებას და შეცდომების აღმოჩენას, არამედ მას შეუძლია აგრეთვე რეკომენდაციის გაცემა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებები და ობიექტმა შეძლოს განაგრძოს თავისი საქმიანობა და შესაბამისად განვითარება.

ამჟამად, მსოფლიოში გავრცელებულია ორი სახის აუდიტი:

სახელმწიფოს მიერ შექმნილი მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს შეამოწმოს სახელმწიფო და კერძო სამართლის სუბიექტებიც;

დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის მოწვევა შეუძლია ნებისმიერ სუბიექტს ნებაყოფლობით, რათა შეამოწმოს თავისი არამართო წლიური საბუღალტრო ანგარიშგება, არამედ მიიღოს რეკომენდაციებიც.

აუდიტის აუცილებლობა და შესაძლებლობები განსაკუთრებით გამოიკვეთა 1929-1933 წწ-ში მსოფლიო კრიზისის პერიოდში, როდესაც გავრცელებული იყო ფინანსური მაქინაცეები. საჭირო გახდა ამ პრობლემის აღმოფხვრა. ინვესტორებს, მენარმეებს და სახელმწიფოს უნდა ემოქმედათ, ისე რომ მარალი აეცდინათ. აუდიტის ჩატარებით მოწმდებოდა ობიექტების საქმიანობა და ნათელს ხდიდა თუ რა სიტუაცია იყო სინამდვილეში. აუდიტის საშუალებით მოხერხდა კრიზისიდან გამოსვლა.

აუდიტის ძირითადი კონცეფციების დებულებაში, რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის მიერ, განიმარტა: „აუდიტი ეწოდება ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემატურ პროცესს, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგინდოს კრიტერიუმებთან ამ შეკრებების შესაბამისობის ხარისხი და შემოწმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს“.

მაკროეკონომიკურ დონეზე აუდიტი ითვლება, საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტად, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბუღალტრული აღრიცხვის საშუალებით ხდება ობიექტის მდგომარეობის შეფასება და მიღებული ინფორმაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღებისას, ინფორმაციის მიმღები არიან მენეჯერები, დამფუძნელები და სხვა დაინტერესებული პირები. ამიტომაც აუდიტი გახდა იმის გარანტი, რომ შემოწმების შემდეგ ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვის შედეგები იქნება უტყუარი. აუდიტი პირველ რიგში ტარდება დამფუძნებლების ინიციატივით, რათა შეამოწმონ მენეჯერი (დაქირავებული მუშაკი), თუ რამდენად კეთილსინდისიერად წარმართავს ის საქმიანობას. მეორეს მხრივ, თვით მენეჯერის ინტერესებშიც არის მოიწვიოს აუდიტორი, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებები და შეუსაბამოს სტანდარტებს ობიექტის ფინანსური მდგომარეობა. ბოლო დროს აუდიტის მნიშვნელობა უფრო ამაღლდა. მან არა მხოლოდ მაკონტროლებელი, არამედ საკონსულტაციო სახე მიიღო. ამიტომაც ფირმებმა და კომპანიებმა შექმნეს ახალი თანამდებობა - შიდა აუდიტორი.

ყველა დამოუკიდებელი აუდიტორი, სანამ დაიწყებს აუდიტის განხორციელებას, დებს ხელშეკრულებას, სადაც მითითებულია ორივე მხარის პირობები, ჩასატარებელი სამუშაო, ანუ თუ რა უნდა შემოწმდეს და რათქმა უნდა ანაზღაურებაც. ხელშეკრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩასატარებელი სამუშაოს ვადებსაც, ხოლო ვადები დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობაზე. აუდიტორი პირველ რიგში გარკვეული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტორული ფირმები ცდილობენ ჰყავდეთ სხდასხვა სფეროს აუდიტორი, რათა შეძლონ კლიენტს შესთავაზონ მრავალმხრივი მომსახურება. თუ შესაძლებელი ობიექტი დიდია და განსახორციელებელია მასშტაბური სამუშაო, მაშინ ადგილზე მუშაობს ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი აუდიტორი, რომელიც ანაწილებს შესასრულებელ სამუშაოს და ამოწმებს მათ. საბოლოოდ მიღებული შედეგები თავს იყრის მთავარ აუდიტორთან. მაგრამ ზოგჯერ ობიექტი ისეთი პატარაა, რომ შეუძლებელია რამდენიმე აუდიტორის სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა და ერთი აუდიტორიც საკმარისი იქნება. ამიტომაც სანამ დაიწყება აუდიტორული სამუშაოები, აუდიტორები წინასწარ გადიან ობიექტზე და აფასებენ ობიექტის მდგომარეობას თუ რა მოცულობის სამუშაო არის ჩასატარებელი, რა დრო დასჭირდება და რამდენი აუდიტორი დასჭირდება. აუდიტორი შემოწმებას ატარებს პირველადი დოკუმენტების საშუალებით, რათა შეძლოს მაქსიმალურად უტყუარი ინფორმაცია მიიღოს და ჩამოაყალიბოს აზრი შემოწმებული ფაქტების შესახებ და განსაზღვროს თუ რამდენად შესაბამეა ეს ფაქტები კრიტერიუმებს.

მსოფლიოში მრავალი ფირმაა, რომელიც ეწევა აუდიტორულ საქმიანობას და კლიენტისთვის ძნელია მათ შორის გააკეთოს არჩევანი, ამიტომ გადამწყვეტილებებს იღებენ: პოპულარობის, რეპუტაციის, ცნობადობის გათვალისწინებით. აუდიტორული ფირმების და კომპანიების სიმრავლის გამო, არსებობს დიდი და ძლიერი კონკურენცია მათ შორის, განსხვავებულია მომსახურების განაკვეთი და ხარისხი. ყველა კლიენტს სურს, რომ მიიღოს საიმ-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ედო ინფორმაცია თავისი ობიექტის შესახებ, ამიტომ მიმართავს გამოცდილ აუდიტორულ ფირმას, რომელიც ცნობილია კარგი რეპუტაციით. შემომხმობისას აუდიტორი შეიძლება წააწყდეს ობიექტის მიერ განხორციელებულ არაკანონიერ საქმიანობას, რომელიც კანონით იკრძალება. ამ შემთხვევაში აუდიტორმა უნდა იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტს ატარებს სახელმწიფოც, თავისი უფლებამოსილი სტრუქტურების მეშვეობით. მათი მიზანია გაირკვეს თუ რამდენად შეესაბამება ობიექტის ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობა მიღებულ კანონმდებლობას და გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები. მაკონტროლებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი და განთხოვნილი აუდიტი ეფექტურად და ყოველგვარი დაინტერესებული პირთა გემოქმედების გარეშე, უნდა იმოქმედოს ობიექტურად, საჭაროდ და ხარისხიანად შეასრულოს თავისი სამუშაო, რადგან სახელმწიფო ატარებს მაკონტროლებელი ორგანოს საშუალებით ფინანსურ-ეკონომიკურ შემომხმობას, მისი შედეგები ანუ დასკვნა საჭაროა. მომხმარებელმა უნდა იცოდეს თუ თუ რომელი ფირმა, კომპანია არის საიმედო და მაღალი ხარისხის მომწოდებელი. ყველაფერი ეს მომხმარებელს ეხმარება ჩამოაყალიბოს აზრი ამა თუ იმ ფირმაზე და გააკეთოს სწორი არჩევანი.

ამდენად, როგორც უკვე განვიხილეთ, კერძო სამართლის სამეწარმეო სუბიექტები ნებაყოფლობით ატარებენ აუდიტს დამოუკიდებელი აუდიტორების მეშვეობით, რომელიც ეხმარება მათ ნაკლოვანობების გამოვლენასა და აღმოფხვრაში რაც მნიშვნელოვანია ობიექტისთვის, რათა განაგრძონ საქმიანობა და შეძლონ განვითარება, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ აუდიტს, ის ატარებს ადმინისტრაციულ ხასიათს, ემსახურება კანონიერების დაცვას და მათ ფარგლებში მოქმედებს. ორივე სახის აუდიტი ემსახურება საბაზრო ურთიერთობის განვითარებას შესაბამისი ნორმების და სტანდარტების ფარგლებში.

ABSTRACT INTERNAL CONTROL ASPECTS

NAZI GVARAMIA

Phd, Associate Professor

Sokhumi State University

(E-mail: nazi.gvaramia@mail.ru)

The scientific paper discusses the main idea, the goals and the role of the audit as well as its significance in the conditions of the market economy and the perspectives of the audit regulation and development in Georgia. Moreover, experience of the auditing business in the foreign countries. In the paper the significant attention is paid to the organizational matters of the audit performance and is presented the procedures of the audit conclusion composition, its structure, shape, content and status.

Also, is reviewed the next stage after the audit accomplishment – the discussion of the audit conclusions and reports (Act, Statement); the process of its appeal, the forms of the responds and the legal aspects of the detected results. In Georgia audit is held according to the International Standards on Audit (ISA). International standards on Audit (ISA) represent the standards approved by the audit and the International Auditing and Assurance Standards Board (IAASB) or its entitled body, which is contained in the international official Reference Book of the above-mentioned body or the assurance services.

Keywords: Accounting, Auditing, Standards, Regulation

ლიტერატურა

მონტგომერი. აუდიტი.

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2016 წლის 8 ივნისი.

<http://rs.ge/>

<http://www.sao.ge/>

<https://matsne.gov.ge/>

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძვლები

ელგუჯა კონჯარია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

(ელ. ფოსტა: elgujaconjaria@gmail.com)

ფინანსური მართვის სრულყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსურ ანალიზს. დღეს, როცა საკუთარების მრავალფეროვნების პირობებში საწარმოებმა მიიღეს სრული დამოუკიდებლობა, ფულადი ნაკადების დაგეგმვის და ანალიზის გარეშე შეუძლებელია მეურნეობის სწორი გაძღოლა. საწარმოს წინაშე დასმული მთავარი ამოცანის - მოგების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა. ფინანსების სწორი მართვა, მთელი თავისი ბერკეტებით საშუალებას აძლევს საწარმოების და ფირმების მფლობელებს და მენეჯერებს დროულად რეგულირება მოახდინონ ფაქტობრივად მიღებული ეკონომიკური შედეგების დასახული პროგრამიდან გადახრაზე. სასწრაფოდ გაატარონ ზომები სამეურნეო საქმიანობის და ფინანსური პროცესების ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად.

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ფინანსური ანგარიშის მომხმარებელს აინტერესებს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც როგორც წესი მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებას და საკუთარ კაპიტალს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრადეგია, ლიკვიდობა და გადახდის უნარიანობა. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს მომავალი მოთხოვნა შესახებ და როგორ განაწილდება მომავალი მოგება ფულადი სახით მესაკუთრეთა შორის. ფინანსური ანგარიშების მაჩვენებელთა შორის განსაკუთრებულია ინფორმაცია შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ფინანსური ანგარიშების ანალიზის უმთავრეს საინფორმაციო წყაროს ფინანსური ანგარიშების პაკეტი წარმოადგენს, რომლის მომზადებისა და წარდგენის რეკომენდაცია საწარმოებს ეძლევათ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად.

ფინანსური ანგარიშების ანალიზის კულტურის დანერგვა ზოგადად ბიზნესში საწარმოს ინფორმაციის გამჭვირვალობის საფუძველია, რაც თავის მხრივ, ბიზნესის ჭეშმარიტი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური და თანამედროვე კონცეფციაა.

ფინანსური ანგარიშების ანალიზი ეკონომიკური ხასიათის მოვლენათა შედეგების გაანალიზებას უკავშირდება და ამ თვალსაზრისით ის ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია.

ქართულ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში ფართოდ არის გაშუქებული საწარმოს ეკონომიკური ანალიზის არსი და მიზნები. მისი ჩატარების ძირითადი პრინციპები და თავისებურებები. ე. ცირამუა მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ეკონომიკურ მოვლენებზე, სამეურნეო ფაქტორების გავლენას და რაოდენობრივი ცვლილებების შეფასების შედეგად თვისებრივად ახლის გამოვლენას. მისი განმარტებით საწარმოს ეკონომიკური ანალიზი უკავშირდება საწარმოში მიმდინარე ფინანსური და მართვითი პროცესების შედეგების ცვლილებათა ანალიზს და მოიცავს: საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებისა და შრომის საგნების ანალიზს; ძირითადი საშვალეების, საწარმო სიმძლავრეების გამოყენებისა და ბრუნვადობის ანალიზს; შრომითი რესურსების მისი გამოყენების ეფექტიანობისა და ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება პროდუქციის თვითღირებულებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს. გარდა ამისა, ეკონომიკური ანალიზი მოიცავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების ანალიზს (1, გვ.9);

ავტორთა ერთი ჯგუფი, კერძოდ კი, მ. ლიპარტია, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ანალიზის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო საწარმოს პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე მოთხოვნილებები, რომელიც უკავშირდება მმართველობითი ინფორმაციის ანალიზურ დამუშავებას, გეგმების შესრულების შეფასებას, საქმიანობის შედეგებზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების შესწავლას და მათი გავლენის შეფასებას (2. გვ. 211)

ეკონომიკურ ანალიზთან დაკავშირებით, ი. ჭილაძე წერს, რომ ეკონომიკური ანალიზი, როგორც მეცნიერების ცალკე დარგი მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა და მისი კვლევის საგნის განმარტებასთან დაკავშირებით დღემდე ამრთა სხვადასხვაობა არსებობს. ეს გამოიხატება შემდეგში: ეკონომისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ანალიზის საგანი საწარმოს სამეურნეო საქმიანობაა. მეორე ნაწილის შეხედულებით, ეს არის გეგმების შესრულების შეფასება. მესამე ნაწილი თვლის, რომ ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია ინფორმაციული ნაკადი მეოთხე ნაწილის აზრით, ეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ეკონომიკური მოვლენებს, პროცესებსა და საბოლოო შედეგებს. არსებობს მეხუთე ჯგუფიც, რომელიც ეკონომიკური ანალიზის საგნად მიიჩნევს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ერთად. (3, გვ.12)

ეკონომიკური ანალიზი არის საწარმოს შიდა და გარე მომხმარებელთათვის განკუთვნილი ინფორმაციის დეტალური ანალიზი. ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს ფინანსური და მმართველობითი ანალიზის ერთობლივობას.

ფინანსური ანგარიშების ანალიზი ეკონომიკური ანალიზის ერთი მიმართულების ფინანსური ანალიზის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშების ანალიზის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს დეტალური მეთოდის გამოყენება, რომელიც სწავლობს როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად. ასეთი ანალიზისას, საკითხები განიხილება როგორც ისტორიულად წარმოებული პროცესების შესაბამისად, ასევე ლოგიკურად. სამეურნეო ფაქტორებზე დაყრდნობით, მათი მდგომარეობის სისწორისა და შედეგების განსაზღვრით პრაქტიკაში მიღებულია ფინანსური ანგარიშების ანალიზის ჩატარების მეთოდიკა: ჰორიზონტალური ანალიზი, ვერტიკალური ანალიზი, ტრენდული ანალიზი, საფინანსო კოეფიციენტური მეთოდი, შედარებითი ანალიზი, ფაქტორული ანალიზი.

ჰორიზონტალური გულისხმობს ანგარიშების თითოეული პოზიციის წინაპერიოდთან შედარებას.

ვერტიკალური ანალიზი განისაზღვრება საფინანსო-სამედიეო მაჩვენებლების სტრუქტურით-ანგარიშების ცალკეული პოზიციების გავლენით საფინანსო შედეგებზე.

ტრენდული ანალიზი ანგარიშების თითოეული პოზიციის გასულ პერიოდთან შედარებაა და ემსახურება ტრენდის ანუ ტრადიციის განსაზღვრას ე.ი. ძირითადი ტენდენცია მაჩვენებელთა განსაზღვრა დინამიკაში.

საფინანსო კოეფიციენტური მეთოდით ანალიზისას, ანგარიშების სხვადასხვა პოზიციების შორის დამოკიდებულება განიხილება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების შესაბამისად, რომელიც ახასიათებს მოვლენის დონეს, გეგმის შესრულებას, ცვალებადობის ინდექსს, ტემპს და სხვა.

შედარებითი ანალიზი მოცემული საწარმოს კონკურენტებთან, შესაბამისი მაჩვენებლისა და საშუალო საერთო მაჩვენებლების შედარებას გულისხმობს.

ფაქტორული ანალიზი გულისხმობს ცალკეული ფაქტორების გავლენის შესწავლას საწარმოს საფინანსო შედეგებზე.

ფინანსური მდგომარეობისა და გასული პერიოდის საქმიანობის შედეგების შესახებ ფინანსური ანგარიშების ინფორმაციის გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ისეთი საკითხების პროგნოზირება როგორც-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ცაა: შემოსავლების ზრდა, დივიდენდებისა და ხელფასების გაცემა, ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებები და სანარმოს უნარი დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. იმისათვის რომ ინფორმაციას ქონდეს საპროგნოზო ღირებულება, პროგნოზირების შესაძლებლობა იზრდება იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ არის ასახული წარსული ოპერაციები და მოვლენები. ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია საიმედო იქნება მაშინ, თუ იგი სრულად ნეიტრალდება, რაც მხოლოდ იდეაში შეიძლება არსებობდეს. ფინანსური ანგარიშგება არ ჩაითვლება ნეიტრალურად თუ მასში ასახულია წინასწარ შერჩეული ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას მოახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და ამდენად განკუთვნილია წინასწარგანზრახული შედეგების მისაღწევად, ამ დროს ის გარემოება, რომ ანგარიშგება თავად აქცევს ინფორმაციას გარკვეულ ჩარჩოებში, ფინანსური ანგარიშგება სიღრმისეულ და ანალიზურ ჩანვდომას საჭიროებს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი უშუალოდ დაწესებულ ანგარიშგების მაჩვენებელთა ანალიზს წარმოადგენს და ფინანსურ ანალიზთან შედარებით მოქცეულია იმ ჩარჩოებში, ვინც მას აწესებს, ანუ ვინც ეკონომიკას მართავს. კრედიტებზე, ინვესტიციებზე, გრანტებსა და დახმარებაზე, მყოფი ქვეყანა ძალაუფლებურად მათი ინტერესების გავლენაში ექცევა და ანგარიშგება მათი მოთხოვნების შესრულების ანგარიშს უფრო ემსახურება ვიდრე ადგილობრივი მეურნეობა წარმოებისა და საკუთარი ქვეყნის ერთიანი ეკონომიკის გავითარებას.

ანგარიშგების ანალიზის ძირითად მეთოდებს მიეკუთვნებიან: ანგარიშგების წაკითხვა თარაზული ანალიზი, ვერტიკალური ანალიზი; თანაფარდობითი ანალიზი, ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება.

ანგარიშგების წაკითხვა არის მონაცემთა აბსოლიტური მაჩვენებლების შესწავლა წარმოდგენილ ანგარიშგებაში. წაკითხვის საშუალებით დგინდება სანარმოს ქონებრივი მდგომარეობა, მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები, საკუთარი კაპიტალისა და სასესხო სახსრების ფორმირების წყარო.

საფინანსო მონაცემების შედარება ორი წლის და მეტ პერიოდში ცნობილია, როგორც თარაზული ანალიზი. თარაზული ანგარიშის ყურადღება მიჰყრებილია ანგარიშგების ტენდენციის მოქმედებაზე ლარებში და პროცენტულ გამოსახულებაში.

ვერტიკალური ანალიზი ასახავს საბრუნავი აქტივების ცვლას გასული წლის განმავლობაში. ფულადი სახსრების გაუარესება შეიძლება იყოს სანარმოს უუნარობა ამოიღოს ფული მევალებებისაგან. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ჩაჯატაროთ შედარება პოზიციების მიხედვით, მაგრამ თუ აუცილებელია სხვადასხვა პოზიციების შედარება, მაშინ ის ხდება თანაფარდობითი ანალიზის მეშვეობით.

თანაფარდობითი ანალიზი დაფუძნებულია მაჩვენებლების პირობითი გადაანგარიშებაზე რიგი წლების მიხედვით (პერიოდი) დონესთან შედარებით, რისთვისაც ყველა მაჩვენებელი მიიღება 100%-ად.

ანალიზის ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა მოცემული მაჩვენებლები გამოიყენოთ კოეფიციენტების დასადგენად, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას შევფასოთ ბიზნესის მდგომარეობა, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, დავადგინოთ ლიკვიდურობა, რენტაბულობა, ფინანსური რისკის ფაქტორი.

ლიკვიდურობა ეს არის სანარმოს შესაძლებლობა შეასრულოს სასესხო ვალდებულობა საწარაფოდ რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის განხორციელებისათვის, განსაკუთრებით არახელსაყრელ კომერციულ გარემოში. არასაკმარისმა ლიკვიდურობამ შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯების ზრდა სანარმოს დაფინანსებაზე და მიიყვანოს სანარმო იქმდე, რომ ვერ შეძლოს ანგარიშსწორება და დივიდენდების გაცემა.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ობიექტი არის ის, რაზეც უშუალოდ მიმართული ანალიზი. იმის გათვალისწინებით, თუ რა მოთხოვნება წაყენებული კონკრეტულ შემთხვევაში ანალიზის მიმართ, ობიექტი შესაძლებელია იყოს თავად სანარმოს სამეურნეო საქმიანობა მთლიანობაში ან ამ საქმიანობის შეფასების ცალკეული მიმართულებები იქნება ეს სანარმოს ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, საქმიანი აქტივობა, ლიკვიდობა, ფინანსური სტაბილურობა და სხვა. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ობიექტი უკვე შეიძლება იყოს კომპანიის საქმიანობის შედეგების გამომხატველი კონკრეტულ ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სუბიექტად განიხილებიან ერთ მხრივ, სანარმოს სამეურნეო საქმონობით დაინტერესებული ინფორმაციის მომხმარებლები, აქციონერები, კრედიტორები, მომწოდებლები, მყიდველები და მეორე მხრივ, მათი ინტერესების დამცველი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი სანარმოს სამეურნეო საქმიანობით. მათ შორის აუდიტორული კომპანიები, კონსულტაციები ფინანსურ საკითხებში, დაქირავებული ანალიტიკოსები და სხვა პირები.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ხარისხი და მისი შედეგების საიმედოობა დამოკიდებულია ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიების გამართულობაზე, შერჩეული მეთოდებისა და ხერხების მართლზომიერებასა და მოპოვებული ინფორმაციის კვალიფიციურ დამუშავებაზე, რაც ანალიზის სუბიექტის (ანალიტიკოსის) პირდაპირი პერიგოტავაა.

ზოგადად, მეთოდოლოგია არის კონცეპტუალური მიდგომა საკვლევი საკითხისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს. კერძოდ იმას, თუ რა მეთოდები და ხერხები იქნება გამოყენებული მოცემულ კვლევაში და როგორი ტექნიკით დამუშავდება და გაანალიზდება მოპოვებული ინფორმაცია. რაც შეეხება მეთოდებს, წესებს, ხერხებს-ეს ის კონკრეტული საშუალებებია, რომელიც შეირჩევა კვლევის ობიექტის შესასწავლად. მეთოდოლოგია წარმოადგენს თეორიული პრინციპების და წესების ერთობლიობას, მეთოდი-მიზნის მიღწევის კონკრეტულ პრაქტიკულ ხერხს, ხოლო მეთოდიკა არის კვლევაში გამოყენებული ხერხების ერთობლიობა.

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ემსახურება სანარმოს წარსული და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის ფინანსური შედეგების ობიექტურ შეფასებას და პროგნოზირების გაკეთებას სანარმოს შემდგომი სტაბილურობის ან პირიქით, მოსალოდნელი გაკოტრების რისკის შესახებ.

ABSTRACT
THEORETICAL METHODOLOGICAL BASIS OF FINANCIAL REPORTS ANALYSIS

ELGUJA KONJARIA

Doctor of Economics

(E-mail: elgujaconjaria@gmail.com)

The analysis of financial statements is the best opportunity to evaluate the financial results and financial position of the enterprise.

Analysis of financial statements represents the basis in making reasonable economic decision, that relies on property condition of the enterprise, current liquidity, financial stability, capital structure, cash movement and rating other highlights.

As a result of financial reporting analysis it is possible to unlock the prediction of the further stability or on the contrary the risk of anticipated bankruptcy.

Key words: Financial Analysis; Profitability; Financial Risk; Liquidity Analysis; Financial Forecasting

ლიტერატურა

ცირამუა ე. ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია პრაქტიკა) თბილისი 2007 გვ. 9
ლიპარტია ზ. გვარამია ნ. ლანჩავა ე. ეკონომიკური ანალიზი, თბილისი „უნივერსალი“ 2007.გვ. 211
ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი თბილისი „მერანი“ 2011 გვ. 12

**საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების
ხელშეწყობის პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი**

ზურაბ ლიპარტია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: Zlipartia@yahoo.com)

პრობლემის დასმა. ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბიზნესის განვითარება, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ ბიზნესის ფორმებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეგულირების მეთოდებისა და სახელმწიფო მაკრომარეგულირებელი მექანიზმის დანერგვა მთლიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას, უმუშევრობის შემცირებასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემის კვლევა **აქტუალობას** იძენს თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ეხმიანება პარტნიორი ქვეყნების მიმართ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვას ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებად და მიჩნეული, თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის არ არის დამკვიდრებული ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ეკონომიკურ-ფინანსური ინსტრუმენტები. შესაბამისად, დღეს, ქვეყანას ეძლევა უდიდესი შესაძლებლობა, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ხელშეწყობი ინსტიტუტების შექმნით, ასოცირების დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელებით, შეძლოს ბიზნესის განვითარების უპირატესობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის მიმოხილვა – ანალიზი. როგორც ცნობილია, მცირე და საშუალო ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესის სისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა. განვითარებული ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ ამ სფეროების ბიზნესში ინარჩუნება ქვეყნების მშპ-ს 50%-ზე მეტი და დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტს მოიცავს. [1. გვ 25]

მსოფლიო სამეწარმეო ბიზნეს პრაქტიკაში იკვეთება მცირე და საშუალო კომპანიათა **ეკონომიკური სტრატეგიის** სხვადასხვა ტიპები, რომლებიც განსაზღვრავს მათ ადგილს ეროვნული ეკონომიკის აღწარმოებაში. კერძოდ:

ვიოლენტური სტრატეგიები-ეყრდნობა კონკურენციას დაბალი წარმოების დანახარ-ჯების საფუძველზე;

პატენტური სტრატეგიები, რომელსაც ირჩევენ მცირე კომპანიები, მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად, ორიენტაციას აკეთებენ სპეციფიკურ მოთხოვნაზე და დომინირებენ ბაზრის ვიწრო სეგმენტზე;

კომუტანტური სტრატეგიის შერჩევისას მცირე კომპანიები ორიენტაციას იღებენ მცირე მოცულობის ხანმოკლე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მათი ცვლილებების პირობებში, ხშირად უწევთ საქმიანობის სახეობის შეცვლა;

ექსპლერენტული სტრატეგია დამახასიათებელია ინოვაციური კომპანიებისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შემუშავებაზე, მათ დანერგვასა და ამის საფუძველზე მაღალი მოგების მიღებაზე.

ამრიგად, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების **ამოცანაა**, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკონომიკის ბიზნესის სისტემის პირველწყარო,

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხს, სტრუქტურასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა, კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე ანაზღაურებად დანაკარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება და ა.შ. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს.

როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებების მიმოხილვა ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში მცირე ბიზნესს არსებითი როლის შესრულება შეუძლია. მაგალითად, აშშ-ში სამეწარმეო ბიზნესს პრაქტიკაში განასხვავებენ სამი ტიპის მცირე კომპანიებს (საწარმოს), კერძოდ: ა) მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ; ბ) საწარმოებს, რომლებიც ნელ-ნელა ვითარდება; გ) მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი სწრაფი გაფართოების მიზნით. [2. გვ 38]

აშშ-ში ამჟამად მცირე კომპანიები ძირითადად ორი კრიტერიუმებით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა 3-დან 12 მილიონ დოლარამდე. ასევე, აშშ-ში შექმნილი საშუალო ადგილების ნახევარზე მეტი მოდის იმ კომპანიებზე, სადაც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. ჯერ კიდევ 1990 წელს საშუალო ძალის საერთო მოცულობაში მცირე ბიზნესს ეჭირა აშშ-ში 40, ხოლო გერმანიაში-49 პროცენტი.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს კომპანიათა სტრუქტურაში დიდი ადგილი უკავია მცირე კომპანიებთან ურთიერთობას. მცირე კომპანიები ხელს უწყობს მსხვილ კომპანიებს იყენონ მოქნილი და უბიძგებს მათ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ კომპანიებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა შეთანხმების საფუძველზე არის აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისაკენ.

კვლევები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით. [4. გვ 103]

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი, სუბარენდა, ფრანჩაიზინგი, ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებანი.

მცირე ბიზნესი ხელს უწყობს მსხვილ კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, მას შესწევს უნარი ფართო მასშტაბებით უზრუნველყოს შრომითი რესურსების გამოყენება. ასევე, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე კომპანია შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირება.

მცირე (საშუალო) ბიზნესის ფორმირება-განვითარების პრაქტიკის შეფასება. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგა. ბუნებრივია, ქვეყანა ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: საჭირო იყო ეროვნული ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ტიპის ინსტიტუტების შექმნა, ქვეყანაში სრულიად უცხო ფენომენის ბიზნესის ფორმირება და ა.შ. თავდაპირველად მოსახლეობამ, სტიქიურად, გაუცნობიერებლად, ლეგალურად თუ არალეგალურად, ხელი მოჰკიდა მცირე ბიზნესს, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში მან დღემდე ვერ შეძლო თავისი ადგილის დამკვიდრება.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების პირველ ეტაპად

განიხილება 1991-1999 წწ-ის პერიოდი, როცა ქვეყანაში 1991 წელს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე 1992 წლიდან დაიწყო

სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეორე ეტაპი იწყება 1999 წლიდან და გრძელდება 2002 წლის პირველ ნახევრამდე. 1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიხედვით კომპანიების შეფასების კრიტერიუმად დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა კომპანიის წლიური ბრუნვის მაჩვენებელი.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მესამე ეტაპი 2002 წლის მეორე ნახევრიდან 2006 წლის პირველ ნახევრის ჩათვლით. 2002 წელს მიღებული იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, რომელმაც როგორც პრაქტიკაში აჩვენა დროის მოთხოვნებს ვერ უპასუხა - მთავრობის სტრატეგიას, ბიზნესის ყველა ფორმა ჩაეყენებინათ თანაბარ მდგომარეობაში. შესაბამისად, აღნიშნული კანონი გაუქმდა 2006 წლის ივლისში.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეოთხე ეტაპი მოიცავს 2006 წლის მეორე ნახევრიდან 2011 წლის პერიოდს. კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოების ცნება, კერძოდ „მცირე საწარმო არის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა 500,000 ლარს“. [3. გვ. 166]

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეხუთე ეტაპი მოიცავს 2011-დან 2014 წლამდე პერიოდს. 2011 წელს ახალი საგადასახადო კოდექსით რეგლამენტირებულია მიკრო და მცირე ბიზნესი. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ენვეა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. მიკრო ბიზნესი საქართველოში ბიზნესის ახალი ფორმაა. დღეისათვის საქართველოში არსებული ბიზნესფორმები ევროკავშირის ბიზნესფორმების ადეკვატურია, თუმცა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით ამას ვერ ვიტყვი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რაც არსებობს მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრასთან მიმართებაში. მიღებულ იქნეს „კანონთა პაკეტი“ მცირე ბიზნესის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სახელმწიფო მხარდაჭერის დარეგულირების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს და შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის მოთხოვნებთან, რასაც ითხოვს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ ხელშეკრულება. 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოსათვის მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მიმართულებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შედეგად იწყება. 2014 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წინასწარ ამოქმედდა. [5. გვ 76]

პრაქტიკა მოწმობს, რომ განსაკუთრებით დიდია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს, ვინაიდან იგი არის უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მცირე ბიზნესის ამ შესაძლებლობამ განაპირობა, რომ საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში ეკონომიკის დაცემას არ მოჰყოლია სოციალური ხასიათის გამოსვლები.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემეტიკას სწავლობს და განიხილავს ქართველ მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და მკვლევართა დიდი ნაწილი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქმეში არსებული დადებითი თუ უარყოფითი საკითხების კვლევების შედეგების განზოგადება უჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი. კერძოდ, მცირე კომპანიების წილი ბრუნვასა და გამოშვებაში ჯერ კიდევ შესაბამისად 9 და 10%-ს ბევრად ვერ ასცდა (იხ. ცხრილი 1 - „ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება საქართველოს კომპანიათა ზომების მიხედვით (2010-2014 წწ.)“). [6]

ცხრილი N 1. საქონელბრუნვა და პროდუქციის გამოშვება საქართველოს კომპანიათა ზომების მიხედვით (2010-2014 წწ.)

წელი	ბი	ბრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმება		ხელფასი ლარი	შრ. მწარ. ლარი
		მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	კაცი	%		
2010	სულ	24400.7	100	13303.7	100	397 806	100	592.7	33 443
	მსხვილი	20469.2	83.9	10859.6	87.6	224 354	56.4	755.2	48 404
	საშუალო	2350.3	9.6	1461.5	11.0	91 943	23.1	395.0	15 895
	მცირე	1981.2	6.5	982.6	7.4	81 500	20.5	312.9	12 055
2011	სულ	36726.2	100	19239.1	100	503 236	100	622.6	38 232
	მსხვილი	29435.0	80.1	15437.8	80.2	273 581	54.4	820.7	56 429
	საშუალო	3839.6	10.5	2095.1	10.9	103 004	20.5	457.0	20 342
	მცირე	3451.6	9.4	1706.9	8.9	126 651	25.1	283.1	13 477
2012	სულ	42048.0	100	23096.0	100	534 340	100	714.3	43 219
	მსხვილი	34919.1	83.0	19002.5	82.3	305 340	57.1	928.2	62 234
	საშუალო	3223.6	7.7	1740.2	7.5	73 661	13.8	528.1	23 624
	მცირე	3905.3	9.3	2353.3	10.2	155 396	29.1	338.1	12 144
2013	სულ	44327.9	100	23553.6	100	55088.5	100	750.1	42 756
	მსხვილი	36240.3	81.8	19031.0	80.8	315 447	57.3	969.9	60 330
	საშუალო	4295.6	8.7	2242.3	9.5	97 090	17.6	565.8	23 095
	მცირე	3792.1	8.6	2280.3	9.7	134 348	25.1	372.2	16 482
2014	სულ	50064.7	100	26068.6	100	592 147	100	800.5	44 024
	მსხვილი	41026.2	81.9	20901.8	80.2	332 731	56.2	1029.5	62 819
	საშუალო	4378.0	8.7	2489.0	9.5	90 937	15.4	636.9	27 371
	მცირე	4660.6	9.3	2677.8	10.3	168 480	28.9	375.2	15 894

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2012 წელს კომპანიათა მთლიანმა საქონელ-ბრუნვამ 42048.0 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან მთლიანი ბრუნვის 83% მსხვილ ბიზნესზე მოდის; 7,7% -საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 9,3%-ია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა კომპანიის ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი 57,1%; საშუალო ბიზნესი 13,8%; მცირე ბიზნესი 29.1%. აქვე ნათლად ჩანს პროდუქციის გამოშვების, განაწილების სურათი. მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესზე იგი შესაბამისად შეადგენს: 82,3%; 7,5% და 10,2%. შესაბამისად, შემოთაღნიშნული 2014 წლის სტატისტიკა ადასტურებს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2014 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 50.1 მლრდ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 26.1 მლრდ ლარი შეადგინა.

საქართველოში საბაზო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ფინანსური მექანიზმის სისტემა განიხილება, რომელიც არსებით შემოქმედებას ახდენს სამწარმოო (კომერციული) სუბიექტის საწარმო-მარკეტინგული პროცესების რეგულირების უზრუნველ-ყოფაში. ფინანსური მექანიზმის სისტემის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს, როგორცაა: ფინანსური მეთოდი და ბერკეტები; სამართლებრივი, ნორმატიული და ორგანიზაციულ-ინფორმაციული უზრუნველყოფა (იხ.ნახ. 1).

ფინანსური მეთოდი როგორც ფინანსური ურთიერთობების შემოქმედების საშუალება სამეურნეო პროცესებზე, რომელიც ფინანსური ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაში გამოიხატება, მიეკუთვნება: დაგეგმვა; პროგნოზირება; ინვესტირება; დაკრედიტება; თვითდაფინანსება; საგადასახადო დაბეგვრა; დაზღვევა და ა.შ. ფინანსური მეთოდები მოქმედებენ: ა) ფინანსური რესურსების მოძრაობის მართვასა და ბ) საბაზრო კომერციული ურთიერთობების ანგარიშგების განსაზღვრაში, რომელიც წარმოადგენს ღირებულებით ფორმაში გამოხატულ სამწარმოო საქმიანობის შედეგებსა და დანახარჯებს კონკურენციული ბრძოლის პირობებში.


ფინანსური მეთოდის გამოყენებით ინსტრუმენტებად განიხილება: მოგება, შემოსავლები, საამორტიზაციო ანარიცხები, მიზნობრივი დანიშნულების ეკონომიკური ფონდები, ფინანსური სანქციები, საარენდო გადასახადი, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, დეპოზიტებსა და ობლიგაციებზე, სანესდებო კაპიტალში შენატანი, პორტფელური ინვესტიციები, დივიდენდები, დისკონტირება, ეროვნული ვალუტის კურსის ქვოტირება და ა.შ. [7]

ფინანსური მექანიზმის **სამართლებრივი უზრუნველყოფა** მოიცავს: საკანონმდებლო აქტებს, როგორცაა: საქართველოს კანონი მწარმოთა შესახებ; საგადასახადო კოდექსი; ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ და სხვ., დადგენილებებს, საცირკულარო წესებსა და მმართველობითი ორგანოების სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს.

ფინანსური მექანიზმის **ფუნქციონირების ნორმატიული უზრუნველყოფა** ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, მეთოდოლოგიური ინსტრუქციების, ნორმატივების, მეთოდური მითითებებისა და ა.შ. პრაქტიკაში ადაპტირებით მიიღწევა.

ფინანსური მექანიზმის **ფუნქციონირების ინფორმაციული უზრუნველყოფა** შედგება სხვადასხვა სახის ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური ინფორმაციებისაგან, როგორცაა: ინფორმაცია პარტნიორებისა და კონკურენტების, ფინანსური მდგრალობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ, ფასთწარმოქმნის, სავალუტო კურსების, დივიდენდების, საპროცენტო განაკვეთებისა სასაქონლო, საფონდო, სავალუტო ბაზრებზე და ა.შ. ასევე, მოიცავს: ა) ინფორმაციული ცნობების მოპოვებას საბირჟო და არასაბირჟო ბაზრებზე; ბ) ნებისმიერ მნიშვნელოვან კომერციულ სუბიექტზე საფინანსო და კომერციული საქმიანობის შესახებ და სხვადასხვა ინფორმაციულ მაჩვენებლებზე; გ) ინტელექტუალური საკუთრების სახეს „ნოუ ჰაუ“, რომელსაც მიეკუთვნება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ღირებულებები და სხვა ფინანსური სტრატეგიების შესამუშავებლად სამომხმარებლო პერსპექტივის „მმართველობითი ანალიზის“ უზრუნველყოფის განვითარება.

ნახ. N1. ფინანსური მექანიზმის სისტემის სტრუქტურის სქემა



სამეცნიერო კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ როცა იგი გლობალიზაციის პირობებში ამკვიდრებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმს, აუცილებელია ქვეყნის მენარმეობრივ საქმიანობაში შეიქმნას მცირე ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ხელშეწყობი ერთიანი, მუდმივმოქმედი სახელმწიფო მექანიზმი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინვესტიური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და სიღარიბის მაჩვენებლის მაღალი დონე.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობით შეფასება—ანალიზიდან იკვეთება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქციაში უკავია მხოლოდ 9-10%, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით. შესაბამისად, ქვეყანაში იგრძნობა: ა) მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუუმი, ბ)სახელმწიფო მხარდაჭერი ორგანიზაციების არ არსებობა, გ)აუცილებლობა ქვეყნის მცირე ბიზნესის სტრუქტურის სრულყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონების მიხედვით.

დასკვნა. ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებული სიძნელეების დაძლევის მიზნით მიგვაჩნია, შემდეგი **ღონისძიებების განხორციელება:**

1. უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი სახელმწიფო მექანიზმი, რომელმაც უნდა მოიცვას ინსტიტუციური-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი;

2. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე კომპანიების ზომები.

შესაბამისად, რეკომენდებულია, საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების **შეფასების კრიტერიუმად** მიღებულ იქნეს: ა) რეალიზებული პროდუქციის წლიური მოცულობა; ბ) ბრუნვა; გ) დასაქმებულთა რაოდენობა; დ) მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; ე) მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე საწარმოზე; ვ) ათას მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა. ხოლო, ეკონომიკაში მისი როლის განსაზღვრისათვის მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საწარმოთა საერთო რაოდენობაში: მცირე ბიზნესის კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი. ამასთან, მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების შეფასებისას მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე კომპანიების მიკუთვნებისას გასათვალისწინებელია ქვეყნის მასშტაბები და მისი ეკონომიკური განვითარების დონე, ასევე დარგობრივი თავისებურებებიც;

3. საქართველოში უნდა შეიქმნას **ინსტიტუტები:** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია; მცირე და საშუალო განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერი ფინანსური მექანიზმების სრულყოფისათვის საჭიროა შეიქმნას განმტოებული **ინფრასტრუქტურა**, რომელიც მოიცავს ბანკებს, სადაზღვევო, ლიზინგურ, ფაქტორინგულ, კონსალტინგურ, ვენჩურულ, აუდიტორულ კომპანიებს, ბიზნესინკუბატორებს, სამრეწველო ტექნოლოგიურ ცენტრებს, საარბიტრაჟო სასამართლოს და სხვა;

4. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით უნდა მომზადდეს საქართველოს **კანონთა შემდეგი პაკეტი, როგორცაა:** „მცირე ბიზნესის შესახებ“; „მცირე კომპანიათა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ“; „მცირე კომპანიათა ინოვაციური საქმიანობის შესახებ“; „მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“; „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“.

ამრიგად, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლა—ანალიზიდან იკვეთება, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცთუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდების მიერ. შესაბამისად, სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო—ნორმატიული მარეგულირებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა მართვის სრულყოფილი ინსტიტუტების ფორმირება, ქვეყანაში საკუთრების ყველა ფორმის კანონიერების, შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

ABSTRACT
FINANCIAL MECHANISM FOR THE DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA

ZURAB LIPARTIA

Doctor of Economic Sciences, Professor
Sokhumi State University
(E-mail: Zlipartia@yahoo.com)

The legislative regulatory mechanism and relevant management institution to facilitate the development of small and medium Businesses proposed in the research paper as far as possible and the advancement of entrepreneurial practice is achieved by the effectiveness of small and medium business functioning in the country Improvement, which promotes social-economic relations in Georgia, provides the realization of all forms of ownership and effective use of resources.

Keywords: Entrepreneurial Activity; Development of Small and Medium Business; Legislative-Regulatory Mechanism; Financial Support of State; International Financial Reporting Standards (IFRS)

ლიტერატურა

აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ. 2009.

ნიდლი დ. ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ. BGC biznes, 2003.

კაკულია ე., „მცირე ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სამეცნიერო ნაშრომის კრებული. ტომი VIII. 2015

ლიპარტია ზ, გელაშვილი მ, ჭლარკავა ნ, ბერიშვილი ხ, „კორპორაციული ფინანსები, სახელმძღვანელო“ ტ. 1. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2012. გვ.77-120.

<http://open-referat.djenbo.com/referats/vldoc.5531.html>. биржевое дело реферат на тему <<малый бизнес>.

WWW.GEOSTAT.GE

WWW.ECONOMY.GE

**ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესში ფულადი ნაკადების
შეფასება შერჩევის ალტერნატიული მეთოდები**

მაია მარტიაშვილი

დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: maia_martiashvili@mail.ru)

ანოტაცია: კომპანიის შეფასება თავიდანვე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მიმართულებით გვინდა შევასწავლოთ და განვსაზღვროთ მისი მომავალი ბედი. ამიტომ ბიზნესის შეფასების მიდგომა საჭიროებს, რომ ნებისმიერი შეფასება გაკეთდეს კომპანიის ღირებულების განსაზღვრის თავიდანვე მითითებული პრინციპების საფუძველზე, რომელიც პრინციპში შესაძლებელია იყოს (შუალედური გადაწყვეტილებების გათვალისწინებით) ორი:

1. კომპანიის შეფასება როგორც მოქმედის (on-going-concern);
2. კომპანიის საუტილიზაციო (სალიკვიდაციო) ღირებულების შეფასება ბიზნესის შეწყვეტის გათვალისწინებით (zero salvage value);

სტატიის შემოთავაზებულია ბიზნესის ღირებულების შეფასების სტანდარტები, რომლებიც მოქმედებს პროექტის ფულადი ნაკადების (შემოსავლების და დანახარჯების) პროგნოზირებაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები: ბიზნესის ღირებულების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ: ა) ბიზნესის მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლება; ბ) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟებზე; გ) დასაბუთებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება; დ) კომპანიის (საწარმოების) როგორც ერთიანი კომპლექსისა და ასევე მათი ცალკეული ნაწილების ყიდვა-გაყიდვა; ე) კომპანიის რესტრუქტურირება, ლიკვიდაცია, შერწყმა, შთანთქმა ან ჰოლდინგის შემადგენლობიდან დამოუკიდებელი საწარმოების გამოყოფა; ვ) კომპანიის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია შევასწავლოთ ფირმის მომავალი შემოსავლები, მისი მდგრადობის ხარისხი და ფირმის იმიჯი. ზ) კომპანიის დაკრედიტების დროს გირაოს ღირებულების და კომპანიის (საწარმოს) კრედიტუნარიანობის განსაზღვრა; თ) კომპანიათა დაზღვევა. დაზღვევის პროცესში ჩნდება აქტივების ღირებულების განსაზღვრის აუცილებლობა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ გადასახადებით დაბეგვრა. კომპანიის საგადასახადო ბაზის გაანგარიშებისათვის აუცილებელია კომპანიის (საწარმოს) შემოსავლებისა და ქონების ობიექტური შეფასება; ი) ბიზნესის განვითარების საინვესტიციო პროექტის დამუშავება. ასეთ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის დასაბუთებისთვის საჭიროა კომპანიის, მისი საკუთარი კაპიტალის, აქტივების, ბიზნესის საწყისი ღირებულების შეფასება მთლიანობაში.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ორგანიზაციის (სუბიექტის) ღირებულების (პოტენციალის) შეფასებისა და ღირებულების მართვის მოდელირება, შესაბამისი მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემოთავაზებული იქნება ბიზნესის პრაქტიკაში საშემფასებლო საქმიანობის ადაპტირება-დანერგვის რეკომენდაციები და ღონისძიებები.

ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესში **კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება (Capital budgeting)** – არის საინვესტიციო პროექტების იდენტიფიკაციის, ანალიზის და შერჩევის პროცესი, როდესაც შემოსავლების (ფულადი ნაკადების), მოგების მიღება მოსალოდნელია მომავალში და ეფუძნება კაპიტალდაბანდებების ალტერნატიული პროექტების შედარების ანალიზს.

როგორც წესი, კაპიტალური ინვესტიციის განხორციელება ისეთ აქტივებში ხდება, როგორც არის ალტერნატიულობა, შერობა, მიწა, ახალი პროდუქციის გამოშვება და სხვ.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება მოიცავს:

- საინვესტიციო საპროექტო წინადადებების განსაზღვრას (მიღებას), კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში;
- საინვესტიციო პროექტებისათვის ოპერაციული ფულადი ნაკადების (მუდმივ) შეფასებას (დაბეგვრის შემდეგ);
- პროექტის მუდმივი ფულადი ნაკადების მრდის შეფასებას;

- პროექტების (წინადადების) შერჩევას, ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის პირობაზე დაფუძნებით;
- საბოლოო შეფასების გაკეთებას.

როგორც დასრულებული ასევე მიმდინარე საინვესტიციო პროექტების საინვესტიციო წინადადებები იმის მიხედვით უნდა იქნეს განხილული, იძლევა თუ არა იგი ინვესტორის მიერ მოთხოვნილ თანაბარ ან მასზე დიდ მოგებას. კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებისას **რისკი** მუდმივია. საინვესტიციო საპროექტო წინადადებები შესაძლოა გაჩნდეს სხვადასხვა წყაროებიდან. მაგ., კომპანიების მარკეტინგული განყოფილება გამოდის ახალი პროდუქტის შექმნის საპროექტო წინადადებით, კომპანიების საწარმოო განყოფილებაში კი წარმოიშობა ალტერნატიული წარმოების წინადადება. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ეფექტიანი ადმინისტრაციული პროცედურები საინვესტიციო პროექტების ხელმძღვანელობამდე წარსადგენად. ყველა საინვესტიციო საკითხები უნდა შეესაბამებოდეს კორპორაციულ სტრატეგიას.

შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების განხილვა მიმდინარეობს რამდენიმე მმართველობით დონეზე. მმართველობის იერარქიამ, წარმოების სფეროში მიღებული წინადადებისათვის შესაძლოა მოიცვას: სექციების ხელმძღვანელი, საამქროს უფროსები, წარმოების ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო. ალტერნატიული მენეჯერებმა შესაძლოა შეძლონ საშუალო სიდიდის პროექტები დაამტკიცონ საკუთარი გადაწყვეტილებით, მაგრამ უფრო მსხვილ პროექტებს უმაღლესი დონის მმართველობა ამტკიცებს მხოლოდ, რადგანაც რაც უფრო დიდი კაპიტალდაბანდება საჭირო, მით უფრო საჭიროა პროექტის შესწავლა და გამოკვლევა.

როგორც ცნობილია, **პროექტის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება** ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა არის კაპიტალდაბანდების დაგეგმვაში. ნებისმიერი მოსალოდნელი მოგება პროექტიდან, გამოსახება **ფულადი ნაკადების ფორმაში**, ვინაიდან კომპანიის ყველა გადაწყვეტილება ორიენტირებულია კონკრეტულად ნაღდი ფულის მიღებაზე და არა **საშემოსავლო ანგარიშზე**. კომპანია თავისი ფულადი ნაკადების ინვესტირებას აკეთებს საიმედო პროექტებში, რომლებიდანაც მომავალში უნდა მიიღოს მოგება. ხელახალი ინვესტირება ან დივიდენდების გადახდა აქციონერებისათვის, მხოლოდ ნაღდი ფულით არის შესაძლებელი. ეფექტიანი მენეჯერები იღებენ ნაღდი ფულს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებაში.

აღსანიშნავია კომპიუტერული პროგრამების დახმარების როლი ფულადი ნაკადების ანალიზში, რომელთა გამოყენებით ძალიან ადვილია ვარაუდის შეცვლა და ახალი ფულადი ნაკადების სწრაფად მიღება. იმ ფულადი ნაკადებისგან განსხვავებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ საქმიანობასთან – თითოეული საინვესტიციო წინადადებისათვის საჭიროა ინფორმაციის მიღება ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე.

ფულადი ნაკადები უნდა განისაზღვროს გადასახადების გამოქვითვის საფუძველზე. საწყისი ინვესტიციის გასაგალი, როგორც შესაბამისი ფასდაკლების განაკვეთი გამოსახული იქნება დაბეგვრის შემდეგი პირობებით. ამიტომ ყველა პროგნოზირებული ნაკადები უნდა დადგინდეს ეკვივალენტური დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე.

ინფორმაცია უნდა იყოს წარდგენილი ზრდადობის საფუძველზე, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განსხვავების გაანალიზება კომპანიის ფულად ნაკადებს შორის პროექტთან ერთად ან მის გარეშე. მაგ., სწორი არ იქნება ფულადი ნაკადების გამოსახვა ახალი პროდუქტის დაგეგმილი მთლიანი გაყიდვების მიხედვით, თუ კომპანიას სურს ახალი პროდუქტის წარმოება არსებულ პროდუქციასთან კონკურენციის გასაწევად. რადგანაც უნდა გავითვალისწინოთ არსებული პროდუქციის სავარაუდო "კანიბალიზაცია" და გაზრდილი გაყიდვების საფუძველზე უნდა გაგაკეთოთ ფულადი ნაკადების შეფასება. მზარდი ფულადი ნაკადების განხილვას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როცა გაანალიზებულია სიტუაცია ახალი ინვესტიციით და მის გარეშე და სადაც ყველა ხარჯები და მოგება იქნება გათვალისწინებული.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში **ამოუღებელი წარსული ხარჯები** არ უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგანაც კომპანიის ინტერესი უკავშირდება ზრდად ხარჯებს და მოგებას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოგიერთი შესაბამისი დანახარჯები არ მოიცავს რეალურ ფულად გასაგალს. თუ შესაძლოა პროექტში ჩართული ალტერნატიული სხვა მიზნითაც გამოყენება, ამ შემთხვევაში, მისი **ალტერნატიული ღირებულება** უნდა ჩაერთოს პროექტის შეფასებაში. მიმდინარე გამოყენებელი შენობების პროექტისთვის გაყიდვიდან მიღებული თანხა (შესაბამისი გადასახადების გამოქვითვით) შესაძლოა შეფასდეს, როგორც ფულადი გასაგლები პროექტის რეალიზაციის დასაწყისში. ფულადი ნაკადების განსაზღვრისას ასეთ ვითარებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი შესაბამისი **ალტერნატიული დანახარჯები**.

როდესაც კაპიტალური ინვესტიცია შეიცავს **მიმდინარე აქტივების კომპონენტებს**, ეს კომპონენტი არ განიხილება როგორც ცალკე საბრუნავი კაპიტალის გადაწყვეტილება, არამედ განიხილება როგორც კაპიტალური ინვესტიციის ნაწილი. მაგ., ახალი პროექტის აქცეპტენსით ზოგჯერ აუცილებელია ახალი ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანების ან მარაგების გამოყენება. ეს ინვესტიცია საბრუნავ კაპიტალში განხილული უნდა იყოს, როგორც ფულადი **გასაგალი** მისი წარმოშობის დროს. საბრუნავი კაპიტალის ინვესტიცია ბრუნდება დამატებითი ფულადი გასაგლის ფორმაში, პროექტის არსებობის დასასრულს.

ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსალოდნელი **ინფლაცია** ფულადი ნაკადების შეფასების დროს, ვინაიდან ფასები განიცდიან ცვლილებას პროექტის არსებობის მთელი ციკლის განმავლობაში. ინფლაცია ზეგავლენას ახდენს როგორც ფულად გასაგლებზე, ასევე მატერიალურ დანახარჯებზე და ხელფასებზე.

ამგვარად, ფულად ნაკადებზე ზეგავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. რომლებიც გასათვალისწინებელია კონკრეტული პროექტისთვის, მზარდი, დაბეგვრის შემდგომი ოპერაციული ფაქტორი ფულადი ნაკადების განსაზღვრისას.

კაპიტალდაბანდების დაგეგმვის გადაწყვეტილებაზე, ზეგავლენას ახდენს ასევე მოქმედი საგადასახადო კოდექსი. მაგ., ამორტიზაცია არის კაპიტალური აქტივების ღირებულების სისტემატური ჩამოწერა და გადატანა პროდუქციის ღირებულებაში დროის პერიოდის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგებისა ან საგადასახადო მიზნებისათვის, ანდა ორივესთვის ერთად. საგადასახადო მიზნით ამორტიზაციის გამოქვითვები განიხილება როგორც

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კომპანიის ხარჯები და ამცირებენ მისი მოგების გადასახადს. რაც ნიშნავს იმას, რომ რაც მეტია ამორტიზაციის და-
ნახარჯები, მით ნაკლებია გადასახადებში გადახდილი თანხები. ამორტიზაცია არ არის ფულის გასავალი, მიუხე-
დავად ამისა იგი ზეგავლენას ახდენს კომპანიის ფულად ნაკადზე, როცა ის გადასახადებს იხდის.

ცხრილი 1.

შესაბამისი პროექტის ნაკადების ძირითადი მახასიათებლები

1	ფულადი (არასაბუღალტრო შემოსავლის) ნაკადები
2	ოპერაციული (არაფინანსური) ნაკადები
3	ნაკადები დაბეგვრის შემდეგ
4	ზრდადი ნაკადები

საფუძვლები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს "დაბეგვრის შემდეგ ზრდადი ოპერაციული ფულადი ნაკადების" შეფასებაში

1	აღმოუფხვრადი ხარჯების იგნორირება
2	ალტერნატიული ხარჯების ჩართვა
3	პროექტში ჩართული პროექტის განხორციელებისას საბრუნავ კაპიტალში ცვლილებების წმინდა სპონტანური ცვლილებები მიმდინარე ვალდებულებებში
4	ინფლაციის ზეგავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, "ფულადი ნაკადების" ანალიზის კონტროლისას ცხრილში ჩამოთვლილ სა-
კითხებთან ერთად, გასათვალისწინებელია საგადასახადო საკითხებიც.

ფულადი ნაკადები იყოფა დროზე დაფუძნებულ სამ კატეგორიად, კერძოდ:

1. საწყისი ფულის გასავლები, რომლებიც წარმოადგენენ საწყისი წმინდა ფულის ინვესტიციას;
2. შუალედური ზრდადი ფულის ნაკადები, რომლებიც წარმოადგენენ წმინდა ნაღდი ფულის ნაკადებს და არ შე-
იცავენ ნაღდი ფულის ნაკადის საბოლოო პერიოდს;
3. ბოლო წლის ზრდადი ფულის ნაკადი, რომელიც საბოლოო პერიოდის წმინდა ფულის ნაკადს შეადგენს.

**პრაქტიკა მოწმობს, რომ კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების პროცესი, საინვესტიციო წინადადებების მიღება
დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს რისკთან, გამომდინარე აქედან საჭიროა პროექტის შეფასება და შერჩევა მოხ-
დეს ალტერნატიული მეთოდებით:**

1. გამოსყიდვის პერიოდი;
2. უკუგების შიდა განაკვეთი;
3. წმინდა ახლანდელი ღირებულება;
4. მომგებიანობის ინდექსი.

რისკის მართვა. ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესს, ნებისმიერ საინვესტიციო წინადადებას აქვს ერთნაირი
ბიზნესრისკი. ასევე სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს ხშირად აქვთ რისკის განსხვავებული ხარისხი. კომპანი-
ის არსებული რისკის მნიშვნელოვანი ზრდა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა პროექტმა, რომელიც საგარეოდ შე-
საძლებელია მაღალი მოგების მომცემი იყოს. რისკის გარდა საინვესტიციო წინადადებები ზოგჯერ შეიცავს მენეჯ-
მენტის ალტერნატივას, უფლებებს მიიღოს გადაწყვეტილებები გვიანი თარიღით. მენეჯმენტს შესაძლოა გააჩნდეს
ცვლილებების გაკეთების მოქნილობა, როდესაც პროექტი მიიღება, რაც ზეგავლენას ახდენს შემდგომ ფულად ნა-
კადებზე ან/და პროექტის არსებობაზე. საინვესტიციო წინადადებების "რისკიანობას" განვსაზღვრავთ, როგორც
მისი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილებას. მით რისკიანია პროექტი, რაც დიდია ცვალებადობა.

დასკვნა: კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საშემფასებლო საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავებული სტა-
დიებისაგან შემდგარი რთული და შრომატევადი პროცესია. კერძოდ, ბიზნესის შეფასება კი უფრო რთული და მრავალ-
ფაზური მდგომარეობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ჩამოყალიბებულია და აღიარებულია
ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები, არსებობს შეფასების საერთაშორისო სტანდარტები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ რაც არ უნდა თეორიული მოგვიჩვენოს **დასაბუთებული
საბაზრო ღირებულების სტანდარტი**, იგი უკვე გამოიყენება ძალიან ბევრ ქვეყანაში (უპირატესად ანგლოსაქსურ
ქვეყნებში), **დასაბეგრი ქონების** გადასახადის განსაზღვრისათვის კომპანიის ფინანსური აქტივების ნაწილში.

ბიზნესის შეფასების ზემოთ აღნიშნული სტანდარტები მოქმედებს პროექტის ფულადი ნაკადების (შემოსავლე-
ბის და დანახარჯების) პროგნოზირებაზე. მათი გავლენა დისკონტის განაკვეთის განსაზღვრის ნაწილში უკავშირ-
დება იმას, თუ რამდენად ხელმისაწვდომია პროექტის კომერციული და ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა სუბი-
ექტებისათვის, განსახილველი ინვესტიციებიდან შემოსავლების დონისა და მერყეობის შესახებ.

შეფასების მსოფლიო პრაქტიკა უჩვენებს, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს)
სხვადასხვა საფუძვლები მოითხოვს ან უშვებს **რეალური ღირებულების** განსხვავებულ შეფასებებსა და განმარტე-
ბებს ფინანსური ანგარიშგებისათვის. ისინი განსხვავდებიან აგრეთვე სახელმძღვანელო მითითებების ხარისხი-
თაც, რომლებიც ეხება აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების ან მათი შესაბამისი განმარტებების საფუძვლს.
ბიზნესის ღირებულების შეფასების პროგრესის მახასიათებლები, წარმოდგენილია საშემფასებლო საქმიანობ-

ის განვითარების საზღვარგარეთული გამოცდილების განზოგადება, ბიზნესის ღირებულების შეფასების პროცესის სტადიები და ინფორმაციული უზრუნველყოფა, ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესში ფულადი ნაკადების შეფასება-შერჩევის ალტერნატიული მეთოდები.

ამრიგად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის შეფასების რთული პროცესისათვის დამახასიათებელი კატეგორიების არსის კონცეფციური მიდგომების და მეთოდოლოგიური ასპექტების შესწავლისა და საზღვარგარეთული სამეცნიერო-პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა მისი ადაპტირებული ფორმით საქართველოში გამოყენების თაობაზე ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

ABSTRACT
ALTERNATIVE METHODS OF CASH FLOW ASSESSMENT AND SELECTION IN THE BUDGETING PROCESS

MAIA MARTIASHVILI

Doctorate Candidate

Georgian Technical University

(E-mail: maia_martiashvili@mail.ru)

The scientific article offers valuation standards for business valuation, which affects the project's cash flows (revenue and expenditures). The future cash flow assessment of the project is one of the most important tasks in planning capital investments. Any expected profit from the project will be reflected in cash flows, as all decisions of the company are focused on cash receipt and not on the income account. During the cash flow assessment, the expected inflation should be taken into consideration. Inflation affects both cash flow and material expenses and salaries.

ლიტერატურა

ბარათაშვილი ე., თავალანძე ლ., გრძელიშვილი ნ. „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“ 2010.

ვანპორნი ჯ.ს., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, XII გამოცემა, თბ., 2008;

z.vaSakiZe, g. qobelaSvili - sainvesticio politikis zogierTi Teoriuli da praqtikuli sakiTxebi, gv.104; gamomcemloba "evropuli universiteti", Tb. 2009w. gv.102-104.

ლიპარტია ზ, გელაშვილი მ, ჯღარკავა ნ, ბერიშვილი ხ. „კორპორაციული ფინანსები“ ტ.2 „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგიები“ – თემა 26 ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასების პრობლემები და ბაზრის ეფექტიანობის კონცეფციური ასპექტები გვ. 357–393.

ტომპსონი ა.ა უმც., სტრიკლენდი ა.ჯ. III. სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნესსიტუაციები, მე-13 გამოცემა, ნათ. ინგლ., შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის გამომც., თბ. 2009, თავი 4;

ძაძამია რ., „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება“, საქ. ბაფ-ი, თბ. 2008. – 564 გვ.

ჭუმბურიძე ლ., „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით წარმოების პრაქტიკის შეფასება-ანალიზი თანამედროვე ეტაპზე საქართველოში“, პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, 18–19 ნოემბერი 2011გვ. 448–454;

Валдаицев В.А. Оценка бизнеса. М. 2009.

Tom Copeland, Tim Koller, Jack Murrin, „VALUATION“, measuring&managing the value of companies, third edition, john wiley&sons, inc. 2000.

კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის განსაზღვრას ინტეგრირებული მაჩვენებელი სჭირდება

რუსულან პაპასკირი

ასოცირებული პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის

(ელ-ფოსტა: rusiko-p@mail.ru)

შესავალი. ცნობილია, რომ კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ სხვადასხვანაირად ფასდება. გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებს მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ. ეს ეხება კომერციულ ბანკებსაც. ამიტომ დღის წესრიგში სულ უფრო მწვავედ დგება კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შემფასებელი ინტეგრირებული მაჩვენებლის (მაჩვენებლების) შემუშავების საკითხი.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

1. მეცნიერი ე. ჟარკოვსკაია კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის უზრუნველყოფის შედეგების შეფასების შესახებ.

რუსი მეცნიერი ე. ჟარკოვსკაია მიზანშეწონილად თვლის კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასებით აბსოლუტური ლიკვიდობით (H_2), მიმდინარე ლიკვიდობით (H_3), გრძელვადიანი ლიკვიდობით (H_4) და საერთო ლიკვიდობით (H_5). იგი იძლევა მათი გაანგარიშების ფორმულებსაც:¹

$$H_2 = \Lambda_{AT} : O_{BT}$$

$$H_3 = (\Lambda_A : O_B) \cdot 100$$

$$H_4 = K_{Pg} : (K + OD) \cdot 100$$

$$H_5 = \Lambda_{AT} : (A - P_o) \cdot 100$$

ფორმულას: Λ_{AM} – არის მაღალლიკვიდური აქტივები; O_{BM} – არის მოთხოვნამდე ვალდებულებები;

Λ_{AT} – არის 30 დღის განმავლობაში ბანკის მიერ მიღებული აქტივები; O_{BT} – ვალდებულებები, რომელთა დაფარვაზე მენაბრებს და კრედიტორებს შეუძლიათ ბანკს წაუყენონ 30 დღის განმავლობაში დაფარვის პრეტენზია; K_{Pg} – საკრედიტო მოთხოვნები, რომელთაც დაფარვის ვადამდე დაურჩათ 365 დღეზე მეტი; K – კაპიტალი; OD – დეპოზიტებზე და კრედიტებზე ბანკის ვალდებულებები, რომელთაც 365 დღეზე მეტი დაფარვის ვადა დარჩათ. A – ბანკის მთელი აქტივები; P_o – ბანკის სავალდებულო რეზერვები.

მეცნიერი ე. ჟარკოვსკაია თვლის, რომ H_2 – კოეფიციენტი არ უნდა იყოს 15%-ზე ნაკლები, H_3 – უნდა იყოს 50%-ის ტოლი ან მასზე მეტი, H_4 – უნდა იყოს 120%-ის ტოლი ან მასზე მეტი, H_5 კი – 20%-ზე მეტი.

2. მეცნიერი გ. ცაავა კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების შესახებ.

მეცნიერი გ. ცაავა უპირატესობას აძლევს ფინანსური კოეფიციენტების ორ ჯგუფს: 1. ბანკის აქტივებისა და პასივების ხარისხის შემფასებელ მაჩვენებლებს; 2. მაჩვენებლებს, რომლებითაც ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება.

ბანკის აქტივებისა და პასივების ხარისხის შესაფასებლად მეცნიერი გ. ცაავა უპირატესობას აძლევს შემდეგ კოეფიციენტებს A_1 -ს, A_2 -ს, A_3 -ს, A_4 -ს, A_5 -ს, Π_1 -ს, Π_2 -ს, Π_3 -ს, Π_4 -ს და იძლევა მათი ანგარიშის ალგორითმებსაც:²

A_1 = (შემოსავლიანი აქტივები) : (მთლიანი აქტივები)

A_2 = (შემოსავლიანი აქტივები) : (ფასიანი პასივები)

A_3 = (კრედიტების საერთო მოცულობა) : (ვალდებულებები)

A_4 = (კრედიტების საერთო მოცულობა) : (კაპიტალის საერთო მოცულობა)

A_5 = (დაუბრუნებელი კრედიტები) : (კრედიტების საერთო მოცულობა)

Π_1 = (კაპიტალი) : (მთლიანი აქტივები)

Π_2 = (ვალდებულებები) : (მთლიანი აქტივები)

Π_3 = (მოთხოვნამდე ვალდებულებები) : (მთლიანი აქტივები)

Π_4 = (დაფარვის დადგენილი ვადის მქონე ვალდებულებები) : (მთლიანი აქტივები)

რაც შეეხება ბანკის ემედუნარიანობის შემფასებელ მაჩვენებლებს, ამ შემთხვევაში პროფესორ გ. ცაავას საუკეთესოდ მიიჩნია: ლიკვიდობის მაჩვენებლების, რენტაბელობის (აქციონერული კაპიტალისა და აქტივების) და საერთო გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები. მათ იგი ზოგადად მიღებული წესებით ანგარიშობს.

3. მეცნიერები რ. კაკულია, ლ. ბახტაძე და ლ. კანდელაკიშვილი კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის უზრუნველყოფის შედეგების შესახებ.

აღნიშნული მეცნიერები ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შესაფასებლად გვთავაზობენ შემდეგ მაჩვენებლებს:³

$$\text{ბანკის ვალდებულებათა შეზღუდვა} = \frac{\text{ბანკის კაპიტალი}}{\text{ბანკის ვალდებულებები}}$$

1 Жарковская Е., Финансовый анализ деятельности коммерческого банка. М., «ОМЕГА-П». 2010, с. 262-266.

2 ცაავა გ., საბანკო საქმე, თბ., 2005, გვ. 575-580.

3 კაკულია რ., ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ., საბანკო საქმე, თბ., 2010, გვ. 279.

$$\text{ანაბრებით კრედიტის უზრუნველყოფა} = \frac{\text{კრედიტების ჯამი}}{\text{საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრებისა და დეპოზიტების მთლიანი თანხა}}$$

$$\text{ანაბრებით უზრუნველყოფა} = \frac{\text{ლიკვიდური აქტივების ჯამი}}{\text{საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრებისა და დეპოზიტების მთლიანი თანხა}}$$

$$\text{წილი აქტივების საერთო ჯამში} = \frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{აქტივების საერთო ჯამი და კრედიტები - სხვა გადასახდელები ბანკის სასარგებლოდ}}$$

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ბანკის მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები}}{\text{ბანკის მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ბანკის საშუალოვადიანი მყარი პასივები}}{\text{ბანკის საშუალო და გრძელვადიანი აქტივები}}$$

$$k8 = \frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}} \cdot 100 \geq 30\%$$

$$k9 = \frac{\text{საშუალო თვიური ლიკვიდური აქტივები}}{\text{საშუალო თვიური ვალდებულებები}} \cdot 100 \geq 30\%$$

4. მეცნიერი: ლ. ქოქიაური კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების შესახებ.

პროფესორი ლ. ქოქიაური ბანკების ფინანსურ მენეჯმენტში პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს მიმდინარე (H₂), ელვისებურ (H₃), გრძელვადიან ლიკვიდობას (H₄), საერთო ლიკვიდობას (H₅), ფასიან ქალაქდებზე წარმოებული ოპერაციების ლიკვიდობას (H₁₄), აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტს, აქტივების შემოსავლიანობის დონეს, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას და აქტივების რენტაბელობას.⁴

მასალებიდან ჩანს, რომ არსებობს მრავალრიცხოვან მაჩვენებელთა სიმრავლე, რომელთა ანგარიშიც ფინანსისტებს უჭირთ; რომც იანგარიშონ, სხვადასხვა მაჩვენებელი სხვადასხვა შედეგს იძლევა. ამ მაჩვენებლების შეჯამებაც არ შეიძლება, რადგან სხვადასხვა განზომილებაში არიან გამოხატული (პროცენტებში, კოეფიციენტებში და ა.შ.). საქართველოში ცხრამეტი ბანკია. ისინი ამ მაჩვენებლებიდან თავიანთი შეხედულებისამებრ იღებენ 3-4 მაჩვენებელს. ასე ანგარიშობენ ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობას. ეს არ არის სწორი მიდგომა, ამიტომ ვსვამ საკითხს კომერციული ბანკების, ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის განსამზღვრის ინტეგრირებული მაჩვენებლის შემუშავების აუცილებლობის შესახებ.

დასკვნა. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების განხილვამ გვიჩვენა მათი არაერთგვაროვნება. სახელდება 10-15 სხვადასხვა მაჩვენებელი. ცხადია, ყველა ამ მაჩვენებლის ანგარიში რთულია. ხშირ შემთხვევაში ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს იძლევიან, რის გამოც, ერთი ინტეგრირებული მაჩვენებლის შემუშავება, რომელსაც გამოიყენებს ყველა ბანკი, არის მეტად საჭირო საქმე.

⁴ ქოქიაური ლ., საბანკო საქმე. ტ. 1. თბ., 2007. გვ. 742-751..

ABSTRACT
THE INTEGRATED INDEX IS NECESSARY TO DEFINE THE EFFECTIVENESS
OF COMMERCIAL BANK'S FINANCIAL MANAGEMENT

RUSUDAN PAPASKIRI
Associated professor
Sokhumi State University
(E-mail: rusiko-p@mail.ru)

In the article it is discussed different approaches of Georgian and foreign scientists such as E. Zharkovskaia, L. Kokiauri, G. Tsaava, R. Kakulia and others about the define of commercial bank's financial management effectiveness and it is said in it that with 10-15 indices which give us the controversial result, it is impossible to evaluate the bank and draw one correct conclusion. The author of this article raises the question about the importance of one integrated index.

Key words: Commercial Bank; Financial Management; Effectiveness; Evaluation; Indices

ლიტერატურა

Жарковская Е., Финансовый анализ деятельности коммерческого банка. М., «ОМЕГА-Л». 2010.
ცაავა გ., საბანკო საქმე, თბ., 2005.
კაკულია რ., ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ., საბანკო საქმე, თბ., 2010.
ქოქიაური ლ., საბანკო საქმე. ტ. 1. თბ., 2007.

CHARACTERISTICS AND FINANCIAL STANDING OF DIVIDEND-PAYING
COMPANIES LISTED ON THE WARSAW STOCK EXCHANGE

ALEKSANDRA PIELOCH-BABIARZ
Ph.D., Assistant Professor
University of Lodz
(E-mail: apieloch@uni.lodz.pl)

Introduction

The purpose of this paper is to present the number of dividend-paying companies listed on the Warsaw Stock Exchange, taking into account the form of payment and the type of dividend policy, as well as to discuss the financial standing of dividend-paying companies. This purpose is important from the point of view of the alternative opportunities of capital allocation. Therefore, we set the research hypothesis stating that these polish companies that pay out dividend regularly are in a very good financial situation. The empirical research was conducted on the companies listed on the WSE in the period between 2005-2016. The main studies were carried out using the average annual growth rate, pace of changes and descriptive statistics. To achieve the research goal, we used data from the Stock Exchange Yearbooks, current reports of surveyed companies, financial portal StockWatch.pl and database Notoria Serwis.

Financial standing of dividend-paying companies – a brief literature review

The term 'dividend' means a special financial benefit received by the shareholder. The special nature of this benefit results from the shareholder's ability to participate in net profit distribution. Net profit, which was generated by the company in the previous financial year, is dividend into retained earnings and dividend. Retained earnings are reinvested for company's development and growth, whereas dividend is paid out to the shareholders in order that they could achieve a certain return on investment. In the majority of countries, dividend can take the form of cash dividend and non-cash dividend [3, p. 10.3]. If dividend is paid out constantly for a certain period of time that payout is named as regular dividend. The payment of regular dividend means that the company implemented a specified dividend policy. Among commonly conducted dividend policies are: stable dividend policy, constant payout ratio policy and residual dividend policy [2, pp. 1-18].


2016 წლის თებერვლიდან იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო დეპოზიტებზე უარყოფითი პროცენტების დარიცხვა. იაპონიის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი ამჟამად შეადგენს -0,1%-ს. მასმედია ამას წარმოაჩენს, როგორც სენსაციას. ეფექტის გასაძლიერებლად ისინი აღარებენ იაპონიის ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკას რუსეთის ცენტრალური ბანკის პოლიტიკასთან. მართლაც, რუსეთის ბანკის ბოლო მონაცემების თანახმად, 2016 წლის თებერვლის დასაწყისისათვის, ცენტრალური ბანკის დეპოზიტების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები „ოვერ-ნაიტის“ პირობებზე დადგენილ იქნა 10%-ის დონეზე, ხოლო დეპოზიტებზე მოთხოვნამდე ის ასევე 10%-ის ტოლია.

სინამდვილეში არავითარ სენსაციას არ აქვს ადგილი. „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების ცენტრალური ბანკების გადასვლა მინუსთან პასიური ოპერაციების მიხედვით დაიწყო ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე. დეპოზიტების მიხედვით უარყოფითი საპროცენტო განაკვეთზე გადასვლის მოტივაცია და დასაბუთება რამდენადმე განსხვავებული იყოს ცენტრალური ბანკებისათვის. შვედურმა ცენტრალურმა ბანკმა და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა თავიანთი გადაწყვეტილება ახსნეს იმით, რომ შვედეთისა და ევროზონის ეკონომიკებში წარმოიშვა დეფლაციის საშიშროება. მათი აზრით, უარყოფითი განაკვეთი ფულს უფრო ხელმისაწვდომს გახდის და შეძლებს თუნდაც მინიმალური ინფლაციის შექმნას. შვეიცარიისა და დანიის ეროვნულმა ბანკებმა წინა პლანზე დააყენეს თავიანთი ეროვნული ფულადი ერთეულების (შვეიცარიული ფრანკისა და დანიური კრონის) კურსის ძლიერი ამალღების საშიშროება. ასეთი საშიშროება წარმოიქმნა ევროზონაში კრიზისული პროცესების, ინვესტორების მიერ ევროს მიმართ მზარდი უნდობლობისა და ევროზონიდან შვეიცარიისა და დანიის საბანკო სისტემაში კაპიტალის მკვეთრად გაძლიერებული მოდინების გამო. ყოველ შემთხვევაში, ოთხი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები აცხადებდნენ ასევე იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, ხოლო ამისათვის არ უნდა ყოფილიყო წახალისებული თავისუფალი კაპიტალის განთავსება ბანკების დეპოზიტებზე. ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები მოწოდებულია კომერციული ბანკები მიუბრუნდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორს.

უარყოფითი განაკვეთებისადმი გადასვლის ეფექტი ძალზე მოკრძალებული იყო. მაგალითად, ეცბ-მა 2014 წლის მაფხულში დააწესა განაკვეთი -0,10%-ის დონეზე. ამ ღონისძიებამ არ შეამცირა დეფლაციის საშიშროება ევროზონის ქვეყნებში, ამიტომ ეცბ-ს მოუწია განაკვეთის კიდევ უფრო შემცირება. ბოლო შემცირება შედგა 2015 წლის დეკემბერში, როცა განაკვეთი დაწესდა მინუს 0,30%-ის დონეზე. ჯერ კიდევ გასული წლის მაფხულში მართლაც დრაკი, ეცბ-ს მეთაური აცხადებდა, რომ მინუს 0,20%-ის ქვემოთ განაკვეთი არასოდეს დაეშვებოდა. დაახლოებით იგივე ხდებოდა სხვა ცენტრალურ ბანკებში. შვეიცარიულმა ცენტრალურმა ბანკმა 2014 წლის დეკემბერში დაიწყო -0,25%-იანი განაკვეთით, ხოლო ერთი წლის შემდეგ ის უკვე დავიდა -0,75%-მდე. შვედეთის ცენტრალური ბანკი

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2015 წლის ზაფხულში იძულებული გახდა დამატებით შემეცირებინა საპროცენტო განაკვეთი. ეს იყო შვედური კრონის კურსის ამაღლების მიმართ რეაქცია. კურსის ამაღლება კი, თავის მხრივ, განპირობებული იყო საბერძნეთის ირგვლივ არსებული მოვლენებით: მოსალოდნელი დეფოლტით და ევროზონის კრიზისით, რამაც გააძლიერა კაპიტალის გაქცევა ევროზონიდან მეზობელ ევროპულ ქვეყნებში. იაპონიის ბანკი „უარყოფითი განაკვეთების“ კლუბის მეხუთე წევრი გახდა. დასავლეთის მთელი რიგი ცენტრალური ბანკები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ექსპერიმენტს. იმავე ინგლისის ბანკმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ არ გამოიციხავს შესაძლებლობას, მიბადოს კონტინენტური ევროპის ცენტრალური ბანკების მაგალითს. ის შეიძლება გახდეს კლუბის მეექვსე წევრი. მეშვიდე პოტენციურ წევრად ექსპერტები მიიჩნევენ ნორვეგიის ცენტრალურ ბანკს.

რასაკვირველია, ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება გარდაუვალ ასახვას ჰპოვებს ეკონომიკის ფულად-საკრედიტო და ფინანსური სფეროს ყველა სხვა პარამეტრზე.

პირველი, თითქმის სინქრონულად სადეპოზიტო განაკვეთის შემცირებასთან ერთად ადგილი აქვს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ცენტრალური ბანკების აქტიური (საკრედიტო) ოპერაციების მიხედვით. ეს არის რეფინანსირების განაკვეთები, საკვანძო განაკვეთები, რეპო ოპერაციებზე განაკვეთები და ა.შ.. ზოგიერთი ცენტრალური ბანკი საერთოდ უფასოდ თავაზობს კომერციულ ბანკებს ფულს. აი როგორ გამოიყურებოდა სურათი 2015 წლის ბოლოსათვის: ეცბ - 0,05% (რეფინანსირების ძირითადი განაკვეთი; დანიის ეროვნული ბანკი - 0,50% (ლიკვიდურობის დეფიციტის დაფინანსების განაკვეთი); შებ - 0,05% (დაკრედიტების განაკვეთი). შვედეთის ცენტრალურ ბანკს რეპო ოპერაციაზე ჰქონდა უარყოფითი განაკვეთიც კი - მინუს 0,35%. მარტივად რომ ვთქვათ, ფული ხდება იაფი და თითქმის უფასოც კი კერძო ბანკებისათვის.

მეორე, ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების კვალდაკვალ მცირდება განაკვეთები კომერციული ბანკების დეპოზიტებზე უარყოფითი განაკვეთების დაწესებამდე. ანუ კომერციული ბანკები აწესებენ საკომისიო გადახდებს ანგარიშების გახსნასა და წარმოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის HSBC-ის (The Hongkong and Shanghai Banking Corporation) განცხადებამ. 2015 წლის ზაფხულში მან გააფრთხილა სხვა ბანკები, რომ იწყებდა საკომისიოს დაწესებას დეპოზიტებზე ევროებში, დანიურ და შვედურ კრონებში, ასევე შვეიცარიულ ფრანკებში. ეს ვალუტები იმ ქვეყნებისაა, რომელთა ცენტრალურმა ბანკებმა შემოიღეს უარყოფითი განაკვეთები დეპოზიტებზე. HSBC ჯერჯერობით აწარმოებს გადახდებს მხოლოდ სხვა კომერციული ბანკების ანგარიშების მიხედვით, რაც არ ეხება ინდივიდუალურ და კორპორაციულ კლიენტებს. HSBC-მდე უარყოფითი განაკვეთები შემოიღეს შვეიცარიულმა ბანკებმა, ისინი იღებდნენ საკომისიოს ზოგიერთი ინსტიტუციური ანგარიშებიდან, მაგრამ არა ჩვეულებრივი საცალო ანაბრებიდან. გასული წლის ზაფხულში გერმანიისა და დანიის მთელმა რიგმა მცირე კომერციულმა ბანკებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ ფასიანი გახადონ დეპოზიტები საცალო კლიენტებისათვის. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში კერძო ბანკები დეპოზიტებზე უარყოფითი პროცენტების შემოღებას (ანუ ფულის შენახვაზე გადახდებს) არა მხოლოდ ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკით ხსნიან, არამედ იმით, რომ 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ გამკაცრდა საბანკო საქმიანობათა რეგულირება. კერძოდ, ამერიკული ბანკი JP Morgan აცხადებდა, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო იწყებდა საკომისიოს ამოღებას ზოგიერთი თავისი უმსხვილესი კლიენტების დეპოზიტებიდან.

მესამე, ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკა ახდენდა და ახლაც ახდენს ძლიერ გავლენას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. კერძოდ: თავდაპირველად მოხდა ასეთ ქაღალდებზე შემოსავლიანობის შემცირება, შემდეგ მათი ნაწილი გადავიდა მინუსიან მონაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთის ასეთი მოძრაობა ნაწილობრივ განპირობებულია საბაზრო მექანიზმების მოქმედებით (ქაღალდების ბაზარზე და დეპოზიტების ბაზარზე პირობების გამოთანაბრებით). ზოგჯერ სახელმწიფო მიზანმიმართულად ატარებს თავის ქაღალდებზე შემოსავლიანობის შემცირების პოლიტიკას. მაგალითად, იმისათვის, რომ შერბილდეს უცხოელი ინვესტორების მოდინება და აღიკვეთოს ეროვნული ვალუტების მკვეთრი გაძევრება.

მასმედია ძირითად ყურადღებას უთმობდა და უთმობს აშშ-ის სახაზინო ვალდებულებებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც მათზე მოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ძირითადი ნაწილი. ინსტიტუციური ინვესტორების (საივესტიციო ფონდების, საპენსიო ფონდების, სადამღვევო კომპანიების და ა.შ.) პორტფელების დიდი ნაწილი ასევე შედგება აშშ-ის ხაზინის ფასიანი ქაღალდებისგან. ამ ქაღალდების შემოსავლიანობა ბოლო წლებში განუხრელად მცირდებოდა. მრავალთათვის, როგორც ჩანს, გამოცანად რჩება შემდეგი ფაქტი: რატომაა, რომ ცენტრალური ბანკები, სუვერენული ფონდები, სხვა ინსტიტუციური ინვესტორები ყიდულობენ ამერიკულ ფასიანი ქაღალდებს წმინდა სიმბოლური პროცენტებით? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ სხვა მრავალ სახაზინო ვალდებულებებზე ის კიდევ უფრო დაბალი ან სულაც უარყოფითია. პირველი სახაზინო ვალდებულებები უარყოფითი პროცენტებით გამოჩნდა ევროპაში ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ. მაშინ ეს ეგზოტიკა იყო. დღეს კი ეს ნორმაა.

გასულ წელს ბანკმა JP Morgan გამოაქვეყნა ზოგიერთი მონაცემი „უარყოფითი“ ქაღალდების ბაზარზე. ევროკავშირის ქვეყნების დაახლოებით 1,7 ტრლნ დოლარის ღირებულების ობლიგაციებს, 1 წელზე მეტი დაფარვის ვადით, გააჩნიათ უარყოფითი შემოსავლიანობა. ამას უნდა დაემატოს შვედეთის, შვეიცარიისა და დანიის 1 ტრლნ დოლარის ღირებულების ანალოგიური ობლიგაციები. საბოლოოდ, ფინანსურ ბაზრებზე ერთი წლით ადრე მიმოიქცეოდა იაპონური ობლიგაციები უარყოფითი შემოსავლიანობით 1,8 ტრლნ დოლარის ოდენობით. გასულ წელს პირველად ბაზარზე „უარყოფითი“ ფასიანი ქაღალდებით გამოვიდა ფინეთი.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, სახელმწიფო ობლიგაციები მინუსი ნიშნით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო მოცულობის მხოლოდ 6,8%-ს შეადგენდა. ხოლო 2016 წლის 1 თებერვლისათვის, Deutsche Bank-ის შეფასებით, უარყოფითი შემოსავლიანობის მქონე ობლიგაციების წილი 25%-მდე გაიზარდა. თუ დღეისათვის აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდებს 2 წლამდე დაფარვის ვადით გააჩნია შემოსავლიანობა პლუს 0,72%-ის ოდენობით, ანალოგიურ ქაღალდებს გერმანიაში გააჩნია მინუს 0,50%, იაპონიაში - მინუს 0,17%.

მეოთხე, უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ეპიდემია გავრცელდა კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. დავოსის 2016 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერდა Bank of Amerika Merrill Lynch-ის (BAML) საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მონაცემები. BAML-ის შეფასების თანახმად, ევროპული კორპორაციული ობლიგაციები დაახლოებით 65 მლრდ ევროს (71 მლრდ დოლარის) ოდენობით იყიდება უარყოფითი შემოსავლიანობით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტორები, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული ფასიანი ქაღალდები, ფულს კარგავენ. ასეთი ფულით მუშაობას ამჯობინებენ კონსერვატიული ინვესტორები, რომელთათვისაც საიმედოობა და უსაფრთხოება უფრო მაღლა დგას, ვიდრე შემოსავლიანობა. ასეთი ფასიანი ქაღალდის კლასიკური მაგალითია ცნობილი შვეიცარიული კომპანიის Nestle-ს კორპორაციული ობლიგაციები, რომელიც მოღვაწეობს კვების მრეწველობაში. კომპანიის ხელმძღვანელები თვლიან, რომ მათი ობლიგაციები არაფრით ჩამორჩება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სახაზინო ფასიან ქაღალდებს და შეუძლიათ პრეტენზია იქონიონ ჩართულ იქნეს სოლიდური ინსტიტუციური ინვესტორების პორტფელში.

მეხუთე, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ხარისხიან ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციას ეწინააღმდეგება სხვა ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების ამაღლება. ძლიერდება საპროცენტო განაკვეთების პოლარიზაცია: ერთ პოლუსზე იმყოფება ხარისხიანი კორპორაციული ქაღალდები დაბალი ან თვით უარყოფითი განაკვეთებით; მეორე პოლუსზე, როგორც თოვლის გუნდა, ისე იზრდება სპეკულაციური კორპორაციული ქაღალდების მოცულობა, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოდ „გადასაყრელი“ თანრიგს. სპრედი (სახელმწიფო სესხების განაკვეთის პროცენტზე დანამატი), რომელსაც იხდიან „გადასაყრელი“ ობლიგაციების ემიტენტები, თითქმის 3,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა გასული წლის მარტიდან. დღეისათვის განსხვავება თითქმის ისეთივეა, როგორც 2011 წელს ევროს კრიზისის დროს, თუმცა სანახევროდ ნაკლებია, ვიდრე 2008 წელს Lehman Brothers-ის კოლაპსის შემდეგ. ამასთან, განაკვეთები, რომლის მიხედვითაც დაბალხარისხიანი, ანუ „გადასაყრელი“ ობლიგაციების ემისია ხდებოდა, 2015 წელს სწრაფად იზრდებოდა. „გადასაყრელი“ (ანუ „ტოქსიკური“) ობლიგაციების წილმა, რომლებიც ხვდებოდა „მაღალრისკიანების“ კატეგორიაში (რომლებზეც შემოსავლიანობა 10 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე სახაზინო ობლიგაციებზე), მიმდინარე წლის დასაწყისში 29,6%-ს მიაღწია ერთი წლის წინანდელ 13,5%-თან შედარებით. სარეიტინგო სააგენტო S&P-ის მონაცემებით, ეს „ტოქსიკური“ ბაზრის ყველაზე მაღალი დონეა 2009 წლიდან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „გადასაყრელი ობლიგაციების“ მოცულობის მრდას ფინანსურ ბაზრებზე ხელი შეუწყო არა მხოლოდ ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკამ, არამედ ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკამაც. აშშ-ის ფედ-ი და ინგლისის ბანკი ამცირებდნენ თავიანთ საპროცენტო განაკვეთებს, მაგრამ მათ ის მაინც არ დაუყვანიათ მინუსებამდე. თუმცა, სწორედ ამ ორმა ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა რაოდენობრივი შერბილების ყველაზე მასშტაბური პროგრამების რეალიზაცია. მითითებული პროგრამები წარმოადგენდა ცენტრალური ბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციების (სრულიად სხვადასხვა ხარისხის) შესყიდვას, რამაც შეამცირა მათი შემოსავლიანობა. აშშ-ის სამთვლიანი სახაზინო ვალდებულებების შემოსავლიანობა 2015 წელს დაცა ნულოვან დონემდეც კი. მსგავს სიტუაციაში მრავალ ინვესტორს არ დარჩა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ გადართულიყვნენ მცირეშემოსავლიანი ან „ნულოვანი“ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან კორპორაციულ ფასიან ქაღალდებზე. საბოლოოდ, ცენტრალურმა ბანკებმა მოახდინეს არც ისე მაღალი ხარისხის კორპორაციულ ობლიგაციებზე მოთხოვნის სტიმულირება. ხოლო მათ შორის ზოგიერთი, მოხვდა რა კერძო ინვესტორების პორტფელში, მალე „გადასაყრელი“ აღმოჩნდა. რაღაც მომენტში „გადასაყრელი“ ქაღალდების მფლობელებს შეიძლება ნერვებმა უმტყუნონ და დაიწყონ ამ ქაღალდების მასობრივი არაკონტროლირებადი თავიდან მოშორება...

ამგვარად, დასავლეთის ცენტრალური ბანკების პოლიტიკამ საპროცენტო განაკვეთის შემცირების მხრივ, „რაოდენობრივი შერბილებებთან“ ერთად, შექმნა ყველა პირობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღის დასაწყებად.

ABSTRACT
THE KEY RATES OF CENTRAL BANKS AND INTEREST SURREALISM

MALKHAZ CHIKOBAVA

PhD in Economics, Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
(E-mail: malkhazchikobava@yahoo.com)

The paper analyzed the possibility of overcoming the current economic crisis in the developed countries through the use of negative interest rates. A series of economic and financial crises of the last few decades, and the slowdown of the world economy forced the monetary authorities of many countries to introduce new tools to stimulate economic growth.

Applications negative deposit rates lead us to the following conclusion: the effectiveness of negative interest rates is questionable in both economic and psychological aspects; Global economic transformations of the modern world will require in the future to develop a new paradigm of monetary economic system.

Key words: Financial Crisis; Mortgage Loans; Default; Quantitative Easing; Negative Interest Rates for Deposit Operations; Refinancing Rates; Repo Operations; US Treasury Securities; Junk Bonds

ლიტერატურა

Катасонов В.Ю. Смерть денег. Куда ведут мир «хозяева денег». Метаморфозы долгового капитализма. – М.: Книжный мир, 2016.

Пшеничников В.В. Применение отрицательных процентных ставок как новая реальность в денежно-кредитном регулировании // Глобальные вызовы в экономике и развитие промышленности (INDUSTRY—2016): тр. науч.-практ. конф. с зарубежным участием / под ред. А.В. Бабкина. 2016.

Пшеничников В.В. Отрицательные процентные ставки как элемент глобальных трансформаций денежно-кредитной сферы, Научно-технические ведомости СПбГПУ. Экономические науки № 3(245) 2016 http://ntv.spbstu.ru/economics/article/E3.245.2016_15/

<http://data.imf.org>

TAXATION OF RETAINED EARNINGS AND ACCOUNTING IMPROVEMENT

NANULI DZIMTSEISHVILI¹, GIVI BAKRADZE²

1. Doctor of Economics,

Associate Professor at Sokhumi State University

2. Doctor of Business Administration

Associate Professor at European University

(Email: ndzimtseishvili@yahoo.com, financial.manager@esu.edu.ge)

Creation of a stable business environment is inevitable precondition of country's sustainable economic development, as well as solid guarantees of investment safety, inviolability of private property, and state's consistent and forethought economic policy.

Simplification of tax legislation and tax declaring provides effective increase of company's activity and significantly reduces cost of tax administration. In this regard many issues of tax administration in Georgia's tax legislation, still needs to be refined.

Tax code of Georgia occupies a leading place in tax legislative system of the state. Tax Code of Georgia represents complex normative act, which includes not only material, but procedural norms. It is adopted by the high representative organ of the state (parliament of Georgia) and operates on the whole territory of Georgia.

In the aim of practical use of a wide range of legal provisions, the Constitution of Georgia takes into consideration possibility of adoption subordinate normative acts connected with taxation. In addition, Tax Code of Georgia has the preliminary legal force in respect to subordinate normative acts in Georgia.

Despite of current legislative system, there is not established consistent tax legislation system in Georgia. Due to which constantly lasts changes and amendments. In some concrete cases, groundless punishment of taxpayers takes place, which is frequently followed by tax disputes.

Countries with transition economy, including Georgia is characterizing with tax liberalization, which with its essence, is really attractive, and has many supporters. Reduction of tax rates theoretically and practically should ensure economic growth, and the development of real sector, but the main problem in this case is providing budget with tax revenues. The problem of budget deficit causes increasing of internal and external debts. In addition, increase of deficit causes provocation of inflationary processes. It is essential to determine qualitative characteristic of elasticity between these indicators. **Tax burden (Tax Burden)**– is a generalized index, which is characterizes the role of taxes and is defined as the ratio of the total amount of tax revenues to a joint national product.

Government of Georgia in the light of global crises focused on development of liberal tax policy. Current tax code, which entered into force in 1 January 2011, included a wide range of provisions stimulating business. A simplified tax regulation for small business (micro and small enterprises) was introduced. Institute of Tax Ombudsman was established. Institute of Private tax agent was also established. Institute of warning has been activated as an alternative method of fine; legislation was consolidated, tax and customs codes were unified. Positive aspect was the introduction of "tax agreement" into tax legislation of Georgia. The principle of tax agreement was also acceptable and justifiable to the state, which was maintained in all subsequent amendments. However, in the existing provision of legislation it is not defined in which form of legislative framework should be agreed tax agreement (in basic payment, fine, or surcharge). Consequently, this does not exclude subjectivism. On the basis of current discussion we consider that it should be regulated within the legislation and subordinated to particular legislative frame.

In spite of the measures taken in the last years, that simplified tax legislation and reduced tax interests, fulfillment of legislative base still continues.

From January 1, 2017, an amendment introduced into tax legislation entered into force, according to which, existing profit tax changed by tax of distributed profit, that is similar to Estonian model. The significant change of legislation is that distributed earnings and incurred costs shall be taxed by profit tax, which is not connected to economic activity. company has the right to carry out reinvestment without restriction and taxation at the expense of income - expand, dispose production and deposit money on bank deposit. For the purpose of profit taxes calculating period is considered calendar month. Taxation base is defined according to financial accounting data produced under international standards.

The cost, which is basically connected to company's economic activity, is free of taxes. An incurred cost or other payment, which is not connected to economic activity, is taxed by profit tax. Deliver of goods/service and cash transfer; or representative expense incurred above marginal amount;

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

Small and middle sized enterprises have the right of reinvestment without taxation of received income, the same rule is set for large business; when the business has much financial resource in the form of untaxed income, it can carry out reinvestment, and expand production. This must be reflected on reducing of unemployment level, growth of economy and finally, on the increase of budgetary income. This is considered one of the main advantages of Estonian model.

Declaring of tax payments is fully conducted electronically and compatible with international standards of financial accounting. All type of tax privileges set for profit tax is abolished. There is no need to calculate amortization of movable/immovable property. It should be considered, that income is determined according to financial reporting prepared in compliance with international financial reporting standards.

აგროლიზინგის განვითარების ტენდენციები საქართველოში

რევაზ ხარებავა

პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: revaz.kharebava@rambler.ru)

სოფლის მეურნეობის წარმოების მზარდი ტემპებით განვითარების ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს სალიზინგო ურთიერთობების დამკვიდრება აგრარულ სფეროში. თანამედროვე სამეურნეო პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ლიზინგი დარგში ინვესტირების ტრადიციულ სხვა ფორმებთან შედარებით არის უფრო ეფექტური საშუალება. „ლიზინგის იდეა“ გამომდინარეობდა არისტოტელეს დროიდან მე-IV საუკუნეში ჩვენს წ.ა. თუმცა ასეთი ტერმინი როგორც ლიზინგი იმ პერიოდში არ არსებობდა, სწორედ არისტოტელეს ეკუთვნის სიტყვები „სიმდიდრე მდგომარეობს გამოყენებაში და არა საკუთრების უფლებაში“. სხვანაირად, მენარმემ რომ მიიღოს შემოსავალი სრულიად არ არის საჭირო რომელიმე სახის ქონებას ფლობდეს საკუთრებაში. საკმარისია მას გააჩნდეს წარმოების საშუალებების გამოყენების უფლება და მათი სარგებლობით ღებულობდეს შემოსავალს.

ზოგადად ეკონომიკურ საქმიანობაში ლიზინგის გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 50-ან წ.წ., კერძოდ აშშ-ში. მან ფართო გავრცელება ჰპოვა მრეწველობაში, ტრანსპორტში და ეკონომიკის სხვა სფეროებში. ლიზინგის საინვესტიციო მექანიზმად გამოყენების ეფექტიანობაზე მეტყველებს ის, რომ 90-6 წ.წ. მისი ხვედრითი წილი საინვესტიციო საქმიანობაში აშშ-ს მრეწველობაში შეადგენდა ინვესტიციების საერთო მოცულობის 28%, ავსტრალიაში - 30 %, დიდ ბრიტანეთში - 20%, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში - 14 – 18 %.

ლიზინგურ საქმიანობის თავისებურება და არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს ქონებრივი დაქირავების ერთ-ერთ უკვე ფართოდ გამოყენებად ფორმას, ანუ ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონების (ტექნიკა, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ჯიშისანი ცხოველები, მიწა და ა.შ.) გადაცემასთან მწარმოებლის (გამყიდველის) მიერ მეორე პირზე (მყიდველზე), ეს უკანასკნელი კი შეძენის შემდეგ მას გადასცემს მესამე პირს, სამუშაო პროცესში გამოყენების მიზნით. ამ ურთიერთობაში მონაწილეობს სამი სუბიექტი: პირველი, ლიზინგის გამცემი (ანუ ქონების მესაკუთრე), სალიზინგო კომპანიები, ბანკები, სანარმოები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური საშუალებები სალიზინგო შეთამხმებების პირობებით. მეორე, ლიზინგის მიმღები (იურიდიული პირი) და მესამე, ქონების მწარმოებელი (გამყიდველი), რომელიც შემდგომში ასრულებს ქონების გამყიდველის როლს მომავალი ლიზინგის გამცემ პირზე. ამ შემთხვევაში მწარმოებელი როგორც წესი წარმოადგენს იურიდიულ პირს.

რატომ არის აქტუალური და როგორია ლიზინგის არსი, ბუნება, პრინციპები და ორგანიზაციული ფორმები. როგორც სალიზინგო ურთიერთობის მკვლევარები აღნიშნავენ, პირველ რიგში ლიზინგში ჩადებულია მთელი ეკონომიკური მექანიზმის უპირატესობა, ასევე საფინანსო დაწესებულებებისა და შუამავალი სუბიექტებისათვის ლიზინგის პრაქტიკული გამოყენების უპირატესობა, რომელიც გლინდება ბიზნესის საქმიანობის პროცესში.

ამ სტატიის მიზნიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ შევხოთ ლიზინგის ცნებას, მის ფუნქციებს, ობიექტებსა და საბიექტებს, ხარისხობრივ უპირატესობებს და საინვესტიციო საქმიანობის უპირატესობების სხვა მეტოდებთან შედარებით ანალიზს.

ლიზინგის ცნება და ფუნქციები. ლიზინგის ეკონომიკური არსის ახსნა ჯერ კიდევ რჩება სადისკუსიო პრობლემად მის მკვლევარებს შორის. ავტორთა ერთი ჯგუფი ლიზინგს განიხილავს როგორც სამეწარმეო საქმიანობის დაკრედიტების თავისებურ ინსტრუმენტს, რომელიც თავის მხვრივ გაიგივებულია დაქირავებულ ან სანარდო ურთიერთობასთან. ასევე ლიტერატურის წყაროებში გვხვდება მტკიცება იმის შესახებ რომ ლიზინგი არის ყიდვა-გაყიდვის ფარული საშუალება, სხვისი ქონების გამოყენების უფლება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ლიზინგი წარმოადგენს მოქმედებას სხვის ხარჯზე ანუ სხვისი ქონების მართვა მიმდრობის დავალებით (ი.ოსიპოვი). შესაძლებელია არსებობდეს სხვა ხედვები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ლიზინგის თეორიული ასპექტები არასათანადოდ არის შესწავლილი, ეს კი როგორც ვ. გარემიკინი თვლის განპირობებულია ლიზინგის მრავალფეროვან ხასიათით და ამიტომ ითხოვს ამ პრობლემის შესახებ დაგროვებული ცოდნის მოწესრიგებას. როგორც აღნიშნეთ, ლიზინგის თანამედროვე არსი გამომდინარეობს ძველი დროიდან (რომის სამართლის კლასიკური პრინციპებიდან), რომე-

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ლიც მიზნავს ქონების მესაკუთრესა და მის გამომყენებელს. ლიზინგის გამოყენების მრავალსაკუთრეო პრაქტიკის ანალიზი იძლეოდა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სიმდიდრე საბოლოო ჯამში მდგომარეობს არა უშუალოდ საკუთრების ფლობაში არამედ მისი გამოყენების ეფექტიანობაში. ლიზინგის ობიექტს ერთდროულად წარმოადგენს ლიზინგის გამცემის საკუთრება, რის შედეგად ეს უკანასკნელი ასრულებს კაპიტალის ფუნქციას. სალიზინგო ურთიერთობების განსაკუთრებული ეკონომიკური როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაში ფორმირებას და განვითარებას. ასევე, მესაკუთრისა და განმკარგავის შენაცვლებას, ამ ოპერაციის პროცესში მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრების თვითგანვითარებაც, და გარკვეულ პირობებში ამ ქონების კერძო, საერთო-ერთობლივ ან წილობრივ საკუთრებად გარდასახვას. როცა ლიზინგის მიმღები აბანდებს საკუთარ საშუალებებს და შრომას, არამარტო ქონების მესაკუთრე, არამედ მისი გამომყენებლის შედეგად ნამატი დოვლათის მესაკუთრე ხდება. შედეგად ლიზინგში მიიღწევა საკუთრების ორობითობა, რომელიც ეკუთვნის ყველას - მოქმედ მენარმეებს - და ამასთანავე ყოველს მათგანს ცალ-ცალკე.

როგორც უკვე ვახსენეთ, ლიზინგი მიმღების სუბიექტი ატარებს სამივე ფუნქციას, როგორც მენარმე-მშრომელი-მესაკუთრე. იგი არამარტო გამოიყენებს მასზე გადაცემულ წარმოების საშუალებებს, არამედ ფლობს და განკარგავს მათ გარკვეული ხარისხით. სალიზინგო საქმიანობაში, როგორც ფორმასა და მოვლენას გამოყოფენ არსსა და მისი სხვადასხვა სამეურნეო სტრუქტურაში პრაქტიკულად განხორციელების ფორმას.

კარგად არის ცნობილი, რომ არ არის ფორმა შინაარსის გარეშე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში - ფორმა ახდენს გავლენას შინაარსზე და არ არსებობს მის გარეშე.

მაშასადამე, ლიზინგი საერთო სახით არის სამენარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა და ავლენს საკუთრებისა და ინვესტირების ურთიერთობებს, იძენს მურწილობრიობის განსაკუთრებულ სისტემის ფუნქციას. როგორც ეკონომიკურ კატეგორიას მას გააჩნია საკუთარი შინაარსი და გამოვლენის ფორმები, მატერიალურ-ნივთობრივი საფუძველი და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი.

ლიზინგის სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსი ვლინდება საკუთრების ურთიერთობებში და ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში როგორც ვერტიკალურად ისე ჰორიზონტალურად (მესაკუთრეები, საზოგადოება და ა.შ.). ლიზინგის მატერიალურ-ნივთობრივი ხასიათი ვლინდება წარმოების სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმების სახით, სამენარმეო საქმიანობის ყველა ან ნივთობრივი ელემენტების ნაწილის დაქირავებით, ქონების ყიდვა-გაყიდვითა და დაკრედიტების პირობებით. ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციიდან გამომდინარე სალიზინგო საქმიანობის გამარტივებული ცნება, მისი დაყვანა მხოლოდ გრძელვადიან არენდამდე, რასაც ადგილი აქვს არამარტო ეკონომიკურ პუბლიკაციებში, არამედ შესაბამის იურიდიულ განმარტებებში მთლიანად ვერ ამოწურავს ამ საესეებით ხელმისაწვდომ, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისად გააზრებულ და დაფასებულ სამენარმეო ინსტრუმენტის ამომწურავ ეკონომიკურ შინაარსს.

აქედან, ლიზინგის შინაარსს განსაზღვრავს საკუთრების ურთიერთობები (ლიზინგის გამცემი, ქონების მიმწოდებელი, სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი) ერთობლივი საქმიანობის პროცესში (ლიზინგის გამცემი - დამფუძნებელი - დაქირავებული) საკუთრების ტრანსფორმირება (ქონების სახელმწიფოდან კერძო საკუთრებაში გადასაცვლება). ასევე სალიზინგო საქმიანობის ფორმები ვლინდებიან შემდეგი მიმართულებით: ქონების შექმნა და დაკრედიტება, ნაწილობრივი ან სრული დაქირავება, ლიზინგის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

ეკონომიკის ასოციაცია ლიზინგს გამსაზღვრავს როგორც ხელშეკრულებას არენდის შესახებ. ისე კი ფართოდაა სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული, რომ ლიზინგი მჭიდროდაა დაკავშირებული საარენდო მექანიზმთან. ეს მართლაც ასეა, მაგრამ საქმიან მიმოქცევაში ლიზინგს გააჩნია უფრო ფართო, რთული, სამი სახის ეკონომიკური საფუძველი და იმავდროულად ის ინარჩუნებს საკრედიტო გარიგებების თავისებას, საინვესტიციო და საარენდო საქმიანობის ფორმას. ეს სამმაგი ნიშანთვისება მჭიდროდ თავსებადია ერთმანეთთან და ურთიერთშენაცვლებადია. მასში ხდება ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსის რეალიზაცია, წარმოების საშუალებების არენდის გადაცემისა და შექმნის გზით, შემდეგ კი არენდით გაცემა მესამე პირზე. ამიტომ ლიზინგის მკვლევარები თვლიან, რომ მისი ყველა განმარტება ამ პროცესის სამი მონაწილის ერთ-ერთის პოზიციიდან არ შეიძლება იყოს საკმარისი მისი არსის ურო ზუსტად გამოსახატავად.

ამასთანავე, ყოველი მათგანი - ინვესტორი, ლიზინგის გამცემი და არენდატორი (ლიზინგის მიმღები) თავიანთი სტატუსის მიხედვითა და სამენარმეო საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე არიან მენარმეები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. მაგრამ მიჩნეულია, რომ ლიზინგი საინვესტიციო საქმიანობისაგან განსხვავებით მიეკუთვნება უფრო მაღალი დონის სამენარმეო საქმიანობას, ვიდრე საარენდო, საბანკო თუ კომერციული, რადგან იგი ითხოვს ასევე საფინანსო ბიზნესის, წარმოების მდგომარეობის, ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებისა და არენდის თავისებურებების უფრო ღრმა თეორიულ ცოდნას.

აქედან გამომდინარე, ლიზინგი არის სამენარმეო საქმიანობის სისტემა და მოიცავს სამი სახის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს: საარენდო, საინვესტიციო და საგაჭრო, რომელთა შინაარსი ცალ-ცალკე ვერ განმარტავს სალიზინგო ოპერაციების სპეციფიკურ ნივთიერ-ფინანსურ შინაარსს. ამრიგად, ლიზინგი წარმოადგენს ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანობას, რადგან სალიზინგო საქმიანობაში მასთან დაკავშირებული ფუნქცია ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა ლიზინგის გამცემის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული ხელშეკრულების პირობები (მაგალითად, საფინანსო, საწარმოო, გაყიდვების, საგადასახადო და ა.შ.)

მენარმეობაში სალიზინგო ფორმა ეფუძნება პრინციპების სისტემას ანუ ამოსავალ დებულებებსა და წესებს, რომლებიც განსაზღვრავს მისი თავისებების საერთო, კერძო და განსაკუთრებულ ერთიანობას და კავშირებს, რომელთა გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ლიზინგი ფლობს მრავალფაქტორიანი ზემოქმედების უნარს როგორც წარმოების ყველა მიმართულებაზე, ისე მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრებასა და ყოფიერებაზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით ლიზინგი წარმოადგენს ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და ფულადი ფორმით საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას პირდაპირი ინვესტიციის სახით.

სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით ლიზინგი არის დამწყები მენარმების წარმოების საშუალებებთან ხელმისაწვდომობის პირობების საიმედო წყარო, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისა და ადამიანების შრომითი სტიმულების და მათი შემოქმედებითი საშუალებების მობილიზაციის გააქტიურების ინსტრუმენტი. იგი ხელს უწყობს საშუალო ფენის ფორმირებასა და საფუძველს უყრის ადამიანის ცხოვრების განმრთელი წესების დამკვიდრებას, საკუთარ თავში შესაძლებლობებში რწმენის განმტკიცებას.

სალიზინგო ურთიერთობის ობიექტები და სუბიექტები. ზემოთ უკვე შევხებთ სალიზინგო ურთიერთობების ობიექტებსა და სუბიექტებს, საკუთრივ ლიზინგის არსს, შინაარსსა და განმარტებას. ამ საკითხს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ მოცემული მიმართულებით ცოდნის გარეშე სახლიზინგო ურთიერთობებს არ ექნება მყარი იურიდიული საფუძველი. კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე ლიზინგის ობიექტი შეიძლება იყოს ყოველი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც მიეკუთვნება ქვეყანაში მოქმედი კლასიფიკაციით ძირითად საშუალებებს, გარდა იმ ქონებისა, რომელიც არ ექვემდებარება ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევას. ლიზინგის ობიექტში ნათლადაა დაფიქსირებული მათდამი აუცილებელი მოთხოვნები, გამოყენების ობიექტი უნდა იყოს აუცილებლად გამოყენებული სამეწარმეო საქმიანობაში. არ უნდა გააჩნდეს ნივთს საწარმოო პროცესში მოუხმარებლობის თვისება, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი გამოყენების პროცესში არ კარგავს თავის ნატურალურ თვისებას. ლიზინგის გარიგების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი მისი გაყიდვა ან ხელმოკრედ ლიზინგის სახით ბრუნვაში გადაცემა და სხვა მრავალი კრიტერიუმები, რომელიც მკაცრად უნდა იყოს განერილი სალიზინგო ობიექტის მახასიათებლებში.

ლიზინგის ხარისხობრივი უპირატესობები. ლიზინგი ეფექტიანია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების დროს, რადგან იგი განაპირობებს კომერციული საქმიანობის მასშტაბის ზრდას და მთლიანად სამეწარმეო პროცესის ინტენსიფიკაციას. შედეგად ამცირებს დანახარჯების ხვედრით ნაწილს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და უზრუნველყოფს მოგების მაქსიმიზაციის პირობებს. მისთვის დამახასიათებელია სამი სახის თვისება. პირველი, მულტიპლიკაციური - რაც ვლინდება უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებაში. დარგის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აქცევს დამოუკიდებელ მენარმებად. იგი ვრცელდება აღწარმოების სტადიის მიხედვით. მატულობს და გავლენას ახდენს განაწილებაზე, გაცვლაზე და მოხმარებაზე.

სალიზინგო საქმიანობის მეორე თვისებას წარმოადგენს ე.წ. ემერჯენტულობის ეფექტი, რის შედეგად მისი სიდიდე მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობას, მენარმების მიერ დამატებითი ტექნიკური საშუალებების ჩართვის გარეშე. იგი წარმოადგენს ინტენსიურ ეფექტს და მიიღწევა არა მარტო ლოკალურ საზღვრებში არამედ ზრდის მთლიანად საწარმოო სისტემის მწარმოებლურ ძალებს.

და მესამე, რომელიც ვლინდება არა მხოლოდ საწარმოო პროცესების მიხედვით, არამედ ცხოვრების სოციალურ სფეროსა და ადამიანების საქმიანობაში. ანუ გააჩნია როგორც ეკონომიკური კრიტერიუმები, ისე სოციალური ფასეულობები, რაც გამოიხატება შრომის შინაარსობრივ ამალღებაში, საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გათვიცობიერებაში, პირადი შესაძლებლობების ზრდაში და დამოუკიდებლობაში და ა.შ. ერთობლიობაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტი ახასიათებს ლიზინგის გამოყენების უპირატესობას - როგორც თავისებური ეკონომიკური მულტიპლიკატორის ეფექტს და აძლევს სტიმულს სამეწარმეო საქმიანობის ყველა რგოლის განვითარებას. აქედან გამომდინარე, სხვა სახის მატერიალურ და არამატერიალური სიკეთეების ერთობლიობას, რაც ხელს უწყობს სამეწარმეო ერთეულებში დასაქმებულთა კეთილდღეობას. მთლიანად კი საწარმოო ერთეულების ტერიტორიებისა და ქვეყნის განვითარებას.

ლიზინგის ზემოაღწერილი თვისებების შედეგად მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნების საინვესტიციო საქმიანობის ლიზინგურმა ფორმამ დაიმკვიდრა აქტიური პოზიცია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. საქართველოში ლიზინგმა შემოაღწია 21 საუკუნის დასაწყისში. იგი ხელმისაწვდომი გხდა რეგიონებში თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის აგროსაწარმოებისათვის. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აგროსაწარმოო კომპლექსის სუბიექტებისათვის განსაკუთრებით აგრარულ სფეროსათვის არ შეინიშნება აქტიურობა ამ მიმართულებით. მიზეზი მრავალია, როგორც სუბიექტური (ფსიქოლოგიური რეზისტენტულობა), ისე ობიექტური. გამოვყობთ მხოლოდ ერთ მიზეზს, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციულ ფორმას - კოოპერატიული გაერთიანებების ფორმირებას. დღეს საქართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ფუნქციონირებს 600 – 800 ათასამდე ფერმერული მეურნეობა, რაც არ ასახავს რეალურ სურათს, რადგან გლეხურ მეურნეობას ავტომატურად ეწოდა ფერმერული მეურნეობა (farmers), რომელიც გამომდინარეობს ინგლისურ-ფრანგული ტერმინოლოგიიდან. ესეიგი ფაქტურად არ ჩამოყალიბდა სალიზინგო პროდუქციის ბაზარი - მიზნდება შესაძლებელია, კომპანიები არსებობენ, მათ შორის შესაძლებელია საერთაშორისო კომპანიების ჩართვა ამ პროცესში. აგრარული პრობლემების მკვლევარების მტკიცებით, რომელსაც ჩვენ ვუერთდებით, იმისათვის რომ განვითარდეს ლიზინგური ბაზარი და ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას საჭიროა სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობების გაერთიანებული ძალისხმევით შესაბამისი ცოდნის გავრცელება, პრაქტიკული ხასიათის რჩევების და კონსულტაციების წარმართვა, რეალური აგრარული კოოპერაციის განვითარება. მხოლოდ აგრარული წარმოების ასეთი ფართოდ აღიარებული ორგანიზაციული ფორმების დანერგვა შეიძლება უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო თვითკმარებლობა და შეასრულოს სახელმწიფო საექსპორტო ვალდებულებები.

ABSTRACT
AGRO-LEASING DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA

REVAZ KHAREBAVA

Professor

Sokhumi State University

(E-mail: revaz.kharebava@rambler.ru)

The article is devoted to the problems of development of leasing relations in Georgia. Leasing relations represent an extremely effective mechanism for leasing relationships in the agricultural sector. Unfortunately in Georgia, despite the existing opportunities for widespread dissemination of this mechanism, it has not received proper recognition. The article emphasizes the need to create the ground for expansion of leasing activity on the basis of agricultural cooperation and the formation of demand from business entities.

Key words: Leasing; Agro-Leasing; Agriculture Sector; Investment Mechanism; Cooperatives

ლიტერატურა

1. კიკნაძე ა. ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. <https://elawjournal.wordpress.com/2011/12/17/133/~>
2. საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის შესახებ
3. Горемыкин В.А. Лизинг. Изд-во: Информцентр, 2005
4. Харебава Р., Толмачева Н. Развитие лизинговых отношений в регионе. Изд-во: ВГИ ВолГУ, 2004

კომპანიის ღირებულების წამყვანი ფაქტორების გამოვლენის გამოწვევები

ნინო ხარებავა¹, რუსიკო ჭითავა²

1. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

2. დოქტორანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: ninka76@yahoo.com; r_chitava@yahoo.com)

ბაზრის განვითარების თანამედროვე პირობებში, რომელიც ხასიათდება გლობალიზაციით, მძაფრი კონკურენციით, გარე გარემოს გაურკვევლობით და არასტაბილურობით ქართული კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია არსებული ფინანსური პოლიტიკის, სტრატეგიის და მართვის მოდელის გადახედვა მიუხედავად მათი ორგანიზაციული ფორმისა და სიდიდისა.

საბაზრო პირობებში კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელს წარმოადგენს მისი ღირებულების ზრდა, რაც განსაზღვრავს მენეჯერების და მესაკუთრების ძალისხმევის მიმართულებას. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში მართვის მიზნებისთვის იყენებენ ღირებულებაზე ორიენტირებულ მიდგომას. ქართულ ლიტერატურაში, ღირებულებაზე დაფუძნებული მართვის დახასიათება შემოიფარგლება ღირებულების მაჩვენებლების აღწერით და მათი გაანგარიშების მეთოდებით, რაც არ არის საკმარისი ამ მიდგომის პრაქტიკული გამოყენებისთვის.

კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის მართვა ღირებულებაზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე აქტუალურია ყველა მსხვილი თუ საშუალო ქართული კომპანიისთვის, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია იმ კომპანიებისთვის, რომელთა აქციები არ იგაჭრება საფონდო ბაზარზე. რადგან ასეთი კომპანიების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს კომპანიების უმეტესობა, მათთვის პირველ რიგში აქტუალურია ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპანიის ღირებულების მაჩვენებლების განსაზღვრას და მათ გაანგარიშებას, მართვის პროცესში მაჩვენებელთა სისტემასთან მუშაობის მეთოდების დახვეწას და კომპანიის ღირებულების ზრდაზე მიმართული მმართველობითი გადანაცვებების დასაბუთებას.

თუ განვიხილავთ დამატებულ ეკონომიკურ ღირებულებას EVA-ს ღირებულების მთავარ კრიტერიუმად, საკმარისია მისი დინამიკის შეფასება იმისათვის რომ გავიგოთ ამცირებს თუ ზრდის კომპანია თავის ღირებულებას. ამავდროულად აქ ჩნდება კითხვა თუ როგორ გმართოდ ეს მაჩვენებელი ან როგორ გაარკვიონ მაღალი ეშელონის მენეჯერებმა თუ რა უშლის ან უწყობს ხელს ღირებულების შექმნას კომპანიაში.

ვინაიდან EVA არის ინტეგრირებული მაჩვენებელი, მისი მნიშვნელობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე თუ რა ელემენტებისგან შედგება იგი, რა შიდა ან გარე ფაქტორები ახდენენ გავლენას მასზე და რამდენად მართვა-დია ის. ასეთ ფაქტორებს ეწოდება "ღირებულების დრაივერები", ანუ ღირებულების მამოძრავებელი ფაქტორები.

ღირებულების ფაქტორი – ეს არის ცვალებადი, რომელიც ზემოქმედებს კომპანიის ღირებულებაზე. ასეთი ფაქტორების განსაზღვრის მნიშვნელობა გამოიხატება იმ გარემოებით, რომ ჯერ ერთი, ფირმის ხელმძღვანელობას არ შეუძლია იმუშაოს მხოლოდ ღირებულების მაჩვენებელთან, რადგან იგი თავის მხრივ აერთიანებს მაჩვენებლების გარკვეულ რაოდენობას. შესაბამისად, იმისათვის რომ მენეჯერი სიღრმისეულად ჩაწვდეს იმ პროცესებს, რომლებიც ახდენენ გავლენას ღირებულებაზე ის იძულებულია იმუშაოს ღირებულების შემქმნელ ისეთ ფაქტორებთან, რომლებზეც კომპანია ახდენს გეგავლენას. მეორე, უშუალოდ ღირებულების ფაქტორები ეხმარება მაღალი ეშელონის

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მენეჯერებს იმის გარკვევაში, თუ რა წვლილი შეაქვთ ორგანიზაციის სხვადასხვა ქვედანაყოფებს ღირებულების შექმნაში, რა გეგმები დასახული ამ მიმართულებით და რამდენად არის ეს გეგმები რეალიზებული.

სანამ ორგანიზაცია მიუდგება აღნიშნული ფაქტორების განსაზღვრას, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ იმისათვის, რომ ფაქტორი განვიხილოთ ღირებულების წამყვანი ფაქტორად ის ერთის მხვრივ, უნდა ახდენდეს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ღირებულებაზე, მეორეს მხვრივ უნდა იყოს კონტროლირებადი. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ღირებულების შემქმნელი ფაქტორი არ ექვემდებარება კონტროლს მიზანშეწონილია მისი იგნორირება.

განასხვავებენ ფინანსურ და არაფინანსურ, რაოდენობრივ და ხარისხობრივ ღირებულების შემქმნელ ფაქტორებს. ფინანსური ფაქტორები გამოხატავენ კომპანიის ეფექტიანობას გასულ პერიოდში, ხოლო არაფინანსური ფაქტორები იძლევიან ღირებულების ცვლილების პროგნოზირების საშუალებას მომავალში.

რაოდენობრივი ფაქტორები ეს არის ფაქტორები, რომლებიც ექვემდებარება გაზომვას და გაანგარიშებას (მაგალითად, მოგება, დანახარჯები), ამიტომ ფინანსური ფაქტორები ამავდროულად მიეკუთვნებიან რაოდენობრივ ფაქტორებს.

არაფინანსური ფაქტორები თავისი არსით მიეკუთვნებიან ხარისხობრივ ფაქტორებს და არ ექვემდებარებიან უშუალო გაზომვას ან გაანგარიშებას, მაგრამ შეფასებადი არიან სკალის მიხედვით (მაგალითად, კვალიფიკაციის დონე, კლიენტის ლოიალობა, თანამშრომლების კმაყოფილება). შესაბამისად, შესაძლებელია ხარისხობრივი ფაქტორების გამოსახვა რაოდენობრივ კომპონენტებად. მაგალითად, მომხმარებლის ლოიალობა შეიძლება შეფასდეს განმეორებითი შეძენების რაოდენობით ან კლიენტის თანამშრომლობის ხანგრძლივობით.

ეკონომისტებს და დარგის სპეციალისტებს მოყავთ ღირებულების წამყვანი ფაქტორების სხვადასხვანაირი კლასიფიკაცია (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1. ღირებულების შემქმნელი ფაქტორების კლასიფიკაცია

ავტორი	ღირებულების შემქმნელი ფაქტორების კლასიფიკაცია		
გ. ჰავაინი და კ. ვიალტი	ფინანსური	არაფინანსური	-
	ოპერაციული მარჟა კაპიტალბრუნვა გადასახადის განაკვეთი მოზიდული კაპიტალის ღირებულება დაბეგვრის შემდეგ საკუთარი კაპიტალის ღირებულება	ეკონომიკური, პოლი- ტიკური და სოციალური გარემო ბაზრის სტრუქტურა კონკურენტული უპირატესობები და ძირითადი კომპეტენციები	
საკონსულტაციო ჯგუფი lek consulting	ფინანსური	ეფექტიანობის	ზრდის
	კაპიტალური დანახარჯების შემცირება	გაყიდვების ზრდა ოპერაციული მოგება	ინვესტირება პროექტებში რომლებიც ზრდიან ღირებულებას
საკონსულტაციო ჯგუფი პროგრ consulting ⁵	ფინანსური	ოპერაციული	მდგრადობის
	ვალის დონე კაპიტალური დანახარჯები საბრუნავი კაპიტალი	შემოსავალი დანახარჯები	რეგულაციები გარემო უსაფრთხოების პოლიტიკა
კოლერი ტ. ⁶	საერთო	დამახასიათებელი ბიზნეს-ერთეულისთვის	ოპერაციული
	ROIC	მომხმარებლების მიქსი გაყიდვების მუშაკების პროდუქტიულობა (დანახარჯები/შემოსავლ ები) მუდმივი დანახარჯი საწარმოო სიმძლავრის მართვა ოპერაციული უკუგება	კლიენტების ანგარიშების პროცენტული რაოდენობა ერთ ვიზიტზე კლიენტისგან შემოსავლი თანხის ოდენობა სიმძლავრეების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი დანახარჯები ერთ მიწოდებაზე დებიტორული/ კრედიტორული დავალიანების ვადები და პირობები

⁵ <http://www.krogger.co/key-value-drivers.html>

⁶ <http://slideplayer.com/slide/10664447/>

სსუ IV საერთოშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კოლერის მიხედვით, არსებობს ღირებულების უნივერსალური რაოდენობრივი მამოძრავებელი ფაქტორები (დრაივერები), რომლებსაც მიეკუთვნება ROIC (ინვესტირებული კაპიტალის მომგებიანობა) და შემოსავლების ზრდის ტემპი [14]. თუმცა ჰავაგინი გ. და ვიალეთ კ. თვლიან, რომ ROIC ნაცვლად უნდა განიხილებოდეს მომგებიანობის სპრედი (ROIC – WACC), თუ კომპანიის მოსალოდნელ ROIC დავანანწევრებთ ფუნდამენტურ კომპონენტებად, შესაძლებელია განისაზღვროს უფრო საბაზისო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ღირებულების შექმნას. ROIC შეიძლება დავანანწევროთ, როგორც საოპერაციო მოგების მარჟა და კაპიტალბრუნვა.

ასე რომ, მენეჯმენტს შეუძლია გაზარდოს ამონაგები ინვესტირებულ კაპიტალზე შემდეგი ქმედებების კომბინაციის შედეგად:

1. საოპერაციო მოგების მარჟის გაუმჯობესება, რომელიც მიიღწევა საოპერაციო მოგების ზრდით გაყიდვების თოთოეულ ლარზე

2. კაპიტალბრუნვის ზრდა, რომელიც მიიღწევა გაყიდვების მაქსიმალური ზრდით მინიმალური კაპიტალის პირობებში (ინვესტირებული კაპიტალის ეფექტიანობა შეიძლება მიღწეულ იქნას მოთხოვნების სწრაფი ამოღებით, მარაგების სწრაფი ბრუნვით და ფირმის ძირითადი საშუალებების უფრო ეფექტიანი გამოყენებით).

3. გადასახადის განაკვეთის შემცირება, რომელიც მიიღწევა, მაგალითად, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების ან სუბსიდიების გამოყენების გზით.

წამყვანი ფაქტორების გამოვლენა საკმაოდ რთული პროცესია და ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით:

- საკვანძო ფაქტორები არ არის სტატიკური და დროთა განმავლობაში საჭიროებს გადახედვას;
- ფაქტორების გამოვლენა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული საწარმოო პროცესისადმი;
- ღირებულების ფაქტორების ცალ-ცალკე განხილვა არ შეიძლება. მაგალითად, ფასის მატება თავისთავად განაპირობებს ღირებულების ზრდას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედეგად არ გამოიწვევს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვას გაყიდვების შემცირების გამო. ამიტომ უნდა იქნას განხილული სხვადასხვა სცენარი, რომ კარგად გამოიკვეთოს საკვანძო ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და ასევე მათი კავშირი კომპანიის ღირებულებასთან.

ეკონომიკური ლიტერატურა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ღირებულების შემქმნელი ფაქტორების 4 ძირითადი ჯგუფი: კომპანიის სტრატეგიული, საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები.

კომპანიის სტრატეგიული ეფექტიანობა გულისხმობს ბიზნესის სტრატეგიული მიზნის მიღწევას, რაც არის კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაცია, რომელიც გამოიხატება ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებელში (EVA).

ჩვეულებრივ, ეკონომიკური დამატებითი ღირებულების მაჩვენებელი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$EVA = NOPAT - IC \times WACC = (ROIC - WACC) \times IC [11]$$

sadac,

NOPAT (Net Operating Profit After Taxes) – sufTa saoperacio mogeba gadasaxadebis Semdeg;

WACC (Weighted Average Cost of Capital) – kapitalis saSualo Sewonili Rirebuleba;

IC (Invested Capital) – investirebuli kapitali.

საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობა ასახავს კომპანიის ძირითადი საქმიანობის შედეგებს გაყიდვების მოცულობის, ხარჯების შემცირების ან მწარმოებლურობის ამაღლების კუთხით. იგულისხმება, რომ ამ შედეგების გაუმჯობესება მიღწევალია დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობა ასახავს საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობას. იგულისხმება ნებისმიერი პროექტი, დაკავშირებული ფულადი სახსრების ინვესტირებასთან რეალურ აქტივებში 1 წელზე მეტი ვადით.

ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობა ასახავს ეფექტიანობას დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოზიდვის და თავისუფალი ფულადი სახსრების საფონდო ბაზარზე განთავსების კუთხით.

როგორც ჩვენ დავინახეთ ცხრილში #1 არსებობს ღირებულების შექმნის მაჩვენებლების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ვეძახით არაფინანსურ მაჩვენებლებს, რომლის გადაყვანა ფინანსურ მაჩვენებლებში საკმაოდ ძნელია. მაგალითად, ჰავაგინი და ვიალეთი აღიარებენ არაფინანსური ფაქტორების არსებობას, თუმცა არ სთავაზობენ კონკრეტულ გზებს, თუ როგორ აისახოს ისინი ფინანსურ გათვლებში.

საინტერესოა ამ მიმართულებით აგრეთვე კოლერის მიდგომა ბიზნესის ღირებულების შეფასების მიმართ. ის ამტკიცებს, რომ ბიზნესის ღირებულება უდრის აქტივების ღირებულების და ზრდის შესაძლებლობების ჯამს. აქტივების ღირებულება განისაზღვრება როგორც წმინდა ოპერაციული მოგება გამოკლებული გადასახადები (NOPAT) და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება. ამით ის ფაქტურად უტოლებს ღირებულებას ეკონომიკურ დამატებით ღირებულებას. ხოლო ზრდის შესაძლებლობების ღირებულებას განიხილავს ღირებულების წამყვან ფაქტორებად. ეს არის ROIC, ახალი ინვესტიციების მოცულობა, კონკურენტული უპირატესობის პერიოდი (CAP) (რომელიც აჩვენებს დროის ხანგრძლივობას რომლის განმავლობაში მოსალოდნელი ROIC არის უფრო მეტი ვიდრე WACC). თუ პირველი ორი ფაქტორის გაზომვა არ წარმოადგენს სირთულეს, ბოლო ფაქტორი CAP არის ბუნდოვანი და გაუგებარია თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გადაყვანა ფინანსურ მაჩვენებელში და როგორ უნდა აისახოს ის ფორმულაში.

ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა აქციის საბაზრო ღირებულება ან MVA გვაძლევს ჩვენ საშუალებას ასე ვთქვათ მოუაროთ ამ პრობლემას მეორე მხრიდან და თვითონ ბაზარი გვიკარნახებს აქვს თუ არა ფირმას ზრდის პოტენციალი ან რამდენად ეფექტიანად იყენებს ის თავის კონკურენტულ უპირატესობებს და რა პერიოდის განმავლობაში, რაც აისახება საბაზრო ფასში. აქციის საბაზრო ფასი არის უნიკალური მაჩვენებელი, რომელიც ძალიან მგრძობიარეა ფირმის ღირებულების ზრდის არა მარტო ფინანსურ, არამედ არაფინანსურ ფაქტორების მიმართ. და შეიძლება რომ ფირმას თვითონ არ ქონდეს გააზრებული თუ რა განაპირობებს მის წარმატებას ან წარუმატებლობას,

მაგრამ აქციის საბაზრო ფასი არის ღირებულების ზუსტი საზომი, რომელიც არ პატიობს შეცდომებს და აფასებს ფირმის მიღწევებს. მაგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის გვაძლევს შესაზღვრებლობას შევადაროთ ღირებულების შექმნის პროცესი არაფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით მხოლოდ „გარედან“ და არ გვაჩვენებს თუ რომელი ფაქტორის ცვლილებამ (მათ შორის არაფინანსურმა) კონკრეტულად გამოიწვია საბაზრო ფასის ზრდა. აქედან ჩნდება კითხვა შესაძლებელია თუ არა განვსაზღვროთ ღირებულების შემქმნელი ყველა ფაქტორების გავლენა ფირმის საბაზრო ფასზე „შიგნიდან“?

დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა თითქოს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ არაფინანსური მაჩვენებლების ტრანსფორმაცია ფინანსურში. მაგრამ, თვითონ ამ სისტემის შემქმნელები კაპლანი და ნორტონი აღიარებენ, რომ მათ მიერ შექმნილი მოდელი არის მოუხერხებელი პრაქტიკული განხორციელებისთვის ვინაიდან მოითხოვს საკმაოდ დიდ რესურსს და არის შრომატევადი.

გამოსავალი შეიძლება იხახოს ღირებულების შემქმნელი ფინანსური და არაფინანსური ფაქტორების ასახვაში ერთიან მოდელში და ამ მოდელის მონიტორინგში ფირმის ხელმძღვანელობის მიერ. წამყვანის მაჩვენებელი ამ მოდელში უნდა იყოს დამატებითი ეკონომიკური ღირებულება. აქვე უნდა აღინიშნოს განსხვავება EVA მაჩვენებლის მათემატიკურ ფაქტორებსა და ღირებულების მამოძრავებელ ფაქტორებს შორის. საქმე ისაა, რომ EVA მაჩვენებლის მათემატიკური ფაქტორები, ანუ ფორმულის შემადგენელი კომპონენტები, ასახავენ ნებისმიერი კომპანიის ღირებულებას ზოგადად. ხოლო კონკრეტულ კომპანიას გააჩნია თავისი ღირებულებასთან დაკავშირებული ამოცანები, რომლებიც რეალიზდება აქციონერების მიერ განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად და განსაზღვრული მამოძრავებელი ფაქტორების მეშვეობით. ამიტომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ღირებულების მათემატიკური ფაქტორების და ღირებულების სტრატეგიული მამოძრავებელი ფაქტორების ურთიერთდაკავშირება, რადგან მხოლოდ ამ გზით მოხერხდება კომპანიის სტრატეგიული ამოცანების ლოგიკური ასახვა კომპანიის მიმდინარე ბიუჯეტებში.

ამრიგად, მართვის მოდელი უნდა ზღუდავდეს მენეჯმენტის შესაძლებლობას მანიპულირება მოახდინოს ბუღალტრული მაჩვენებლებით და შეიცავდეს მაჩვენებელთა ისეთ ერთობლიობას, როცა ერთი მაჩვენებლის ხელშეწყობა ვერ მოხერხდება ისე რომ არ მიაყენოს ზარალი საერთო შეფასებას. ყველა მაჩვენებელი უნდა იმყოფებოდეს გარკვეულ დამოკიდებულებაში ერთმანეთთან და მიღებული გადანყვეტილებების ეფექტიანობა უნდა ფასდებოდეს ზეგავლენით, რომელსაც ისინი ახდენენ მაჩვენებელთა ეტალონური დაბალანსებული მდგომარეობის ცვლილებაზე. მოდელი უნდა წარმოადგენდეს კომპანიის განვითარების ეტალონურ ანუ ნორმატიულ მოდელს, რომელიც განაპირობებს მისი ღირებულების ზრდას. ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაგეგმვის ჰორიზონტი, რადგან ეს ეტალონური მოდელი უნდა იქნას დაცული ნებისმიერი დროის მონაკვეთში. მენეჯმენტს შეუძლია ცვალოს ბიუჯეტით განსაზღვრული მონაცემები და აკორექტიროს კომპანიის ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლები, მაგრამ ეს აქტივობები არ უნდა აისახებოდეს კომპანიის ღირებულების ცვლილებაზე ნეგატიურად. ამიტომ, პირველ პლანზე უნდა გამოდიოდნენ არა აბსოლუტური მნიშვნელობები, არამედ კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების ზრდის ტემპების ურთიერთშეთანხმება.

ABSTRACT CHALLENGES OF IDENTIFYING KEY VALUE DRIVERS

NINO KHAREBAVA¹, RUSIKO CHITAVA²

1. Phd, Associate Professor

2. Doctorate Candidate

Sokhumi State University

(E-mail: ninka76@yahoo.com; r_chitava@yahoo.com)

One of the most important problems faced by georgian companies is the problem of determining the value of a company and monitoring whether it creates value in during its activities. This problem is exacerbated by the underdevelopment of Georgia's financial market and, as a consequence, by the inadequacy of determining the market value of the company on the basis of proven tools. The article attempts to find a model that would allow us to assess the dynamics of the company's value creation based on key value drivers

Key words: Key Value Drivers; EVA; Value Based Management; Financial and Non-Financial Value Drivers

ლიტერატურა

მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები. თბ.: თსუ, 2011, 509 გვ.

მესხია ი., საერთაშორისო ფინანსები. თბ.: თსუ, 2012, 523 გვ.

ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჭლარკავა ნ., ბერიშვილი ბ., კორპორაციული ფინანსები, ტომი ვვ. თბ.: "უნივერსალი", 2013, 552 გვ.

Kaplan R.S. Conceptual Foundations of the Balanced Scorecard. Harvard Business School, 2010, p.34.

Druker P., The Practice of Management, New York: HarperCollins, 1954

Kaplan R.S, Norton D.P The Balanced Scorecard Measures that drive Performance. Harvard Business Review, Vol.70, N.1.1992,

Kaplan R.S., Norton D.P. The Balanced Scorecard, Boston:HBS Press, 1996.
 Kaplan R.S., Norton D.P. Alignment: Using the Balanced Scorecard to Create Corporate Synergies. Boston: HBS Press, 2006a
 Kaplan R.S., Norton D.P. Strategy Maps: Converting Intangible Assets into Tangible Outcomes. Boston: HBS Press. 2004.
 Kaplan R.S., Norton D.P., Using the Balanced Scorecard as a Strategic Management System. Harvard Business Review, 1996, p.14.
 Hawawini G., Viallet C., Finance for Executives: Managing for Value Creation, 3-d addition, South-Western Cengage Learning, 2006, p. 632.
 Wolstenholme E., Balanced Strategies for Balanced Scorecards: The Role of System Dynamics in supporting Balanced Score Cards and Value Based Management. International System Dynamics Conference, 1998.
 Evans M.H., Excellence in Financial Management: Creating Value Through Financial Management. <http://www.exinfm.com/training/pdfs/course08.pdf>, 1999. p.27.
 Koller T., Goedhart M., Wessels D., Corporate Valuation: Measuring and managing the Value of Companies. McKinsey&Company, 5th add., 2010. p. 811.

კომერციულ ბანკებში ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდების სრულყოფის საკითხები

მარიან ხუბუა

ასოცირებული პროფესორი
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს ბანკის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის, მისი აქტივების და პასივების მართვის ეფექტურობის განმარტებელ მახასიათებელს. ამასთან ბანკის აქტივებისა, პასივების მართვის ხარისხი და კოორდინირებულობა მათი მართვის შერჩეული სქემის შესაბამისად შეიძლება განვამოგადოთ ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემაში. ბანკის საქმიანობის საერთო მასშტაბების ცვლილებების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი საწესდებო კაპიტალის ზრდის ტემპის მაჩვენებლის საფუძველზე. დამატებითი კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის დროს უნდა შეფასდეს სტანდარტული ვადიანი სესხების რემეგრების ხვედრითი წილი. მათი სიდიდე გათვალისწინებული კაპიტალის მოცულობიდან რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მნიშვნელობის 1.25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. უნდა განისაზღვროს სუბორდინირებული კრედიტების კაპიტალის შემადგენლობაში შეტანის საფუძვლიანობა, სუბორდინირებული კრედიტების გაცემის ვადასთან დამოკიდებულებით. ქონების ღირებულების გაზრდის სიდიდე მისი გადაფასებისას უნდა ჩაიღოს დამატებითი კაპიტალის გაანგარიშებისას იმ თანხით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გადაფასების სიდიდეს. აუცილებელია გაანალიზდეს ბანკის საკუთარი სახსრების ცვლილების სიდიდე დინამიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ სახსრებს ხშირად ბანკის კაპიტალს არქმევენ, დღეს საქართველოს კომერციული ბანკების პრაქტიკაში საკუთარი სახსრების სიდიდე გამოსახულ უნდა იქნეს აგრევირებულ საბალანსო ანგარიშგებაში. ბანკის საქმიანობის საერთო მასშტაბების ცვლილებების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი საწესდებო კაპიტალის ზრდის ტემპის მაჩვენებლის საფუძველზე. ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს ბანკის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის, მისი აქტივების და პასივების მართვის ეფექტურობის განმარტებელ მახასიათებელს. ამასთან ბანკის აქტივებისა, პასივების მართვის ხარისხი და კოორდინირებულობა მათი მართვის შერჩეული სქემის შესაბამისად შეიძლება განვამოგადოთ ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემაში.

ბანკის საქმიანობის საერთო მასშტაბების ცვლილებების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი საწესდებო კაპიტალის ზრდის ტემპის მაჩვენებლის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალის ჯამი

$$\text{ზრდის ტემპი} = \frac{\text{პირველად რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის სიდიდე}}{\text{საწესდებო კაპიტალის ჯამი}} \times 100\%$$

ანალიზის შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს საწესდებო ფონდის ფულადი ნაწილის სიდიდე, რომელიც მოდის ყველა აქტივის ლარზე, საკრედიტო დაბანდებებზე, საკუთარ სახსრებზე, მოზიდულ ნასესხებ სახსრებზე, ბანკის ვალდებულებებზე, აგრეთვე საწესდებო ფონდის სიდიდე, რომელიც მოდის ერთ აქციონერზე.

რამდენადაც, ბანკის საკუთარი სახსრები იყოფიან: ნეტო-საკუთარი და იმობილიზებულ საკუთარ სახსრებად, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაკრედიტების რესურსად. მათი ანალიზისას საჭიროა ბანკის საკუთარი სახსრების ხარისხის განსაზღვრა. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ იმობილიზაციის კოეფიციენტი

$$Ku=Cu/Cc,$$

sadac, Cu - იმობილიზებული სახსრების ჯამია;
 Cc - საკუთარი სახსრების – ბრუტო სიდიდე

ვინაიდან ბანკის საკუთარი რესურსების სტრუქტურა პირდაპირ დამოკიდებულია ბანკის მიერ მიღებული მოგების გამოყენების საშუალებებთან, საჭიროა გაანალიზდეს რა პროპორციებით ნაწილდება იგი ბანკის ფონდებს შორის, მისი რა ნაწილი შეადგენს მიმდინარე წლის მოგებას და წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას, თვალყური ვა-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

დევნოთ მოცემული მაჩვენებლების მის დინამიკაში ცვლილებას, შევისწავლოთ ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მისი მოგების გაუნაწილებელი ნაწილის ზეგავლენა.

ბანკის რესურსების მეორე ნაწილს, რომელიც ყველაზე დიდია და მას არ ეკუთვნის, მაგრამ გარკვეული პირობებით იყენებს ფინანსურ წყაროდ, წარმოადგენენ მოზიდული და ნასესხები სახსრები.

ბანკის მოზიდული სახსრების ძირითად და მთავარ ნაწილს წარმოადგენს მისი კლიენტების დეპოზიტები სახსრები, რომლებიც მათ მიერ შეტანილია ბანკში, ინახებიან ანგარიშებზე და გამოიყენებიან ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად. სხვა მოზიდულ სახსრებს წარმოადგენენ: მოზიდული სპეცფონდები; დროებით თავისუფალი სახსრები, რომლებიც იმყოფებიან საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების მიხედვით, ბანკის საკრედიტო დავალიანება. მოზიდული სახსრები აღემატებიან ბანკის რესურსების სტრუქტურას და წარმოადგენენ ნებისმიერი კომერციული ბანკის ფუნქციონირების საფუძველს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საკრედიტო დაბანდების მოცულობა, რომელიც განხორციელდა მოზიდული რესურსების ხარჯზე, შეიძლება გამოყენებული იქნეს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი (Φ_u), რომელიც გაიანგარიშება როგორც მოზიდული სახსრების (n_u) შეფარდება საკრედიტო დაბანდების ჯამთან (K_B).

$$\Phi_u = n_u / K_B$$

თუ Φ_u მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება 100%-ს, ეს მონიშნავს მოზიდული სახსრების გამოყენებას არა მარტო საკრედიტო რესურსებად ბანკის სხვა აქტიური ოპერაციების წყაროდ, არამედ შეიძლება მისი გამოყენება საკუთარი დანახარჯების დასაფარადაც.

ბანკის რესურსების და პასივების მთავარი შემადგენელია _ დეპოზიტები. დეპოზიტების ანალიზი ხორციელდება მენაბრეთა ვადისა და კატეგორიების, ანაბრების შეტანისა და გატანის პირობების, გადასახდელი პროცენტის მოცულობის, ბანკის აქტივების ოპერაციების გამო შეღავათების მიღების შესაძლებლობების, სხვა მიმართულებების მიხედვით.

კომერციული ბანკების ვალდებულებების მნიშვნელოვან შემადგენლად ითვლება საკრედიტო დავალიანება, რომელიც ახასიათებს მის ფინანსურ მდგომარეობას და დროულად უნდა შესრულდეს. ამასთან საკრედიტო დავალიანება გამოიყენება ბანკების მიერ აქტიური ოპერაციების ჩასატარებელი სახსრების მოზიდვის წყაროდ.

იმისათვის, რომ შეფასდეს საკრედიტო დავალიანების ბრუნვადობა, უნდა გამოვიყენოთ მოკლევადიანი დეპოზიტებისა და სესხების საკრედიტო ბრუნვადობის მაჩვენებლები.

საკრედიტო დავალიანების ბრუნვადობა:

$$K_{\text{ბრ}} = D_{\text{ბ}} / OK3_{\text{კრ}}$$

სადაც, $D_{\text{ბ}}$ _ დეპოზიტორული ბრუნვაა;

$OK3_{\text{კრ}}$ _ კრედიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთი, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით: $OK3_{\text{კრ}} = (OK3_{\text{ა}} + OK3_{\text{კ}})$ სადაც, $OK3_{\text{ა}}$ და $OK3_{\text{კ}}$ კრედიტორული დავალიანების ნაშთებია წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

სასესხო სახსრებს შორის მთავარი როლი აკისრია ბანკთაშორის კრედიტებს, ბანკების ბანკთაშორისო კრედიტებთან დამოკიდებულების ხარისხის ანალიზი ტარდება ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებსაც რეფინანსირების კოეფიციენტს უწოდებენ, ისინი გაიანგარიშება როგორც სხვა ბანკებისაგან მიღებული კრედიტების შეფარდება: საკრედიტო ანაბრების მოცულობასთან; გაცემულ ბანკთაშორის სესხებთან; ბანკის ვალდებულებების საერთო მოცულობასთან; საწესდებო ფონდთან; ბალანსის საერთო ვალუტასთან.

კომერციული ბანკები პასივების სტრუქტურის ანალიზის დროს საჭიროა განვსაზღვროთ მის მიერ სარესურსოდ გამოსაყენებელი სახსრების მაქსიმალური მოცულობა, აგრეთვე არსებული სახსრების გამოყენების ეფექტურობა. იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ბანკის საწარმოო აქტივების სიდიდის შეფარდებით მის სარესურსო ბაზასთან.

აქტიური ოპერაციების ანალიზი. საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების სახეების ანალიზია, ბანკის მიერ განთავსებული სახსრების ეკონომიკური ეფექტურობის შესწავლა და შეფასება. ბანკის აქტივების ხარისხიანი მართვა-რთული და მრავალსპექტრიანი პროცესია.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლის დასასრულს საჭიროა შევისწავლოთ მისი საქმიანობის შესაბამისი რისკის მაჩვენებლის ჯგუფი. თუმცა რისკის გამოშვება ძნელია, მით უმეტეს შეფასება, მიუხედავად ამისა ანალიზი უნდა დაგვიწყოს რისკის გასაანგარიშებელი მეთოდის არჩევით, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დანაკარგების პროგნოზირების შეფასების სისწორე.

პროცენტული რისკის გასაზომად დასავლეთის საბანკო პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება ორი სტანდარტული მეთოდი. ეს არის GAP -ანალიზი და ბანკის ეკონომიკური ღირებულების საბაზრო პროცენტული განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარობის შეფასების მეთოდი.

GAP _ ანალიზის მეთოდის არსი მდგომარეობს აქტივებისა და პასივების მუხლების დაჯგუფებაში ვადების მიხედვით, მათი განთავსების ფასიანი პირობების უახლოეს გადახდამდე, მოზიდვამდე მიახლოებით ერთდროულად შესაფასებელი აქტივებისა და პასივების მოცულობებს შორის შესაბამისობის შემდგომი გამოკვლევით. ასეთი გამოკვლევა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა ბანკის საპროცენტო სპრედის ცვლილებების მიმართულებების შესახებ დროის ნებისმიერ პერიოდში საბაზრო საპროცენტო დონის კლების ან მატების დროს. თუმცა მოცემული მეთოდი არ გვაძლევს ნებას მივიღოთ ბანკის შესაძლო დანაკარგების ზუსტი რაოდენობრივი შეფასება, მისი დახმარებით შეიძლება მივიღოთ საკამაოდ საფუძვლიანი გადაწყვეტილებები საპროცენტო პოზიციის პეჭირების შესახებ და თავიდან ავიცილოთ უარყოფითი საპროცენტო მარჯის წარმოშობა.

ABSTRACT:
ON ISSUES OF IMPROVING METHODS OF FINANCIAL POINTERS ANALYSIS IN
COMMERCIAL BANKS

MARINE KHUBUA
Associate Professor
Sokhumi State University

In analysis of the commercial banks' liabilities structure the maximal assets used as resources should be calculated, as well as effectiveness of the available assets. It could be presented as ratio of the bank's production assets with its resource base. Analysis of the active operations Analysis of the key directions of the bank's activities includes study and evaluation of the economic effectiveness of assets deposited by the bank. High quality management of the bank's assets is a complex and wide-spectrum process.

Key Words: Financial and Economic Activities; Deposits; Pccount payable; Balance; Capital Multiplier; Profit Margin

ლიტერატურა

- Матук Ж. Финансовые системы Франции и других стран. Банки. Т. 1. –М.: Финстатинформ, 1994.
Шарп У.Ф., Александер Г. Дж., Бейли Дж. Инвестиции : Пер. с англ.- М.: ИНФРА-М, 1997.
Хелферт Э. Техника Финансового анализа / Пер. с англ. под. ред. Л.П. Б елых.- М.: Аудит, ЮНИТИ, 1996.
Синки Дж., мл. Управление финансами в коммерческих банках.: Пер. с англ. 40го перераб. изд. Под ред. Р.Я. Леви-ты, Б.С.Пинскера.- М.: Catalaxy, 1994.

ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირების
ძირითადი აქტენტები ახალ რეგულაციაში

დავით ჯალაღონია¹, იური პაპასკვა²

1. პროფესორი
2. ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ელ-ფოსტა: dato.jalagonia@gmail.com)

სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობას, როგორც წესი, განაპირობებს მენეჯერის მიერ შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ასეთი გადაწყვეტილებები მით უფრო პროდუქტიულია, რაც უფრო მეტადაა გააზრებული ნარმოებულ პროდუქციაზე ან განუვლ მომსახურებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოსალოდნელ დანახარჯებთან (ხარჯებთან) შეფარდებით. აღნიშნული პროპორციის ოპტიმალობის დასადგენად მნიშვნელოვანია ზუსტი და დროული ინფორმაცია. ბიზნესისთვის, ასეთი ინფორმაციის წყაროა საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომლის სანდოობას უზრუნველყოფს აუდიტი. ინფორმაციულად დატვირთული ფინანსური ანგარიშგების შედეგსა და საერთაშორისო სტანდარტებთან მის შესაბამისობის დამოწმებას სჭირდება მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიული კომპეტენციის მქონე ბუღალტერი, რომელიც კარგადაა გარკვეული სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ არსში, შესწავლილი აქვს ასეთი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები, სისტემატურად ეცნობა მასში განხორციელებულ ცვლილებებს, სიღრმისეულად ერკვევა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მეთოდოლოგიაში და უწყვეტად იმაღლებს პროფესიულ კომპეტენციას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დირექტიული გამოყენება საქართველოს სამეწარმეო სივრცეში მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. მეტი ყურადღება მას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის [1] მიღების შემდეგ ეთმობა, თუმცა ამ მხრივ, თვალსაჩინო მიღწევები ჯერ კიდევ არ ჩანს. უფრო მწირია ბუღალტრის პროფესიულ კომპეტენციაზე ორიენტაციის გამოცდილება. ეს პროცესი მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობიერება, პროფესიული კომპეტენციის ამაღლების პროცედურების კრიტიკული აღქმა და მომხმარებლისათვის დამუშავებული ინფორმაციის სწორად მიწოდება.

პროფესიული კომპეტენციის შექმნა და მათი განვითარება გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციების, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადოდ სრულყოფაში [2].

ტექნიკური კომპეტენციები ესაა სასერტიფიკაციო საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; **პროფესიული უნარები** მოიცავს კომუნიკაბელურობის, პერსონალური და ორგანიზაციული უნარების ერთობლიობას. პროფესიული უნარების ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიული კომპეტენცია; **პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და დამოკიდებულებების** ქვეშ მოიაზრება პროფესიული ქცევა და სხვა ის-

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ეთი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიულობას. ამასთან, მასში შედის ქვეყნის (ეთიოპური) პრინციპები, რომლებიც არსებითად დამახასიათებელია პროფესიისთვის.

საქართველოში მიღებული ახალი რეგულაციის თანახმად, **სერტიფიცირებულ ბუღალტრად მიიჩნევა** ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტრთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს. თავის მხრივ, განგრძობითი განათლება ესაა სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების შემდგომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნების და განვითარების პროცესი.

როგორც წესი, პროფესიული კომპეტენციის ჩამოყალიბება იწყება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში. ამ დონეზე საბუღალტრო აღრიცხვის დარგში მიღებული ცოდნის შემდგომი გაღრმავება-განვითარებისათვის აუცილებელია პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება. თავის მხრივ, პროფესიული სერტიფიცირებისათვის საჭიროა პირის მიერ სრული სასერტიფიკაციო პროგრამის დაძლევა. სასერტიფიკაციო პროგრამა, ესაა პროფესიული სერტიფიცირებისათვის განსაზღვრული სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტებით, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელი პირის შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ღონისძიებები. სრული სასერტიფიკაციო პროგრამა მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსებს და სასერტიფიკაციო გამოცდებს.

საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილებიდან და ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიჩნეულია არსებობდეს მარეგულირებელი ორგანო, რომელსაც შეეძლება პირი აღიაროს სერტიფიცირებულ ბუღალტრად. საქართველოში ასეთი ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მედამხედველობის სამსახური. სწორედ, აღნიშნული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შეიმუშაოს პირის სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის და კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები.

ინვესტორებისათვის ბიზნესინფორმაციის ხელმისაწვდომობის და აღქმადობის ხარისხის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სტანდარტები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივების და ბუღალტრთა საერთაშორისო ფედერაციის (**International Federation of Accountants-IFAC**) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (**illuminating engineering society-IES**) მოთხოვნებს. ამ მიმართულებით შესაბამისი რეგულაციების მიღება საქართველოში მიმდინარეობს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნათა დაცვით და პროცესები სწორი გზით ვითარდება. სწორედ, ამ პროცესის ფარგლებში მუშავდება პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, რომელშიც წარმოდგენილია:

პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი;

საგამოცდო პროცესის წარმართვის წესი;

საგნების ჩათვლის და გამოცდებისაგან გათავისუფლების წესი;

პროფესიული სერტიფიცირებისათვის წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა;

სერტიფიკატის გაცემის წესი.

განგრძობითი განათლების სტანდარტიც, რომელიც უკვე მიღებულია და მოქმედებაშია, აგრეთვე შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს და განსაზღვრავს: განგრძობითი განათლების პროგრამას, მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს. მასში წარმოდგენილია განგრძობითი განათლების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, სწავლის შედეგების დადასტურებისა და განგრძობითი განათლების მოთხოვნის ჩათვლის მექანიზმი.

მედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად, სერტიფიცირების პროცესს წარმართავს პროფესიული ორგანიზაცია და სერტიფიცირების პროგრამის დაძლევის შემთხვევაში მაძიებელ პირებზე გასცემს სერტიფიკატს. პროფესიულ ორგანიზაციებს, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში, შემუშავებული უნდა ჰქონდეთ შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ ბუღალტრს ეძლევა საშუალება განგრძობითი განათლების მიღების მიზნით ჩაერთოს სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი განათლების პროგრამაში. უწყვეტი განგრძობითი განათლების მიღების ფარგლებში, სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის განსაზღვრულია ყოველწლიური შემომწვავი და არაშემომწვავი სწავლების საათების მინიმალური მოცულობა.

გამჭვირვალობისა და ხელოვნური ჩარევისაგან თავის არიდების მიზნით, ერთმანეთისაგან გამიჯნულია პირის პროფესიული სერტიფიცირებისათვის აღიარებული სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო და სერტიფიცირებისთვის უფლებამოსილი პროფესიული ორგანიზაცია. სერტიფიცირების მთელ პროცესზე კონტროლის ფუნქცია და საბოლოო პასუხისმგებლობა დაკისრებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მედამხედველობის სამსახურზე.

ვფიქრობთ, რომ ასეთი იერარქიული და გამჭოლი სისტემა უზრუნველყოფს ბუღალტრების სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების ხარისხის ამაღლებას, შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ, ზრდის პირის მიერ პროფესიული კვალიფიკაციის შენარჩუნებისა და განვითარების მოტივაციას, მეორე მხრივ კი, პროფესიული ორგანიზაციის უქმნის წინაპირობას ბაზარზე არსებული

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონკურენციის პირობებში განგრძობითი განათლების მიღების მსურველს მიაწოდოს შედეგზე ორიენტირებული განგრძობითი განათლების პროგრამა.

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ მიზნით, პროფესიულმა ორგანიზაციებმა ბაზრის კვლევასთან ერთად, სალექციო კურსის ბოლოს, მიწოდებული ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებით, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით მსმენელებისაგან მიიღონ შეფასება (მათ შორის სილაბუსის და ლექტორის შესახებ) და აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი პროგრამების შედგენის პროცესში. ასევე სასურველია, რომ ახალი პროგრამების შედგენისას განგრძობითი განათლების პროგრამაში სიახლეები უნდა აისახოს შემდეგი თანმიმდევრობით [3]:

პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC);

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები;

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები;

საგადასახადო, ბიზნეს კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

სერტიფიცირებული, ანუ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე დიპლომირებული ბუღალტერი წარმოადგენს უმაღლესი კომპეტენციის მქონე პირს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსების დარგში. სერტიფიცირებული ბუღალტერი არის აუდიტორი, თუმცა მას, გარდა სერტიფიკატის ფლობისა, მოეთხოვება ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრობა, დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრაციის გავლა აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში, განგრძობითი სწავლების პროგრამაში ჩართვა, პროფესიული კვალიფიკაციის პერიოდული დადასტურება და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ეძლევა უფლებამოსილება განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), მათ შორის, ინდივიდუალურად. პროფესიული ორგანიზაციაში წევრობის, სერტიფიცირების პროცესის გავლის და რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, დიპლომირებულ ბაკალავრს არა აქვს უფლება ეწეოდეს პროფესიულ აუდიტორულ პრაქტიკულ საქმიანობას. ეს, ერთი შეხედვით, მკაცრი პირობაა პროფესიული კარიერისთვის, მაგრამ აუდიტორის მიმართ დაკისრებული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის, მოთხოვნილი მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიის პრესტიჟულობის გათვალისწინებით, საცხებით მისაღები და სამართლიანი მიდგომაა. მთავარი ან რიგითი ბუღალტრის კარიერული წინსვლისთვის კი, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ მკაცრ პირობებს, როგორც აუდიტორისთვისაა განსაზღვრული. თუმცა, ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებით, სამენარმეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის საჭირო კომპეტენცია და პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, წარმოშობს ბუღალტრების პროფესიული კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების გამკაცრებას და კვალიფიკაციის მიხედვით მათი რანჟირების აუცილებლობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტერი (**CPA-Certified Public Accountant**) იგივეა, რაც სერტიფიცირებული აუდიტორი ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვის დარგში. მრავალ ინგლისურენოვან ქვეყანაში სწორედ, **CPA-ის** კვალიფიკაცია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების დარგში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად. ამის დასტურია ფაქტი, რომ აშშ-ში მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტრის ლიცენზიის მქონე პირს აქვს უფლება ეწეოდეს ბიზნესსუბიექტების საბუღალტრო, საგადასახადო და ფინანსურ მომსახურებას. შესაბამისი ლიცენზიები გაიცემა შტატის ადმინისტრაციის მიერ. ამასთან, კანონით არა არის აკრძალული კონკრეტულ შტატში გაცემული ლიცენზიის მქონე პირმა, „მობილობის“ წესით, აღნიშნული მომსახურება განიოს სხვა შტატშიც. ცალკეულ შტატებში ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნის გასწავებულობის მიუხედავად, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პირმა:

ჩააბაროს ერთიანი გამოცდა (Uniform Certified Public Accountant Examination);

ჰქონდეს უმაღლესი პროფესიული განათლება (მინიმუმ 150 სასწავლო კრედიტი, რომელიც მიახლოებით მაგისტრატურის ხარისხს უთანაბრდება);

ჰქონდეს მუშაობის სტაჟი სპეციალობით. ცალკეულ შტატებში, განსხვავებული ვადის მიუხედავად, ის 1 წელზე ნაკლები არ შეიძლება იყოს.

როგორც ჩანს, აშშ-ში უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტრის სტატუსის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს უმაღლესი პროფესიული განათლების მიღება, რომელიც სასწავლო კრედიტის მოცულობიდან გამომდინარე უთანაბრდება მაგისტრატურის ხარისხს. ერთიანი გამოცდა შედგება 4 ნაწილისაგან და მოიცავს შემდეგ საგნებს: აუდიტი; ფინანსური აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება; გადასახადები და სამართალი; საქმიანი გარემო. ცალკეული საგნის ჩაბარების დრო გრძელდება დაახლოებით 3-4 საათი და შედგება ტესტებისაგან და ამოცანებისაგან, რომელთა ამანახსნების დასაბუთებაც ხდება წერილობითი ფორმით. საქართველოში, პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისათვის გათვალისწინებულია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაიშვას პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი **განათლების**¹ ბაკალავრის დიპლომი და გაიარა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული პროფესიული ორგანიზაციის სასერტიფიკაციო პროგრამა, რომელიც მოიცავს სულ მცირე 4 სასწავლო კურსს და შესაბამის, სულ მცირე 4 გამოცდას, შემდეგი თანმიმდევრობით: „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ - ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „აუდიტი“ - აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „ბიზნესის მართვა და რისკი“ - კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვა-

1 უმაღლესი განათლება მოიცავს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიურ ან მათთან გათანაბრებულ ხარისხს.

სსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ლიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „ბიზნეს სამართალი და საგადასახადო დაბეგვრა“ - ბიზნეს და საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე. ამასთან ერთად, პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში პირს გავლილი ან ჩათვლილი ჰქონდეს სასწავლო კურსი/საგანი სულ მცირე კომპეტენციის საშუალო დონეზე შემდეგ საგნებში [2]:

- ა) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება;
- ბ) მმართველობითი აღრიცხვა;
- გ) აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება;
- დ) კორპორაციული მართვა, რისკების მართვა და შიდა კონტროლი;
- ე) სამენარშეო და ორგანიზაციული გარემო;
- ვ) ბიზნესის სტრატეგია და მართვა;
- ზ) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა;
- თ) ეთიკური პრინციპები;
- ი) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება;
- კ) ფინანსური ანალიზი.

გარდა ჩამოთვლილი კურსის/საგნისა, პირის პროფესიული სერტიფიცირებისთვის აუცილებელია პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე შესამოწმებელი სასწავლო დისციპლინები. მათ შორის:

- ა) ბიზნეს სამართალი;
- ბ) საგადასახადო დაბეგვრა;
- გ) ფინანსები და ფინანსური მართვა;
- დ) ეკონომიქსი;
- ე) ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ვ) მათემატიკა;
- ზ) სტატისტიკა.

ასევე, პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე შესამოწმებელი სხვა კომპეტენციის ისეთი სფეროები, როგორცაა:

- ა) ინტელექტუალური უნარები;
- ბ) პიროვნებათაშორისი ურთიერთობისა და კომუნიკაბელურობის უნარები;
- გ) პიროვნული უნარები;
- დ) ორგანიზაციული უნარები.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ პირს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და ჩაბარებული აქვს საგნები: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, მენეჯმენტი, ფინანსები, ასევე, საგნები ეკონომიკის დარგში, უფლება აქვს ჩააბაროს პროფესიული ორგანიზაციის სასერტიფიკაციო პროგრამის შესაბამისი საგნის/კურსის გამოცდა სასერტიფიკაციო პროგრამაზე სწავლის პროცესში ჩართვის გარეშე. სასერტიფიკაციო გამოცდები არის სერტიფიცირების საბოლოო ეტაპი და წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატს ენიჭება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი.

საქართველოში, განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც გამოცდა მთლიანად კომპიუტერიზირებულია და, შესაბამისად, გამოიცხადეს წერილობითი ფორმის (ქალაქის) გამოყენებას, ნებადართულია როგორც წერილი, ასევე გამოცდის კომპიუტერული ფორმატიც. სასერტიფიკაციო გამოცდები საქართველოში შეიძლება ჩატარდეს წელიწადში სულ ცოტა ორ - ზამთრის და ზაფხულის საგამოცდო სესიებად. აშშ-ში კი გამოცდის ჩასაბარებლად წელიწადში გამოყოფილია 4 სატესტო პერიოდი (საგამოცდო სესია): იანვარი-თებერვალი; აპრილი-მაისი; ივლისი-აგვისტო; ოქტომბერი-ნოემბერი. გამოცდები ტარდება მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე, ამასთან, ყოველი გამოცდა ცალკე აღებულ ერთ სატესტო პერიოდში ბარდება მხოლოდ ერთხელ. რაც ნიშნავს იმას, რომ **კანდიდატს²** ერთი და იმავე სატესტო პერიოდში, ერთიდაიგივე გამოცდის მეორეჯერ გადაბარების უფლება არა აქვს. ყველა გამოცდის ჩასაბარებლად კანდიდატს ეძლევა 18 თვე. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში, კანდიდატი ვალდებულია ადრე ჩაბარებული საგნები თავიდან **გადააბაროს³**. საქართველოს რეალობაში კი მკვიდრდება პრაქტიკა, როდესაც კანდიდატს ცალკეული გამოცდის შედეგი უნარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დანარჩენ ყველა გამოცდას ჩააბარებს პირველად ჩაბარებული გამოცდის შედეგების ხელმისაწვდომობის დღიდან 5 წლის განმავლობაში. ე.ი. კანდიდატს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მოსაპოვებლად ეძლევა მეტი დრო და შესაძლებლობა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ კანდიდატისთვის მინიჭებული აღნიშნული უპირატესობა იწვევს ჩაბარებული მასალის მოძველებას და, შესაბამისად, მისი პროფესიული კომპეტენციის ჩამორჩენას დროში.

პირის პროფესიული სერტიფიცირების, მიღებული ცოდნის შენარჩუნების და ბუღალტრის კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტების საფუძველზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი ალგორითმი, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესს და უზრუნველყოფს დარგში სტაბილურობის შენარჩუნებას.

² სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელი;

³ <https://ru.wikipedia.org/wiki/>

ABSTRACT
FUNDAMENTAL ACCENTS OF PROFESSIONAL CERTIFICATION OF
AN ACCOUNTANT IN THE NEW REGULATION

DAVID JALAGONIA¹, IURI PAPASQUA²

1. Professor

2. Associate Professor

Sokhumi State University

(E-mail: dato.jalagonia@gmail.com)

The article discusses demands of new regulation of professional certification and continued training of accountant. It discloses, that professional certification and continuous training is implemented by a professional organization accordingly to accounting standards of accountancy elaborated by Ministry of Finance of Georgia and State Audit Office of Georgia. The certification of a person requires a bachelor degree and full accomplishment of the certification program. For maintaining the qualification continuation of education is required. Therefore, during the process of continuation of education the passed subjects can be deducted. For continued education minimal amount of confirmable and unconfirmable studying hours is determined.

The article also included evaluating of certification program and author's opinions regarding it's further development.

Keywords: Certified Accountant; Continuing Education; Professional Competence; Certification Program

ლიტერატურა

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; 24 ივნისი 2016;

პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი;

განგრძობითი განათლების სტანდარტი;

„ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“; მუხლი 28 „კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა“.

**უცხოური ვალუტის დეფიციტის მნიშვნელობა ქვეყნის სავალუტო
მდგომარეობის განსაზღვრისას**

ბაკარ ჯღარკავა

დოქტორანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ელ-ფოსტა: bakar.jgarkava@yahoo.com)

უცხოური ვალუტის დეფიციტი ნიშნავს მის არასაკმარისობას ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით, რაც შეიძლება შემდეგი მიზეზებით იყოს გამოწვეული:

სავაჭრო დისბალანსი (უარყოფითი სალდო) - ეს არის მდგომარეობა, როდესაც ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა უარყოფითია, ანუ ქვეყნიდან იმაზე ნაკლები პროდუქცია გადის საზღვარგარეთ, ვიდრე შემოდის, რის შედეგადაც ქვეყნის ეკონომიკაში რჩება უფრო ნაკლები უცხოური ვალუტა, ვიდრე გადის. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ინვესტორების უცხოური ვალუტის დეფიციტს, რაც თავის მხრივ სავალუტო კრიზისის გამომწვევი შეიძლება გახდეს.

უცხოური ინვესტიციების შემცირება - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირი მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე. უცხოური ინვესტიცია ორი ტიპისაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI – Foreign direct investment) და პორტფელური ინვესტიცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს ქვეყნის წარმოებასა და ბიზნესში უცხოელი ინვესტორის (უცხოური საწარმო) მიერ კომპანიების შექმნას, შექმნას, ან არსებული ბიზნესის განვითარებას. ეს ავტომატურად გულისხმობს უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც ეროვნული ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს.

პორტფელური ინვესტიცია კი გულისხმობს უცხოელი ინვესტორის (უცხოური საწარმო) მიერ აქციებისა და ობლიგაციების შექმნას, რაც ისევე როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას და ეროვნული ვალუტის გამყარებას. მაგრამ თუ ეს პროცესი უკუშექცევადია და ხდება FDI - სა და პორტფელური ინვესტიციების შემცირება, რაც გულისხმობს ნაკლები უცხოური ვალუტის შემოდინებას, ეროვნული ვალუტა ვეღარ გამყარდება და პირიქით - სხვა თანაბარ პირობებში, მოხდება მისი დევალუაცია.

ტურიზმის შემცირება- ტურიზმის შემცირება ეკონომიკის მრავალი სექტორის შემცირებაზე აისახება. ყველაზე აშკარად ეს შემცირება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორსა და ტრანსპორტის სექტორზე აისახება. მთავრობა ეროვნული ვალუტის გამყარებას ტურისტული სეზონის დაწყების დროს ვარაუდობს, თუმცა, თუკი ზაფხულის სეზონზე ტურიზმი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა, ლარის გამყარებისთვის სათანადო წინაპირობა ვერ შეიქმნება.

ტურიზმი არის მოგზაურობა თავისუფალი დროის ხარჯვის, დასვენების ან ბიზნესის მიზნით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით ტურისტები არის ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით.

გარდა იმისა, რომ ტურიზმი ავითარებს მომსახურების ინდუსტრიას: ავიაცია, ტაქსებით მომსახურება, გამასპინძლების სერვისი, დაბინავება, საზღვაო და სახმელეთო გადაყვანები, გიდების მომსახურება, კაზინოებისა და გასართობი ცენტრების განვითარება, უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ თითოეული ტურისტი ქვეყნის ეკონომიკისათვის ნიშნავს უცხოური ვალუტის შემოდინებას. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სიდიდებზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 7 ტრილიონი აშშ დოლარი (9,8% წილი მსოფლიო მშპ-ში). აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ცალსახად შეიძლება იმის თქმა რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებას, ხოლო მისი შემცირება მის დევალვაციას.

სატრანსპორტო გადაზიდვების შემცირება - სატრანსპორტო გადაზიდვები გულისხმობს ტვირთის საზღვაო, სახმელეთო ან საჰაერო გადაზიდვებს, ერთი ქვეყნიდან მეორეში. ასეთ დროს გადაზიდვების სერვისის საფასური გადაიხდება უცხოურ ვალუტაში, რაც ქვეყნის ეკონომიკაში შემოსულ დამატებით უცხოურ ვალუტას გულისხმობს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია მისი, როგორც სატრანსპორტო ქვეყნის, პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე. 1990-იანი წლებიდან საქართველოს - როგორც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ნაწილის - ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა; აღმოსავლეთ-დასავლეთის შორის სატრანსპორტო როლის გაზრდა გულისხმობს როგორც ტრადიციული სახეობების სატრანსპორტო გადაზიდვებს, ასევე ენერგეტიკული რესურსების გადატანასაც. მსგავსი საერთაშორისო ფუნქცია აძლიერებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოების ინტერესს საქართველოს - როგორც სატრანსპორტო დერეფნზე მდებარე ქვეყნის - დემოკრატიული და სტაბილური განვითარების მიმართ, რაც გულისხმობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ლოჯისტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12% შეადგენს. აღნიშნული სექტორის ინტენსიური განვითარება უზრუნველყოფს საქართველოს სწრაფ ინტეგრაციას გლობალურ ლოჯისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. განვითარებული ლოჯისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის, სოფლის მეურნეობისათვის, ვაჭრობისა და ტურიზმისათვის.

ტრანსფერტების შემცირება - ტრანსფერტი არის ფულის (უმეტეს შემთხვევაში უცხოური ვალუტის) გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ტრანსფერტები ეკონომიკის დამატებითი მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან ეს არის ეკონომიკაში შემოსული დამატებითი ფული გამოხატული უცხოურ ვალუტაში, რომელიც ეროვნული ვალუტის გამყარებაში მნიშვნელოვანი როლის მოთამაშეა. ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში მშპ-ს 6 პროცენტს შეადგენს და ქვეყანაში შემომავალ გრანტებს და ინვესტიციებს თითქმის 2,5-ჯერ აღემატება. ამიტომაც ეროვნული ვალუტის სიმყარის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მოვიზიდოთ ტრანსფერტები არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან და ქვეყნიდან, რათა მეტი უცხოური ვალუტა შემოვიდეს საქართველოში.

ABSTRACT IMPORTANCE OF FOREIGN EXCHANGE DEFICIT TO DEFINE STATE OF DOMESTIC CURRENCY

BAKAR JGARKAVA
Doctorate Candidate
Sokhumi State University
(E-mail: bakar.jgarkava@yahoo.com)

The Article describes foreign currency deficit, as a major factor to cause currency crisis. While analyzing main elements we can determine importance of government in keeping balance between them and matter of fetching foreign investments.

Key words: Foreign Currency Deficit; Trade Imbalance; Tourism, Transfers; Investments; Traffic Shipment

ლიტერატურა

ლიპარტია ბ., გელაშვილი მ, ჭღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., კორპორაციული ფინანსები: თეორია, პრაქტიკა, სტრატეგიები - ტომი II „თბილისი, „უნივერსალი“, 2013, 554 გვ..

ელიავა ლ. „საბანკო კრიზისების პროგნოზირების თანამედროვე მიდგომები“, ჟურ. „ეკონომისტი“ #3, 2011

Krugman, Paul (August 26, 2014). "Currency Regimes, Capital Flows, and Crises". IMF Economic Review. Palgrave Macmillan

Reinhart, Carmen M. (2002). "Default, Currency Crises, and Sovereign Credit Ratings". World Bank Economic Review.

<https://www.nbg.gov.ge>

<https://www.geostat.ge>

<https://wttc.org> – Travel&Tourism impact review 2016